

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტი



სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

გივი ლუაშვილის

სადოქტორო ნაშრომი

თემაზე:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების
სამართლებრივი ეფექტი

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფესორი გიორგი კვერენჩილაძე

თბილისი
2020

სადისერტაციო ნაშრომის აბსტრაქტი

სადისერტაციო თემა შეეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ ეფექტს, რომლის უმთავრესი გამოვლინებაც მისი გადაწყვეტილებების დროში მოქმედებაა. მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების დღეს არსებულ რეგულაციებს, მათ გამოწვევებს და ამ გამოწვევების სწორი გადაჭრის გზებს.

ჩვენს მიერ შერჩეული თემის აქტუალობას განაპირობებს თავად ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი (ძალა) ის კატეგორაა, რომელიც უფლებათა დაცვის ეფექტურ მექანიზმად აქცევს თავად სასამართლოს.

ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი თამის აქტუალობას ასევე განაპირობებს ის გარემოება, რომ დღესდღეობით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვაში იმყოფება ორი კონსტიტუციური სარჩელი (N 678; N 719), სადაც სადავოდ არის გამხდარი ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხებს.

მსოფლიო სამართლებრივ სივრცეში მწვავე პრობლემად დგას საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების გადაწყვეტილების ძალის სწორი სამართლებრივი რეგულირება. მსოფლიო სამართლებრივ სივრცეში არსებული ყველა საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი ეს იქნება ამერიკული, ევროპული თუ შერეული ამ საკითხის დარეგულირების დროს დგას ისეთი დილემების წინაშე, როგორც არის სამართლიანობა, სამართლებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ და პოზიტიური კანონმდებლობა ნეგატიური კანონმდებლობის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ამ დილემების არსებობისას რთულია საკითხის სწორი რეგულირება, აღნიშნული კი კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ პრობლემას.

საკვლევი თემის აქტუალობას ასევე განაპირობებს ისიც, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტურობა პირდაპირ არის დაკავშირებული მის აქტუალობასთან და საქმეთა ნაკადის რაოდენობასთან. შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს სიძლიერისთვის მეტად მნიშვნელოვანია იმ საკანონმდებლო გზების ძიება, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის მას. ეფექტურობის მთავარი ინდიკატორი კი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზების შესაძლებლობებია.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა შესაძლებლობას იძლევა წარმოადგინოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტის ახლებური რეგულირება, რომლის მიზანიცაა დააბალანსოს ამ საკითხის გარშემო არსებული ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები.

შერჩეული საკვლევი თემის მიზანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების გამოწვევების დადგენა, საერთაშორისო წარმატებული და წარუმატებელი პრაქტიკის მოძიება და განხილვა, მოცემული ანალიზის შედეგად კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოხდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების დაბალანსებული რეგულირება.

სადისერტაციო ნაშრომად შერჩეული თემის კვლევის დროს გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, ლოგიკური და ანალიტიკური კვლევის მეთოდები.

ABSTRACT OF DISSERTATION

The dissertation is about the legal effect of a decision of the Constitutional Court of Georgia, which, primarily is expressed through its effect-in-time. The given dissertation gives a review of current regulations on Georgia's Constitutional Court's decisions' effect-in-time, challenges, and their solutions.

The legal force of a decision of the Constitutional Court is the type of criteria, which makes the court itself an effective mechanism for the rights protection. The latter enhances the relevance of our research.

Currently, two constitutional claims (N678; N719) are being reviewed at the Constitutional Court of Georgia regarding legal provisions governing the time-effect of decisions of Georgian Constitutional Court. Therefore, this fact also contributes to the relevance of our research.

The Time-effect of decisions of constitutional control institutions constitutes a grave problem within the global legal environment. Worldwide models of constitutional control, would it be American, European, or mixed, when regulating the issue of time-effect, face such dilemmas as fairness vs legal security and positive legislation vs negative one. Obviously, the existence of such dilemmas makes the regulation process even more difficult; therefore, it makes the entire issue more interesting.

The relevance of research is also connected to the fact, that effectiveness of constitutional control is directly in connection with its topicality and amount of cases. Consequently, it is essential for the sake of the strength of the Constitutional Court to find such legislative approaches, which make it more effective. The primary indicator of effectiveness is the scope of implementation of the court's decision.

Our research allows us to present novel regulation of Georgian Constitutional Court decisions' effect –in-time, which aims at balancing conflicting interests around the issue.

Purpose of the selected research topic is to identify challenges of time-effect of Georgian Constitutional Court's decisions, to find and discuss successful and unsuccessful international practices, and to develop specific, analysis-based recommendations about how to regulate time-effect of decisions of the Constitutional Court of Georgia in a balanced manner.

Research methods of the given dissertation include legal-comparative, historical, logical, and analytical methods.

სარჩევი

ტერმინების და შემოკლებების განმარტება	10
შესავალი.....	14
1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედება და კონსტიტუციის პრინციპები.....	27
1.1. ძალაუფლების დანაწილების პრინციპი.....	28
1.2. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი.....	31
1.3. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი (მშვიდობა სამართლიანობის პირისპირ).....	34
1.4. განსაზღვრულობის პრინციპი	43
1.5. თანაზომიერების პრინციპი	45
1.6. კანონის უკუძალის აკრძალვის ზოგადი პრინციპი.....	47
1.7. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალადაკარგულობა გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.....	50
1.8. შეჯამება	54
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკანონმდებლო ჩარჩო.....	55
2.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებული, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები	55
2.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების განვითარების პროცესი.....	66
3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების მოდელები.....	69
3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ეფექტი	70
3.1.1. ცნების შესახებ	70
3.1.2. საერთაშორისო გამოცდილება	73
3.1.2.1. პორტუგალიის რესპუბლიკა	73
3.1.2.2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.....	75

3.1.2.3. ბელგიის სამეფო	77
3.1.2.4. სლოვაკეთის რესპუბლიკა	81
3.1.2.5. ირლანდიის რესპუბლიკა.....	83
3.1.2.6. უნგრეთი	83
3.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ეფექტის შერბილების ფორმები	86
3.1.3.1. შერბილება დროითი მონაკვეთით	86
3.1.2.2. შერბილება დისკრეციით	90
3.1.2.3. „დამჭერის პრემია“ (premium for the catcher)	96
3.1.4. მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება	102
3.1.5. შეჯამება	105
3.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი.....	106
3.2.1. შესავალი	106
3.2.2. Ex Nunc მექანიზმის ზომიერი სამართლებრივი ეფექტი.....	108
3.2.3. Ex Nunc სისტემაში არსებული გამონაკლისები.....	111
3.2.4. მკაცრი Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი.....	112
3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი.....	116
3.3. შესავალი	116
3.1.2. საერთაშორისო გამოცდილება	118
3.1.2.1. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა	118
3.3.2.1.1. გადაწყვეტილების Pro Future სამართლებრივი ეფექტის გამოყენების ზოგადი საფუძვლები.....	119
3.3.2.1.2. საგადასახადო საქმეები	119
3.1.2.1.3. ალტერნატივები არაკონსტიტუციურობის აღმოსაფხვრელად.....	121
3.1.2.1.4. სპორტული ნაძღვევის საქმე.....	123

3.1.2.1.5. საჯარო მოხელეების ანაზღაურების საქმე	124
3.1.2.1.6. ვადების და დირექტივების დაწესება	125
3.1.2.2. საფრანგეთის რესპუბლიკა.....	126
3.1.2.2.1. საკონსტიტუციო საბჭოს ზოგადი მოტივაცია Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის გამოყენებისას	129
3.1.2.2.2. საკვანძო საქმე	130
3.1.2.2.3. სპეციალური ტრიბუნალის საქმე.....	131
3.3.2.3. ბელგიის სამეფო.....	132
3.3.2.4. ავსტრიის რესპუბლიკა	133
3.3.2.4.1. მოპასუხის ინტერესი Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის გამოყენებისას	134
3.3.2.4.2. გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის უკუჩვენებები	136
3.3.2.5. იტალიის რესპუბლიკა.....	137
3.3.2.6. რუმინეთი	140
3.3.2.7. პოლონეთის რესპუბლიკა	143
3.3.2.8. უნგრეთი	143
3.3.2.9. სხვა ქვეყნების გამოცდილება.....	146
3.3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის დამკვიდრება საქართველოში	148
3.3.3.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავდაპირველი პრაქტიკა.....	151
3.3.3.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის გამოყენების ძირითადი მოტივაცია	154
3.3.3.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი პრაქტიკა	156
3.3.4. შეჯამება	159
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით.....	161

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედება სისხლის სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებში.....	170
5.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედება სისხლის სამართალში	170
5.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალში.....	190
5.3. შეჯამება.....	199
6. საქართველოს საერთო სასამართლოების დამოკიდებულება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურ სამართლებრივ ეფექტთან დაკავშირებით (სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეები).....	200
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა	209
8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტის ალტერნატივები	220
8.1. „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლი, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტის ალტერნატივა..	222
8.2. პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლი, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტის ალტერნატივა ..	228
8.3. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გაძლიერება, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტის ალტერნატივა.....	230
8.4. შეჯამება.....	234
9. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება	235
9.1. სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებამდე.....	237
9.2. სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ	257
9.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია გამაუქმებელ ნორმებზე.....	270

9.4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია გაუქმებულ ნორმებზე.....	276
დასკვნა	282
დანართი N1	302
დანართი N2	303
დანართი N3	306
დანართი N4	307
დანართი N5	309
დანართი N6	310
დანართი N7	311
ბიბლიოგრაფია.....	351

ცხრილები

ცხრილი N1.

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა „დამჭერის პრემიის“ გამოყენების შესახებ, საანგარიშო პერიოდი 2002 წლიდან 2011 წლამდე. -----102

ცხრილი N2.

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა ნორმატიული აქტის ძალადაკარგულობის გადავადების შესახებ, საანგარიშო პერიოდი (2002 წლიდან 2011 წლამდე). -----137

ცხრილი N3.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა ნორმატიული აქტის ძალადაკარგულობის გადავადების შესახებ, საანგარიშო პერიოდი (2014 წლიდან 2019 წლის სექტემბრამდე). -----158

ტერმინების და შემოკლებების განმარტება

ა.შ. - ასე შემდეგ

გვ. - გვერდი

დმრ - დღეს მოქმედი რედაქცია

ვენეციის კომისია - ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის

ე. - ეგრეთ წოდებული

ე.ი. - ესე იგი

ევროსასამართლო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ევროკონვენცია - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია

იხ. - იხილეთ

მაგ. - მაგალითად

პროფ. - პროფესორი

საერთო სასამართლოები - საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააპელაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო

შეად. - შეადარეთ

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

ალბანეთი - ალბანეთის რესპუბლიკა

ანდორა - ანდორას სამთავრო

ავსტრია - ავსტრიის რესპუბლიკა

ბელგია - ბელგიის სამეფო

ბელარუსია - ბელარუსის რესპუბლიკა
გერმანია - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა
ესპანეთი - ესპანეთის სამეფო
თურქეთი - თურქეთის რესპუბლიკა
იტალია - იტალიის რესპუბლიკა
ისრაელი - ისრაელის სახელმწიფო
ლატვია - ლატვიის რესპუბლიკა
ლიხტენშტეინი - ლიხტენშტეინის სამთავრო
ლიეტუვა - ლიეტუვის რესპუბლიკა
მონტენეგრო - მონტენეგროს რესპუბლიკა
მექსიკა - მექსიკის შეერთებული შტატები
მოლდოვა - მოლდოვის რესპუბლიკა
პერუ - პერუს რესპუბლიკა
პორტუგალია - პორტუგალიის რესპუბლიკა
პოლონეთი - პოლონეთის რესპუბლიკა
რუსეთი - რუსეთის ფედერაცია
სლოვაკეთი - სლოვაკეთის რესპუბლიკა
საბერძნეთი - საბერძნეთის რესპუბლიკა
სამხრეთ კორეა - სამხრეთ კორეის რესპუბლიკა
სერბეთი - სერბეთის რესპუბლიკა
სლოვენია - სლოვენის რესპუბლიკა

სამხრეთ აფრიკა - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ურუგვაი - ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკა

ჩეხეთი - ჩეხეთის რესპუბლიკა

ხორვატია - ხორვატიის რესპუბლიკა

CCKB - Constitutional Court of Kingdom of Belgium

ECTHR - European Court of Human Rights

Ex Tunc – საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება უკუძალით.

Ex Nunc – საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.

Pro Futuro – საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგების გავრცელების გადავადება მომავალში

Erga Omnes - ლათინური ფრაზაა, რომელიც ნიშნავს "ყველას მიმართ". იურიდიულ ტერმინოლოგიაში გამოიყენება, როგორც - ყველანაირი უფლებები ან ვალდებულებები ეკისრება ყველას.

FCCG – Federal Constitutional Court of Germany

Iss. - Issue

Journ. - Journal

No. - Number

Para. – Paragraph

Tom – T.

V. – Versus

Venice Commission - European Commission for Democracy Through Law

Vol. – Volume

Vgl. – Vergleiche

BVerfGE - Bundesverfassungsgerichtsentscheidung

შესავალი

საკონსტიტუციო კონტროლის ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ნათლად დავინახავთ მისი განვითარებისა და ჩამოყალიბების მეტად რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზას. ამ სირთულეების წყარო მრავალგვარია. მათ ჩამონათვალში ერთიანდება ხელისუფლებები და მმართველი ინდივიდები, რომლებსაც არ სურდათ საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების, გაძლიერების ხარჯზე თავიანთი უფლებამოსილებების პირდაპირი თუ ირიბი შეკვეცა. ასევე, სირთულეების განმაპირობებელი იყო, სკეპტიკოსი მეცნიერების წრე, რომლებიც გააზრებით თუ გაუაზრებლად, უნდობლად უყურებდნენ მსოფლიო სამართლებრივ სისტემებში საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის დამკვიდრებას. საკონსტიტუციო კონტროლის დამკვიდრების გზაზე ყველაზე ბუნებრივ და ძნელად დასაძლევ ბარიერს კი წარმოადგენდა და წარმოადგენს ის სამართლებრივი სირთულეები, რომლებიც თან ახლავს საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის სრულყოფას. ასეთ სამართლებრივ სირთულედ კი უნდა დასახელდეს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალა, რომლის ძირითადი მიმდინარეობა არის მოცემული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხის გადაწყვეტა.

საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების სიძლიერე, მის მიმართ საზოგადოების, პოლიტიკური წრეებისა და სახელმწიფო ორგანოების ნდობის მასშტაბში ვლინდება. ნდობისა და ავტორიტეტის ფორმირების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი კი, სწორედ, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების ეფექტურობა არის, რომელიც შემდგომ მისი ძალის საზომი ხდება. პირები კი,

¹ იზენზეე ი., სამართლიანობა - მარადიული იდეა თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოში, „კონსტიტუციონალიზმი მიღწევები და გამოწვევები“, რედაქტორები მ., უგრეხელიძე, ბ., ქანთარია, თბილისი, 2019, 96 იხ, სოქოლიო. 29. „Et erit opus iustitiae pax“, Is 32,17. Vgl. auch Is 54,13-14.

რომლებიც საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში, კონსტიტუციური სარჩელის თუ წარდგინების სუბიექტები არიან, აპრიორი, თავიდანვე არ შეხედავენ საკონსტიტუციო სასამართლოს ნდობის თვალთ თუ მასში ძლიერ, პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობის მქონე ინსტიტუციას არ დაინახვენ. სწორედ, ამ სიძლიერის განმსაზღვრელია, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს შესაძლებლობა, ეფეტურად მართოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროში მოქმედების ეფექტი. ასევე, ამ სიძლიერის განმსაზღვრელია, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მარეგულირებელი საპროცესო კანონმდებლობის ისე ჩამოყალიბება, რომლის ფარგლებშიც, მოპასუხე მხარეს ნაკლებად ექნება შესაძლებლობა, კონსტიტუციური სარჩელის წარმდგენს გაუჭიანუროს საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და უკან არ ჩამოიტოვოს პროცესის ეკონომიურობის პრინციპი.

საკონსტიტუციო კონტროლის იდეის პირველი გამხმოვანებლების და დამამკვიდრებლების, ედვარდ კოუკის (მოღვაწეობდა მე-16 საუკუნეში)², მოსამართლე ჯონ მარშალის, აბატი სიესის, ჰანს კელზენის მოღვაწეობას და მათ ნაბიჯებს თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ საკონსტიტუციო კონტროლი, ეს არის გაბედული პირებისა და ინსტიტუციების მოქმედება, რომელთა წყალობითაც ჩამოყალიბდა საკონსტიტუციო კონტროლი მსოფლიოში იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს არსებობს. 1803 წელს, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მარშალს, რომ არ გამოეჩინა სათანადო გამბედაობა, მედისონი არ წააგებდა საქმეს და სამაგიეროდ, ვერ მოიგებდა იმ უფლებას³, რომელსაც საკონსტიტუციო კონტროლის შესაძლებლობა ჰქვია.

სწორედ, წინა აბზაცში მოყვანილი გაბედული ნაბიჯების გადადგმა განაპირობებს საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის სიძლიერეს. ეს ძლიერი

² კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, 2008, 38, იხ. Fromont M., "La justice constitutionnelle dans le monde", P 1996, 8.

³ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მთარგმნელი მ. მასისურაძე, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი 2003, 275.

ნაბიჯები კი, დამოკიდებულია, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გაბედულობაზე, ასევე, სწორად ჩამოყალიბებული საკონსტიტუციო კონტროლის მარეგულირებელი საპროცესო კანონმდებლობის ფორმირებაზე. ამ უკანასკნელზე გავლენას, კი თავის მხრივ, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების პრაქტიკა, მკვლევარების ნაშრომების განვითარება და საზოგადოების სამოქალაქო აქტიურობა განაპირობებს.

ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი თემის აქტუალობას, უპირველეს ყოვლისა ადასტურებს წინა აბზაცებში განხილული საკონსტიტუციო კონტროლის განვითარების ისტორია. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი ის კატეგორიაა რომელიც უფლებათა დაცვის ეფექტურ მექანიზმად აქცევს მას. ამის წყალობით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სუბსიდიურობის პრინციპიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მოქმედ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ მექანიზმს, განიხილვას ამ პრინციპის და, შესაბამისად, შიდაიურისდიქციის ამოწურვის შემადგენელ ნაწილად. სწორედ ამ კუთხით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ „აპოსტოლის საქმეზე“⁴ დადგენილი რეალობა არის ის, რომ სუბსიდიურობის პრინციპის მიზნებისთვის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმი არ არის ეფექტური დაცვის საშუალება, რომლის წყალობითაც პოტენციური უფლებამწალობის პირი წარმატებით შეძლებდა რეტროაქტიურად აღედგინა მისი დარღვეული უფლება.

შერჩეული საკვლევი თემის აქტუალობას ასევე, განაპირობებს ის გარემოება, რომ დღეის მდგომარეობით (05.2020წ.) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვაში იმყოფება ორი კონსტიტუციური სარჩელი (N 678; N 719), რომლებზედაც სამართალწარმოება სამ წელზე მეტია რაც მიმდინარეობს. მოცემული კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ არის გამხდარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე

⁴ Apostoly v Georgia [ECTHR], App No. 40765/02, 28 November 2006.

მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის საფუძვლების ჩამონათვალში გამორიცხავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც ახლად აღმოჩენილ გარემოებას. მოცემული კონსტიტუციური სარჩელებით, ასევე, სადავოდ არის გამხდარი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგებს. უნდა ითქვას, რომ მოცემული კონსტიტუციური სარჩელების ძირითადი მოთხოვნა, სწორედ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების არსებული რეგულაციების არაკონსტიტუციურად ცნობა არის. სასამართლოში ასეთი კონსტიტუციური სარჩელების არსებობა, რაც სამოქალაქო აქტივიზმის დამსახურება არის, უდავოდ მიუთითებს ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი თემის აქტუალობაზე, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სიძლიერის მაჩვენებელში, დიდი წილი, სწორედ მის დროით ეფექტებს ეკუთვნის. ეს დროითი ეფექტი კი უფრო მეტად გაურკვეველი და სადავო, სწორედ, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზეა.

მოცემული თემის აქტუალობაზე, ასევე, მეტყველებს ის საერთაშორისო დამოკიდებულება, რაც გავრცელებულია მსოფლიოს საკონსტიტუციო კონტროლის მოდელებში. კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ მსოფლიოს სამართლებრივ სისტემებში მწვავე პრობლემად დგას საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების გადაწყვეტილების ძალის სწორი სამართლებრივი რეგულირება. მსოფლიო სამართლებრივ სივრცეში არსებული ყველა საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი, ეს იქნება ამერიკული, ევროპული თუ შერეული, ამ საკითხის დარეგულირების დროს, დგას ისეთი დილემების წინაშე, როგორც არის სამართლიანობა სამართლებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ და პოზიტიური კანონმდებლობა ნეგატიური კანონმდებლობის წინააღმდეგ. ბუნებრივია, რომ ამ დილემების არსებობისას, რთულია, საკითხის გადაჭრა, აღნიშნული კი კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საკვლევ საკითხს.

საკვლევი თემის პოპულარობას, ასევე განაპირობებს ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სიძლიერე, როგორც აღვნიშნეთ, პირდაპირ არის დაკავშირებული მის აქტუალურობასთან და საქმეთა ნაკადის რაოდენობასთან. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს სიძლიერისთვის მეტად მნიშვნელოვანია იმ საკანონმდებლო გზების ძიება, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის მას და, შესაბამისად, უფრო ბევრი მოსარჩელე მიმართავს კონსტიტუციური სარჩელით. ეს უკანასკნელი კი, მისი ავტორიტეტისა და ნდობის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი ვლინდება, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის სამართლებრივ შედეგებში. შესაბამისად, ბუნებრივიცაა, რომ მოსარჩელის თვალში საკონსტიტუციო სასამართლოს სიძლიერე არაკონსტიტუციურობის პრაქტიკულ შედეგებთანაა დაკავშირებული. კონსტიტუციური სარჩელის წარმდგენი პირი საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა ხედავდეს ძლიერ ინსტიტუციას, რომლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ექნება კონკრეტული შედეგი, წარსულში დარღვეული უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით. აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, დარღვეული უფლებების მადეკლარირებელი აქტიდან გადაიქცეს უფლების აღმდგენ აქტად. ეს მოთხოვნილება საზოგადოებაში დიდი ხანია, რაც არსებობს, შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის აქტუალურობას განაპირობებს უფლებაში აღდგენის საჭიროებები.

ასევე, უნდა ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის გაზრდა უფრო ეფექტურს გახდის საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციას, დაიცვას ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი. ბევრჯერ დადასტურებულა, რომ ინსტიტუციურად სუსტი არბიტრი ვერ შეძლებს მოდავე მხარეების უფლებების ეფექტურად დაცვას.

ჩვენ მიერ საკვლევად შერჩეულ თემას, დამატებით აქტუალურობას სძენს, ასევე, ისიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად ცნობს პასუხისმგებლობის (სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული

სამართალდარღვევები) განმსაზღვრელ ნორმებს არაკონსტიტუციურად, რაც დღის წესრიგში აყენებს ასეთი გადაწყვეტილებების უკუძალით სწორ რეალიზებას. შესაბამისად, ამ საკითხის კვლევა პრაქტიკული შედეგის მომტანია საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილებების სწორი მოქმედებისთვის.

აუცილებლად მიგვაჩნია აქვე დავაკონკრეტოთ თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელ უფლებამოსილებებს განვიხილავთ დროში მოქმედების კუთხით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები, გადაწყვეტილების დროში მოქმედების კონტექსტში, შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი უფლებამოსილებები, რომლის დროსაც შეზღუდულია დროში უკუძალის ეფექტის გამოყენება; მეორე ჯგუფს განეკუთვნება ისეთი უფლებამოსილებები, რომლის დროსაც კანონმდებლობა უშვებს დროში უკუძალის შესაძლებლობებს; მესამე ჯგუფის დროს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები პრევენციული ხასიათისაა და, შესაბამისად, არ დგას დროში მოქმედების პრობლემა; მეოთხე ჯგუფის შემთხვევაში კი, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ისეთ საკითხებს ეხებიან, რომლის დროსაც, ასევე, არ არის აქტუალური გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხი.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება კომპეტენციური დავა და ჩატარებული არჩევნები. კომპეტენციური დავის დროს კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან⁵. ჩატარებული არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში კი, კანონმდებლობა შესაძლებლობას იძლევა ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეული საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების მიხედვით) ბათილად ცნობას, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმატიულმა აქტმა ან მისმა

⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N001, 31/01/1996წ.;

ნაწილმა არსებითი და გადაწყვეტი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგზე და არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ნაწილის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა არსებულისაგან განსხვავებული შედეგი.⁶

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ჩასატარებელი არჩევნების, საერთაშორისო ხელშეკრულების (რატიფიცირებადი) კონსტიტუციურობის საკითხი. მოცემულ შემთხვევებში, აღნიშნული უფლებამოსილებები განეკუთვნებიან პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის შემთხვევებს და, შესაბამისად, პრევენციული კონტროლის დროს არ დგას გადაწყვეტილების დროში მოქმედების პრობლემა.

მეოთხე ჯგუფში კი, ერთიანდებიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ისეთი უფლებამოსილებები, როგორებიცაა იმპიჩმენტი, პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის საკითხი, საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

პირველ ჯგუფს კი, მიეკუთვნება ისეთი უფლებამოსილებები, როგორებიცაა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი; დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე; საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი; ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავთან მიმართებით; საქართველოს კონსტიტუციის 59-ე–64-ე მუხლებთან ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი; საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინებები. მოცემულ ჯგუფში, გაერთიანებული უფლებამოსილებები განიცდიან დროში მოქმედების შეზღუდვებს. შესაბამისად, ჩვენს კვლევაში არსებული მიმოხილვა

⁶ იხ. იქვე, 23-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

და ანალიზი შეეხება მოცემული ჯგუფის ქვეშ გაერთიანებულ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის უდიდესი ნაწილიც სწორედ ამ უფლებამოსილებების გარშემო ტრიალებს და, შესაბამისად, განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას გადაწყვეტილების დროში მოქმედების სიძლიერე მოცემულ უფლებამოსილებებთან მიმართებით.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი არის, გარკვეული წვლილი შეიტანოს საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის, კერძოდ კი, საკონსტიტუციო კონტროლის განვითარებაში. ნაშრომის მიზანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის გაძლიერებისკენ გადასადგმელი ნაბიჯების სწორედ შერჩევა. ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის არსებული რეალობა, სირთულეები, გამოწვევები და ამ კუთხით სხვადასხვა ქვეყნების ნეგატიური და პოზიტიური გამოცდილება.

ამ მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია:

- ❖ კონცენტრირებულად განვიხილოთ ის საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ ეფექტს და გაზნეულნი არიან სხვადასხვა დარგის კანონმდებლობაში;
- ❖ განვიხილოთ ის კონსტიტუციური რანგის პრინციპები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის ჩამოყალიბებაში. დასახელებული კონსტიტუციური პრინციპების განხილვისას, სწორედ მოვახდინოთ მათი ურთიერთწინააღმდეგობრიობის იდენტიფიცირება. კონსტიტუციური პრინციპების „შეჯახების“ სწორი იდენტიფიცირება იქნება ერთგვარი, ამ საკითხის თანმდევი ნარატივი, რომელსაც

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სიძლიერეზე მსჯელობის დროს, გვერდს ვერ ავუვლით;

❖ ასევე მნიშვნელოვანია ვეძებოთ, აღმოვაჩინოთ და შემდგომ დავახასიათოთ ის ალტერნატიული საშუალებები, რომლებიც ცალ-ცალკე ან კუმულატიურად განვითარებისას გააძლიერებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ ეფექტს;

❖ მოცემული საკითხების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, კარგად წარმოვაჩინოთ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების გადაწყვეტილების სიძლიერისკენ გადადგმული სხვადასხვა ქვეყნის ნაბიჯები;

❖ დასახელებული მიზნის მისაღწევად, ასევე კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების გადაწყვეტილების დროით სივრცეში მოქმედებასთან დაკავშირებით. ამ საკითხისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობა განპირობებულია იმით, რომ სწორედ მასზე მოდის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილების სიძლიერის უდიდესი ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო და მისი გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი, საკონსტიტუციო სასამართლოს დაარსების დღიდან, მუდამ აქტუალურია, საქართველოს ეროვნულ სამართლებრივ სივრცეში, ამ საკითხზე მხოლოდ რამოდენიმე სამეცნიერო ნაშრომი არსებობს⁷. შესაბამისად, მოცემული კვლევა ქართულ სამართლებრივ სივრცეში წარმოადგენს

⁷ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007. ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ N6, თბილისი 2012.

კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტი, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N9. თბილისი 2015.

პირველ მოცულობითი ნაშრომს, რომელიც მომზადდა სადისერტაციო კვლევით ფორმატში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ ძალასთან დაკავშირებით.

სადისერტაციო ნაშრომად შერჩეული თემის კვლევის დროს გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, ლოგიკური და ანალიტიკური კვლევის მეთოდები.

დასახელებული კვლევის მეთოდებიდან, აუცილებლად უნდა გამოიყოს შედარებით-სამართლებრივი მიდგომის მნიშვნელობა, რადგანაც ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი თემიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი იყო სხვადასხვა ქვეყნების პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების შესწავლა. აღნიშნული გამოცდილება კი, კარგად ჩანს შესაბამისი ქვეყნების საკანონმდებლო აქტებში, შესაბამისი საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუციების პრაქტიკაში და რა თქმა უნდა, კონკრეტულ ქვეყნებში მოღვაწე მკვლევარების ნაშრომებში. ამ მიმართულებით, კვლევის ფარგლებში, გამოვიყენებთ ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორებიც არიან, გერმანია, ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, იტალია, რუმინეთი, ჰოლანდია, უნგრეთი, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, ირლანდია, სომხეთი, მაკედონია, ანდორა, მოლდოვა და ა.შ.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი თემის შესწავლისას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა დაეთმო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი აქტების შესწავლას (გადაწყვეტილება, საოქმო ჩანაწერი, განჩინება).

ისტორიული კვლევის მეთოდის ფარგლებში, გავანალიზებთ ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ ძალასთან მიმართებაში განხორციელდა. დასახელებულმა კვლევის მეთოდმა შესაძლებლობა მოგვცა განვითარებაში დაგვეჩინა ის დამოკიდებულება რასაც ავლენს კანონმდებელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან, როგორც გადაწყვეტილების სიძლიერის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილთან დაკავშირებით.

ნაშრომი შედგება შესავლის, თავების, ქვეთავების, დასკვნისა და დანართებისგან. ნაშრომის სტრუქტურა გამომდინარეობს თემის კვლევის მიზნებიდან და ამ უკანსკნელის შედეგად ჩამოყალიბდა.

კვლევის ძირითადი ნაწილი შედგება ცხრა თავისგან, რომელთაგან:

პირველი თავი შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხებთან დაკავშირებული კონსტიტუციური პრინციპების მიმოხილვას. მოცემულ თავში მოყვანილი განმარტებები, კონსტიტუციის კონკრეტულ პრინციპებთან დაკავშირებით, დაგვანახებს იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა შორისაც უნდა გაიაროს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების სამართლებრივმა რეგულირებამ. ასევე, დავინახავთ იმ წინააღმდეგობებს, რომელიც წარმოიშვება კონსტიტუციის პრინციპების „შეჯახებისას“. ასევე, მოცემული თავის ფარგლებში მოხდება იმ ღირებულებითი ველის წარმოჩენა, რომლის გათვალისწინებაც უკიდურესად აუცილებელი არის საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციის გადაწყვეტილების სიძლიერეზე მსჯელობისას;

მე-2 თავი ეთმობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალის ფორმირებაზე ზეგავლენის მომხდენი საკანონმდებლო რეგულაციების ერთად კონცენტრაციას და მათ სისტემატიზაციას. მოცემულ თავში, სისტემურად, თავს მოვუყრით ზემოთ აღნიშნულ ნორმებს, რომლებიც გაბნეული სხვადასხვა დარგის საკანონმდებლო აქტებში;

მე-3 თავში განხილული იქნება საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციების გადაწყვეტილების დროში მოქმედების მოდელები. ამ თავში ცალკე ქვეთავები დაეთმობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის Ex Tunc, Ex Nunc, Pro Futuro

მოდელს. მოცემულ თავში განსაკუთრებით კონცენტრირებულად იქნება წარმოდგენილი მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის სკივრში⁸ არსებული პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილება, რომელიც დაკავშირებულია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან. ეს თავი იქნება იმ გამოცდილების თავმომყრელი, რომელიც მოგვცემს სწორ მიმართულებას თუ როგორი სამართლებრივი ეფექტი უნდა ჰქონდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე;

მე-4 თავში განვიხილავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით. მიმოვიხილავთ, თუ რა შეფასებას აძლევს საერთაშორისო ინსტიტუცია ქართულ საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმს. მოცემული თავი იქნება ერთგვარი იდენტიფიკატორი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის განსაზღვრისას;

მე-5 თავში მიმოვიხილავთ სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების უკუძალით აღსრულების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს, საყოველთაოდ აღიარებულია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეალიზება პასუხისმგებლობის დამდგენ (სისხლის სამართალი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევები) საქმეში, ამ

⁸ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მთრამენელი მ. მაისურაძე, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი 2003, 17.

კუთხითაც უამრავი გამოწვევა არსებობს, რომლის სათანადო გაანალიზება არის აუცილებელი;

მე-6 თავში განვიხილავთ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის დამოკიდებულებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურ სამართლებრივ ძალასთან დაკავშირებით. საერთო სასამართლოების პრაქტიკის განხილვა განსაკუთრებით საინტერესო არის სამოქალაქო, ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეებზე, რომელთან დაკავშირებითაც „საქართველო საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი ადგენს სპეციალურ რეგულაციას;

მე-7 თავში შევხებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის საკითხებს. მოცემული საკითხის ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მომენტის ზუსტი სამართლებრივი განსაზღვრებისთვის, თუ როდიდან იძენს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილება მოქმედების სავალდებულო ძალას. გარდა ამისა, მოცემული საკითხი საქართველოს რეალობაში რამოდენიმეჯერ გახდა გაუგებრობის, ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებების, საკანონმდებლო გადასინჯვის და ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი;

მე-8 თავში მიმოვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის ალტერნატივებს. მოცემული ალტერნატივების დასახელება და განხილვა დაგვანახებს იმ ალტერნატიულ გზებს, რომლის განვითარებაც, მეტნაკლებად შეძლებს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების შეზღუდვას იმის ხარჯზე, რომ

ეს ალტერნატივები საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილებას შესძენს შედარებით მეტ ძალას.

მე-9 თავი დაეთმო საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის გაუქმების საკითხებს. სწორედ მოცემულ საკითხზე არსებული რეგულაციები და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალას ადგება ჩრდილი. ამ საკითხის ასეთი გამოწვევები კი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ამ მიმართულებით აუცილებელი არის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის, შესაბამისი სამართლებრივი ნორმებისა და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი.

1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედება და კონსტიტუციის პრინციპები

საქართველოს საკონსტიტუციო საქართველოს განმარტებით, „სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მხოლოდ კონსტიტუციის კონკრეტული ნორმებით. მართალია, კონსტიტუციური პრინციპები არ აყალიბებს ძირითად უფლებებს, მაგრამ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი, ასევე ექვემდებარება გადამოწმებას კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებთან კავშირში და ამ თვალსაზრისით, მსჯელობა უნდა წარიმართოს ერთიან კონტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად თავსდება გასაჩივრებული აქტი იმ კონსტიტუციურსამართლებრივ წესრიგში, რომელსაც კონსტიტუცია ადგენს“⁹.

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო საქართველოს მოცემული განმარტებიდან გამომდინარე, ამ თავში გვინდა მიმოვიხილოთ კონსტიტუციის ის პრინციპები, რომლებიც გავლენას ახდენს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების დროში მოქმედების ნორმატიულ რეგულირებაზე. მოცემულ თავში მოყვანილი განმარტებები, კონსტიტუციის კონკრეტულ პრინციპებთან დაკავშირებით, დაგვანახებს იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა შორისაც უნდა გაიაროს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების სამართლებრივმა რეგულირებამ. ასევე, დავინახავთ იმ წინააღმდეგობებს, რომელიც წარმოიშობა კონსტიტუციის პრინციპების ურთიერთდაპირისპირებისას.

1.1. ძალაუფლების დანაწილების პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ძალაუფლებს დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. ეკერტის განმარტებით, „საპარლამენტო დემოკრატიის ფუნდამენტურ პრობლემას უმრავლესობის ტირანიის საფრთხე წარმოადგენს. იმ წუთშივე, როგორც კი ოპოზიციას ეერთოთ მეტ ადგილს მოიპოვებ პარლამენტში, რასაც მოისურვებ, ის შეგიძლია აკეთო“. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი შემაკავებელი ძალაუფლების დანაწილების მექანიზმი საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოებია. თუ საკანონმდებლო რეგულაციები გასაქანს არ მისცემს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხორციელებულ მართლმსაჯულებას, მმართველი პოლიტიკური ძალის ძალაუფლება თითქმის აბსოლუტური გახდება¹⁰, გარდა ამისა, სახალხო სუვერენიტეტი, რომელიც თავის თავში მოიცავს სახელისუფლებო ძალაუფლებას, კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებებს¹¹

¹⁰ შტემპფი ი., ხელისუფლების დანაწილება, საკონსტიტუციო რეფორმის პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ თბილისი 2017, 10.

¹¹ Wilson R.H. Constantly Approximating Popular Sovereignty: Seven Fundamental Principles of Constitutional Law, Willim & Mary Bill of Rights Journal, Volume 19, Issue 2, 2010.

დარჩება შინაარსგამოცლილი, გამოფიტული ცნება, რომლის არსებობაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება დამდგარი¹².

ძალაუფლების დანაწილების პრინციპი ნათლად ჩანს, არა მხოლოდ კონსტიტუციის დებულებებში, არამედ კონსტიტუციის ტექსტშიც. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავი ეთმობა სასამართლო ხელისუფლებას. სწორედ ამ თავშია თავმოყრილი კონსტიტუციური ნორმები, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილს, დანიშნულებას, ფუნქციას და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს ხელისუფლების სისტემაში. საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები“. კონსტიტუციის მე-60 მუხლის პირველი პუნქტი კი, ადგენს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების ნაწილს. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ქმედითობის უზრუნველყოფის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო თავად განეკუთვნება ხელისუფლების ერთ-ერთ შტოს – სასამართლო ხელისუფლებას. კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების მეშვეობით, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს

¹² Err L., Representation of women in election bodies, in: European Electoral Heritage – 10 Years of the Code of Good Practice in Electoral Matters, Science and Technipue of Democracy, No. 50, Strasbourg, 2012, 67

საკონსტიტუციო სასამართლო. ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა, ხელისუფლების სხვა შტოების მსგავსად კანონმდებლის მხრიდან გარკვეულ რეგულირებას უნდა დაექვემდებაროს მათ შორის, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი ნორმების დადგენის კუთხითაც.¹³ ზემოთ დასახელებული განმარტებებიდან ნათლად ჩანს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების რეგულირების უმნიშვნელოვანესი დანიშნულება ძალაუფლების დანაწილების პრინციპის კონტექსტში.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მიმართულია სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაციის, ბოროტად გამოყენების რისკებისა და ძალაუფლების ერთი ორგანოს ხელში კონცენტრაციის თავიდან აცილებისკენ¹⁴. სახელმწიფო ხელისუფლების ამგვარი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში შესაძლებელი ხდება, სახელისუფლებო ძალაუფლების უზურპირების პრევენცია, უზენაესი და წარუვალი კონსტიტუციური ღირებულების – ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა¹⁵. ხელისუფლების ამგვარი ფორმით განხორციელება უზრუნველყოფს შესაბამის კონსტიტუციურ ორგანოებს შორის პასუხისმგებლობის რაციონალურ დანაწილებას. ძალაუფლების დანაწილების პირობებში, შესაძლებელი ხდება სახელმწიფო გადაწყვეტილებების მაქსიმალურად კვალიფიციურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად მიღება. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ეფექტური და სამართლიანი მართვის წინაპირობაა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება იმ ორგანოების მიერ, რომლებიც კომპეტენტური არიან თავისი კონსტიტუციური სტატუსით, ფუნქციითა და უფლებამოსილებებით.¹⁶ ძალაუფლების დანაწილება როგორც წესი, გულისხმობს ხელისუფლების დანაწილებას საკანონმდებლო,

¹³ იხ. იქვე.

¹⁴ ზომერმანი კ.პ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, გ. ხუბუასა და კ.პ. ზომერმანის რედაქტორობით, თბილისი 2016, 22.

¹⁵ Kavanagh A., The Constitutional Separation of Powers, University of Oxford, 2016, 223.

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641, გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებზე, რაც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენს¹⁷. მოცემული ჩანაწერი არ არის დეკლარაციული ხასიათის და იგი მჭიდრო კავშირშია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან, რომელიც გაცხადებული და განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით. მოცემული პრინციპის დანიშნულებას არ წარმოადგენს ხელისუფლების მხოლოდ ფორმალური დაყოფა სხვადასხვა შტოებად არამედ, მისი მიზანია, აღნიშნულ შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების რეალური და ქმედითი კონსტიტუციურსამართლებრივი მექანიზმების უზრუნველყოფა, რაც გამოხატულია კიდევ კონსტიტუციის შესაბამის თავებში მოცემული რეგულაციებით, რომლებიც განსაზღვრავს ხელისუფლების თითოეული შტოს კომპეტენციას და მის ურთიერთმიმართებას სხვა შტოებთან.¹⁸ აქედან გამომდინარე, „ნებისმიერი რეგულირება, რომელიც ხელისუფლების რომელიმე შტოს კომპეტენციას და საქმიანობას ეხება, უნდა შემოწმდეს არა მხოლოდ ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს კომპეტენციის დამდგენ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპი და ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების კონსტიტუციური მექანიზმი.“¹⁹

1.2. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი

ცივილიზებულმა ქვეყნებმა განიცადეს მრავალსაუკუნოვანი ტრანსფორმაცია და ჩამოყალიბდნენ, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთგული

¹⁷ Mojapelo P., The doctrine of separation of powers (a South African perspective), Magazine Advocate, April 2013, 37.

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 N3/3/601, გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

¹⁹ იხ. იქვე.

სუბიექტები, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი სამართლებრივი კულტურა და იმართებიან კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე. სამართლებრივ სახელმწიფოში უმთავრეს ღირებულებად მიჩნეულია ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლებები. მოცემული პრინციპი წარმოიშვა კაცობრიობის მიერ პიროვნებისათვის, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობისათვის ბრძოლის პროცესში,²⁰ რომელმაც ყველას დაანახა, რომ „სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს სამართლიანი კანონებისა და არა სამართლის ფორმაში „ჩამოსხმული“ უსამართლობის ბატონობას. მხოლოდ სამართლიანმა სამართალმა შეიძლება მოიპოვოს აუცილებელი თანხმობა ღია და თავისუფალი საზოგადოების მხრიდან, რომელშიც არსებობს ყოვლისმომცველი კონსესუსი სამართლიანის, როგორც თავისუფლების განმამტკიცებლისა და დაცვის სამსახურში მყოფის შესახებ“.²¹

შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი სახელმწიფო სამ საკვანძო ელემენტს მოიცავს²²: 1) სახელმწიფო უნდა ემსახურებოდეს ხელისუფლების წყაროს, ანუ ხალხს და არა თავის თავს²³. „სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს დამცველის უპირველესი მოთხოვნა უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა.“²⁴; 2) სახელმწიფო თავს უნდა იზღუდავდეს ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით, ის არ უნდა იტოვებდეს თვითნებობის საშუალებას. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, მოქალაქის პიროვნული თავისუფლების უპირატესობის ვარაუდთან ერთად,

²⁰ კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N 3, 2006, 37

²¹ ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N 7, თბილისი 2013, 35.

²² Leal-Arcas R., Essential Elements of the Rule of Law Concept in the EU, Queen Mary University of London, School of Law Legal Studies Research Paper No. 180, 2014, 2.

²³ Rawls J., The Law of Peoples in Samuel Freeman, ed., Collected Papers (Cambridge: Harvard University Press), 1999, 530.

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601, 24 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე.“

მოითხოვს თითოეულის დაცვას, საჯარო ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ არასაჭირო, ზედმეტი შეზღუდვებისგან²⁵; 3) სახელმწიფო პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს უნდა ასრულებდეს რაციონალური კანონმდებლობის საფუძველზე²⁶.

ზემოთ დასახელებული, სამართლებრივი სახელმწიფოს ბოლო ელემენტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შერჩეული საკვლევი თემის მიზნებისთვის. კანონის რაციონალურობის, გონივრულობის, ლოგიკურობის და სამართლიანობის გარეშე ვერ მივიღებთ ისეთ რეგულაციებს, რომლებიც ერთგულები იქნებიან სამართლებრივი სახელმწიფო მთავარი კონცეფციისა²⁷. ამ შემადგენელების მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამართლის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ რაციონალურ ლოგიკას²⁸. მიზეზები, რისთვისაც კანონები იქმნება მხოლოდ რაციონალიზაციას ემსახურება და გამორიცხული უნდა იყოს ყოველგვარი მავნე, არაწმინდა მინარევებისაგან²⁹. არარაციონალური და ლოგიკურ ახსნას მოკლებული ნორმების განკანონებამ კაცობრიობა უამრავჯერ დააყენა სავალალო შედეგების წინაშე. ამიტომაც არის, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს განუხრელი მოთხოვნაა, მაქსიმალურად გააზრებული და ლოგიკური კანონმდებლობის შემუშავება. კანონმდებლობის ლოგიკურობა კი, განსაკუთრებით მაშინ არის დაცული, როდესაც უზრუნველყოფილია სამართლებრივი სახელმწიფოს კანონზომიერი მოლოდინი, იმის თაობაზე რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთმიმართება სამართლიანად იქნება დაბალანსებული. რაც უფრო მეტად ჩაერევა სახელმწიფო ადამიანის თავისუფლებაში,

²⁵ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური სახელმწიფოს გადაწყვეტილებები, მთარგმნელი ე., ჩაჩანიძე, კ. კუბლაშვილის, თ. ნინიძის, ბ. ლოლაძის, ქ. ერემაძის რედაქტორობით, თბილისი 2011, 323, იხ. ციტ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1964 წლის 7 აპრილის განჩინება, საქმეზე E – 17,306.

²⁶ Tamanaha Z. B. The History and Elements of The Rule of Law, Singapore Journal of Legal Studies, 2012, 233.

²⁷ Epstein Z. D. “Rationality, Legitimacy, & The Law”, Washington University Jurisprudence Review, Volume 7 /Issue 1, 2014, 8.

²⁸ Joyce S., Wilbert E. “Weber's Analysis of Legal Rationalization: A Critique and Constructive Modification, University of Denver, 1987, 68.

²⁹ Patterson E. W., Hans Kelsen and His Pure Theory of Law, “California Law Review“ volume 40, issue 1, 1952,

მით უფრო მაღალი უნდა იყოს მოთხოვნები ჩარევის გამართლებისთვის მისი ლოგიკურობის ახსნისთვის და კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებისთვის.³⁰

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან მიმართებაში, მეტად საინტერესოა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საქმეზე, სადაც განიხილებოდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რიგი ნორმები. მოცემულ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ გაურთულებს საკუთარი ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას, იგი დაარღვევს არა მხოლოდ ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს, არამედ ადამიანის ძირითად უფლებას, საკუთარი უფლებები და თავისუფლებები დაიცვას საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით, რაც წინააღმდეგობაში მოვა სამართლებრივი სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებების პატივისცემის კონსტიტუციურ პრინციპებთანაც.“³¹

1.3. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი (მშვიდობა სამართლიანობის პირისპირ)

იაკობის წერილი - „რამეთუ ნაყოფი სიმართლისა დაეთესვის მშვიდობით მათთვის, რომელნი ჰყოფენ მშვიდობასა“.

სამართლებრივი უსაფრთხოება აღიქმება, როგორც მშვიდობა უკომპრომისო სამართლიანობა კი რევოლუციურიო მახვილი, რომლის მიზანია სამართლიანობის

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792N3/3/601, გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სტატუსკვოს უპირობო დამყარება ყოველგვარი უკუჩვენებების გათვალისწინების გარეშე. ამ ღირებულებითი დაპირისპირების მამტაბურობამ, ასევე გამოხმაურება ჰპოვა ქართულ სინამდვილეში და დაგვიტოვა ხალხური გამოთქმა - „სამართალი უნდა აღსრულდეს თუნდაც ქვა ქვაზე არ დარჩენილაო“. ქართულ ცნობიერებაში დაღეჭილი ეს არჩევანი, ჩვენი აზრით, მიუთითებს ჩვენი ხალხის დამოკიდებულობაზე, თუ სამართლებრივ უსაფრთხოებასა და სამართლიანობას შორის, რომელს ანიჭებენ უპირატესობას. თავიდანვე აღსანიშნავია, რომ ქართული საკანონმდებლო რეგულაციები ამ არჩევანიდან საკმაოდ დაშორებულია.

„თანამედროვე სახელმწიფო, რომელიც არჩევანს სამართლიანობასა და მშვიდობას შორის აკეთებს, ირჩევს მშვიდობას. მშვიდობის გამო სახელმწიფო თავს ანებებს დავას ჭეშმარიტებისთვის და კმაყოფილდება ამქვეყნიური ცხოვრების პრაქტიკული საკითხების მოგვარებით“.³² სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მშვიდობა, სამოქალაქო მდგომარეობა და იმ შესაძლებლობის პირობაა, რომ მოქალაქეები შიშის გარეშე ერთმანეთის პირისპირ სამართლიანობაზე საუბრობდნენ და ლიბერალურ დემოკრატიაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, იმის თაობაზე, რომ რაც შეიძლება სამართლიანად და მშვიდობიანად გადაჭრან პრობლემები.³³ „ყველასთვის ნებადართულია, გააკრიტიკოს კანონი, მოითხოვოს მისი გაუქმება ან იზრუნოს მისი გაუმჯობესებისთვის. ნორმის ადრესატი ვალდებულია გარეგნულად შეასრულოს კანონი და არაა ვალდებული სწამდეს ამ კანონის სამართლიანობის. კანტის ენაზე, სახელმწიფო ითხოვს კანონიერებას და არა მორალურობას. მოქალაქეთა დამოკიდებულება სამართლებრივი სახელმწიფოსადმი დაიყვანება კანონით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებზე. სათნოება არ მიიღება მხედველობაში. ამდენად, სამართლიანობა, როგორც სათნოება, აღარაა განხილვის საგანი. კანონიერებასა და მორალურობას შორის ზღვარის დადებით, დემოკრატიული

³² იზენზეე ი., სამართლიანობა - მარადიული იდეა თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოში, „კონსტიტუციონალიზმი მიღწევები და გამოწვევები“, რედაქტორები, მ., უგრეხელიძე, ზ., ქანთარია, თბილისი 2019, 96.

³³ იხ. იქვე 97.

სამართლებრივი სახელმწიფო შორდება თანამედროვის, წინარე სამართლიანობის სახელმწიფოს, რომლისთვისაც სამართალი და მორალი, ჯერ კიდევ, ერთი იყო. იმ ადგილზე, რომელიც დაკავებული ჰქონდა სამართლიანობას, როგორც მოქალაქეთა სათნოებას, ახლა უკვე ჩნდება ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“.³⁴ სამართლებრივი უსაფრთხოება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი თავისუფლების განხორციელების წინაპირობაა, რომელიც მას თავად ანიჭებს სახელმწიფოებრივ-ეთიკურობის ხარისხს. სამართლებრივი უსაფრთხოება არ წარმოადგენს სამართლიანობასთან უპირობოდ ურთიერთდაპირისპირებულ პრინციპს, არამედ, პირიქით, იგი სამართლიანობის განუყოფელი ნაწილი და მისი სტრუქტურული ელემენტი არის, რომელიც შესაძლოა, თავისთავად მოვიდეს წინააღმდეგობაში მის შინაარსობრივ ელემენტებთან.³⁵ „სამართლებრივი სახელმწიფო მისწრაფვის, განახორციელოს მატერიალური სამართლიანობა, მაგრამ ამავე დროს, სამართლებრივმა სახელმწიფომ უწყის, რომ მისი მცდელობები არასაკმარისი და საკამათოა. წონასწორობისთვის იგი უზრუნველყოფს ძალაუფლებათა შებოჭვას, სამართლებრივი უსაფრთხოებითა და თავისუფლებით. ეს განასხვავებს მას ტოტალიტარული სახელმწიფოსგან. სამართლებრივმა სახელმწიფომ უნდა გააცრუოს რევოლუციური იმედები ცვლილებებსა და რადიკალურ ანგარიშსწორებაზე“.³⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების კუთხით, საინტერესოა, გადაწყვეტილება „ჯანაშვილები“-ს³⁷ საქმეზე. მოცემულ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, ის ნორმები, რომლებიც იძლეოდნენ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ხელახლა გადასინჯვის საშუალებას. მოცემულ შემთხვევაშიც, გადასინჯვის ნორმები „აცოცხლებენ“ კანონიერ ძალაში შესულ სამართლებრივ აქტებს. შესაბამისად,

³⁴ იხ. იქვე, 98.

³⁵ იხ. იქვე, 100.

³⁶ იხ. იქვე, 102.

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი სამართლებრივი პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საქმეზე გაკეთებული განმარტებები საგულისხმო და გასათვალისწინებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხებზე მსჯელობისას. სასამართლომ მიუთითა, რომ მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი მიზანია, ადამიანის უფლებების დაცვა, რაც შესაძლებელია საქმეზე მხოლოდ სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების გზით. მართლმსაჯულების შედეგი სამართლიანობის მიღწევა, აღდგენა, უზრუნველყოფა უნდა იყოს. „ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“³⁸. ამიტომ, სასამართლოს გადაწყვეტილებები სწორედ ამის უზრუნველყოფისკენ უნდა იყოს მიმართული. “ამ მიზნის მიღწევას ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლების არაერთი პროცესუალური გარანტია, უფლებრივი კომპონენტი. მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის, გასაჩივრების, დავის ხელახლა წარმოების უფლება საამისოდ შესაბამისი საფუძვლების, პირობების არსებობის შემთხვევაში“³⁹.

საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე აქცენტი გააკეთა სამართლებრივი უსაფრთხოების საკითხებზე და აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუზღუდავად გასაჩივრების შესაძლებლობა შექმნიდა მოდავე მხარეთა ურთიერთობებში მუდმივ გაურკვევლობას და იმის საშიშროებას, რომ დავა და კონფლიქტი ვერასდროს პოვებდა საბოლოო გადაწყვეტას. როგორც აღვნიშნეთ, საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იმ პრეზუმფციის მატარებელია, რომ საკითხი მხარეთა შორის გადაწყდა სწორად და რომ ისინი ამ საკითხთან, უფლებასთან, სიკეთესთან, ქონებასთან დაკავშირებით შემდგომ სამართლებრივ ურთიერთობებს გააგრძელებენ გადაწყვეტილებით დადგენილი სინამდვილის გათვალისწინებით, მასზე დაყრდნობით ან მისგან გამომდინარე.

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ამიტომ პოტენციური მოპასუხე დაცული უნდა იყოს იმისგან, რომ კვლავ დადგეს ძველი სარჩელის წინაშე, რომელიც ერთხელ უკვე გადაწყდა სასამართლოს მიერ, ამასთან, დაცული იყოს იმისგან, რომ საექვო, სათუო გახდეს მის მიერ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობები. საბოლოო ჯამში, დაუსრულებელი დავის შესაძლებლობა დააფრთხობს პირებს, გაართულებს სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებას. უფლების მუდმივი საექვობის დაშვება მოსპობს თავად უფლების სიცოცხლისუნარიანობას, რადგან ის ვერ იქნება გამოყენებული მომავალი ურთიერთობების დასამყარებლად, უფლებების შესაძენად. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავისუფლად ჩაერთონ ურთიერთობებში, მსგავსი სარჩელებიდან მომდინარე დანაკარგის შიშის გარეშე. ხანდაზმულობის ვადების არარსებობის პირობებში, უფლება უსასრულოდ იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ექვის ქვეშ დადგება. რადგან სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო არის მხოლოდ შესაძლებლობა, ინსტრუმენტი ადამიანის ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად.⁴⁰ „სწორედ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის არდაშვება და უფლებების დაცვის/აღდგენის საკმარისი, ეფექტური გარანტიების, მექანიზმების უზრუნველყოფა არის სამართლებრივი უსაფრთხოების ფუნდამენტი. სახელმწიფოს, რომელიც თავად უნდა იყოს სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტი, არ აქვს ამ სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესის სხვისგან დაკმაყოფილების მოლოდინი, რაც განასხვავებს მას კერძო პირებისგან. მამასადამე, აქ განსხვავებულია დაპირისპირებული ინტერესები და შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს მიდგომაც ამ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის არსებობის შეფასებისთვის. როდესაც ლეგიტიმური საჯარო მიზნებისთვის საფრთხის მიყენების რისკები უმნიშვნელოა ან არ არსებობს, ან/და სამართლებრივი უსაფრთხოების დაცვის მცდელობას თავად შეუძლია გამოიწვიოს ამავე ლეგიტიმური მიზნის უგულებელყოფა, მაშინ უფლებაში ჩარევის საჭიროება გაცილებით ნაკლებია. ამიტომ დაინტერესებულ პირებს ასეთ შემთხვევაში უნდა

⁴⁰ იხ. იქვე.

ჰქონდეთ რეალური შესაძლებლობა, დაიცვან საკუთარი უფლება, მათ შორის, მოითხოვონ სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებული მათი უფლების დამრღვევი სასამართლო გადაწყვეტილების ბათილობა, როდესაც ეს არის უშუალო და აუცილებელი გზა უფლების აღდგენისა თუ კომპენსაციის მიღებისთვის“.⁴¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე საინტერესო აქცენტები გააკეთა „ოლა სუმბათაშვილის და იგორ ხარპოვის საქმეზე“,⁴² სადაც, ასევე სადავოდ იყო გამხდარი სამოქალაქო საპროცესო სამართალში ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო საქმის გადასინიჯვის ხანდაზმულობის ვადა. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული რეგულაცია გამართლებულია სამართალში არსებული უფლებრივი წესრიგით. უფლება, როგორც ფასეულობა არ შეიძლება მუდმივად, განუსაზღვრელად საექსპოზიციის (საცილოზიის) ხასიათს ატარებდეს. თუკი კანონმდებლობა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უსასრულოდ დაუშვებდა უფლების საექსპოზიციის შესაძლებლობას, ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა თვით უფლების იდეასთან და საფუძველს გამოაცლიდა სამართლებრივ წესრიგს. უფლების დაუსრულებლად და ამავდროულად, მხოლოდ ეპიზოდურად, გარკვეული დროის მონაკვეთში, ნამდვილობა არ შეესაბამება უფლების არსს. ამიტომაცაა, რომ სადავო ნორმამ, გარკვეული დროით, 5 წლიანი აღმკვეთი ვადით შემოსაზღვრა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინიჯვის შესაძლებლობა. სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ „სადავო ნორმის გაუქმება მიუღებელი უნდა იყოს მოწესრიგებული და სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის (ურთიერთობის) ინტერესების აზრითაც. სასამართლო გადაწყვეტილების ხანგრძლივად გადასინიჯვის დაშვება საფრთხეს შეუქმნიდა იმ მესამე პირთა ინტერესებს, რომლებმაც უფლება შეიძინეს იმათგან, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ეკუთვნოდათ იგი. საქმის განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოადგენს გამონაკლის შემთხვევას. ამ გამონაკლისის დაშვებით, საფრთხე არ უნდა შეექმნას იმ ზოგად წესს,

⁴¹ იხ. იქვე.

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის N1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „ოლა სუმბათაშვილის და იგორ ხარპოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება არის საბოლოო, რომ იგი საბოლოოდ და შეუქცევადად ადგენს მხარეთა შორის ურთიერთობებს. ვინაიდან უფლების შესახებ დავა ყოველთვის ქმნის ამ უფლების განუსაზღვრელობას... სასამართლო ვალდებულია, წერტილი დაუსვას ასეთ მდგომარეობას და გადაწყვიტოს იგი. ის, რაც იწვევდა კონფლიქტს მხარეებს შორის სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ ითვლება დადგენილად და უდავოდ. დაუშვებელია, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მუდმივად ეჭვქვეშ დაყენება“.⁴³

მოცემულ საქმეებზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი აქცენტი დასვა სამართლებრივი უსაფრთხოების მნიშვნელობაზე და სახელმწიფოს მხრიდან მის უზრუნველყოფაზე. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის აკრძალვის ლეგიტიმურ მიზნად, სწორედ სამართლებრივი უსაფრთხოება სახელდება. „ჯანაშვილები“-ს საქმესა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის საკითხს შორის პარალელის გავლებისას, ასევე, საინტერესოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე-423-ე მუხლები ორივე შემთხვევაში ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას. ეს კი მოცემული საკითხის სამართლებრივ სიმწვავეზე მიუთითებს.

რადგანაც მოცემულ თავში განვიხილავთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებაზე კონსტიტუციის პრინციპების გავლენას სამართლებრივი უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ის სამართლის წესრიგის ფუნქციათა ჯგუფის შემადგენელ ნაწილად განიხილება, რომელიც დროსთან ერთად იცვლება და განიცდის შესაბამის პროგრესს. უსაფრთხოება კი, მის სტაბილურობას გულისხმობს. სამართლებრივი უსაფრთხოება სამართლის სისტემაში სამართლებრივი ნორმების მეშვეობით ხორციელდება და მის მიზანს წარმოადგენს სოციალურ-სამართლებრივი სისტემისა და მართლწესრიგის

⁴³ იხ. იქვე.

უზრუნველყოფა და დაცვა⁴⁴. ესპანეთის სამეფო აკადემიის ესპანური ენის ლექსიკონის მიხედვით, სამართლებრივი უსაფრთხოება განმარტებულია, როგორც მართლწესრიგის მახასიათებელი, რაც გულისხმობს სამართლებრივ ნორმათა სიმყარესა და მისი გამოყენების კანონიერებას⁴⁵. ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სამართლებრივი უსაფრთხოება - ეს არის ერთიანობა ლეგალურობისა და სიზუსტის, უკუძალის დაუშვებლობის, ნორმათა იერარქიისა და გამოქვეყნების“⁴⁶, მაგრამ „იგი არ მოიცავს ისტორიულად ჩამოყალიბებული, არსებული სამართლებრივი რეჟიმის გაურკვეველი ვადით დაცვის საჭიროებას, რაც მართლწესრიგის სტაგნაციას გამოიწვევს“⁴⁷.

„თუ სამართლებრივი ნორმები წინააღმდეგობრივი და გაურკვეველი ხასიათისაა, მაშინ მათი ადრესატი ვერ შეძლებს ამ ნორმებზე საკუთარი მოქმედების ორიენტირებას. გაურკვეველობასთან ერთად, ნდობის დაცვის პრინციპი სამართლებრივი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ელემენტია. აღნიშნული პრინციპი მოქმედი სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის განმტკიცებას ემსახურება. სამართლის მიმართ მოქალაქის ნდობის შერყევას შეიძლება მაშინ ჰქონდეს ადგილი, როდესაც მოულოდნელად სამართლის ძირეული შეცვლა ხორციელდება. ასეთ შემთხვევებში, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ახალ სამართლებრივ ნორმებზე მოახდინოს ორიენტირება. ეს პრობლემა განსაკუთრებით კანონის უკუქმედების დროს ჩნდება“⁴⁸ და უფრო მაღალი პოლიტიკურ სოციალური სიმწვავის ხდება, როდესაც საქმე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს

⁴⁴ ჯანაშვილი ლ., სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2014, 44.

⁴⁵ იხ. იქვე, სქოლიო 11 DRAE – Diccionario de la Lengua Espaniola de la Real Academia Espanola. 22 edicion.

⁴⁶ ჯანაშვილი ლ., სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“ N1, 2014, 50 იხ. სქოლიო 44. STC 46/1990; STC 146/1993.

⁴⁷ იხ. იქვე, სქოლიო 44. STC 227/1988

⁴⁸ იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფოს თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი 2009, 201.

გადაწყვეტილების უკუძალით გავრცელებას სამოქალაქო ან/და ადმინისტრაციულ საქმეებზე.

სამართალი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, იმყოფება მუდმივი განვითარების პროცესში, რაც გულისხმობს კანონმდებლობის ცვალებადობას სოციალური პროცესების შესაბამისად. ჰანს კელზენის აზრით, „ნორმათა შინაარსი მიმართულია ადამიანთა ქცევისაკენ და ვითარდება დროსა და სივრცეში“,⁴⁹ ხოლო „კარგად ორგანიზებული სოციუმი, საზოგადოება ითხოვს სტაბილურობას“⁵⁰, რადგანაც ინტუიციის დონეზე მაინც, ყველა აანალიზებს, რომ მხოლოდ სტაბილური კანონმდებლობა შეიძლება იყოს კანონის მოთხოვნათა დაცვის გარანტი⁵¹. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ „სამართალი უნდა იყოს სტაბილური და ამასთან, ევოლუციური, რადგანაც უსაფრთხოება ასევე მოიცავს ცვალებადი სიტუაციების აღიარებას“⁵². სამართლებრივი უსაფრთხოება პირდაპირპროპორციულად არის დაკავშირებული ძირითადი უფლებების დაცვასთან, რამდენადაც, მოიცავს ისეთ შინაარსობრივ კრიტერიუმებს, როგორებიცაა საყოველთაოდ აღიარებული ადამიანური ღირებულებები (სიცოცხლე, ღირსება, საკუთრება და სხვა ძირითადი უფლებები).⁵³ პროფ. ბ. ზოიძე კი, აღნიშნავს, რომ „ძირითადი უფლებების დაცვა შეუძლებელია, თუკი არ არსებობს უფლებათა საერთო წესრიგი... ნებისმიერი წესრიგი საერთო კონსტიტუციური წესრიგის გამოხატულებას უნდა წარმოადგენდეს და სამართლით აღიარებულ ფასეულობებზე უნდა იყოს აგებული. ასეთი წესრიგი

⁴⁹ ჯანაშვილი ლ., სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“ N1, 2014, 50 იხ. სქოლიო 31. Kelsen H., Compendio de Teoria General del Estado, trad. Luis Recasens y Justino de Azearate, 2.a ed., Bosch, Barcelona 1934, 149.

⁵⁰ იხ. იქვე, სქოლიო 32 Rawls J., justicia como equidad, Tecnos, Madrid, 1986, 103.

⁵¹ Cherneva B. I., Legal Security as a Principle in Lawmaking, Globalization, the State and the Individual, No 2(14)/2017, 27.

⁵² იხ. იქვე, სქოლიო 33 Rovira florez de Quinones M.C., Seguridad y Estado de Derecho, en Anales de la Catedra Francisco Suarez 11-1, 74

⁵³ იხ. იქვე.

საზოგადოების სამართლებრივი უსაფრთხოების აუცილებელი პირობაა⁵⁴. ამ კონტექსტში, ასევე, საინტერესოა, რადბრუხის ფორმულის ჩაშლის შედეგად მიღებული სამი განშტოება, რომელთაგან ორიც - „აუტანლობის ფორმულა“ და „უარყოფის ფორმულა“, პირდაპირ ამბობს, რომ სამართლიანობას (ვაიგივებთ კონსტიტუციურობასთან) უპირატესობა უნდა მიენიჭოს სამართლებრივ უსაფრთხოებასთან მიმართებით.⁵⁵

1.4. განსაზღვრულობის პრინციპი

კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ძირითადი განუყოფელი მახასიათებელი არის კანონის განსაზღვრულობის პრინციპი⁵⁶ და პირის მიერ კანონის მიმართ ლეგიტიმურად არსებული ნდობის დაცვა, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი რეგულაციისა და მათი დებულებების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის აკრძალვას⁵⁷. არსებობს მოსაზრება, რომ „ნორმალურ პირობებში, სამართლებრივ რეგულაციებს უნდა ჰქონდეთ მხოლოდ მომავლისკენ მიმართული (Pro Futuro) სამართლებრივი ძალა და არა - უკუქცევითი ძალა, ვინაიდან კანონის უკუძალით გავრცელებამ, შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს კანონის შინაგანი თანმიმდევრულობა და ზოგადად, მისი ხელმისაწვდომობა, რაც გარდაუვლად გამოიწვევდა იმგვარ სიტუაციებს, როდესაც პირის კანონის შესაბამისი ქმედება, შესაძლოა მომავალში გამოცხადდეს უკანონოდ ან სამართლებრივი შედეგის არმქონედ იმ საფუძველით, რომ სამართლებრივი ნორმა შეიცვალა ან გაუქმდა“.⁵⁸

⁵⁴ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007, 45.

⁵⁵ ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, N 7, თბილისი 2013, 26.

⁵⁶ European commission for democracy through law (Venice Commission), Rule of Law Checklist, („Checklist“)-AD(2016)007, II.B.

⁵⁷ იხ. იქვე („Checklist“)-AD(2016)007, II. ბ. 6.

⁵⁸ European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Georgia Amicus Curiae Brief For The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases, Strasburg, 25 July 2018 Opinion No 923 / 2018 CDL-AD(2018)012.

სამართლის განსაზღვრულობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰორიზონტალურ ურთიერთობებში, კერძო პირებს შორის, სამოქალაქო საქმეებში. იმ შემთხვევაში, თუ პირსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები შეიცვლება, მესამე პირთა უფლებები - რამდენადაც ეს შესაძლებელია, რეტროაქტიურად არ უნდა დაზარალდეს. თუ საერთო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იყო რომელიმე კერძო მხარის სასარგებლოდ, მაგრამ სამართლებრივი ნორმები, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება დაეყრდნო, ძალადაკარგულად გამოცხადდა დამარცხებული მხარის მოთხოვნის შესაბამისად, გამარჯვებული მხარე ახალი გადაწყვეტილების შედეგად დაკარგავდა შექმნილ უფლებებს. ამგვარი მოცემულობის დამატებითი ასპექტი არის თანასწორობის პრინციპი. წარსულში, განსხვავებულმა მოპყრობამ არსებული საქმეების მიმართ კონკრეტული სამართალწარმოების შეუცვლელი გამო, შესაძლოა განაპირობოს იმგვარი ვითარების შექმნა, როდესაც ხდება უთანასწორო მოპყრობა საკმარისი გამართლების გარეშე.⁵⁹

ის ფაქტი, რომ ნორმა, რომელსაც გადაწყვეტილება ეფუძნებოდა არაკონსტიტუციურია, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მხარის წინააღმდეგ. საქმისწარმოების განახლება იმის შესაძლებლობით, რომ დავა გადაწყდეს მეორე მხარის სასარგებლოდ, ზიანს აყენებს სწორედ მოგებული მხარის ინტერესებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საქმისწარმოების განახლება, ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელი უნდა იყოს, არამედ - საქმისწარმოების განახლების პროცესი დამოკიდებული უნდა იყოს არსებულ სისტემაზე. თავდაპირველი გადაწყვეტილებით განსაზღვრული უფლებების მიკუთვნების საკითხი საჭიროებს კონკრეტული საქმის ფარგლებში განხილვას. ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა კი, პოტენციურად, გავლენას მოახდენს საკმაოდ დიდი რაოდენობის საქმეებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სამართლებრივი ძალის სისტემის შერჩევისას საჭიროა ბალანსის პოვნა, ერთი მხრივ, ინდივიდუალური უფლების დაცვის

⁵⁹ იხ. იქვე.

საშუალების არსებობისა და, მეორე მხრივ, სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს შორის⁶⁰.

1.5. თანაზომიერების პრინციპი

თანაზომიერების პრინციპი და მისი მნიშვნელობა აღიარებულია, როგორც თანამედროვე დემოკრატიაში, ასევე, საერთაშორისო სამართალში. იგი ფუძემდებლური პრინციპია. დაპირისპირებულ ინტერესთა შემთხვევაში, სამართლიანი გადაწყვეტილება მათი მნიშვნელობის შედარებისა და დაბალანსების გააზრების შემდეგ მიიღება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „თანამედროვე სახელმწიფოს სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის პრიორიტეტების სწორად და სამართლიანად განსაზღვრა, ხელისუფლებისა და ადამიანის ურთიერთობის გონივრულად დაბალანსებული სისტემის შექმნა. ეს, პირველ რიგში, გამოხატულებას პოვებს ყოველი კონკრეტული უფლების შინაარსისა და ფარგლების ადეკვატურ საკანონმდებლო განსაზღვრაში“.⁶¹ „ვინაიდან ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზეა აგებული, ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომლითაც, როგორც მიზნის მიღწევა იქნება გარანტირებული, ასევე თანაზომიერების პრინციპი იქნება დაცული“.⁶² სწორედ თანაზომიერების პრინციპი ადგენს კანონმდებლისათვის, ძირითადი უფლებების შეზღუდვისას, მატერიალურ მასშტაბებს. თუ ნორმა ამ პრინციპებს არ შეესაბამება, ის დაუშვებს თვითნებობის შესაძლებლობას. ადამიანის თავისუფლების

⁶⁰ European Commission For Democracy Through Law (Vince Commission), Strasburg 26 march 2002, CDL-AD(2002)005-e, Opinion on the Draft Law on the Constitutional Court of the Republic of Azerbaijan adopted by the Commission at its 50th Plenary Session, venice, 8-09.

⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/411 საქმეზე „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო „ფერმერი“ და შპს „ენერჯია“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“.

სფეროში სახელმწიფოს თვითნებობა კი, ავტომატურად ნიშნავს ადამიანის ღირსების, როგორც კონსტიტუციური წესრიგის უმაღლესი პრინციპის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სხვა კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას და ადამიანის ძირითადი უფლების არაკონსტიტუციურ ხელყოფას.⁶³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი/მოცულობა და იმავდროულად, დემოკრატიულობის ხარისხი სწორედ იმის მიხედვით გაიზომება, რამდენად შეძლებს ის შეპირისპირებული ინტერესების სამართლიან დაბალანსებას“.⁶⁴ ამასთან, თანაზომიერების პრინციპი დაუწერელ კონსტიტუციურ პრინციპად ითვლება და მთლიანად, საჯარო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს, რითაც სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ თვითნებურ გადაწყვეტილებას კონსტიტუციურ ზღვარს უწესებს. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპი კონსტიტუციურ-სამართლებრივი რანგისაა, „გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და, შეიძლება ითქვას, თვით ძირითად უფლებათა ზოგადი არსიდან, რომლებიც, როგორც მოქალაქის თავისუფლების მოთხოვნის გამოხატულება, სახელმწიფოს მიმართ შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია და გარდაუვალია საჯარო ინტერესების დასაცავად“.⁶⁵

ზემოაღნიშნული განმარტებების საფუძველზე, თანაზომიერების პრინციპის შინაარსი ყველაზე მოკლედ და მარტივად ასე შეიძლება გადმოვცეთ: ეს პრინციპი სახელმწიფო ხელისუფლების კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზანსა და ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას შორის მიმართებას განსაზღვრავს და გარკვეულ

⁶³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

⁶⁵ შვაბე ი., გერმანიის ფედერალური სახელმწიფოს გადაწყვეტილებები, მთარგმნელი ე., ჩაჩანიძე, კ. კუბლაშვილის, თ. ნინიძის, ბ. ლოლაძის, ქ. ერემაძის რედაქტორობით, თბილისი 2011, 47.

ფარგლებს უწესებს. თავდაპირველად, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ვინაიდან ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი მიზნისა და საშუალების მიმართებაზე აგებული, ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ისეთი საშუალება, რომლითაც, როგორც მიღწევა იქნება გარანტირებული, ასევე თანაზომიერების პრინციპი იქნება დაცული“.⁶⁶ ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“.⁶⁷ 2014 წელს კი, სასამართლომ დააზუსტა, რომ უფლების შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის არა მხოლოდ გამოსაძებ, არამედ ყველაზე ნაკლებად შემზღუდველ, თანაზომიერ საშუალებას. „შეზღუდვა რომ თანაზომიერად და შესაბამისად, კონსტიტუციურად ჩაითვალოს, უპირველეს ყოვლისა უნდა არსებობდეს ლოგიკური კავშირი დასახულ ლეგიტიმურ მიზანსა და გამოყენებულ საშუალებას შორის“.⁶⁸

1.6. კანონის უკუძალის აკრძალვის ზოგადი პრინციპი

ჩვენ მიერ შერჩეულ საკვლევ თემასთან დაკავშირებით, მეტად მნიშვნელოვანია, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადება, რომლის მიხედვითაც „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“. გასაგებია, რომ აქ აქცენტი გაკეთებულია კანონის უკუძალაზე, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თავისი შინაარსით არის ნორმატიული ხასიათის და მისი მოქმედება თითქმის კანონის მოქმედების ეკვივალენტურია. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ საკონსტიტუციო სასამართლოს

⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/411 „შპს „რუსენერგოსერვისი“, შპს „პატარა კახი“, სს „გორგოტა“, გივი აბლაკის ინდივიდუალური საწარმო "ფერმერი" და შპს "ენერგია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“.

⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება N3/1/512 „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁶⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხებზე, უნდა გვახსოვდეს მოცემული პრინციპის არსებობა, რაც წარმოშობს, საჭიროებას სათანადოდ შეფასდეს ამ პრინციპის ფუნქციონირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან მიმართებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ საქმეში მოუწია კონსტიტუციის მოცემული პრინციპის შინაარსის განხილვა. სასამართლომ ძველი პრაქტიკით ეს დებულება საკმაოდ ვიწრო გაგებით განმარტა⁶⁹. მოგვიანებით კი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ახალი განმარტებები გააკეთა და აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი კანონიერების პრინციპი და მისი ერთ-ერთი კომპონენტი - უკუძალის აკრძალვა ვრცელდება, ზოგადად „სამართლებრივი პასუხისმგებლობის“ მიმართ⁷⁰. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოებაში ჯერ არ დამდგარა კერძოსამართლებრივი რეგულაციის, როგორც პასუხისმგებლობის კონსტიტუციურობის საკითხი.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა მოწმობს, რომ გერმანიის ძირითადი კანონით გარანტირებული კანონის უკუძალის აკრძალვა სამართლის ყველა სფეროს ურთიერთობაზე ვრცელდება. ამასთან, სასამართლო კანონის უკუძალის აკრძალვასთან დაკავშირებით, მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან საჯარო და კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს. კანონის უკუძალა დაშვებულია, ძირითადად საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში მხოლოდ მაშინ, თუკი იგი ამსუბუქებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას. მსგავსი სამართლებრივი რეგულაციების წრეს, როგორც წესი წარმოადგენს სისხლის

⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის N1/6/115 განჩინება საქმეზე ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება; „სასამართლო კოლეგია მიუთითებს, რომ კონსტიტუციის ამ დებულებით განისაზღვრება კანონის უკუძალა პასუხისმგებლობის საკითხთან კავშირში, უფრო ზუსტად – სამართალდარღვევასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობასთან მიმართებით“.

⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/428,447,459, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სამართლის⁷¹, ადმინისტრაციული სამართლისა⁷² და საგადასახადო სამართლის კანონმდებლობა.

სამართალში ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება საჯარო და კერძოსამართლებრივი ურთიერთობები. პირველ შემთხვევაში დავის ერთ მხარეს სახელმწიფო დგას, მეორე შემთხვევაში კი, კერძო პირი. მეორე შემთხვევაში სამართლებრივი დავა ორ თანაბარ სიბრტყეში მდგარ სუბიექტს შორის მიმდინარეობს, სახელმწიფო კი, როგორც ობიექტური მხარე, რომლის ვალდებულებაცაა ორივე მხარის ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, ადგენს მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობის წესებს. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო არის არბიტრი, რომელიც ორივე მხარის მიმართ ობიექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი უნდა იყოს. შესაბამისად, საჯაროსამართლებრივი ურთიერთობებისგან განსხვავებით, სადაც ერთ მხარეს მაინც ყოველთვის სახელმწიფო წარმოადგენს, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის უკუძალა განსხვავებულ სამართლებრივ ჭრილში შეიძლება განიხილებოდეს.

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ნორმატიული აქტი ორი ან მეტი თანაბარი მხარისათვის ერთნაირად მოქმედებს და თუკი ერთ მხარეს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს, იმავედროულად, იგი არახელსაყრელ მდგომარეობას ქმნის მეორე მხარისათვის. შესაბამისად, შეუძლებელია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კონკრეტული ნორმატიული აქტი ორივე მხარისთვის თანაბრად დამაკმაყოფილებელი იყოს. ამიტომაც, თუკი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში კანონისთვის და, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის უკუძალის მინიჭება იმ არგუმენტით, რომ იგი უმსუბუქებს მხარეს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ავტომატურად ნიშნავს, რომ აუარესებს და ასუსტებს მეორე მხარის სამართლებრივ პოზიციებს.

⁷¹ BVerfGE 7, 89, (92), BVerfGE 47, 109, 120, (200).

⁷² BVerfG, 2 BvR 1330/95 .

მიგვაჩნია, რომ მოცემულ ქვეთავში დასახელებული პრინციპი არ არის სამოქალაქო ურთიერთობებში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალით გავრცელების შემაფერხებელი კონსტიტუციური ნორმა-პრინციპი. გასაგებია, რომ სამოქალაქო ურთიერთობებში ერთი მხარისთვის სამართლებრივი მდგომარეობის შემსუბუქება წააგავს ზიარჭურჭელის ეფექტს და იწვევს მეორე მხარის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას, მაგრამ დისკუსიის ამ არგუმენტით დამთავრება არ იქნება მართებული. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო არის მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი არბიტრი, რომელიც ემორჩილება კონსტიტუციას და ისე ადგენს თანაბარი მხარეებისთვის თამაშის წესებს, ეს კი ნიშნავს იმას, რომ, თუ ამ წესების შემუშავებისას სახელმწიფომ დაუშვა შეცდომა და მიიღო არაკონსტიტუციური სამოქალაქო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმა, ასევე, სამართლიანი იქნება, რომ არაკონსტიტუციური ნორმით დაზარალებულ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა აღიდგინოს უფლება, რომლის დარღვევა სწორედ სახელმწიფოს ბრალეულობით განხორციელდა. ეს გარემოება კი, მიუთითებს იმაზე, რომ მოცემულ ქვეთავში განხილული პრინციპი ვერ გამოდგება სამოქალაქო ურთიერთობებში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალით მოქმედების შეზღუდვის უპირობო არგუმენტად.

1.7. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალადაკარგულობა გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, „არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“.⁷³ მოცემული კონსტიტუციის რეგულაცია, შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის

⁷³ „საქართველოს კონსტიტუცია“, მუხლი 60, პუნქტი 5, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

ამკრძალავი ნორმა-პრინციპი, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ მსჯელობას არ გააჩნია საკმარისი საფუძვლები.

მოცემულ ქვეთავში დასახელებული ნორმა-პრინციპი უზრუნველყოფს (ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია)⁷⁴ დაუყოვნებლივ, სათანადო წესით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, ძალა დაუკორაგოს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტს. ეს კი, არ მიუთითებს რაიმე შეზღუდვაზე, გადაწყვეტილების დროით სივრცეში მოქმედების შესახებ.

მოცემული ნორმა-პრინციპის მთავარი აქცენტი იმაზეა მიმართული, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდგომ, აღარ არის საჭირო რაიმე დამატებითი პროცედურები ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისთვის და არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის მიმღებს, ამ მიზნით, არაფერი არ ევალება.⁷⁵ ამ ნორმა-პრინციპის გაჩენას კონსტიტუციაში თავისი განმაპირობებელი მიზეზები, ე.წ. „შიშები“⁷⁶ აქვს. „მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის სკივრში“⁷⁷ არსებობს მაგალითები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლას სჭირდებოდა სხვა ორგანოთა თანხმობა, მაგალითად, პოლონეთში;⁷⁸ იყო დრო, როდესაც საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება, რეალურად, იყო სუსპენზიური ხასიათის და მისი დაძლევა შესაბამისი კვორუმის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო

⁷⁴ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მთარგმნელი ლ. თოთლაძე, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი 2009, 61.

⁷⁵ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ N4, თბილისი 2004, 64.

⁷⁶ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მთარგმნელი მ. მაისურაძე, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი 2003, 92.

⁷⁷ იხ. იქვე.

⁷⁸ შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, მთარგმნელი ქ. ალექსიძე, პატრიცია მ., ვალდის წინასიტყვაობით და კ. კულაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2003, 84.

პოლონეთის საკანონმდებლო ორგანოს მიერ.⁷⁹ მაგალითად ყაზახეთში კი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეუძლია გააუქმოს ქვეყნის პრეზიდენტმა.⁸⁰ არანაკლებ საინტერესოა, რომ რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს მარეგულირებელ აქტებში გაჩნდა ჩანაწერი, რომელიც ადგენდა, რომ სათანადო ორგანოები ვალდებული იყვნენ გაეუქმებინათ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები. მოცემულ რეგულაციას მაშინვე მოჰყვა ნეგატიური შეფასება სამეცნიერო წრეების მხრიდან. მაგალითად, კონსტიტუციონალისტებმა, ვიტრუკმა⁸¹ და ლაზარევმა⁸² აღნიშნეს, რომ აღნიშნული ნორმა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 125-ე მუხლის მე-6 პუნქტს, რომლის მიხედვითაც (მსგავსად ჩვენი კონსტიტუციისა) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ შედის ძალაში⁸³.

მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილ ნორმა-პრინციპთან დაკავშირებით, საინტერესოა, სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულირება. მსგავს ნორმა-პრინციპს კონსტიტუციის ან საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს კანონმდებლობის დონეზე ითვალისწინებენ შემდეგი ქვეყნები: ალბანეთი⁸⁴, ანდორა⁸⁵, პოლონეთი⁸⁶,

⁷⁹ Koncewicz T. T. The Court is dead, long live the courts? On judicial review in Poland in 2017 and „judicial space” beyond, Center for Global Constitutionalism, 2017, 85.

⁸⁰ Elster J., The Role of institutional Interest in East European Constitution-making, Explaining Legislative Dominance, East European Constitutional Review, 1996, 63.

⁸¹ Витрук И. В. И., Повышение эффективности действия и исполнения решений Конституционного Суда Российской Федерации. Сборник докладов: Исполнение решений конституционных судов, 2003, 13.

⁸² Лвзарев Л. В., О правовой природе решений Конституционного Суда Российской Федерации в контексте проблемы их исполнения. Сборник докладов: Исполнения решений конституционных судов. М., 2003, 46

⁸³ The Constitution of the Russian Federation“ - <http://www.constitution.ru/en/10003000-01.htm> [14.01.2019].

⁸⁴Constitution of the Republic of Albania

https://www.constituteproject.org/constitution/Albania_2012.pdf?lang=en [14.01.2019].

⁸⁵ Qualified Law on the Constitutional Court of Andora

<http://www.tribunalconstitucional.ad> [14.01.2019]

⁸⁶Constitution of the Republic of Armenia

<http://www.ombuds.am/resources/ombudsman/uploads/files/legislation/0f30a8196c4c214a6e22b03e753d8cde.pdf> [14.01.2019].

ავსტრია⁸⁷, ბოსტნია-ჰერცეგოვინა⁸⁸, ხორვატია⁸⁹, ჩეხეთის რესპუბლიკა⁹⁰, საბერძნეთი⁹¹, უნგრეთი⁹², იტალია⁹³, სამხრეთ კორეის რესპუბლიკა⁹⁴, ლატვია⁹⁵, ლიხტენშტეინი⁹⁶, მონტენეგრო⁹⁷, პერუ⁹⁸, პოლონეთი⁹⁹, პორტუგალია¹⁰⁰, სერბეთი¹⁰¹, სლოვენია¹⁰², თურქეთი¹⁰³. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ქვეყნები ითვალისწინებენ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალადაკარგულად ცნობას გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, მსგავსად საქართველოსი, მათი უმრავლესობა ადგენს შესაბამისი გადაწყვეტილების უკუძალას სისხლის და პასუხსგებაში მიცემის სამართალთან მიმართებით, ხოლო მათი ნაწილი გარკვეული სახით ცნობს სრულ

⁸⁷ The federal Constitutional Law of Austria

- http://constitutionnet.org/sites/default/files/Austria%20_FULLL_%20Constitution.pdf [14.01.2019]

⁸⁸ “Rules of The Constitutional Court of Bosnia and Herzegovina

<http://www.ccbh.ba/osnovni-akti/pravila-suda/uvod/?title=uvod&second=true> [14.01.2019].

⁸⁹ The Constitutional Act on the Constitutional Court of the Republic of Croatia

<https://www.usud.hr/en/constitutional-act> [14.01.2019].

⁹⁰ The Constitution of the Czech Republic

<http://www.psp.cz/en/docs/laws/constitution.html> [14.01.2019].

⁹¹ Constitution of Greece - <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/gr/gr220en.pdf> [14.01.2019].

⁹² Act on the Constitutional Court of Hungary - <https://hunconcourt.hu/act-on-the-cc/> [14.01.2019].

⁹³ Constitution of the Italian Republic - <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/it/it037en.pdf> [14.01.2019].

⁹⁴ constitutional court act south korea

http://english.ccourt.go.kr/cckhome/images/eng/main/constitutional_court_act.pdf [14.01.2019].

⁹⁵ Constitutional Court Law of Latvia - <http://www.satv.tiesa.gov.lv/en/2016/02/04/constitutional-court-law/> [14.01.2019].

⁹⁶ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011.

⁹⁷ Constitution of Montenegro - <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/me/me004en.pdf> [14.01.2019].

⁹⁸ Political Constitution of Peru - <http://www.congreso.gob.pe/eng/constitution/> [14.01.2019].

⁹⁹ Constitution of The Republic of Poland - <https://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm> [14.01.2019].

¹⁰⁰ Constitution of The Portuguese Republic

<https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/pt/pt045en.pdf> [14.01.2019].

¹⁰¹ Constitution of The Republic of Serbia -

<https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/74694/119555/F838981147/SRB74694%20Eng.pdf> [14.01.2019].

¹⁰² Constitution of The Republic of Slovenia

<http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/UNTC/UNPAN014895.pdf> [14.01.2019].

¹⁰³ Constitution of The Republic of Turkey - https://global.tbmm.gov.tr/docs/constitution_en.pdf [14.01.2019].

რეტროაქტიურობას, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებთან მიმართებით.

1.8. შეჯამება

ზემოთ განხილული პრინციპები, ერთმნიშვნელოვნად მიგვითითებენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხის საკანონმდებლო რეგულირებისას განსაკუთრებულად მაღალი სიზუსტით უნდა მოხდეს კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსება, რომლებიც კონცენტრირებულია სხვადასხვა პრინციპში. აღნიშნულის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავრცელება წარსულზე მეტად მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს ააქტიურებს, რომლის არასწორმა დარეგულირებამ, შესაძლებელია თავდაყირა დააყენოს ქვეყანაში არსებული მართლწესრიგი. აუცილებელია, რომ სწორედ გაანალიზდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ტვირთი. აქვე, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ გარემოებებიდან გამომდინარე, არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების ხისტი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც მიმხრობილი იქნება, რომელიმე ინტერესის მხარეს. აუცილებელია, შუალედური საკანონმდებლო რეგულირების შემოღება, რომელიც შეძლებს ყველა ინტერესის დაბალანსებას. ეს კი, შექმნის „ადმიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან განცდას, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“.¹⁰⁴ ეს განცდა კი, ნამდვილად შესუსტებულია, როდესაც ადამიანს არაკონსტიტუციური ნორმის გამო ეზღუდება კონკრეტული უფლება, ადგება ზიანი და არაკონსტიტუციურობის დეკლარირების შემდეგ მას ეუბნებიან, რომ მიუხედავად არაკონსტიტუციურობის ფაქტისა, მაინც ვერაფერს ვერ შეცვლის, უფრო მეტიც, შეცვლის მცდელობის სამართლებრივ საშუალებასაც კი არ აძლევს

¹⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N1/3/534 „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

კანონმდებლობა. სახელმწიფო კი როგორც „სოციალური ხელშეკრულება“¹⁰⁵ ვფიქრობთ ზუსტ საკანონმდებლო გარანტიებს უნდა იძლეოდეს ამ საკითხთან დაკავშირებით. გარანტიებში კი, პირველ რიგში, იგულისხმება განჭვრეტადი და საკანონმდებლო დონეზე გასაგები რეგულაციები. „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორ თეორიულ შესაძლებლობებსაც არ უნდა აჩენდეს ის, არანაირი აზრი არ ექნება, თუ ის კონკრეტული შედეგის მომტანი არ გახდება სათანადო ადრესატებისთვის. ამიტომ, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი გარანტიების, მექანიზმების არსებობას გადაწყვეტილების აღსრულების, შედეგების ხელმისაწვდომობისა და შეუქცევადობის უზრუნველყოფისთვის“.¹⁰⁶

აქვე გვინდა, აღვნიშნოთ, რომ მოცემულ კვლევაში მოყვანილი ფაქტები, სხვადასხვა ქვეყნის მიდგომები და მაგალითები, სწორედ ზემოთ დასახელებული პრინციპების ურთიერთშეპირისპირების კონტექსტში იქნება წარმოდგენილი.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკანონმდებლო ჩარჩო

2.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებული, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები

მოცემული საკითხის სიღრმისეული კვლევისთვის, აუცილებლად მიგვაჩნია იმ ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციების ერთად თავმოყრა, რომელიც არეგულირებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის საკითხებს. აღნიშნული ნორმები მიმოხილულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ისე „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“

¹⁰⁵ გვაზავა გ., ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა, კრებულში: „ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები“, ზ. კორძაძის და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 155.

¹⁰⁶ ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, თბილისი, 2018, 447.

საქართველოს ორგანულ კანონში და, ასევე, სხვადასხვა საპროცესო შინაარსის საკანონმდებლო აქტში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუმაღის საკითხებს საქართველოს კონსტიტუციის ნორმები უშუალოდ არეგულირებენ, მაინც უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით მთავარი წამყვანი ნორმა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლია. ამ მუხლის მიხედვით „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“¹⁰⁷. მოცემული ნორმიდან ნათლად იკვეთება საქართველოს კანონმდებლობის დამოკიდებულება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს მათ საფუძველზე, მათ არაკონსტიტუციურად ცნობამდე, გამოტანილი სასამართლოს განაჩენების და გადაწყვეტილებების ავტომატურ გაუქმებას (საინტერესოა, თუ იწვევს მათ საფუძველზე მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების ან სასამართლოს სხვა აქტების გაუქმებას), იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას და ისიც, შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კონსტიტუციის დონეზე, მოცემული საკითხის რეგულირების კუთხით, ყურადღება უნდა გამახვილოთ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაზე, რომელიც, თავის მხრივ, ზოგადი რეგულაციაა - „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება

¹⁰⁷ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N001, 31/01/1996წ.

უზრუნველყოფილია“¹⁰⁸. ასევე, პირდაპირი რეგულირების კუთხით, საინტერესოა, კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადება, რომლის მიხედვითაც „არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას“¹⁰⁹. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად კონსტიტუციის ცვლილებების მიღებამდე მსგავს რეგულაციას აყალიბებდა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“. შესაძლებელია, მოცემული რეგულაციების შედარებისას ისეთი განცდა გაუჩნდეს გონიერ დამკვირვებელს, რომ ეროვნული კანონმდებლობა იწყებს ნელი ნაბიჯების გადადგმას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური მოქმედებისკენ, მაგრამ ეს განცდა ნამდვილად არასწორი იქნება, რადგან მოცემულ ცვლილებებამდეც, ასევე მოქმედებდა და დღესაც, მოქმედებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი¹¹⁰, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებს საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის რეგულაციას - „არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას“. ამ გარემოებაზე დაყრდნობით, უფრო ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ კანონმდებელმა შესაბამისობაში მოიყვანა მოცემული, იერარქიულად

¹⁰⁸ „საქართველოს კონსტიტუციის“ 31-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N31-33, 24/08/1995

¹⁰⁹ იხ. იქვე, მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

¹¹⁰ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N001, 31/01/1996წ.

დაქვემდებარებული რეგულაციები. გარდა ამისა კითხვაზე, იხრება თუ არა მოცემული რეგულაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური მოქმედებისკენ, სერიოზულ ორაზროვნებას აჩენს ზემოთ დასახელებული ნორმების ბოლოს განთავსებული სიტყვები - „ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას“. გვიანდელ ვადაში, შესაძლებელია ვიგულისხმოთ, როგორც ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობამდე არსებული ვადა, ასევე, არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არსებული დროც, მოცემულ საკითხზე მსჯელობას ცალკე თავს დავუთმობთ. ნაშრომის ამ სტადიაზე აუცილებლად მივიჩნიეთ პირველად კითხვა ამ საკითხზე სწორედ აქ დაგვესვა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებაში არსებული რეგულაცია ეხება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ აქტებს. ის არანაირ მინიშნებას არ იძლევა საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული უფლებამოსილების ფარგლებში არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის რეტროაქტიური შედეგის დაყენებაზე. მითუმეტეს, ამ საკითხზე უფრო ცალსახა დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტს. მიუხედავად ამისა, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლი მიღების დღიდან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული უფლებამოსილებების მიხედვით განსხვავებულად არეგულირებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუმაღის საკითხებს.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით - საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების

შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და საქართველოს პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებთან დაკავშირებული დავისას, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (ადამიანის ძირითადი უფლებები) საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხზე მსჯელობისას, საქართველოს კონსტიტუციის მეცხრე თავის (ადგილობრივი თვითმმართველობა) ფარგლებში ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვისას, საქართველოს კონსტიტუციის სასამართლოს და პროკურატურის თავში არსებული 59-ე-64-ე მუხლებთან დაკავშირებული დავის და ასევე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციური წარდგინების განხილვის შედეგად ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან¹¹¹. ზემოთ დასახელებული, მსგავსი მიდგომა უფლებამოსილებების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების მიმართ გამორიცხავს მისი რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით აღჭურვას.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, გენერალური პროკურორის, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს სარჩელის საფუძველზე წარმოშობილი კომპეტენციური დავის შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს კომპეტენციის დამრღვევი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობას მისი ამოქმედებიდან, რაც ამ

¹¹¹ იხ. იქვე 23-ე მუხლის მეორე პუნქტი.

უფლებამოსილების ფარგლებში ნიშნავს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალით მოქმედების შესაძლებლობას.

პოლიტიკური პარტიის შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებით, გასაგები და მარტივია, რომ, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ინდივიდუალურ აქტთან და, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს მხოლოდ პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციის გაუქმებას. ანალოგიური სიტუაციაა საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტაზე დავისას, რადგანაც აქაც შეფასების საგანი ინდივიდუალური შინაარსის აქტია და შედეგად პარლამენტის შესაბამისი დადგენილების გაუქმებაა, რომლითაც შეწყდა ან ცნობილ იქნა პარლამენტის წევრის უფლებამოსილება. იმპიჩმენტის შემთხვევაში კი, დღის წესრიგში არც კი დგას უკუძალის საკითხი, რადგან ამ უფლებამოსილების განხორციელებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის ფაქტს.

ჩასატარებელი ან ჩატარებული არჩევნებთან დაკავშირებით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის 23-ე მუხლის მე-4, 41-ე პუნქტები ადგენენ სპეციალურ რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც „ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს: ა) არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან; ბ) დანიშნული არჩევნების (რეფერენდუმის) გაუქმებას, თუ არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს; გ) არჩევნების (რეფერენდუმის) დანიშვნის ვალდებულების დაკისრებას, თუ არჩევნების (რეფერენდუმის) არდანიშვნა ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ

აქტს ან მის ნაწილს. ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს: ა) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი და არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას; ბ) ჩატარებული არჩევნების ან რეფერენდუმის შედეგების მთლიანად ან ნაწილობრივ (ცალკეული საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების მიხედვით) ბათილად ცნობას, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილმა ნორმატიულმა აქტმა ან მისმა ნაწილმა არსებითი და გადაწყვეტი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგზე და არაკონსტიტუციური აქტის ან მისი ნაწილის არარსებობის შემთხვევაში იქნებოდა არსებულისაგან განსხვავებული შედეგი“¹¹².

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მეხუთე პუნქტის მიხედვით, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილად ცნობას საქართველოსთან მიმართებით, ხოლო კონსტიტუციური წარდგინების შემთხვევაში მისი რატიფიკაციის დაუშვებლობას.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე არსებული დავისას და საქართველოს კონსტიტუციასთან და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხის განხილვისას მიღებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს გადაწყვეტილების რეტროაქტიურ ეფექტს.

¹¹² იხ. იქვე, 23-ე მუხლის მე-4 მე-4¹ პუნქტები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხებს, ასევე, ეხება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი, რომლის მიხედვითაც „თუ საკონსტიტუციო სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, ხოლო ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან შეუსაბამოდ, ამავე კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი – საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ან საქართველოს კანონებთან შეუსაბამოდ, და თუ არ არსებობს ამ კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. ეს განჩინება ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან“¹¹³. მოცემულ შემთხვევაში, განმწესრიგებელ სხდომაზე, არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განჩინება, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების შესახებ ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდანვე, რაც, თავისთავად გამორიცხავს მის უკუძალით მოქმედების პერსპექტივებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით, თავიდანვე მივუთითეთ დავასახელებით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლზე, რომლის მიხედვითაც „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის

¹¹³ იხ. იქვე, 25-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი.

არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ, ამ ნორმის ბოლო სიტყვებზე, „საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“, რომელიც სხვადასხვა დარგის საპროცესო ნორმებს მიანდობს აღსრულების შეჩერების საკითხს და, ასევე, გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით რეალიზებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით რეალიზებას ემსახურება „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“-ს 310-ე მუხლის (ახლად გამოვლენილი გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველები) „დ“ ნაწილი, რომლის მიხედვითაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეში გამოყენებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, არის ახლად გამოვლენილი გარემოება¹¹⁴ რის საფუძველითაც ხდება საქმის გადასინჯვა და იქმნება შესაძლებლობა, რომ, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას არსებითი გავლენა აქვს მოხდენილი საბოლოო შედეგზე, განაჩენი შეიცვალოს¹¹⁵.

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“-ს 310-ე მუხლის მსგავსი რეგულაციას იცნობს, ასევე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“-ს 423-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტიც ადგენს, რომ „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით“¹¹⁶ და პუნქტობრივად, ამომწურავად ჩამოთვლილია ის საფუძველები, რაც შესაძლებელია გახდეს სამოქალაქო

¹¹⁴ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 310-ე მუხლი „დ“ ნაწილის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N1772, 09/10/2009წ.

¹¹⁵ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 311-ე მუხლი მოცემული საფუძველით განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას კონკრეტული ვადით არ საზღვრავს, ხოლო 312-ე მუხლის პირველი ნაწილი განსჯად სასამართლოდ ადგენს თბილისის ან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს.

¹¹⁶ „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 423-ე მუხლი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი 47-48, 31/12/1997წ.

სამართალწარმოების დროს ახლად აღმოჩენილი გარემოება. ამ ჩამონათვალში არ არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც ახლად გამოვლენილი გარემოება. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი ვერ რეალიზდება. ანალოგიურ მიდგომას იზიარებს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა, რადგანაც „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ პირველი მუხლის მეორე ნაწილის,¹¹⁷ შესაბამისად, ბლანკეტური მითითება კეთდება „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე“ და, შესაბამისად, ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში აქტიურდება 423-ე მუხლი (ასევე, აღნიშნულზე პირდაპირ მიუთითებს „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 34²-ე მუხლი).

საინტერესოა, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ დამოკიდებულება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის რეალიზებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები არ ექცევიან „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ რეგულირების ქვეშ, რადგანაც მოცემული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ნაწილის მიხედვით, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად“¹¹⁸. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ საპროცესო ნაწილი კი, საერთოდ დუმს საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობაზე, რაც გამორიცხავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი

¹¹⁷ „თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი“.

¹¹⁸ „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, მე-6 მუხლის „ბ“ ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N 39(46), 06/08/1999წ.

ძალით რიალიზების შესაძლებლობებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნეგატიურ მოვლენად უნდა შეფასდეს, რადგანაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ზოგიერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა თავისი შინაარსით და სახდელით, უთანაბრდება სისხლის სამართალს მართლმსაჯულების შედეგებს და შესაბამისად უდავოდ უნდა არსებობდეს უფლების აღდგენის მსგავსი შესაძლებლობა. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, როგორც „დასჯის“ სამართალი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის მსგავს რეგულაციას, რათა რეალიზდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი აქცენტს აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, იწვევს მათ საფუძველზე გამოტანილი განაჩენების და გადაწყვეტილებების აღსრულების შეჩერებას. ამ კუთხით, საინტერესოა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს იმ საფუძველებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება. თუმცა, ამ ჩამონათვალში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც აღსრულების შეჩერების საფუძველი მითითებული არ არის. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ მოცემული მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი არსებულ ჩამონათვალს ამომწურავ ხასიათს უკარგავს და ამბობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“.¹¹⁹ ასეთ, სხვა შემთხვევად,

¹¹⁹ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N13(20), 01/05/1999წ.

კი უდავოდ უნდა ვიგულისხმოთ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის მე-20 მუხლი. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველ პუნქტში აღსრულების შეჩერების უფლება მიწოდებული რომ არ ყოფილიყო სასამართლოზე, ეს იქნებოდა იმის ნიშანი, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოცემული მუხლის „ვ“ ქვეპუნქტს ვერ გამოიყენებდა. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, უნდა შეფასდეს მოცემული ნორმა თამაშობდა თუ არა არსებით როლს კონკრეტული საქმის გადაწყვეტაში და რომ არა ეს ნორმა, სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა თუ არა მიღებული. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო მოკლებული იქნებოდა შესაძლებლობას შეეფასებინა მითითებული გარემოებები. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი იძლევა შესაძლებლობას, რომ აღსრულების სტადიაზე შეჩერდეს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე გამოცემული გადაწყვეტილება, როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სამართალწარმოების ფარგლებში (ამ საკითხზე, ვრცლად ქვემოთ მოცემულ თავებში ვისაუბრებთ).

ზემოთ დასახელებული ნორმები წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების მარეგლამენტირებელ ძირითად საკანონმდებლო ბაზას. შესაბამისად, სწორედ მოცემული ნორმების ანალიზი იქნება ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი.

2.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების განვითარების პროცესი

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით საკვანძო რეგულაციას აღგენს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, რომელიც მასში განხორციელებული ცვლილებების

მიუხედავად, დღემდე ინარჩუნებს სტაბილურობის მაღალ ხარისხს. 2002 წლის 12 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილებამდე,¹²⁰ მოცემული მუხლი შედგებოდა ორი პუნქტისგან, რომელთაგან პირველი პუნქტი ეხებოდა საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების საკითხს, ხოლო მეორე პუნქტი ზუსტად იმეორებდა დღეს არსებულ რეგულაციას, შესაბამისად 2002 წლის 12 თებერვლის საკანონმდებლო ცვლილება, ამ კუთხით, იყო ტექნიკური ხასიათის და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით, რაიმე ახალი მიდგომა არ შემოუტანია კანონმდებლობაში.

ზემოთ მოცემულის საპირისპიროდ უამრავი ცვლილება განიცადა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლმა, რომელიც არეგულირებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებას სხვადასხვა უფლებამოსილებების შემთხვევაში. ეს ცვლილებები ძირითადად განპირობებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებების არსენალის ცვალებადობით.

ცვლილებების კუთხით გამოირჩევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული რეფორმა. 2009 წლის კოდექსამდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც ახლად გამოვლენილ გარემოებას, არეგულირებდა 1998 წლის კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნტი, რომლის მიხედვითაც, ახლად გამოვლენილ გარემოებას მიეკუთვნებოდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული კანონი“¹²¹. 2009 წლის

¹²⁰ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შესახებ, მუხლი 14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საპარლამენტო უწყებანი №1264 - სსმ I, №4, 05.03.2002 წ.

¹²¹ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 593-ე მუხლის მე-3 ნაწილი, პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/03/1998წ.

კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, „განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ - არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი“¹²². მოცემული ცვლილებით, ფაქტობრივად, საკანონმდებლო დონეზე შეიზღუდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის/აღსრულების ეფექტი, რადგანაც ახალ რედაქციაში ყურადღება გამახვილდა მხოლოდ განაჩენზე, მაშინ როდესაც, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას, შესაძლებელია, გამოცემული იყოს სხვა მნიშვნელოვანი განჩინებები, გარდა ამისა კოდექსის 1998 წლის რედაქცია ყურადღებას ამახვილებს განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებულ კანონზე, ხოლო 2009 წლის კოდექსმა ეს შეზღუდვა დაიყვანა სისხლის სამართლის კანონამდე, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვა მარტო იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სისხლის სამართლის კოდექსის მატერიალური ნორმა (მოცემულ საკითხს ფართოდ განვიხილავთ შემდგომ თავებში).

საინტერესოა, სამართლებრივ სივრცეში რა სახის საკანონმდებლო ცვლილებები განიხილებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით. განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმების ფარგლებში, მაინცდამაინც, პირდაპირ არ განიხილებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების ეფექტის გაზრდა, მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამეცნიერო წრეები და სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციები აქტიურად მიუთითებდნენ, ამ კუთხით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაეფექტურობაზე¹²³. სამაგიეროდ,

¹²² „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 310-ე მუხლი „დ“ ნაწილის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N1772, 09/10/2009წ.

¹²³ ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი 2011., 247.

მენაბდე ვ., კონკრეტული კონტროლის პარადიგმები კონსტიტუციონალიზმში, ჟურნალი „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, თბილისი 2010, 126.

საკვანძო რეფორმების დროს აქტიურად განიხილებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმით აღჭურვა. ეს ტენდენცია ისე ვითარდებოდა, რომ „რეალური“¹²⁴ საკონსტიტუციო კონტროლი განიხილებოდა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების სამართლებრივი ძალის გაზრდის საშუალება და პირდაპირი უკუძალის ალტერნატივაც (მოცემულ საკითხს ფართოდ განვიხილავთ შემდგომ თავებში).

3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების მოდელები

მოცემულ თავში განვიხილავთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების მოდელებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე (Ex Tunc, Ex nunc, Pro futuro). განვიხილავთ იმ ქვეყნების გამოცდილებას, რომლებსაც თავის კანონმდებლობაში და პრაქტიკაში დანერგილი აქვს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების კონკრეტული მოდელი. მოცემულ თავში განხილული ქვეყნები წარმოდგენილი იქნება კონკრეტული მოდელების მიხედვით.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ამ თავში განხილული მაგალითები ძირითადად მიემართება სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს. ამის მიზეზი კი ის

ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007, 187. შარაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელების განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივები, ჟურნალი „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, თბილისი, 2010, 210.

Strasbourg, 9 February 2005, Opinion 320/2004, CDL-AD(2005)003 Or. Engl., European Commission for Democracy Through Law, Joint Opinion on a Proposal for a Constitutional Law on Changes and Amendments to the Constitution of Georgia, the Venice Commission and OSCE/ODIHR, endorsed by the Commission at its 61st Plenary Session (Venice, 3-4 December 2004) on the basis of comments by P. van Dijk, J. Hamilton, G. Batliner, D. Hadziomerovic, Transfer of Functions from Constitutional Court to Supreme Court.

Apostoly v Georgia [ECTHR], App No. 40765/02, 28 Novemba 2006.

¹²⁴ „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის ცნებაში მოვიაზრებთ საერთო სასამართლოების ან სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის განხილვას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

გახლავთ, რომ სწორედ ამ კატეგორიის საქმეებზეა ყველაზე რთული, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროითი ძალის სწორი შერჩევა.

3.1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ეფექტი

3.1.1. ცნების შესახებ

ცნებებთან დაკავშირებული მსჯელობისას, თავშივე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთმანეთისგან განასხვავებენ სამ მიდგომას დროსთან დაკავშირებით. ანალიტიკური თეორია, რომელიც აღწერს მოვლენათა დროს, განასხვავებს წარსულ-აწმყო-მომავალ დროით სივრცეებს, რომლებსაც, ასევე, მოიხსენიებენ Ex Tunc, Ex Nunc და Pro Futuro ეფექტებით.¹²⁵

რა არის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ეფექტი? ამ ტერმინის ერთ-ერთ კლასიკური განმარტება შემდეგნაირად გამოიყურება: „სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს Ex Tunc ეფექტი, როდესაც იგი სამართლებრივ შედეგს აბამს იმ ფაქტებს, რომლებიც გადაწყვეტილების გამოტანამდე არსებობდა“.¹²⁶ ასევე, საინტერესოა, ჯურანტოვიჩისეული განმარტება, რომელიც აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ძალით აღჭურვის შემთხვევაში, „სასამართლო გადაწყვეტილება გამოიყენება წარსულ მოვლენაზე ისე, თითქოს იგი კანონის სახით მოქმედებდა იმ დროს, როდესაც ეს მოვლენა მოხდა“.¹²⁷

როდესაც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო არაკონსტიტუციურ ნორმას Ex Tunc სამართლებრივი ძალით აცხადებს ანუ აღიარებულად, ისეთი სამართლებრივი ეფექტი იქმნება თითქოს ეს ნორმა არც არსადროს არსებულა. კონკრეტული ნორმის Ex Tunc სამართლებრივი ძალით

¹²⁵ Winston G.C., three problems with the treatment of time in economics: perspectives, repetitiveness and time units, Cambridge University press, 1988, 32.

¹²⁶ Popelier P., Verstraelen S., Vanheule D., Vanlerberghe B., The Effect of Judicial Decisions in Time: Comparative Notes, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 27.

¹²⁷ Juratowitch B., The Temporal Effect of Judgments in the United Kingdom, ”The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 161.

არაკონსტიტუციურად ცნობას, რეტროაქტიური ეფექტი აქვს იმ თარიღამდე, სანამ ეს ნორმა შევიდა ძალაში და სამართლებრივ შედეგებს დააყენებდა კონკრეტული სუბიექტების მიმართ.¹²⁸ ამ ეფექტის წყალობით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღიდან, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა აღარ გამოიყენება იმ ფაქტებთან მიმართებით, რომლებიც აღმოცენდა გადაწყვეტილების გამოტანამდე.¹²⁹

Ex Tunc სამართლებრივი ძალის სინონიმად გამოიყენება „რეტროაქტიური ეფექტი“. სამეცნიერო ლიტერატურაში, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების გადაწყვეტილებების ეფექტის აღსანიშნავად, დაგვეხმარება ტერმინი „რეტროსპექტული ეფექტი“ (რაც, ჩვენთვის საკმაოდ უცნაურია და ასევე სიახლე). ამ უკანასკნელი ტერმინის შემოსვლა გარკვეულ ბუნდოვანებას წარმოშობს სათანადო მნიშვნელობისა და განმარტების შემცველი ტერმინის დამკვიდრებაში,¹³⁰ რადგან ნიუანსირებული განსხვავებები სწორედ მნიშვნელობაში ვლინდება. ამ ტერმინებში სიცხადე შემოაქვს კანადის უზენაეს სასამართლოს, რომლის განმარტების მიხედვით, „რეტროაქტიური კანონი/ეფექტი არის ის, რომელიც მოქმედებს იმ დროიდან, სანამ ძალაში შევა. რეტროსპექტული სტატუტი/ეფექტი არის ის, რომელიც მოქმედებს მხოლოდ მომავალში. რეტროაქტიურობა მომავალია, მაგრამ აწესებს ახალ შედეგებს წარსული მოვლენებისთვისაც“.¹³¹ რეტროაქტიურობის ეს განმარტება, გამოიყურება, როგორც თავსატეხი, რადგან კანონები და სასამართლო გადაწყვეტილებები თავისი არსით მხოლოდ მომავლისკენაა მიმართული, რადგან სასამართლოები შეიარაღებულები არ არიან დროის მანქანით. სასამართლოებს შეუძლიათ მხოლოდ ჩაერიონ წარსულ მოვლენებში მათთვის (იმ წარსული მოვლენების, რომელიც

¹²⁸ Gribnau H., Pauwels M.R.T., Retroactivity of Tax Legislation, EATLP, 2010, 37.

¹²⁹ Blackstone w., Commentaries on the laws of England, A Miller 1796, volum I, Section III, 70.

¹³⁰ Bobbett C.S. Retroactive or Retrospective? A Note on Terminology, British Tax Review, 2006, .

¹³¹ Benner v. Canada (secretary of State), 1997, 1 SCR 358.

გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოიშვა) ახალი შედეგების დაყენების კუთხით, მაგრამ ისინი წარსულს ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლიან.¹³²

ასევე, შეიმჩნევა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც ზემოთ დასახელებული ორივე ტერმინი („რეტროაქტიური“ „რეტროსპექტული“), ხშირად სინონიმურ ჭრილშიც გამოიყენება. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ვერ ვიტყვით, რომ „რეტროსპექტული“ არის ბრიტანული ტერმინი, მაშინ, როდესაც „რეტროაქტიური“ არის ჩრდილოეთ ამერიკული. ასევე, ვერც იმას ვიტყვით, რომ „რეტროსპექტული“ არის ძველი, ხოლო „რეტროაქტიური“ თანამედროვე.¹³³ თუმცა, ჩვენ უპირატესობას მაინც რეტროაქტიურობას ვანიჭებთ, რადგან ქართულ აღქმაში უკუძალის აღმნიშვნელად უფრო მეტად ეს ტერმინი გამოიყენება რეტროსპექტიულობა კი, საერთოდ მის ანტონიმად აღიქმება.

ტერმინების კუთხით, ასევე საინტერესოა, ნამდვილი (echte) და არანამდვილი (unechte) უკუძალა. პირველთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ახალი კანონი ვრცელდება წარსულში წარმოშობილ და წარსულშივე დასრულებულ ურთიერთობებზე. მეორესთან კი, მაშინ, როდესაც ახალი კანონი ეხება, როგორც წარსულიდან აწმყოში განგრძობად ურთიერთობებს, ისე ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ წარმოშობილ ურთიერთობებს.¹³⁴ პროფ. ბ. ზოიძე აღნიშნავს, რომ „ნორმალური გაგებით, კანონის მოქმედება შეეხება ამჟამინდელ და სამომავლო ურთიერთობებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ იმათ, რომლებიც უკვე არსებობენ და იმათ, რომლებიც პირველად წარმოიშობიან. როცა ვამბობთ, რომ კანონს არ აქვს უკუძალა, იგულისხმება, სწორედ ნამდვილი უკუძალა. არანამდვილი უკუძალა, ფაქტობრივად, არც არის უკუძალა თავისი კლასიკური გაგებით“.¹³⁵ პროფესორი ბ. ლოლაძე ამ საკითხთან

¹³² Munzer S.R., Retroactive Law, “Journal of legal studies”, 1977, 388.

¹³³ Juratowitch B., The Temporal Effect of Judgments in the United Kingdom, “The Effects of Judicial Decisions in Time”, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 163.

¹³⁴ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 69. მითითებულია: Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar von Hans D. Jarass und Bodo Pieroth, 5. Auflage, München, 2000, S. 487.

¹³⁵ იხ. იქვე გვ. 69.

დაკავშირებით მიუთითებს, რომ ნამდვილი უკუძალის შემთხვევაშიც არსებობს მისი დაშვების გამონაკლისები. ასევე მიუთითებს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ნამდვილი უკუძალის მიმართ გადამეტებულად მკაცრია, ხოლო გადაჭარბებულად ლოიალური არანამდვილი უკუძალისადმი“.¹³⁶

ზემოთ განვითარებული მსჯელობის, შესაბამისად უნდა ითქვას, რომ მოცემულ კვლევაში, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წარსულში რეალიზების აღმნიშვნელ ტერმინებად გამოვიყენებთ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა: „Ex Tunc“, „რეტროაქტიური“, „ნამდვილი უკუძალა“.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის რეტროაქტიური (Ex Tunc) სამართლებრივი ძალა, განსაკუთრებული სიძლიერით გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა გერმანია, ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია, ანდორა, ირლანდია, ესტონეთი. თავშივე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ Ex Tunc სამართლებრივ ძალას შედარებით ცოტა ქვეყანა იყენებს, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების სხვა მოდელებს, თუმცა, განვითარებული დისკუსიების შედეგად, სულ უფრო მიდიან იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია, ამ ეფექტის საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმებში გარკვეული დოზით დანერგვა.

3.1.2. საერთაშორისო გამოცდილება

3.1.2.1. პორტუგალიის რესპუბლიკა

პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში, საინტერესოა, ის ფაქტი, რომ მას შეუძლია საერთო იურისდიქციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება კონსტიტუციასთან მიმართებით და ამ საფუძვლით მათი გაუქმება, რის შემდეგაც საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სასამართლოს, რაც კონკრეტულ ინდივიდუალურ საქმეზე აყენებს Ex Tunc

¹³⁶ ლოლაძე ბ., უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლების სფეროში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, თბილისი 2017, 124.

სამართლებრივ ეფექტს, თუმცა აქ საინტერესო ის არის, რომ პორტუგალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ხელშია ერთგვარი დისკრეცია, რომ მის გადაწყვეტილებას მინიჭოს Erga omnes ეფექტი, რომლის დროსაც ნორმის შეფასება ხელახლა, ახალი პროცედურების გავლით ხდება. პორტუგალიის შემთხვევაში, გადაწყვეტილებისთვის Ex Tunc სამართლებრივი ძალის მინიჭება აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებშიც ხორციელდება. კერძოდ, მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს ომბუდსმენი ან ხელისუფლების, რომელიმე შტოს უფლებამოსილი სუბიექტი.¹³⁷ სწორედ ამიტომ, პორტუგალიაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი, ძირითადად განიხილება აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების კრილში, რომლის ფარგლებშიც ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებს, საკონსტიტუციო სარჩელის სუბიექტობით განპიროვნებულ პირებს აქვთ. პორტუგალიის კონსტიტუციის 282-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნორმის არაკონსტიტუციურობასთან ან არალეგალურობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ეფექტი მოქმედებს იწყებს იმ დროიდან, როდესაც არაკონსტიტუციურად ან არალეგალურად ცნობილი ნორმა ძალაში შევიდა.¹³⁸ რაც ნიშნავს იმას, რომ მსგავსი აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას და მის გაუქმებას უნდა მოჰყვეს მისი არაკონსტიტუციურობით გამოწვეული შედეგების აღდგენა.¹³⁹ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ დასახელებული პორტუგალიის კონსტიტუციის 282-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ასევე, პირდაპირ განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, თუ როდის შეიძლება რეტროაქტიურობიდან გადახვევა. მოცემული მუხლიდან ირკვევა, რომ „კანონის განჭვრეტადობის ინტერესებიდან გამომდინარე ან თანასწორობის, ანდა

¹³⁷ კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტი, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N9, თბილისი 2017, 44.

¹³⁸ Constitution of The Portuguese Republic, Article 282.1

<https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/pt/pt045en.pdf> [14.05.2019].

¹³⁹ European Commission For Democracy Through LaW (Vince Commission), Bucharest, 8-10 June 1994, CD1-STD(1994)010, The role of the constitutional court in the consolidation of the rule of law, 10.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე (რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში უნდა იყოს დასაბუთებული), საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, თავად განსაზღვროს მისი გადაწყვეტილების ეფექტი დროში, რომელიც უფრო შეზღუდული იქნება, ვიდრე ამავე მუხლში მითითებული დროები“.¹⁴⁰ პორტუგალიის კონსტიტუციის 282-ე მუხლი, ასევე ადგენს რომ, როდესაც საქმე ეხება სასჯელს ან დისციპლინალურ საკითხებს ან მარეგულირებელი ბრძანების ქვეშ მიღებულ არალეგალურ აქტს, ან ნორმას, რომელმაც არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა პირი ასეთ შემთხვევაში რეტროაქტიური ეფექტის გავრცელება უპირობოა.¹⁴¹

3.1.2.2. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ავსტრიისა და მსგავსი საკონსტიტუციო სისტემის უმეტესობისგან განსხვავებით, გერმანია ერთ-ერთია სპეციალიზირებული მოდელის საკონსტიტუციო კონტროლის ქვეყნებიდან (ბელგია, ესტონეთი, პორტუგალია და ესპანეთი), რომელშიც გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ შესაძლოა Ex Nunc სამართლებრივ ძალასთან ერთად გამოყენებული იყოს Ex Tunc ეფექტიც.

გერმანიის საკონსტიტუციო კონტროლის ფედერალური სისტემა, ერთმანეთისგან განასხვავებს ნორმის ანულირებას (არარად აღიარებას)¹⁴² და მის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ გამოცხადებას, რომლის მსგავსი მექანიზმი, ასევე, მოქმედებს ესპანეთშიც.¹⁴³ სადავო ნორმის ანულირება პირდაპირ მიუთითებს გადაწყვეტილების რეტროაქტიურ სამართლებრივ ძალაზე, მაშინ როდესაც კონსტიტუციასთან შეუსაბამობის გამოცხადების შემთხვევაში სასამართლოს აქვს

¹⁴⁰ იხ. იქვე, მუხლი 282.4 - <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/pt/pt045en.pdf> [14.07.2019]

¹⁴¹ კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტი, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N9, თბილისი 2017, 45.

¹⁴² ბათილობის შემთხვევის ერთ-ერთი "მაგალითია" ძირითადი კანონის ისეთი დარღვევა, როდესაც კანონმდებელს არა აქვს კონკრეტული კანონის მიღების კომპეტენცია.

¹⁴³ იხ. იქვე, 46.

დისკრეცია, გადაწყვეტოს მისი გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა დროში, ანუ შეზღუდოს რეტროაქტიურობა და მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში, ნორმის გაუქმება მომავალს დაუკავშიროს. როგორც სასამართლოს პრაქტიკიდან ირკვევა, უმეტეს შემთხვევაში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, სწორედ აღნიშნულ დისკრეციას მიმართავს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე საგადასახადო სამართალს ეხება და გადაწყვეტილება მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის ფინანსებთან.¹⁴⁴ ეს განსხვავება, ნორმის ანულირებასა და მის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ გამოცხადებას, შორის პრაქტიკაში წარმოიშვა და ერთგვაროვანი პრაქტიკით გაამყარა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ. აღსანიშნავია, რომ არც გერმანიის კონსტიტუცია და არც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ სპეციალური აქტი 1970 წლამდე არ შეიცავდა აქტის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ გამოცხადების სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, თავად აქტმა, გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს მიანიჭა ფართო შეფასების ზღვარი ასეთი გამოცხადების შედეგებთან დაკავშირებით. ესპანეთი მიჰყვება გერმანიის მაგალითს. ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოც ერთმანეთისგან ანსხვავებს ანულირებასა და შეუთავსებლად ცნობას.¹⁴⁵

ნორმის ანულირების სამართლებრივი საფუძველი წარმოდგენილია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 78-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც: „თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ ფედერალური კანონი შეუთავსებელია ძირითად კანონთან ან მიწის კანონი არ შეესაბამება ძირითად კანონს ან ფედერალურ კანონს, მსგავსი კანონი გამოცხადდება ბათილად“.

ჯერ სასამართლოს პრაქტიკაში, ხოლო შემდეგ უკვე საკანონმდებლო დონეზე, ამ დოქტრინის დანერგვის მიზეზი იყო ის, რომ ძირითადი კანონის მიღებისას, 1949

¹⁴⁴ იხ. იქვე, 47, მითითებულია: Verstraelen S., The Temporal Limitation of Judicial Decisions: The Need for Flexibility Versus the Quest for Uniformity, German Law Journal Vol. 14 No. 09, 2013.

¹⁴⁵ იხ. იქვე, 1696

წელს განისაზღვრა, რომ კონსტიტუციურ წესრიგს კანონმდებელი უნდა ეიძულებინა, რომ მიეღო ძლიერი კანონები და არა სუსტი კანონები, რომლებიც ნაკარნახევი არ იქნებოდა პოლიტიკური კომპრომისების შედეგად. სამთავრობო კოალიციებს კი, არ შეეძლო მიეღო საკმარისად განჭვრეტადი კანონები. ხშირად კი, სუსტი კანონების ხარისხი ფორმალური კონსტიტუციურობის მიღმა რჩებოდა. ასეთი არაკონსტიტუციურობა კი, მოითხოვდა მკაცრ ანულირებას, რაც პირველ რიგში მიმართული იყო, როგორც ყურადღების გამახვილება კონსტიტუციის უზენაესობაზე.¹⁴⁶

3.1.2.3. ბელგიის სამეფო

ბელგიაში მოქმედებს რეტროაქტიურობის აბსოლუტური მექანიზმი, რაც საშუალებას იძლევა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხოს არა მხოლოდ მიმდინარე და აღუსრულებელ, არამედ უკვე დასრულებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებსაც კი (ბუნებრივია, სისხლის სამართლის საქმეებსაც). ასევე, აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, შესაძლებელია ადმინისტრაციული ან სასამართლო საჩივარი აღიძრას იმ აქტებისა და რეგულაციების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების წინააღმდეგაც, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არარად აღიარებული ნორმის საფუძველზე იქნა მიღებული.¹⁴⁷ მიუხედავად ბელგიაში არსებული ასეთი მაღალი აბსოლუტური Ex Tunc სამართლებრივი ძალის არსებობისა, კონკრეტული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს მათი და მათ საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების ქვეყნის სამართლებრივი ველიდან ავტომატურ გაქრობას, არამედ საჭიროა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმდევი

¹⁴⁶ Drinoczi T., scheider P., The Legitimation of a Re-Enactment of Former Law and Temporal Effects of Judgments in a Constitutional Democracy, comparative study in the light of recent jurisprudence of croatian constitutional court, 2015, 35.

¹⁴⁷ “The Special Act on the Constitutional Court” of Belgium - Article 18 - <https://www.const-court.be/en/common/home.html> [15.07.2019].

მოქმედებები და სპეციალური წარმოებები, არაკონსტიტუციური ნორმის შედეგების აღმოსაფხვრელად.

აღსანიშნავია, რომ არსებობს ორი გზა რათა პროცესების წამოწყება ინიცირდეს ბელგიის სამეფო საკონსტიტუციო სასამართლოში. ეს შეიძლება იყოს სპეციალური სუბიექტის საკონსტიტუციო სარჩელი ან საერთო იურისდიქციის წინასწარი კითხვები. პირველი საშუალება, შესაძლოა წამოიწყოს მინისტრთა საბჭომ, რეგიონებისა და ცენტრის მთავრობამ, ყველა საკანონმდებლო ასამბლეის პრეზიდენტმა მათი წევრების ორმა მესამედმა ან ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა. მეორე შემთხვევაში, პროცესები შეიძლება დაიწყოს საკონსტიტუციო სასამართლოში წინასწარი კითხვის საშუალებით. როცა კონკრეტულ საქმეზე საერთო იურისდიქციის მოსამართლის წინაშე წარმოიშვება კითხვები საკანონმდებლო ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, მოსამართლეს შეუძლია ეს კითხვა საკონსტიტუციო სასამართლოში წარადგინოს. წინასწარი კითხვები შეიძლება წარმოიშვას აქტის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, მიუხედავად მათი გამოქვეყნების ან ძალაში შესვლის თარიღისა. მიუხედავად იმისა, რომ კითხვები სპეციალურ საქმეზე წარმოიშობა, სასამართლო მიმართავს აბსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლს.¹⁴⁸

სრული სურათის დასანახად, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბელგიის საკონსტიტუციო იუსტიციის კანონმდებლობა, ასევე ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის Ex Nunc Pro Futuro სამართლებრივი ძალის მინიჭებასაც,¹⁴⁹ თუმცა სასამართლო ამ უკანასკნელ ორ სახეს

¹⁴⁸ Verstraelen S., *The Interplay of Temporal Effects of Judicial Decisions within the Belgian Legal Order, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum)* Cambridge 2014, 38.

¹⁴⁹ ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალური აქტის მე-8 მუხლის მეორე პარაგრაფი ამბობს: “სადაც სასამართლო ჩათვლის აუცილებლად, მან, ზოგადი დადგენილების საშუალებით, დააზუსტოს გაუქმებული დებულების რომელი ეფექტების შენარჩუნება უნდა იყოს გათვალისწინებული, ან დროების შენარჩუნება იმ პერიოდის მანძილზე რომელიც სასამართლომ დაადგინა”.

ნაკლებად იყენებს.¹⁵⁰ მაგალითად,¹⁵¹ ანულირების 317 შემთხვევიდან, სასამართლომ რეტროაქტიურობის ეფექტის შეზღუდვის კომპეტენცია 78 შემთხვევაში გამოიყენა. მიუხედავად დიდი მოცულობისა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს კომპეტენცია, რომ შეიზღუდოს, რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი ფართოდ არ იქნება გამოიყენებული. 317 ანულირებიდან, სასამართლომ რეტროაქტიური ეფექტი 78-ზე შეზღუდა. ამ 78 გადაწყვეტილებიდან 42-ში სასამართლომ შეინარჩუნა ანულირებული კანონის ეფექტები გარკვეული დროის მანძილზე, რაც გარანტირებულად აძლევს დროს კანონმდებელს, რომ შეცვალოს არაკონსტიტუციური ნორმა.¹⁵²

საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ახასიათებს სიცხადის ნაკლებობა და არათანმიმდევრულობა. გადაწყვეტილებაში მოცემული მწირი მსჯელობა Ex Tunc სამართლებრივი ძალის შეზღუდვის გასამართლებლად, რთულად აღსაქმელია მხარეებისთვის და მკვლევარებისთვის. ბელგიის სამეფო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან, ნათლად არ ჩანს რის საფუძველზე აწესებს სასამართლო ასეთ შეზღუდვას. ბელგიის სამეფო საკონსტიტუციო სასამართლოს მთელი პრეცედენტული სამართლის ფარგლებში, დაახლოებით 50 განსხვავებული მიზეზი ჩამოყალიბდა არაკონსტიტუციურ აქტთან მიმართებით Ex Tunc სამართლებრივი ძალის შეზღუდვის გასამართლებლად.¹⁵³ სასამართლო, ხშირად მიმართავს სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპს, ასევე კანონმდებლობაში შავი ხვრელის თავიდან არიდების ვალდებულებას, საკანონმდებლო ორგანოს რიაგირებისთვის დროის აუცილებლობას და

¹⁵⁰ Verstraelen S., *The Temporal Limitation of Judicial Decisions: The Need for Flexibility Versus the Quest for Uniformity*, *German Law Journal* Vol. 14 No. 09, 2013, 185.

¹⁵¹ კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტი, *ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“*, N9, თბილისი 2017, 47.

¹⁵² Verstraelen S., *The Interplay of Temporal Effects of Judicial Decisions within the Belgian Legal Order*, „*The Effects of Judicial Decisions in Time*“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 40.

¹⁵³ CCKB 9 July 1992 No 56/92; CCKB 15 March 2012 No 45/2012; CCKB 14 September 2005 No 137/2006; CCKB21 March 2007 No 49/2007; CCKB 22 March 2011 No 33/2011.

ადმინისტრაციული, ასევე ფინანსური შესაძლო პრობლემების თავიდან აცილებას. მეორე მხრივ, ხშირად შეზღუდვის ძალიან სპეციფიკური მიზეზებია მოცემული მაგალითად, ნორმის უჩვეულო ხასიათი ან რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის შესაძლო შედეგები არჩევნებზე.¹⁵⁴

როდესაც ქვეყნის კანონმდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალის ზოგად წესად დროსთან მიმართებაში, ირჩევს Ex Tunc სამართლებრივ ეფექტს, ის პრიორიტეტს ანიჭებს კანონიერების პრინციპს. ამის მაგალითი სწორედ, რომ ბელგიაა, რადგანაც 1983 წელს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოს შექმნისას, Ex Tunc-ზე არჩევანის შეჩერება, ლოგიკურად გამოიყურებოდა, მიუხედავად თანმდევი საყურადღებო გართულებებისა კანონიერი ნდობის კუთხით.¹⁵⁵ არაკონსტიტუციურობა მიიჩნეოდა ბოროტებად, რომელიც კანონს, ძალაში შესვლისთანავე, ჩირქს სცხებდა და შესაბამისად ჩირქმოცხული იყო ყველა სამართლებრივი პროცესი, რომელიც მის საფუძველზე წარიმართა.¹⁵⁶ ბელგიელი მეცნიერების თანახმად, რეტროაქტიურობა განხილული იყო, როგორც "საკუთარი თავიდან გამომდინარე" ფუნქცია. ბელგიურ კანონმდებლობაში, ეფექტებს Ex Nunc და Pro Futuro არ განიხილავდნენ, როგორც ზოგად წესს. მიუხედავად იმისა, რომ შედარება მოხდა ავსტრიასთან, Ex Nunc ზოგადი ეფექტის არსებობის შესაძლებლობა სწრაფადვე გამოირიცხა, რადგან ეს მეთოდი ძალიან ჰგავდა გაუქმების ინსტრუმენტს, რომელიც განიხილებოდა, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლების ექსკლუზიური კომპეტენცია.¹⁵⁷

¹⁵⁴ Verstraelen S., *The Interplay of Temporal Effects of Judicial Decisions within the Belgian Legal Order*, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 41.

¹⁵⁵ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), *Georgia Amicus Curiae Brief for The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases*, Strasbourg, 25 June 2018 Opinion No. 923 / 2018 CDL-AD(2018)012, 11.

¹⁵⁶ Verstraelen S., *The Interplay of Temporal Effects of Judicial Decisions within the Belgian Legal Order*, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 38.

¹⁵⁷ იხ. იქვე, 11.

3.1.2.4. სლოვაკეთის რესპუბლიკა

Ex Tunc სამართლებრივი ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით საინტერესოა სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე SVK-2007-2-002. გადაწყვეტილების მიღების დროისთვის სლოვაკეთში არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანია სადაზღვევო ანაზღაურებას გადადების (მაგალითად, წამლებისთვის), შემთხვევაში ვალდებული იყო აენაზღაურებინა შეყოვნებისთვის ჯარიმა. 2003 წლის პირველ ივნისამდე, ამ ჯარიმის ოდენობა დადგენილი იყო თითოეული დღისთვის ძირი თანხის 0.1%-ით. 2003 წლის პირველ ივნისს შესული ცვლილებებით, თითოეულ დღეზე ჯარიმის მოცულობა 0.1%-დან შემცირდა 0.01%-იმდე. ეს ცვლილება სადავო გახდა სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოში, 2004 წლის 15 ივლისს. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოთ მოცემული გადადებისთვის ანაზღაურების ოდენობის შემცირება კონსტიტუციას არღვევდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ, საერთო სასამართლოების დონეზე, ბევრი პროცესი წარიმართა, სადაც მოსარჩელები ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანიებისგან ითხოვდნენ შეფერხებისთვის ჯარიმის ანაზღაურებას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.1%-ის ოდენობით. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოსარჩელები მოითხოვდნენ ჯარიმაზე დარიცხული პროცენტის ანაზღაურებას იყო 2003 წლის პირველი ივნისიდან (ცვლილების მიღების თარიღი) 2004 წლის 15 ივლისამდე (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თარიღი). მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით 0.01%-იანი ჯარიმის გაუქმებით აღდგა 0.1% ჯარიმა. თუმცა, საერთო იურისდიქციის სასამართლოები 2003 წლის პირველი ივნისიდან 2004 წლის 15 ივლისამდე პერიოდში წყვეტდნენ ჯარიმის ოდენობას 0.01%-ის ოდენობით თითოეულ დღეზე. 2004 წლის 15 ივლისის შემდგომ, მათ დაადგინეს ოდენობა 0.1% თითოეულ დღეზე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის

აბსტრაქტული განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და Ex Nunc მოქმედი ნორმების აღდგენის საფუძველზე.

მოსარჩელებმა საერთო იურისდიქციის სასამართლოების ამ გადაწყვეტილებების თაობაზე შეიტანეს საკონსტიტუციო სარჩელი იმის მტკიცებით, რომ დაირღვა მათი საკუთრებისა და სასამართლო დაცვის უფლებები.

საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთმა სენატმა, თავდაპირველად უარი განაცხადა მათ პრეტენზიაზე, როგორც აშკარად დაუსაბუთებელზე და იგი დაეთანხმა საერთო სასამართლოების განმარტებას. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა გამოსცა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გადაწყვიტა, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოებს არ უნდა გამოეყენებინათ ძალადაკარგული ნორმა 2003 წლის 1 ივნისის შემდგომი პერიოდისათვის. ამის ნაცვლად, მას უნდა გამოეყენებინა აღდგენილი ნორმა, რომლის მიხედვითაც შეფერხების ჯარიმა 0.1% განაკვეთს შეადგენდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა დემოკრატიული სახელმწიფოს ზოგად პრინციპზე, რომელსაც მართავს კანონის უზენაესობა, რომელიც შეიცავს კონსტიტუციურობისა და სამართლის განჭვრეტადობის პრინციპებს, რაც, ცხადად არის ასახული საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში.

სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციურობის პრინციპი გამოიხატება გადაწყვეტილების მიღებისას იმ ნორმათა საფუძველზე, რომელიც კონსტიტუციასთან შესაბამისია. კონსტიტუციურობის პრინციპთან შესაბამისობაში ყოფნისთვის, პირველადი სამართლებრივი ნორმის აღდგენა უნდა განიმარტოს რეტროსპექტულად Ex Tunc და არა Ex Nunc მომავალში წარსამართ საქმეებზე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლოებმა გადაწყვეტილება გამოიტანეს იმ რეგულაციის მიხედვით, რომელიც უკვე ძალადაკარგული იყო. შესაბამისად, მან დაარღვია მოსარჩელის სასამართლო დაცვის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ მიდგომით, ფაქტობრივად, თავდაყირა

დააყენა რეგიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მას უკან დაუბრუნა საქმე ხელახლა განსახილველად.¹⁵⁸

3.1.2.5. ირლანდიის რესპუბლიკა

ირლანდიის უზენაესმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია გადასახადი, რომლითაც იბეგრებოდა ცოლ-ქმარი მერფების ქონება. სადავო გახდა, უნდა დაბრუნებოდათ თუ არა გადასახადის გადამხდელებს ის თანხები, რაც მათ გადაიხადეს შესაბამისი ნორმატიული აქტის ამოქმედების დღიდან მის არაკონსტიტუციურად ცნობამდე. ამ საკითხის განხილვისას, სასამართლოს ხუთი მსაჯულის აზრი გაიყო. ნაწილი თვლიდა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე აკრეფილი გადასახადი კანონიერი იყო და დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა. უნდა ანაზღაურებულიყო მხოლოდ ის თანხა, რომელიც გადასახადის გადამხდელებმა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გადაიხადეს. მოსამართლეთა მეორე ნაწილი კი თვლიდა, რომ უკან უნდა დაბრუნებულიყო ყველა გადასახადი, რომელიც გადახდილ იქნა საკანონმდებლო აქტის მოქმედების მთელ პერიოდში. ასევე, გამოჩნდა მოსამართლეთა მესამე პოზიცია, რომლის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელებს უნდა დაბრუნებოდათ ის ზედმეტი თანხები, რომლებიც გადაიხადეს პროცესის აღძვრის შემდეგ, ამ პოზიციის მიხედვით სახელმწიფო პროცესის აღძვრამდე ამ გადასახადს „კეთილი რწმენით“ კრეფდა და მოქმედებდა კონსტიტუციურობის პრეზუმფციის ფარგლებში, ასევე, საგადასახადო წელიწადში გადასახადიდან შემოსული თანხიდან გამომდინარე, გეგმავდა თავის სახაზინო საგადასახადო პოლიტიკას და პროგრამას. საბოლოოდ, სწორედ ამ მესამე პოზიციამ იმარჯვა.

3.1.2.6. უნგრეთი

უნგრეთის მკაცრი Ex Nunc მიმდევრობის მიუხედავად, მისი საკონსტიტუციო სასამართლო და კანონმდებლობა მცირე დოზით მაინც იცნობს გადაწყვეტილებებზე

¹⁵⁸ Decisions of the Constitutional Court of the Slovak Republic SVK-2007-2-002.

Ex Tunc სამართლებრივი ძალის გავრცელებას. ერთი შემთხვევა, რომელიც უნდა განვიხილოთ, წააგავს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო იუსტიციაში დამკვიდრებული გადაწყვეტილების ანულირების და არაკონსტიტუციურად გამოცხადების მიდგომას.

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ანულირებული (არარა) კანონი არის არარსებული კანონი. არარსებულ კანონს კი, არ შესწევს ძალა, რომ რაიმე სამართლებრივი შედეგი დააყენოს და, შესაბამისად, არ ითვლება კანონად მისი გამოცემიდან, მისი ვალიდურობა პრეზუმირების დონეზეც კი უარყოფილია. ანულირების ეფექტი ვრცელდება იმ კანონზე, რომელიც მიღებულია იმ ორგანოს მიერ, ვისაც არ აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილება, მსგავსი აქტის მიღების თაობაზე, ან ნორმატიული აქტები, რომლებიც სათანადოდ არ გამოქვეყნდა საჯაროდ. მსგავს საქმეებში საკონსტიტუციო სასამართლო ანულირებას ახდენს რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით გამოქვეყნების თარიღიდან.¹⁵⁹ სასამართლომ ასევე ანულირება მოახდინა, Ex Tunc ეფექტით მისი მიღების თარიღიდან, ნორმები, რომლებიც ავტორიზაციის გარეშე გამოიცა.¹⁶⁰

Ex Tunc სამართლებრივი ძალის კუთხით, საინტერესოა უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის გადაწყვეტილება. 2011 წელს ახალი კანონმდებლობის მიხედვით მოსამართლეთა პენსიაში გასვლის წესები შეიცვალა. საპენსიო ასაკი შემცირდა გარდამავალი რეჟიმის გაუთვალისწინებლად. აღნიშნულის შედეგად, 74 მოსამართლის თანამდებობიდან 20 ხდებოდა ვაკანტური 2012 წლის ივნისის ბოლოს. 2012 წლის ზაფხულის ახალმა რეგულაციამ გავლენა იქონია 274 მოსამართლეზე. 228 მოსამართლეს შეუწყდა უფლებამოსილება, ხოლო 46-ს უნდა შეწყდომოდა უფლებამოსილება 2012 წლის ბოლომდე. ამ მოსამართლეებმა საკონსტიტუციო სარჩელი შეიტანეს სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმა და საგამონაკლისოდ მისცა თავის

¹⁵⁹ Decision 155/2008 of the constitutional court.

¹⁶⁰ Drinóczi T., Temporal Effects of Decisions of the Hungarian Constitutional Court, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 93.

გადაწყვეტილებას რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი - სადავო ნორმის მიღების დღიდან გააუქმა გასაჩივრებული ნორმა. თუმცა, კანონის თანახმად, Ex Tunc არაკონსტიტუციურად ცნობამ არ იქონია გავლენა იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელიც შეიქმნა არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე.¹⁶¹ გადაწყვეტილებამ ზეგავლენა იქონია მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებიც საერთო იურისდიქციის სასამართლოებში წავიდა. აქედან გამომდინარე მოცემული ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადებას არ მოჰყვა კონკრეტული საქმეების სრული რეალიზება. არ განხორციელდა იმ მოსამართლეთა უფლებამოსილებაში ავტომატური აღდგენა, ვისი პენსიაში გასვლაც ეფუძნებოდა არაკონსტიტუციურ ნორმას და შესაბამისი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები არ გასაჩივრეს საერთო იურისდიქციის სასამართლოებში.

მოცემულ საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არაკონსტიტუციურობის ზოგადი წესიდან (Ex Nunc) გადახვევა გამართლებულია, როგორც პროცედურების წამომწყები მხარის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერესით, ასევე სამართლებრივი სიმტკიცის ინტერესით. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ფუნდამენტურ კანონთან კონფლიქტში მყოფი სასამართლო აქტის დებულება რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით.¹⁶²

სასამართლომ, ასევე, აღნიშნა, რომ უკუძალის სამართლებრივი ეფექტი მნიშვნელოვანი და გამართლებულია, როცა სამართლიანობის პრინციპი და იმ პირების უკიდურესი ინტერესი ასე მოითხოვს. საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მიუხედავად გადაწყვეტილების უკუძალის ეფექტისა, მათი გადაწყვეტილება არ ახდენს იმ მოსამართლეთა სამსახურებრივი ურთიერთობის ავტომატურ აღდგენას, რომლებიც სამსახურიდან სამართლებრივი აქტის საფუძველზე გათავისუფლდნენ. მათი შემდგომი სამართლებრივი მდგომარეობა, შესაძლოა გადაწყდეს სამართლებრივი აქტის წესების მიხედვით. მარტივად რომ

¹⁶¹ იხ. იქვე, 87.

¹⁶² იხ. იქვე, 101.

ვთქვით, მიუხედავად იმისა, რომ კანონი არაკონსტიტუციურად, რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით იქნა ცნობილი, მას გავლენა არ აქვს რესპუბლიკის პრეზიდენტის გადაწყვეტილებების ვალიდურობაზე, რომლის საშუალებითაც მან განსაზღვრული მოსამართლეები გაათავისუფლა სამსახურიდან. ყოფილმა მოსამართლეებმა უნდა დაიწყონ პროცედურები სამოხელეო დავის ფარგლებში, თუ მათ უნდათ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეალიზება.¹⁶³

3.1.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ეფექტის შერბილების ფორმები

მსოფლიო პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად შესაძლებელია გამოვყოთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ძალის შერბილების ორი ძირითადი ფორმა. ერთი გულისხმობს რეტროაქტიურობის ეფექტის შეზღუდვას კანონმდებლობით გაწერილი დროითი საზღვრებით, ხოლო მეორე გულისხმობს კონკრეტულ საქმეზე სასამართლოს დისკრეციას, გამოიყენოს ან, პირიქით, არ გამოიყენოს Ex Tunc სამართლებრივი ეფექტი.

3.1.3.1. შერბილება დროითი მონაკვეთით

პრაქტიკულ და სამეცნიერო წრეებში ყველა თანხმდება იმ აზრზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის აბსოლუტური რეტროაქტიურობის მინიჭება რიგ მატერიალურ და ფორმალურ-სამართლებრივ პრობლემებს წამოჭრის. ამ პრობლემებში, პირველ რიგში, მოიაზრება ის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვისას (საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მეოთხე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება) მოსარჩელე არ არის შებოჭილი კონკრეტული ვადებით, რაც საშუალებას აძლევს მოდავე მხარეს, რომ კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში „გააღვიძოს“ ისეთი დავა,

¹⁶³ იხ. იქვე, 102.

რომელიც რამოდენიმე ათეული წლის წინ დამთავრდა საერთო სასამართლოებში და აბსოლუტური რეტროაქტიურობის პირობებში, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის დამტკიცების შემთხვევაში შეძლოს დიდი ხნის წინ დამთავრებული და დამდგარი სამართლებრივი შედეგების გაცოცხლება.

მატერიალურსამართლებრივი კუთხით კი, აღსანიშნავია ის, რომ დროითი ეფექტით გაფერმკრთალებული საქმეების გაცოცხლება უარყოფით ზეგავლენას მოახდენს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე, თუკი პირს ეცოდინება, რომ განუსაზღვრელი ვადის ფარგლებში, შესაძლოა მისი დასრულებული სამართლებრივი დავა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაისინჯოს, შესაბამისად იგი ფრთხილი იქნება ყოველგვარი გარიგების დადებისას. მას არ შეეძლება ბოლომდე განკარგოს ის ქონება, რომელიც საერთო სასამართლოებმა დავის შედეგად მას მიეკუთვნა.

უფლების დროითი ფარგლებით შემოფარგვლას, გარკვეული საზღვრების დიფერენცირებით, სამართლის ყველა სისტემა აღიარებს. სამართლებრივი დავა, სამართლებრივი ურთიერთობა არ შეიძლება უწყვეტი ხასიათის იყოს. ამაზე, ასევე, მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის განსაზღვრული ვადები რომ არ არსებობდეს, „დავა და კონფლიქტი საბოლოოდ ვერასდროს ვერ ჰპოვებს გადაწყვეტას და შედეგად „პროცესის უკვდავებას“ მივიღებთ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის დროს. სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ პირის კონსტიტუციური უფლებაა, რომ მან სასამართლოს მეშვეობით დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები და ეს დროში არ უნდა იყოს შეზღუდული. სადავო ნორმის გაუქმების შემთხვევაში უფლება უსასრულოდ იქნება გაურკვეველ მდგომარეობაში და მისი არა მარტო დაცვა, არამედ არსებობაც ეჭვის ქვეშ დადგება“.¹⁶⁴

¹⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის N1/3/161 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ზემოთ განვითარებული მსჯელობა გვიჩვენებს, რომ, თუ გადაწყვეტთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ძალით აღჭურვას აუცილებელი იქნება, სხვა საპირწონე სიკეთეების დასაცავად, მისი დროითი მასშტაბით შემოფარგვლა, რაც გულისხმობს იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე ან საკონსტიტუციო სასამართლოში შესაბამისი სარჩელის შეტანამდე ხუთი წლის განმავლობაში მიღებულ სამოქალაქო/ადმინისტრაციულ საქმეებზეა შესაძლებელი რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის გავრცელება.

სხვადასხვა ქვეყნაში, სადაც ფუნქციონირებს სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლი, ეს მიდგომა უკვე დანერგულია. მაგალითად, ამ კუთხით, საინტერესოა სომხეთის კანონმდებლობა, რომლის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული და სასამართლო აქტები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამდე სამი წლის განმავლობაში იქნა მიღებული და აღსრულებული არაკონსტიტუციური ნორმების საფუძველზე, უნდა გადაისინჯოს იმ ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მიერ, რომლებმაც მიიღეს ამგვარი აქტები კანონით განსაზღვრული წესით.“¹⁶⁵ ეს ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს უკუძალა საერთო სასამართლოს და ადმინისტრაციული ორგანოების ყველა გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე სამი წლით ადრე. პრაქტიკულად, ეს სისტემა შეიძლება შეფასდეს, როგორც ზომიერი Ex Tunc სისტემა. აქვე აღსანიშნავია, რომ „ვენეციის კომისიამ“ სომხეთის კანონმდებლობაში ამ ცვლილების განხორციელებისას, თავის მოსაზრებაში მიუთითა, რომ „ფიქსირებული სამწლიანი

¹⁶⁵ The Law of The Republick of Armenia on The Constitutional Court”, Articl 68.14 - http://www.concourt.am/english/law_cc/index.htm [14.05.2019წ.]

ვადის ნაცვლად, სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავად დაადგინოს ამგვარი პერიოდი“.¹⁶⁶

ასევე, სომხეთის მსგავს მიდგომას ანიჭებს უპირატესობას სერბეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 61-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ „ყველა, ვისი უფლებაც დაირღვა საბოლოო ან იურიდიულად მავალდებულებელი ინდივიდუალური აქტის მიღებით, რომელიც იმ კანონის ან სხვა ზოგადი აქტის საფუძველზეა მიღებული, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კონსტიტუციასთან, ზოგადად აღიარებულ საერთაშორისო სამართლის წესებთან, რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ან კანონთან შეუსაბამობაშია, უფლებამოსილია კომპეტენტური უწყებისგან მოითხოვოს ამ ინდივიდუალური აქტის რევიზია. რევიზიის თაობაზე შეთავაზებები, შესაძლოა წარდგენილ იქნეს გადაწყვეტილების სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების თარიღიდან 6 თვის ვადაში თუ 2 წელზე მეტი არ არის გასული ინდივიდუალური აქტის მიღებასა და შეთავაზების ან ინიციატივის პროცედურის ინიცირების შესახებ წარდგენას შორის“.¹⁶⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის რეგულირების ორიგინალურობით გამოირჩევა მაკედონია, რომლის საკონსტიტუციო სასამართლოს საპროცედურო წესების შესახებ კანონის მე-80 მუხლი ადგენს, რომ „რეგულაციის ან სხვა საზოგადო აქტის, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა, საფუძველზე გამოცემული სამართლებრივად მავალდებულებელი ძალის მქონე ინდივიდუალური აქტების აღსრულება, იმპლემენტაცია არ დაიშვება და თუ უკვე აღსრულებულია გაუქმდება“. ამავე კანონის 81-ე მუხლი კი, მიუთითებს, რომ „ნებისმიერი პირი, ვისი უფლებაც დაირღვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმებული კანონის, რეგულაციის ან სხვა საზოგადო აქტის

¹⁶⁶ European Commission For Democracy Through LaW (Vince Commission), Strasbourg, 22 jun 2006, CDL-AD(2006)017 Opinion on Amendments to The Law on The Constitutional Court of Armenia

¹⁶⁷ Law on the Constitutional Court of Serbia, Art. 61 - <http://ustavni.sud.rs/page/view/en-GB/237-100030/law-on-the-constitutional-court> [15.08.2019].

საფუძველზე მიღებული საბოლოო ან სამართლებრივად მავალდებულებელი ძალის მქონე ინდივიდუალური აქტით, უფლებამოსილია, გადაწყვეტილების მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების თარიღიდან ექვსი თვის ვადაში მოსთხოვოს კომპეტენტურ ორგანოს, რომ ამ უკანასკნელმა გამოიხმოს მოცემული ინდივიდუალური აქტი“.¹⁶⁸ მოცემულ ნორმებში ჩადებული შინაარსიდან კარგად ჩანს, როგორი დაუნდობელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი ინდივიდუალური შინაარსის აქტების მიმართ. მართალია, ამ ნორმებში სასამართლო ხელისუფლება ნახსენები არ არის, მაგრამ, რადგანაც სასამართლოს გადაწყვეტილება, ასევე, ინდივიდუალურია თავისი შინაარსით, რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი, ასევე უნდა ვრცელდებოდეს სასამართლო აქტებზეც.

3.1.2.2. შერბილება დისკრეციით

ერთი შესაძლებლობა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ძალის შერბილების არის, ის რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეძლევა საშუალება, გადაწყვიტოს, როდიდან შევა ძალაში თავისივე მიღებული გადაწყვეტილება (წარსულში ან მომავალში გარკვეულ დროს, ან ორივე). აღნიშნული მიდგომა განიხილება ერთგვარ გამოსავლად, რათა თავიდან აიცილონ მოსალოდნელი იურიდიული ქაოსი და დააბალანსონ შეპირისპირებული ღირებულებები.¹⁶⁹ ეს შესაძლებლობა შეიძლება, განვიხილოთ, როგორც ინტერპრეტაციის ტექნიკისთვის მიმართვა, რაც ასევე ერთმანეთთან აახლოვებს კონსტიტუციის ადეკვატურ დაცვასა და სამართლებრივ წესრიგთან კავშირს, რადგან აღნიშნული არ იწვევს სამართლებრივი წესრიგიდან ყველა ნორმის დაუყოვნებლივ გაქრობას. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში სასამართლომ ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შეუსაბამობის საფუძველით გაუქმებისას,

¹⁶⁸ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 94.

¹⁶⁹ Popelier P., Verstraelen S., Vanheule D., Vanlerberghe B., The Effect of Judicial Decisions in Time: Comparative Notes, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 7.

შესაძლოა მიიღოს დადგენილება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეტროსპექტური სამართლებრივი ძალის მოცულობასთან დაკავშირებით.¹⁷⁰

სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე, გავრცელებულია Ex Tunc სამართლებრივი ძალის გამოყენების საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოსთვის ფართო დისკრეციით მინიჭება მაგალითად, ბოსნია-ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ წესების 63-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლომ, გადაწყვეტილებაში, უნდა დაარეგულიროს გადაწყვეტილების იურიდიული ეფექტი (Ex Tunc, Ex Nunc)“.¹⁷¹ ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ 32-ე მუხლის მე-3 პუნქტი ასევე ადგენს, რომ „ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა (აქტი), რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ შეესაბამება მასზე მაღალი იერარქიის მქონე სამართლებრივ ნორმას, ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს“.¹⁷²

ამ კუთხით, ასევე საინტერესოა, ანდორას საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მიდგომა, რომლის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კვალიფიციური კანონის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „კანონის ან რეგულაციის მთლიანად ან ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის ანდორას ოფიციალურ გაზეთში მისი გამოქვეყნების დღიდან. სასარგებლო რექტოაქტიური გამოყენების შემთხვევებში, ამ კანონით ან რეგულაციით მის ანულისებამდე გამოწვეული ეფექტები შენარჩუნებულია სანამ ახალი კანონი და რეგულაცია არ შეიქმნება, რომელიც დაარეგულირებს მანამდე არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას“.¹⁷³ ეს ნორმა ქმნის შთაბეჭდილებას, რომლის

¹⁷⁰ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011.

¹⁷¹ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 94.

¹⁷²Constitutional Court Law of Latvia, Art.32.3

<http://www.satv.tiesa.gov.lv/en/2016/02/04/constitutional-court-law/> [18.05.2019].

¹⁷³Qualified Law on the Constitutional Court of Andora, Art. 58.2

მიხედვითაც კონკრეტული გადაწყვეტილებისთვის უკუმაღლის მინიჭება სასამართლოს ხელშია, მაგრამ უკუმაღლის ეფექტის აღსრულება საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაა, რომელიც ამ საკითხს ნორმატიული რეგულაციებით განსაზღვრავს. ეს წესი გამოირჩევა თავისი ორიგინალურობით, მაგრამ საკითხავი ისაა, თუ რამდენად ეფექტურია რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის ნორმატიული აქტებით დარეგულირება. ეს კითხვა ლეგიტიმურია იმდენად, რამდენადაც რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის რიალიზება ინდივიდუალურ დონეზე ხორციელდება, რაც მოითხოვს ყველა კონკრეტული საქმის გადასინჯვას ინდივიდუალურად. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურობა ერთგვარი „შეწყალების“ აქტი უფრო არის, ვიდრე „ამნისტიის“.

იტალიის კონსტიტუცია ზოგადად უთითებს, რომ როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს კანონის არაკონსტიტუციურობას, კანონი წყვეტს ძალაში ყოფნას გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომდევნო დღეს.¹⁷⁴ ამის მიუხედავად იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს განსაზღვრული აქვს შემთხვევები, როდესაც ის თავისი დისკრეციის ფარგლებში ანიჭებს Pro Futuro ან Ex Tunc ეფექტებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.¹⁷⁵ გარდა ამისა, ასევე საინტერესოა, რომ იტალიაში ხშირად გამოიყენება ე.წ. „გამაფრთხილებელი გადაწყვეტილება“, რომლითაც, სასამართლო ატყობინებს კანონმდებელს, რომ ამ უკანასკნელმა უნდა შეცვალოს რომელიმე რეგულაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული ანუღირება და მისი უარყოფითი შედეგები.¹⁷⁶

ამ ქვეთავის ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი როდესაც კანონმდებელი გააზრებულად უარს ამბობს სასამართლოსთვის Ex Tunc

www.legislationline.org/download/action/download/id/6934/ [18.05.2019].

¹⁷⁴Constitution of the Italian Republic, Art. 136

<https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/it/it037en.pdf>kore [18.05.2019]

¹⁷⁵ Parodi G., The Italian Constitutional Court as Positive Legislator, *Jurn. “Constitutional Courtss as Positive Legislators”*, 2011, 619.

¹⁷⁶ Verstraelen S., The Temporal Limitation of Judicial Decisions: The Need for Flexibility Versus the Quest for Uniformity, *German Law Journal* Vol. 14 No. 09, 2013, 185.

სამართლებრივი ძალით აღჭურვაზე, სასამართლო პრაქტიკა მაინც წარმოშობს ისეთ კაზუსებს, როდესაც საჭირო ხდება გადაწყვეტილების დროითი ეფექტის მოდულირება, რაც სასამართლოებს აიძულებს, რომ გარკვეულ არაპირდაპირ ნორმებზე და განმარტებებზე დაყრდნობით, მაინც მოახდინონ გადაწყვეტილების დროითი ეფექტის რეგულირება და თავისი კომპეტენციების თვით დისკრეციით გამდიდრება¹⁷⁷.

დისკრეციის კუთხით, ასევე, საინტერესოა, ავსტრიის მაგალითი. მიუხედავად მოცემული ქვეყნის მკაცრი Ex Nunc მიმართულებისა, ავსტრიის საკონსტიტუციო იუსტიციის მექანიზმი იცნობს გადაწყვეტილებაზე Ex Tunc სამართლებრივი ძალის გავრცელების ორ ძირითად მიმართულებას, ერთ შემთხვევაში ეს შესაძლებელია „დამჭერის პრემიის“ კონკრეტულ საქმეებზე უკუძალის გავრცელება (მოცემულ საკითხს განვიხილავთ ქვემოთ მოცემულ თავში), ხოლო მეორე შემთხვევაში სპეციალური სუბიექტის მიერ ინიცირებული საქმის წარმოების ფარგლებში, ასევე, შესაძლებელია ზოგადი უკუძალის გავრცელება.

1975 წლის შესწორება, საკონსტიტუციო სასამართლოს აძლევდა უფლებამოსილებას მიენიჭებინა (დამატებითი) რეტროაქტიური სამართლებრივი ძალა თავისი აქტებისთვის. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს ავსტრიის კონსტიტუციის 140-ე მუხლის მე-7 პუნქტის (1975 წლის ცვლილება) ინტერპრეტაციას. სასამართლო მოცემულ დებულებას კითხულობს ისე, რომ ინტერპრეტირებული ნორმა აღჭურავს მას დისკრეციული უფლებით, რომ ჩამოაყალიბოს გამაუქმებელი გადაწყვეტილების ეფექტი საქმის სპეციფიკური გარემოებების მიხედვით.¹⁷⁸

საგულისხმოა ორი შემთხვევა, როდესაც ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ ზოგადი რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი მიანიჭა მის

¹⁷⁷ Popelier P., Verstraelen S., Vanheule D., Vanlerberghe B., The Effect of Judicial Decisions in Time: Comparative Notes, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 4.

¹⁷⁸ Stelzer M., Pro Futuro and Retroactive Effects of Rescissory Judgments in Austria, “The Effects of Judicial Decisions in Time”, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 72.

გადაწყვეტილებას. ორივე საქმე ეხებოდა საგადასახადო კანონებს, რომლებიც „მცირე ზომის კომპანიებს“ არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა. ერთ შემთხვევაში, სასამართლოში 11,000 საჩივარი შევიდა¹⁷⁹, ხოლო მეორე შემთხვევაში 10,000.¹⁸⁰ უფრო მეტი საქმეები ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში მიმდინარეობდა. ათასობით ადმინისტრაციული გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართულმა საჩივრების უზარმაზარმა რაოდენობამ და კიდევ, რიგში, დაუზუსტებელი რაოდენობის ყოფნამ, საკონსტიტუციო სასამართლოს რესურსები მეტისმეტად დატვირთა. იდეაც კი, რომ სწრაფად გაუქმებულიყო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, ერთ შემთხვევაში 11,000 და მეორე შემთხვევაში 10,000 წარმოუდგენელი ჩანდა. სასამართლომ თავის გამაუქმებელ გადაწყვეტილებაში რამდენიმე მკაცრი ზომა ასახა. ის ანიჭებდა რეტროაქტიურ სამართლებრივ ძალას ყველა საქმეს, რომლებზეც გაუქმებული კანონის გამოყენება მოხდა, მიუხედავად იმისა, გადაცემული გადაწყვეტილება საბოლოო იყო თუ არა. სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რაც ეფუძნებოდა არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს, ითვლებოდა ავტომატურად გაუქმებულად. შესაბამისად, ყველა მიმდინარე საქმეები უნდა დახურულიყო დამატებითი აქტივობების გარეშე.¹⁸¹

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს მოცემულ მიდგომას, საკმაოდ ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. კრიტიკოსები აქტიურად აპელირებდნენ იმაზე, რომ სასამართლომ გადააჭარბა თავის კომპეტენციას. ერთ-ერთი მათგანი აღნიშნავს, რომ „რა თქმა უნდა ძალიან მოსახერხებელი და პრაგმატული თვალთახედვით, ძალიან სასარგებლო იყო ისეთი გამოსავლის პოვნა, რაც შესაძლებელს გახდიდა დაუყოვნებლივ დახურულიყო 11,000 და 10,000 საქმე, მაგრამ არაგონივრული იყო იმის დაჯერება, რომ გაუქმების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი, ამ ფაქტის ძალით, გამოიწვევდა ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გაუქმებას.

¹⁷⁹ VFSLG 14723/1997

¹⁸⁰ VFSLG 15606/1999.

¹⁸¹ Stelzer M., Pro Futuro and Retroactive Effects of Rescissory Judgments in Austria, “The Effects of Judicial Decisions in Time”, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 65.

ტრადიციულად, „კონკრეტული შემთხვევის“ დროსაც კი, ადმინისტრაციული გადაწყვეტილება პირდაპირი ფორმით უნდა გაუქმებულიყო. თუმცა ჩანს, გამაუქმებელ გადაწყვეტილებაში ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ანულირებულად გამოცხადება, სასამართლოს საკონსტიტუციო ძალაუფლებას აღემატებოდა“.¹⁸²

2008 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის შესწორებამ ავსტრიის კანონმდებლობაში გააჩინა ახალი შესაძლებლობა, რაც სასამართლოს საშუალებას აძლევს. გამოიყენოს „მასობრივი განაცხადების“ შემთხვევაში, რომლებიც ეხება ერთსა და იმავე კანონს და იგივე საკონსტიტუციო საკითხს. მაგრამ, თუკი უკვე არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე საჩივრების „მნიშვნელოვანი რაოდენობა“, რომელთა შემთხვევაშიც მსგავსი ტიპის იურიდიული საკითხი უნდა გადაწყდეს, ან თუკი სასამართლოს აქვს მიზეზი, ჩათვალოს, რომ მსგავსი საჩივრების დიდი რაოდენობა გაჩნდება, მან შესაძლოა მიიღოს ბრძანება, რომელიც ფედერალური კანცლერის ან ფედერაციის ერთეულის კომპეტენტური მმართველის მიერ უნდა გამოქვეყნდეს. მსგავს ბრძანებულებას, გააჩნია ის ეფექტი, რომ უნდა შეწყდეს ყველა ქმედება მიმდინარე საქმეებზე, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს სასამართლოს სამომავლო გადაწყვეტილებებს. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში უნდა შეაჯამოს თავისი ხედვა ერთ ან რამდენიმე წესთან მიმართებაში, რაც საჯაროდ შესაბამისი ფედერალური კანცლერის და ფედერაციის ერთეულის ხელმძღვანელის მიერ უნდა გამოცხადდეს. გამოქვეყნების ვადების გასვლასთან ერთად, სასამართლოს ბრძანების ყველა ეფექტი მთავრდება. ეს საშუალება, რომლის რეალური ეფექტი სუსპენზიური დანიშნულებისაა, სასამართლოს თავიდან აცილებს მასიურ საჩივრების ტალღას და უზრუნველყოფს, რომ თითოეული საქმე, რომელიც ადმინისტრაციული წარმოების სტადიაზეა, საბოლოოდ გადაწყდეს სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.¹⁸³

¹⁸² იხ. იქვე, 73.

¹⁸³ იხ. იქვე, 73.

3.1.2.3. „დამჭერის პრემია“ (premium for the catcher)

ინდივიდი, რომლის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელის შედეგად ნორმა არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი, სახელმწიფოს და საზოგადოებას უწევს შეუფასებელ სამსახურს, რადგანაც ახდენს პროცესის ინიცირებას, რისი შედეგიც არის არაკონსტიტუციური ნორმის გამოვლენა. მსგავსი პირები, როგორც, წესი მოქმედებენ არა მხოლოდ პირადი ინტერესების, არამედ საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, რადგანაც მათ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას ნორმატიული შედეგები მოაქვს. აქედან გამომდინარე, არსებობს მოსაზრება, რომ მოსარჩელე „იმსახურებს“ უკეთეს მოპყრობას, სხვა მოქალაქეებთან შედარებით, რომლებმაც სარჩელით არ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. სხვა თვალსაზრისით, კერძო პირებს ნაკლებად ექნებოდათ ინტერესი, მიემართათ საკონსტიტუციო სასამართლოები.

ზემოთ დასახელებული მოტივაციიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წახალისდეს ინდივიდების სარჩელები და ამასთანავე, შებოჭილი იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის გვერდითი მოვლენები, ზოგიერთი ქვეყანა იყენებს გადაწყვეტილების რეტროაქტიურ ეფექტს, რომელიც მხოლოდ შეეხება აპლიკანტის საქმეს (ე.წ. „დამჭერის პრემია“). ამგვარ უპირატეს მოპყრობას ასევე ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ჯილდოს გამომააშკარავებლისთვის“ („premium for the catcher“). მოცემული დოქტრინის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის სუბიექტები „ნადირობენ“ არაკონსტიტუციურ ნორმებზე და მოსარჩელე, რომელიც „გამოააშკარავებს“ არაკონსტიტუციურ ნორმას, ჯილდოდ იღებს უკეთეს მოპყრობას, სხვა ინდივიდებთან შედარებით.¹⁸⁴

¹⁸⁴ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Georgia Amicus Curiae Brief for The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases, Strasbourg, 25 June 2018 Opinion No. 923 / 2018 CDL-AD(2018)012, 55.

ეს პრინციპი, ასევე, გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი შესაძლებელია გავრცელდეს მხოლოდ მოსარჩელის საქმეზე. ამგვარი მოპყრობა წაახალისებს ინდივიდებს, რომ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ, როდესაც ცნობილი ხდება საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველი საქმის თაობაზე, სხვა პირები, რომლებიც არიან მსგავს მდგომარეობაში, ასევე დაუყოვნებლივ შეიტანენ სარჩელს იმისთვის, რომ სარგებელი ნახონ „მიმდინარე საქმის წესით“. ეს იწვევს დიდი რაოდენობით სარჩელებს, რაც ხშირად ერთიანდება ერთ პროცესად, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სიკეთეებით სარგებლობაზე, სხვა პირებს ვეღარ ექნებათ პრეტენზია, რადგანაც მათ ხელიდან გაუშვეს შესაძლებლობა, პროცედურული სამართლიანობისგან დაჯილდოებულიყვნენ „დამჭერის პრემიით“.

საინტერესოა, რომ, მაგალითად, სამხრეთ კორეის საკონსტიტუციო იუსტიციის კანონმდებლობა უშვებს მხოლოდ მკაცრ Ex Nunc სამართლებრივი ეფექტს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე არასისხლის სამართლის საქმეებზე: „(2) ნებისმიერი ნორმა, რომელიც ცნობილი იქნება არაკონსტიტუციურად, კარგავს ძალას იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება მიიღება. (3). თუმცა, ნორმები, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის სასჯელებს, უნდა გავრცელდეს რეტროაქტიურად“. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი კონსტიტუციასთან ერთობლიობაში და დაუშვა რეტროაქტიური სამართლებრივი ძალა მხოლოდ მოსარჩელების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ნორმა, რომელიც გამოიყენება საქმეში, არის ცნობილი არაკონსტიტუციურად, მოსარჩელის უფლებები არ იყო დაცული. კორეის კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სასამართლო უშვებს ინდივიდუალურ საკონსტიტუციო სარჩელს, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა

უზრუნველყოს, რომ არსებობდეს წარმატებული მოსარჩელების უფლების დაცვის მექანიზმი.¹⁸⁵

„დამჭერის პრემია“, ასევე, გავრცელებულია უნგრეთში. მიუხედავად მისი, ძირითად ჭრილში, გამაუქმებელი ეფექტისა, ის გავლენას ახდენს კონკრეტული ინდივიდის საქმეზე.¹⁸⁶ ამ ფორმით, „დამჭერის პრემია“ (რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი მხოლოდ წარდგენილ საქმეში) დაინერგა ავსტრიაში, უნგრეთში და ცვლილებებით, ლიხტენშტეინში.¹⁸⁷

საგულისხმოა ისიც, რომ თავად ავსტრიაშიც, მკაცრად Ex Nunc სისტემის ქვეყანაში, აქტიურად განიხილებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურვა შეზღუდული რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით, რაც გამოხატული იქნებოდა „დამჭერის ეფექტი“-ს რეალიზებით. მოცემულ იდეას, ავსტრიის შემთხვევაშიც ზურგს უმაგრებდა ისეთი არგუმენტები, რომლებიც წინ წამოსწევდნენ არაკონსტიტუციური ნორმის აღმომჩენი მოსარჩელე სუბიექტის წახალისებას და შესაბამისად, კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის გაძლიერებას.¹⁸⁸ საბოლოოდ, ამ მოსაზრებამ დღის სინათლე ნახა და ისეთი კლასიკურ Ex Nunc სისტემის მიმდევარ ქვეყანაში, როგორც ავსტრიაა გაჩნდა „დამჭერის პრემიის“ მსგავსი მექანიზმი, რამაც როგორც მკვლევარები შენიშნავენ, კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლი გამოაცოცხლა, სასამართლოს ავტორიტეტი და მისი ფუნქციური დანიშნულება ადამიანებისთვის კი, ერთი ორად ამაღლდა.

„დამჭერის პრემიის“ კონტექსტში „მასიური სარჩელები“, განსაკუთრებით საგადასახადო კანონებთან მიმართებაში უფრო და უფრო აქტიური ხდებოდა. იურიდიულ ბიუროებს შეჰქონდათ ასობით საჩივარი საკონსტიტუციო

¹⁸⁵ იხ. იქვე, 57.

¹⁸⁶ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Models of Constitutional Jurisdiction, by Helmut Steinberg, Strasbourg, 2011.

¹⁸⁷ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 187.

¹⁸⁸ Stelzer M., Pro Futuro and Retroactive Effects of Rescissory Judgments in Austria, “The Effects of Judicial Decisions in Time”, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 65.

სასამართლოში ან ორგანიზებას უწევდნენ მსგავს აქტივობებს. ამის საფუძველი კი, გახლდათ საგადასახადო კანონმდებლობაში კონკრეტული საკონსტიტუციო პრობლემის პოვნა ან თუნდაც ერთი პირის სარჩელის შემოტანა საკონსტიტუციო სასამართლოში. ამის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, მდგომარეობდა იმაში რომ მათ ყველა კლიენტს გარანტირებულად შესძლებოდათ ესარგებლათ „კონკრეტული საქმის“ უპირატესობით, ე.ი. მიეღოთ რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი რაც საგადასახადო კანონმდებლობის შემთხვევაში, საკმაოდ ხშირად ფულის დაზოგვას ან დაბრუნებას ნიშნავდა.

საკონსტიტუციო სასამართლო, ამ მასიური სარჩელების ფონზე, გადატვირთულობის პრობლემის წინაშე დადგა. სწორედ ამიტომაც სასამართლომ შეცვალა სტრატეგია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სასამართლო ირჩევდა რამდენიმე საქმეს, რომლებიც განიხილებოდა საჯაროდ, როდესაც კანონი არაკონსტიტუციურად ჩაითვლებოდა, სასამართლო კანონს და შესაბამის დებულებებს აუქმებდა.¹⁸⁹ გამაუქმებელ გადაწყვეტილებაში, სასამართლო აფართოებდა „კონკრეტული შემთხვევის ეფექტს“ ყველა იმ საჩივრის გადაწყვეტით, რაც სასამართლოში შევიდა საქმის განხილვის თარიღამდე. ყველა ამ საქმეს შეეძლო რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით სარგებელი მიეღო. „კონკრეტული შემთხვევის ეფექტის“ გაფართოება გახდა საშუალება, რომელსაც სასამართლო დრო და დრო იყენებდა.¹⁹⁰

შესაბამისი ადმინისტრაციული და სახელმწიფო ორგანოები ცდილობდნენ, გარკვეული რეაქციები გამოემუშავებინათ საკონსტიტუციო სასამართლოს სტრატეგიაზე. ეს რეაქცია კი, მიმართული იყო იქითკენ, რომ თავიდან აეცილებინათ ფართო მასშტაბის „კონკრეტული შემთხვევის ეფექტი“ („დამჭერის პრემია“). ეს ეფექტი, განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო საგადასახადო ადმინისტრაციისთვის. საგადასახადო კანონებთან მიმართებაში, „კონკრეტული შემთხვევის ეფექტის“

¹⁸⁹ VFSLG 16772/2002; VFSLG 18093/2007; VFSLG 19324/2011; VFSLG 19516/2011; VFSLG 19522/2011.

¹⁹⁰ Stelzer M., Pro Futuro and Retroactive Effects of Rescissory Judgments in Austria, “The Effects of Judicial Decisions in Time”, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 70.

გაფართოება ნიშნავდა რომ ხაზინა დაკარგავდა იმდენად ბევრ ფულს რამდენადაც ბევრი საქმე მიიღებდა სარგებელს რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის საშუალებით.

ზემოთ ხსენებული ტაქტიკა კი, იმაში გამოიხატებოდა, რომ საგადასახადო ორგანოებში საკმაოდ გახშირდა შემთხვევები, როდესაც გადაწყვეტილებას განზრახ აყოვნებდნენ და საქმე ადმინისტრაციული პროცედურის ბოლო ეტაპზე ჩერდებოდა. ეს კი, პოტენციური საკონსტიტუციო სარჩელის ავტორს და „დამჭერის პრემიით“ მოსარგებლეს არ აძლევდა საშუალებას მიემართა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ, 1978 წლის გადაწყვეტილებით, მოახდინა რეაგირება წინა აბზაცში აღწერილ ადმინისტრაციულ ტაქტიკაზე და განავრცო რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი იმ საქმეებზე, რომლებიც მიმდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოების ბოლო საფეხურზე.¹⁹¹ ასევე საინტერესოა, მიწის გადაცემის გადასახადის საქმე, რომლის ფარგლებშიც სასამართლო განხილვების დროს ცხადი გახდა, რომ ასობით გადაწყვეტილება შეჩერებული იყო ადმინისტრაციული წარმოების ბოლო სტადიაზე.¹⁹² ამ დირექტივაში კი, ფინანსთა სამინისტროს გავლენები შეიმჩნეოდა. მიწის გადაცემის საგადასახადო კანონი შექმნილი იყო ისეთნაირად, რომ ზოგადი ვალდებულება გადაეხადათ მიწის გადაცემის გადასახადი კომბინირებული იყო ბევრ გამონაკლისთან. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეემოწმებინა გამონაკლისის კონსტიტუციურობა თანასწორობის უფლებასთან მიმართებით.

ფინანსური ადმინისტრაციის ზემოთ მიმოხილულმა ტაქტიკამ, როგორც ხაზინიდან დანაკარგების თავიდან აცილების ეფექტურმა საშუალებამ დიდხანს ვერ იმოქმედა, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს გაბედულმა გადაწყვეტილებებმა (გაევრცელებინა არაკონსტიტუციურობის ეფექტები ადმინისტრაციული წარმოების

¹⁹¹ იხ. იქვე, 70.

¹⁹² იხ. იქვე, 71. Hausleithner A., “Summum ius, summa iniuria? – VfGH, 1987, 102.

ბოლო სტადიაზე მყოფ საქმეებზე) ბოლო მოუღო „დამჭერის პრემიის ლაურეანტების“ მიმართულ შეფერხებას.

კონკრეტული შემთხვევების შედეგად გამომუშავებული „დამჭერის პრემიის“ ასე გაფართოებამ, წარმოშვა აკადემიური დისკუსია იმასთან დაკავშირებით, ეფუძნებოდა თუ არა ეს განვრცობა სასამართლოს უფლებამოსილებას, ე.ი. განზრახ ხომ არ მიანიჭა სასამართლომ რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი იმ საქმეებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსულიც კი, არ ყოფილა.¹⁹³ ამ დისკუსიას, რა თქმაუნდა, მოწინააღმდეგეებიც და მომხრეებიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზი გახლდათ ის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავიანთი შეხედულებით გადაწყვეტილებების დაყოვნებით იპოვეს მარტივი გზა, გადადგომოდნენ წინ საკონსტიტუციო იუსტიციას, რაც, თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტის და ეფექტურობის დამცრობის და დაკნინების მაჩვენებელი იყო. ასე, რომ ჩვენი აზრით, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ მიდგომით, ერთი მხრივ მისი იურისდიქციის შემლახავს დაანახა თავისი ინსტიტუციური ძალა, ხოლო, მეორეს მხრივ, სავსებით სამართლიანად დააკმაყოფილა ადმინისტრაციული ორგანოს მანიპულაციების მსხვერპლის ინტერესები.

პროცედურული კუთხით, ასევე, საინტერესოა ის, რომ კონკრეტული შემთხვევის ეფექტის გამო ხალხის ამბოხის შესაჩერებლად, სასამართლომ დააწესა ერთი სპეციალური მოთხოვნა. კერძოდ, ეფექტი ვერ მიენიჭებოდა საქმეებს, რომლებთან მიმართებაშიც ადმინისტრაციული პროცედურები ღია იყო (და არა სპეციალურად გაჭიანურებული) მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება კანონის გადახედვის შესახებ გამოქვეყნდა.

¹⁹³ იხ. იქვე, 71.

საინტერესოა ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა, თუ რამდენ გამაუქმებელ საქმეზე გავრცელდა „დამჭერის პრემია“. აღნიშნული სტატისტიკა წარმოდგენილია ცხრილ N4-ში.

ცხრილი N1.

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა „დამჭერის პრემიის“ გამოყენების შესახებ, საანგარიშო პერიოდი 2002 წლიდან 2011 წლამდე.¹⁹⁴

წელი	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
დაკმაყოფილდა/ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	30	26	35	23	23	19	14	7	16	20
დამჭერის პრემია	5	0	1	1	1	3	2	0	0	3

3.1.4. მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გამოცდილება

მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლომ 2013 წელს განიხილა საქმე,¹⁹⁵ სადაც კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიიჩნევდა, რომ საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან გამორიცხავდა საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას იმ საფუძველით, რომ კონკრეტულ საქმეში გამოყენებული ნორმატიული აქტი არაკონსტიტუციურად სცნო საკონსტიტუციო სასამართლომ, ეწინააღმდეგებოდა მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუციის კონკრეტულ ნორმებს და პრინციპებს, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება უნდა ეცნო არაკონსტიტუციურად.

კონსტიტუციური სარჩელის ავტორმა დაასახელა კონსტიტუციის კონკრეტული ნორმები, რომლებთანაც, მისი პოზიციით, წინააღმდეგობაში მოდიოდა მის მიერ სადავოდ გამხდარი საკანონმდებლო ცვლილება. ეს მუხლები გახლდათ:

¹⁹⁴ იხ. იქვე, 75.

¹⁹⁵ Republica moldova, Cortea Constitutionala N4a/2013.

❖ მოლდოვას კონსტიტუციის მე-20 მუხლი - „(1) ნებისმიერ პირს აქვს უფლება მოითხოვოს უფლებების ეფექტური აღდგენა კომპეტენტური სასამართლოების მიერ მისი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში“. (2) ვერც ერთი კანონი ვერ შეზღუდავს სამართლიანობას.”;

❖ მოლდოვას კონსტიტუციის 54-ე მუხლი - (1) მოლდოვას რესპუბლიკაში ვერ მიიღება კანონები, რომლებიც კრძალავს ან ამცირებს ადამიანის და მოქალაქის უფლებებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებს“.

საქმის განხილვისას მოპასუხე მხარემ აღნიშნა, რომ სადავოდ გამხდარი საკანონმდებლო ცვლილება მიზნად ისახავდა მინიმუმამდე შემცირებულიყო იმ გარემოებათა რიცხვი, რომელიც საფუძველს უქმნიდა მრავალრიცხოვანი განცხადებების წარმოქმნას და სამოქალაქო საქმეების განხილვას სხვადასხვა საფუძველით. ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 449-ე მუხლის ახლანდელი ვერსიით მოცემულია საქმის გადასინჯვის მხოლოდ ის საფუძველები, რომლებიც თავსებადია სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპთან. ამავე დროს, აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები, მათი შეუქცევადობის პრინციპიდან გამომდინარე, არ უნდა ეხებოდეს საერთო იურისდიქციის სასამართლოს ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულ იქნა საკონსტიტუციო იურისდიქციის ორგანოს გადაწყვეტილების მიღებამდე.

„სამართლიანობაზე თავისუფალი დაშვების პრინციპი უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური განხორციელების ფუნდამენტური გარანტია, არამედ როგორც იმპერატიული ნორმა, რომელიც შექმნილია „კანონის უზენაესობის“ კონცეფციის მნიშვნელობის გასამყარებლად. მოლდოვას რესპუბლიკა არის დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელშიც პიროვნების ღირსება, მისი უფლებები და თავისუფლებები,

ადამიანის თავისუფალი განვითარება, სამართლიანობა და პოლიტიკური პლურალიზმი არის უმაღლესი ფასეულობები და გარანტირებული“.¹⁹⁶

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების განხილვის საფუძვლის დადგენისას, აუცილებელია კანონმდებელი შეეცადოს შეინარჩუნოს წონასწორობა სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და კანონიერი ნდობის, განჭვრეტადობის პრინციპს შორის. მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის პრინციპი არ იძლევა არაკონსტიტუციური კანონის შედეგების უპირობო შენარჩუნების საშუალებას. კონსტიტუციის დარღვევით მიღებული საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილების ხელახლა განხილვის შესაძლებლობა კი, არაკონსტიტუციური კანონის შედეგების აღმოფხვრის ერთადერთი გზაა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 449-ე მუხლის ფარგლებში გათვალისწინებული საფუძვლების ჩამონათვალი უნდა ითვალისწინებდეს საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილებების გადახედვის საშუალებას იმის გათვალისწინებით, რომ კანონის დებულებები, რომლებიც მათი მიღების საფუძველს წარმოადგენდა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა არაკონსტიტუციურად. სწორედ სახელმწიფოს პოზიტიური მოვალეობაა შექმნას საკანონმდებლო მექანიზმები დარღვეული უფლებების აღსადგენად. დასასრულს, საკონსტიტუციო სასამართლომ, კიდევ ერთხელ მიუთითა იმის აუცილებლობაზე, რომ განმცხადებლებს უნდა მისცემოდათ უფლება მოეთხოვათ სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვა, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ საერთო იურისდიქციების სასამართლო გადაწყვეტილებით გამოყენებული ნორმატიული აქტი, რომელიც აღიარებულია არაკონსტიტუციურად, არღვევს კონსტიტუციითა და ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ არგუმენტაციის შედეგად არაკონსტიტუციურად

¹⁹⁶ იხ. იქვე 11.

იქნა ცნობილი ის საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა სამოქალაქო საქმეებზე საერთო იურისდიქციის სასამართლოების გადაწყვეტილებების გადასინჯვის შესაძლებლობის მოსპობას, იმ საფუძველით, რომ კონკრეტულ საქმეში გამოყენებული ნორმატიული აქტი არაკონსტიტუციურად სცნო მოლდოვას საკონსტიტუციო სასამართლომ.

საკონსტიტუციო სასამართლომ, რეკომენდაციის სახით, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ ნორმის არაკონსტიტუციურობის მოტივით საქმის გადასინჯვის უფლება უნდა შემოიფარგლოს ხანდაზმულობის გონივრული ვადით, რომლის ფარგლებშიც უფლებამოსილ პირებს ექნებათ ამ უფლების რეალიზების საშუალება.

3.1.5. შეჯამება

პრაქტიკაში Ex Tunc კონცეფციის განუხრელად გამოყენებამ, შესაძლებელია, ცალკეულ საქმეებში გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი შედეგები. მაგალითად, გადაწყვეტილება, რომელიც არაკონსტიტუციურად ცნობს ნორმას ქორწინების შესახებ, (ვთქვათ იმიტომ, რომ იგი ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს), გამოიწვევდა ქორწინების ნებისმიერი აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ამ ნორმაზე დაყრდნობით განხორციელდა. ეს კი, რა თქმა უნდა, იქნებოდა საზოგადოებისათვის საზიანო შედეგის მომტანი. შესაბამისად, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც აღიარებულია კანონის Ex Tunc სამართლებრივი ეფექტი, ამგვარი შემთხვევები არის მნიშვნელოვნად უარყოფილი, რათა საბოლოო გადაწყვეტილებებმა არ დაკარგონ თავიანთი სამართლებრივი ძალა.¹⁹⁷

საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოების გადაწყვეტილებებისთვის სრული Ex Tunc სამართლებრივი ძალის მინიჭება ემსგავსება

¹⁹⁷ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Georgia Amicus Curiae Brief for The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases, Strasbourg, 25 June 2018 Opinion No. 923 / 2018 CDL-AD(2018)012, 12.

სამართლიანობის იმ დამანგრეველ მახვილს, რომელმაც შეიძლება სრულიად თავდაყირა დააყენოს ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი. ამასთანავე, Ex Tunc სამართლებრივი ძალის დამკვიდრება, აუცილებელია, საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოების ფუნქციების გაძლიერებისთვის და ადამიანის ქვეცნობიერში ჩადებული სამართლიანობის განცდის დაკმაყოფილებისთვის. ამ ორი საპირისპირო ღირებულებითი პოლუსის გათვალისწინებით, მსოფლიო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებში, მეტნაკლებად, მკვიდრდება მოსაზრება, რომ რომელიმე ამ პოლუსისკენ სრული გადახრა არ არის მიზანშეწონილი თვითონ საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციისთვისაც და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც. სწორედ ეს გახლავთ ის მიზეზი, რის გამოც მსოფლიო საკონსტიტუციო გამოცდილებაში მოიპოვება უამრავი მაგალითი, რომელიც ერთი მხრივ, ადგენს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივი ძალას ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობს მოათვინიეროს და შეზღუდოს მისი საშიში მხარე.

3.2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი

3.2.1. შესავალი

Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი, თავის თავში, მოიაზრებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არა მხოლოდ ახდენს არაკონსტიტუციური ნორმის იდენტიფიცირებას, რომელიც არაკონსტიტუციური იყო მისი მიღების მომენტიდან, არამედ - გადაწყვეტილება თავად ადგენს სამართლებრივ შედეგებს და ცვლის/აუქმებს არაკონსტიტუციურ ნორმას მისი გამოქვეყნების მომენტიდან.¹⁹⁸ სასამართლო გადაწყვეტილებას აქვს Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი, როდესაც იგი სამართლებრივ შედეგებს და იურიდიულ ფაქტებს მიმართავს გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან მომავალში, ხოლო ძალადაკარგულად გამოცხადებული ნორმა, კვლავ იმოქმედებს იმ ფაქტებზე, რომელიც წარმოიშვა კონკრეტული გადაწყვეტილების

¹⁹⁸ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Georgia Amicus Curiae Brief for The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases, Strasbourg, 25 June 2018 Opinion No. 923 / 2018 CDL-AD(2018)012, 49.

მიღებამდე. არის შემთხვევები, როდესაც ტერმინი „მცხინვერი ეფექტი“ გამოიყენება სინონიმად და გულისხმობს, რომ გადაწყვეტილებას შედეგები აქვს მხოლოდ იმ იურიდიულ ფაქტებზე, რომელიც წარმოიშობა გადაწყვეტილების შემდგომ.¹⁹⁹

როგორც კვლევით ნაშრომებში აღნიშნავენ, Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი ძირითადად, გამოიყენება „ძველი“ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების მიერ, როგორც არის, მაგ., ავსტრიის საკონსტიტუციო და საბერძნეთის უზენაესი სპეციალური სასამართლოები,²⁰⁰ მაგრამ მათი ფართოდ დანერგვა, ასევე, შეინიშნება „ახალი“ (პოსტკომუნისტურ სივრცეში წარმოშობილი საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოები) საკონსტიტუციო სასამართლოების მიმართაც ასევე დასავლეთ ევროპაში (საფრანგეთი). შესაბამისად, ფაქტია, რომ არაკონსტიტუციური ნორმის Ex Nunc გაუქმება არის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტთან მიმართებით ყველაზე გავრცელებული სისტემა, რომლებიც გვხვდება ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის: ალბანეთი, ალჟირი, სომხეთი, ავსტრია, ბელარუსია, ბრაზილია, ჩილე, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, ესტონეთი, უნგრეთი, სამხრეთ კორეა, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, რუმინეთი, სანმარინო, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, მექსიკა, უკრაინა.²⁰¹ თუმცა, მიუხედავად მსგავსი სტატისტიკისა სასამართლოების პრაქტიკა მიუთითებს მოქნილობის უდავო საჭიროებაზე. როგორც ჩანს კონკრეტული სასამართლო საქმეების მოთავსება მკაცრ ჩარჩოში საკმაო სირთულეებს და უხერხულობას იწვევს²⁰².

თავისი ყველაზე მკაცრი მნიშვნელობით არაკონსტიტუციური ნორმის Ex Nunc გაუქმება გულისხმობს, რომ არაკონსტიტუციური ნორმა ვრცელდება იმ

¹⁹⁹ Popelier P., Verstraelen S., Vanheule D., Vanlerberghe B., The Effect of Judicial Decisions in Time: Comparative Notes, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 9.

²⁰⁰ Iliopoulos-Strangas J., Koutnatzis G., Constitutional Courts as Positive Legislators, in Brewer-Carias (n5), Cambridge University Press, 2011, 548.

²⁰¹ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 190.

²⁰² Popelier P., Verstraelen S., Vanheule D., Vanlerberghe B., The Effect of Judicial Decisions in Time: Comparative Notes, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 3.

სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც მანამ წარმოიშვა, სანამ ნორმის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შევიდოდა ძალაში და წარსულ საქმეებზე არაფერი არ იცვლება (გარდა „მიმდინარე საქმის წესისა“). საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზეგავლენას ვერ ახდენს იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც დასრულდა გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე.²⁰³

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Nunc სამართლებრივი ძალის მთავარი ლოგიკა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ კანონის განსაზღვრულობის პრინციპი და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე უფლების ინდივიდუალური დაცვა და, შესაბამისად, კანონის უზენაესობა.

3.2.2. Ex Nunc მექანიზმის ზომიერი სამართლებრივი ეფექტი

ვენეციის კომისიის კვლევების მიხედვით არსებობს ქვეყნები, რომლებშიც Ex Nunc ეფექტის ე.წ. ზომიერ ალტერნატივას ანიჭებენ უპირატესობას. ზომიერი Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი, თავის თავში, გულისხმობს, რომ ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შემთხვევაში, მხოლოდ საერთო იურისდიქციის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება უნდა იყოს ხელშეუხებელი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალადაკარგულად აცხადებს არაკონსტიტუციურ ნორმას, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღიდან. ასეთი ნორმა რჩება გადაწყვეტილების გამოცხადებამდე არსებული კანონმდებლობის ნაწილად. მიუხედავად ამისა, მიმდინარე საქმეები და ნებისმიერი ახალი საქმე დაფუძნებული იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგებზე და არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება

²⁰³ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Georgia Amicus Curiae Brief for The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases, Strasbourg, 25 June 2018 Opinion No. 923 / 2018 CDL-AD(2018)012, 50.

განმეორებით აღარ მოხდება, თუნდაც მიმდინარე საქმის სამართლებრივი ურთიერთობა დაწყებულიყო გადაწყვეტილების გამოტანამდე.²⁰⁴

გასაგებია, რომ Ex Nunc მიდგომა განსხვავდება Ex Tunc სისტემისგან, მაგრამ ამგვარი მიდგომის პრაქტიკული შედეგები, რეალურად, ემსგავსება ზომიერი Ex Tunc სამართლებრივი ძალის შედეგებს. მაგალითად, სლოვაკეთის რესპუბლიკაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვთ Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებები სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საკითხებზე, რომლებიც ეფუძნება არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას, არ აღსრულდება. ამგვარი გადაწყვეტილებები ფორმალურად ძალაში რჩება, თუმცა მათგან მიმდინარე ვალდებულებები არ აღსრულდება.²⁰⁵ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონმდებლობა, კერძოდ კი, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი სწორედ მსგავს მიდგომას ირჩევს და აღსრულებელს ტოვებს საერთო სასამართლოების აქტებს. ასევე, ანალოგიური შეფასება გააკეთა ვენეციის კომისამაც, რომლის მიხედვითაც „ქართული სისტემა იმ სისტემების მსგავსია, რომლებიც აღიარებენ ზომიერ Ex Nunc სამართლებრივ ეფექტს“.²⁰⁶ ვენეციის კომისიამ თავის დასკვნაში, ასევე, მიუთითა, რომ ქართული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედები მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო არ არის ამოვარდნილი ევროპული სტანდარტებიდან, უფრო მეტიც, ევროპული სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები ირჩევენ Ex Nunc სისტემას, თუმცა ქართული კანონმდებლობა ცხადად არ იძლევა პირდაპირ პასუხებს, ყველა იმ კითხვასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტს საერთო სასამართლოს იმ

²⁰⁴ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Georgia Amicus Curiae Brief for The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases, Strasbourg, 25 June 2018 Opinion No. 923 / 2018 CDL-AD(2018)012., 51.

²⁰⁵ იხ. იქვე, 52.

²⁰⁶ იხ. იქვე, 80.

გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომელთაც არაკონსტიტუციური ნორმები დაედო საფუძვლად.²⁰⁷

მსგავსი ზომიერი Ex Nunc სისტემის მატარებელია ალბანეთიც, რომლის „საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ კანონის“ 76-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ გადაწყვეტილება შესაძლოა რეტროაქტიური იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) ის შეეხება სისხლის სამართლებრივ მსჯავრს, თუ ეს პირდაპირ დაკავშირებულია ანულირებული კანონის ან ნორმატიული აქტის იმპლემენტაციასთან; ბ) ის შეეხება საერთო სასამართლოების მიერ განხილვის პროცესში მყოფ საქმეს, თუ მათი გადაწყვეტილება არ არის საბოლოო; გ) ის შეეხება კანონს ან ნორმატიულ აქტს, რომელიც არ დანერგილა, არ შესულა ძალაში.²⁰⁸

ლიეტუვას საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტიც იზიარებს ზომიერ Ex Nunc სისტემის მიდგომებს და აღნიშნავს, რომ „არაკონსტიტუციურად ან კანონშეუსაბამოდ გამოცხადებულ სამართლებრივ აქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები აღარ უნდა აღსრულდეს თუ ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არ აღსრულებულა“.²⁰⁹

სლოვაკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზების შესახებ კანონის 41ბ-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ასევე ადგენს, რომ სხვა საბოლოო გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში და ეფუძნება იმ სამართლებრივ რეგულაციას, რომელმაც სრულად ან ნაწილობრივ

²⁰⁷ იხ. იქვე, 85.

²⁰⁸ Law on The Organization and Functioning of The Constitutional Court of The Republic of Albania, Art. 76.2. http://www.gjk.gov.al/web/constitutional_court_law_1855.pdf [11.06.2019]

²⁰⁹ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011.

დაკარგა ძალა, რჩება ხელშეუხებელი. ამ გადაწყვეტულებათა მიერ დაწესებული ვალდებულებები ვერ იქნება აღსრულების საგანი.²¹⁰

3.2.3. Ex Nunc სისტემაში არსებული გამონაკლისები

არსებობს მოდელები, სადაც დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს Ex Nunc ფუნქცია, თუმცა ამ ძირითადი წესიდან, მაინც ითვალისწინებს კანონმდებლობა ან სასამართლო პრაქტიკა საგამონაკლისო შემთხვევებს.

ვენეციის კომისიის კვლევების მიხედვით, ამის ყველაზე კარგი მაგალითია ჩეხეთის რესპუბლიკა, სადაც არსებობს ვრცელი სასამართლო პრაქტიკა აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით დგინდება ნორმის არაკონსტიტუციურობა, რომელსაც აქვს Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც გარანტირებულია ჩეხეთის კონსტიტუციით, ასევე, მოიცავს კანონის განსაზღვრულობის პრინციპსაც, რაც, თავის მხრივ მოიცავს კანონის მიმართ ნდობის დაცვის საკითხს, კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპს და პრინციპს, რომ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობას არ აქვს უკუძალა.²¹¹ თუმცა, ეს პრინციპი თავად ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არ არის გაგებული, როგორც აბსოლუტური და ზედმეტად ფორმალისტური მოცემულობა. საგამონაკლისო შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვს უკუძალა. პრაქტიკის მიხედვით „ამგვარი გამონაკლისები დასაშვებია, თუ ეს აბსოლუტურად აუცილებელია, როგორც უკანასკნელი გამოსავალი კონსტიტუციურობის დაცვის მიზნით და თუ არის პროპორციული ჩარევა კანონის განსაზღვრულობის პრინციპში, განსაკუთრებით კი ვერტიკალურ ურთიერთობებში, თუ არაკონსტიტუციური ნორმა

²¹⁰ Constitutional Court Act of the Slovak Republic, Art. 72.4 - <https://www.ustavnysud.sk/en/collection-of-findings-and-rulings> [15.09.2019].

²¹¹ Finding of the Constitutional Court of the Czech Republic ref. IV 1777/07 of 18 December 2007.

არეგულირებს სახელმწიფო ორგანოებსა და ინდივიდს შორის ურთიერთობას და ინდივიდი ამგვარი ნორმის ძალადაკარგულობით ნახავს სარგებელს“.²¹²

ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მიუთითებს, რომ „ვერტიკალურ ურთიერთობებში, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას შესაძლოა, ჰქონდეს უკუძალა, ვინაიდან ამგვარ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია, პრიორიტეტი მიენიჭოს ფუნდამენტური ურთიერთობების დაცვას კანონის განსაზღვრულობასთან და კანონის მიმართ ნდობასთან შედარებით. როდესაც ხდება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა და სახელმწიფო ორგანოთა მოქმედებების შეფასება, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების ფონზე, ნამდვილი უკუძალის მინიჭება არ ეწინააღმდეგება ინდივიდთა კანონის მიმართ ნდობის პრინციპს და ასევე, არ ეწინააღმდეგება კანონის განსაზღვრულობის პრინციპის ან შეძენილი უფლებების დარღვევას“.²¹³

ზემოთ დასახელებული პრაქტიკის მიხედვით, უნდა ითქვას, რომ მესამე პირთა უფლებები შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების უკუძალით გავრცელების შემზღუდველი ფაქტორი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო თავად წყვეტს საკუთარი გადაწყვეტილებების ეფექტს.²¹⁴

3.2.4. მკაცრი Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი ყველაზე მკაცრი მნიშვნელობით გულისხმობს, რომ სამართლის არაკონსტიტუციური ნორმა ვრცელდება იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც მანამ წარმოიშვა, სანამ ნორმის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება შევიდოდა ძალაში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზეგავლენას ვერ

²¹² Finding of the Constitutional Court of the Czech Republic ref. Pl. ႁS 55/10 of 1 March 2011

²¹³ Finding of the Constitutional Court of the Czech Republic ref. Pl. ႁS 38/06 of 6 February 2007

²¹⁴ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Georgia Amicus Curiae Brief for The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases, Strasbourg, 25 June 2018 Opinion No. 923 / 2018 CDL-AD(2018)012, 68.

ახდენს იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც დასრულდა გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე. ამგვარი მიდგომა ეფუძნება ლოგიკას, რომლის მიხედვითაც კანონის განსაზღვრულობის პრინციპი უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე უფლების ინდივიდუალური დაცვა.

მოცემული სამართლებრივი ეფექტის ყველაზე მკაცრი ფორმით გამოყენებით ცნობილია ავსტრია, რომლის ფედერალური საკონსტიტუციო სამართლის 140-ე მუხლის მე-7 პარაგრაფის მიხედვით, სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა კვლავ ვრცელდება იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელებიც განხორციელდა სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, „მიმდინარე საქმის“ გამონაკლისის გარდა. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაძლებელია, გაავრცელოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა დროის გარკვეული მონაკვეთით ისეთ სამართალწარმოებაზე, რომელიც პარალელურად მიმდინარეობს საერთო სასამართლოებში ან ადმინისტრაციულ ორგანოებში, იმავე დროს.²¹⁵

მიმდინარე საქმის წესის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც Ex Nunc სამართლებრივი ძალის მკაცრად გამოყენება ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ნორმა გაუქმებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, მოსარჩელის უფლებები კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის შემთხვევაში ვერ იქნება დაცული, ვინაიდან ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა მიმართულია მხოლოდ მომავლისკენ. არაკონსტიტუციური ნორმა, კვლავ აგრძელებს მოქმედებას, მიმდინარე საქმის ფარგლებშიც, თუ განსახილველი ფაქტები მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.²¹⁶

Ex Nunc სამართლებრივი ძალის მკაცრი რეგულირებით, ასევე გამოირჩევიან პერუ, რუმინეთი, სლოვენია, უნგრეთი.

პერუს, კონსტიტუციის 204-ე მუხლი მიუთითებს, რომ „გადაწყვეტილებას, რომლითაც სრული ან ნაწილობრივი არაკონსტიტუციურობა ცხადდება არ აქვს

²¹⁵ იხ. იქვე, 52.

²¹⁶ იხ. იქვე, 53.

რეტროაქტიური ძალა“.²¹⁷ მსგავსია რუმინეთის მიდგომაც - „გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან, გადაწყვეტილებები ზოგადად მავალდებულებელი ხასიათისაა და ეფექტს იძენს მხოლოდ მომავლისთვის“.²¹⁸ სლოვენიას საკონსტიტუციო სასამართლოს პროცედურული წესების 44-ე მუხლი ადგენს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის ან მისი ნაწილის გაუქმება მიემართება იმ ურთიერთობებს, რომლებიც დაფუძნდა მანამ, სანამ გაუქმება შევიდოდა ძალაში, თუ ამ დღემდე ასეთი ურთიერთობები არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი“.²¹⁹

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი დარეგულირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 45.1-3. მუხლით²²⁰. გაუქმებული კანონი ან მისი მუხლი კარგავს ეფექტს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების თარიღის შემდეგ და ამ თარიღიდან აღარ გამოიყენება. კანონი, რომელიც გამოქვეყნდა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, აღარ შედის ძალაში. თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად გამოაცხადებს კანონს, რომელიც გამოიყენეს კონკრეტულ საქმეში და ეს საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა საერთო სასამართლომ ან საკონსტიტუციო საჩივრის საფუძველზე შევიდა, არაკონსტიტუციურად გამოცხადებული კანონი არ გამოიყენება ამ კონკრეტულ საქმეზე.

როგორც ძირითადი წესი, კანონის არაკონსტიტუციურად გამოცხადება, არ ახდენს გავლენას სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელიც სათავეს იღებს ნორმის მიღებიდან და დასრულებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება სისხლის სამართლის და

²¹⁷ Political Constitution of Peru, Art. 204 - <http://www.congreso.gob.pe/eng/constitution/> [14.05.2019].

²¹⁸ Constitution of Romania - <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ro/ro021en.pdf> [14.05.2019].

²¹⁹ The Rules of Procedure of the Constitutional Court of the Republic of Slovenia, Art. 44.1 - <https://www.us-rs.si/media/the.rules.of.procedure.2011.pdf> [14.05.2019]

²²⁰ Act on the Constitutional Court of Hungary, Art 45. - <https://hunconcourt.hu/act-on-the-cc/> [14.05.2019]

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, ე.ი. საქმეებზე რომელშიც კანონი შესაბამის პირებზე რეპრესიულად მოქმედებდა.²²¹

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ 1992 წელს იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Ex Nunc სამართლებრივი ძალის კონსტიტუციურობაზე.²²² ამ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის იმ ნორმების გაუქმებას, რომელიც მოცემული ეფექტის გამოყენების სამართლებრივ საფუძველს ქმნიდა. სადავო მუხლი Ex Nunc სამართლებრივი ძალის კონტექსტში, სტანდარტულად ადგენდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებულად გამოცხადებული სამართლებრივი ნორმის გამოყენება არ შეიძლებოდა გადაწყვეტილების ოფიციალურ ჟურნალში გამოცხადების თარიღიდან.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და გადაწყვეტილების ძირითადი ხაზი აგებული იყო სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის მნიშვნელობაზე.

სასამართლომ განმარტა, რომ „Ex Nunc სამართლებრივი ეფექტი არ არღვევს კონსტიტუციის მოთხოვნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადება, არ ნიშნავს მის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების შეცვლის საფუძველს. სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე დამყარდა, დამოუკიდებელი გახდა, რადგანაც ისინი ავტომატურად არ იზიარებენ არაკონსტიტუციური ნორმის ბედს. სხვა შემთხვევაში, ყველა არაკონსტიტუციურობა გამოიწვევს ყველა შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობების ავტომატურ ცვლილებას. სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც იდეა, დაიბადა საკონსტიტუციო

²²¹ Drinóczi T., Temporal Effects of Decisions of the Hungarian Constitutional Court, “The Effects of Judicial Decisions in Time”, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 88.

²²² Decision (n25) 1152-1153, of the constitutional court.

სასამართლოს აქტის შექმნისას. ყველა ძალაში მყოფი კანონის კონსტიტუციური კონტროლის პრინციპებთან ჰარმონიზაციისთვის, აქტი ითვალისწინებდა, რომ იურიდიული წესები დაკარგავდნენ თავის ვალიდურობას მათი არაკონსტიტუციურობის განმსაზღვრელი გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღეს და მანამდე წარმოებული იურიდიული ურთიერთობები ხელშეუხებელი რჩებოდა. გვიანდელ ურთიერთობებში ლეგალურად ჩარევა ნებადართული იყო მხოლოდ მაშინ თუკი ასეთ ჩარევას ითხოვდა სამართლებრივი სიმტკიცის მეტოქე სხვა სამართლებრივი პრინციპი. მაგალითად, საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმა, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ პირს ეხებოდა, ყოველთვის იძლეოდა საშუალებას, საერთო იურისდიქციის სასამართლოში საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვა განხორციელებულიყო“.²²³

3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი

3.3. შესავალი

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი, როდესაც იგი ადგენს ძალადაკარგული ნორმის გამოყენებას გარკვეული დროით მომავალში, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შევა მხოლოდ ამ დროის გასვლის შემდეგ, როგორც სასამართლოს მიერაა მითითებული.

სხვადასხვა ქვეყნის შიდაეროვნულ კანონმდებლობაში, სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი, როგორც წესი არ გამოიყენება ზოგად წესად. თუმცა, მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები, ხშირად აძლევენ თავიანთ გადაწყვეტილებებს Pro Futuro სამართლებრივ ეფექტს, აღნიშნული კი, იმ შემთხვევაში ხდება, თუ ხედავენ საჭიროებას, რომ აუცილებელია

²²³ იხ. იქვე 42.

მიეცეს კანონმდებელს დრო, რათა შესაბამისი ცვლილება შეიტანოს არაკონსტიტუციურად გამოცხადებულ ნორმაში ან თუ მათ უნდათ, რომ თავიდან აირიდონ „საკანონმდებლო შიმშილი“ ან, უზრუნველყონ სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპი.

მოკლედ, რომ აღვწერთ, ამ საკითხისადმი გაბატონებული დამოკიდებულების ზოგადი მდგომარეობა შემდეგნაირია: ავსტრიის საკონსტიტუციო კანონმდებლობის მიხედვით დაწესებულია არაკონსტიტუციური ნორმის შემდგომი გამოყენება, დადგენილი ბოლო ვადის ამოწურვამდე. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ, შესაძლოა შეაჩეროს ბათილობის დეკლარაცია. გერმანიაში მიღებულია გაუქმებული ნორმის გამოყენება, ხოლო საფრანგეთში არაკონსტიტუციური ნორმის ბათილობის გადადება. ბელგიური წესი განსხვავებულია. ბელგიის სამართლის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია ანულირება მოახდინოს არაკონსტიტუციური სტატუტის Ex Tunc სამართლებრივი ძალით, მაგრამ აქვს უფლებამოსილება დააზუსტოს ანულირებული ნორმის რომელი დროებითი ეფექტი უნდა გამოიყენოს, რომელსაც ასევე სასამართლო განსაზღვრავს. ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლო არ აჩერებს აქტის ანულირებას, მაგრამ გადაწყვეტილება წარმოადგენს ახალ სამართლებრივ საფუძველს იმისათვის, რომ გარკვეული დროით, მომავალში მაინც, შენარჩუნდეს ძალადაკარგულად გამოცხადებული აქტის შედეგები.²²⁴

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ Pro Futuro სამართლებრივი ძალის ალტერნატივად, მაგალითად, ისრაელში იყენებენ „გაუქმების დეკლარირების შეჩერების“, ხოლო საფრანგეთში „გადადებულ გაუქმებას“.²²⁵ მიუხედავად ამ ტერმინოლოგიური სხვაობისა, სამეცნიერო წრეები, მათ მაინც Pro Futuro სამართლებრივი ძალის ქუდქვეშ განიხილავენ.

²²⁴ Popelier P., Verstraelen S., Vanheule D., Vanlerberghe B., The Effect of Judicial Decisions in Time: Comparative Notes, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 10.

²²⁵ Millet F.X., Temporal Effects of Judicial Decisions in France, “The Effects of Judicial Decisions in Time”, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014. 114.

3.1.2. საერთაშორისო გამოცდილება

3.1.2.1. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა

გერმანია არის ერთ-ერთი იმ ქვეყნებიდან, რომელიც, ასევე იყენებს ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მოქმედების ძალის Pro Futuro მექანიზმს. ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შემთხვევაში, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს უკიდურეს ვადას ამ არაკონსტიტუციური დებულების შემდგომი დროებითი გამოყენებისათვის. გფსს-ს ასევე შეუძლია დაადგინოს ვადა, სადამდეც კანონმდებლობამ უნდა შექმნას ახალი რეგულაცია. აღნიშნული პერიოდის ხანგრძლივობა განისაზღვრება ისეთი ასპექტების შესაბამისად, როგორებიცაა დარღვევის სერიოზულობა ან სხვა გადაუდებლობები, ასევე, გასათვალისწინებელია, ახალი რეგულაციების სირთულე და განსაკუთრებული მოთხოვნები დასარეგულირებელ საკითხთან დაკავშირებით.²²⁶

უნდა აღინიშნოს, რომ Pro Futuro მექანიზმი პირდაპირ არ არის დარეგულირებული გერმანიის საკონსტიტუციო იუსტიციის კანონმდებლობაში. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივი აქტის ბათილობის ნაცვლად, ხშირად მიმართავს ამ უკანასკნელ გამონაკლის საშუალებას, რომელიც პრინციპში აღარც არის გამონაკლისი. რეტროაქტიურობის მიდგომიდან Pro Futuro ფუნქციაზე გადასვლის სამართლებრივ საფუძვლად მიიჩნევა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის 35-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „თავის გადაწყვეტილებაში, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება განაცხადოს, ვის მიერ უნდა შესრულდეს იგი. ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება აღინიშნოს, აგრეთვე შესრულების მეთოდი“.

²²⁶ Gertrude L-W., The Constitutional Court's Relationship To Parliament And Government, National report prepared for the XVth Congress of the Conference of European Constitutional Courts by The Federal Constitutional Court of Germany, 2014, 285.

3.3.2.1.1. გადაწყვეტილების Pro Future სამართლებრივი ეფექტის გამოყენების

ზოგადი საფუძვლები

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ჩვეულებრივ ორი ალტერნატიული გარემოება არსებობს, რომლის საფუძველზეც მან, შესაძლოა, კანონის არაკონსტიტუციურობის შემთხვევაში, თავი შეიკავოს კანონის გაუქმებულად ცნობისგან და ამის ნაცვლად Pro Futuro სამართლებრივი ძალა გამოიყენოს.²²⁷

- ❖ პირველი შემთხვევა, ეს არის, როდესაც საკითხი ეხება ისეთ კანონებს, რომელთა არაკონსტიტუციურობა, ვერ აღმოიფხვრება უბრალოდ მათი გაუქმებით, მაგრამ მათი „განკურნება“ სხვა გზით შეიძლება. არჩევანს კი, ამ დროს, ძალაუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით, აკეთებს კანონმდებელი და არა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო;
- ❖ მეორე შემთხვევაში ეს ეხება ისეთ საკითხს, როდესაც კანონის დაუყოვნებლივ ქმნის ისეთ იურიდიულ სიტუაციას რომელიც კონსტიტუციური წყობის უფრო ძლიერ კონფლიქტს იწვევს, ვიდრე ამას დროებით არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება გამოიწვევდა.

3.3.2.1.2. საგადასახადო საქმეები

Pro Futuro მექანიზმის გამოყენების, მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრების და ზემოთ მოცემული ნორმის მსგავსი განმარტების მატერიალური საფუძველი ასევე გახლავთ სამართლებრივი უსაფრთხოების გამოძახილი (ამ უკანასკნელს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს), რომლის მიზანი არის კანონმდებლისთვის საკმარისი დროის მიცემა

²²⁷ იხ იქვე, Bluggel J., Unvereinbarerklärung Normkassation durch das Bundesverfassungsgericht, Humbolt 1998, 3.

არაკონსტიტუციური რეგულაციიდან კონსტიტუციურ რეგულაციამდე „რბილი“ გადასვლის ორგანიზებისთვის, რომლის დროსაც თავიდან უნდა იყოს აცილებული კონსტიტუციურ რეგულაციაზე გადასვლის გვერდითი მტკივნეული ეფექტები. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სფეროში, როგორცაა საგადასახადო კანონმდებლობა, სადაც არსებობს გარკვეული საჯარო ინტერესი, რათა ფისკალური პროცესები არ შეწყდეს.²²⁸ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რომელშიც Pro Futuro მექანიზმია გამოყენებული ყველაზე ხშირად ეხება სწორედ საგადასახადო კანონმდებლობის კონსტიტუციურობის განხილვას. დასახელებული მოტივებით გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ბევრჯერ შეუშალა ხელი რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის გამოყენებას მაშინ, როდესაც აღნიშნული ბევრად შეამსუბუქებდა გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ტვირთს. ამ პრაქტიკის დამწყებ საქმედ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მიიჩნევა „შეუთავსებლობის“ საქმე, რომელიც 1966 წელს განიხილეს და მისთვის რეტროაქტიურობის მინიჭების შემთხვევაში გერმანიის ფედერალური მიწები კარგავდნენ თავისი წლიური საგადასახადო შემოსავლის 41 პროცენტს.²²⁹

საგადასახადო, საჯარო მოხელეების და საბიუჯეტო სამართლის მრავალი საქმე ამტკიცებს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ფისკალურ მიზანშეწონილობას კანონმდებლის, მიმართ, ასევე მის წინასწარ მზადყოფნას, დაიცვას საჯარო ფონდები განმანიაველებელი არაკონსტიტუციურობისგან და მერყევი ბიუჯეტური შედეგებისგან რაც გამოწვეული იქნება არაკონსტიტუციური დებულების დაუყოვნებლივ გაუქმებით. ამის გათვალისწინებით²³⁰ სასამართლო ხაზს უსვამს იმას რომ, არაკონსტიტუციური საგადასახადო სამართლის დებულების უწყვეტი

²²⁸ Drinoczi T., scheider P., The Legitimation of a Re-Enactment of Former Law and Temporal Effects of Judgments in a Constitutional Democracy, “comparative study in the light of recent jurisprudence of crotias constitutional court, 2014, 36

²²⁹ BVerfGE 21, p. 12 (p. 39f)

²³⁰ Schroeder W., Temporal Effects of Decisions of the German Federal Constitutional Court, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 28.

გამოყენება, რომელიც დროის ფაქტორით არის შეზღუდული, შესაძლოა აუცილებელი იყოს იმის გამო რომ მოხდეს სახელმწიფო ფისკალური აქტივობის და სტაბილურობის შესაძლებლობის დაცვა.²³¹

ასევე, აღსანიშნავია ის, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ზოგიერთ გადაწყვეტილებებში, მისი ზოგადი შორს გათვლილი ფისკალური მიზანშეწონილობის მიუხედავად, თავს იკავებს არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმის გაუქმების სამომავლო გადადებისგან (Pro Futuro სამართლებრივი ძალის გამოყენება), რადგან ის არ მიიჩნევს გაუქმების გადაწყვეტილების ფისკალურ გავლენას იმდენად სერიოზულად, რომ საჭიროდ ჩათვალოს Pro Futuro სამართლებრივი ძალის გამოყენება.²³² მაგალითად, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში სტუდენტების გადასახადთან დაკავშირებით, რომელიც მათ ყოველი სემესტრის დასაწყისში ეკისრებოდათ, გადაწყვიტა, რომ არ გამოეყენებინა გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი. სასამართლომ განმარტა და დაასაბუთა, რომ ფინანსური დანაკარგი, რომელიც გაუქმების გადაწყვეტილების შედეგად მიაღებოდა მხარეს, ვერ გაამართლებდა დაუყოვნებლივ გაუქმების (Ex Nunc) თავშეკავებას, სანდო ფისკალური და ბიუჯეტური დაგეგმარების ინტერესის გათვალისწინებით. საქმიდან ვერ დადგინა ის გარემოება, რომ თანხა, რომელიც მიიღებოდა სტუდენტების გადასახადიდან არ წარმოადგენდა იმ მნიშვნელობის ოდენობას წლიური ბიუჯეტისთვის, რომ მისი დაუყოვნებლივ (Ex Nunc) გაუქმება საფრთხის ქვეშ არ დააყენებდა რეგიონის ფისკალურ შესაძლებლობებს..²³³

3.1.2.1.3. ალტერნატივები არაკონსტიტუციურობის აღმოსაფხვრელად

არსებობს შემთხვევები, რომლებიც გვთავაზობს არაკონსტიტუციური სიტუაციის გამოსწორების ალტერნატიულ გზას საკამათო კანონის გაუქმებასთან ერთად. ეს ძირითადად ეხება კანონებს რომლებიც არღვევენ თანასწორობის უფლებას.

²³¹ BverfGE 3153

²³² Schroeder W., Temporal Effects of Decisions of the German Federal Constitutional Court, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 29.

²³³ BverfGE 1733

ეს უფლება ირღვევა მაშინ, როდესაც არსებითად თანასწორ პირებს უთანასწოროდ მოექცნენ ან არსებითად არათანასწორებს თანასწორად. თანასწორობის პრინციპების დარღვევის შემთხვევაში, ჩვეულებრივ პრობლემის გადაჭრის რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს.

სამართლის ნორმები, რომლებიც მოქალაქეთა ჯგუფების დისკრიმინაციას ახდენენ, შესაძლოა მათი გავრცობა ან მათი სრულიად გაუქმება მოხდეს. მესამე არჩევანი არის დისკრიმინაციის გაუქმება ახალი სამართლებრივი რეჟიმის სრულიად ახლებური საფუძველის შემოღებით. ძალაუფლების დანაწილების პრინციპის მიხედვით, კანონმდებლის პრეროგატივაა გადაწყვიტოს რა საშუალებით უნდა დარეგულირდეს დისკრიმინაციული სამართლებრივი მოცემულობა. ამის საპირისპიროდ, სასამართლოს აქვს მხოლოდ კანონის ინტერპრეტაციის უფლება და არა მათი თავიდან შექმნის. ამგვარ შემთხვევებში, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო პატივს, სცემს კანონმდებლის ძირითად პასუხისმგებლობას, რომ აარჩიოს სხვადასხვა საშუალებებიდან ერთ-ერთი და გამოასწოროს დისკრიმინაციული სიტუაციის გამომწვევი გარემოება.

ერთ-ერთ ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის გადაწყვეტილება არამწვევლთა კანონის დებულების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით. კანონი დიფერენცირებას ახდენდა დიდ რესტორნებსა და პატარა პაბებს შორის. სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელს შეუძლია დაუშვას ან სრულიად აკრძალოს საჯარო დაწესებულებებსა და რესტორნებში მოწვევა ან შემოგვთავაზოს გარკვეული გამონაკლისები, შესაბამისად, სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოცხადების შემდეგ სწორედ საკანონმდებლო ორგანოს დაუთმო ასპარეზი დიფერენცირების აღმოსაფხვრელად.²³⁴

²³⁴ BverfGE 2409,2419

3.1.2.1.4. სპორტული ნაძლევის საქმე

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან, საინტერესოა სანაძლეოს დადების საქმე, რომელიც წარმოადგენს გერმანიის დამოკიდებულების მაგალითს სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივ ძალასთან დაკავშირებით. გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა კერძო ბუკმეიკერის კონსტიტუციური სარჩელი, იყო თუ არა ბავარიის სახელმწიფო ლატარიის აქტი შესაბამისობაში საქმიანობის თავისუფლებასთან, რაც დაცული არის გერმანიის ძირითადი კანონის მე-12 მუხლით. ლატარიის აქტი უზრუნველყოფდა სახელმწიფო ლატარიის (სანაძლეოს დადების) მონოპოლიას ბავარიაში და კრძალავდა სპორტულ თამაშებზე სანაძლეოს დადების ნებისმიერი სახის კერძო აქტივობას. უფრო მეტიც, გერმანიის სისხლის სამართლის მიხედვით, სანაძლეოს დადება დანაშაულად მიიჩნეოდა. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ლატარიის აქტი შეუსაბამო იყო გერმანიის ძირითად კანონთან. მან დაუყოვნებლივ არ გააუქმა აქტი მაგრამ განაცხადა რომ ის ქმედითი იქნებოდა გარდამავალი პერიოდის მანძილზე, რომელიც 2007 წლის 31 დეკემბერს მთავრდებოდა.²³⁵

ამ საქმეზე გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებელს მოცემული არაკონსტიტუციური ნორმის აღმოსაფხვრელად და გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად ჰქონდა ორი კონსტიტუციური გზა. ამ გზებს შორის არჩევანი კი, კანონმდებელს უნდა გაეკეთებინა. ერთი გზა იყო, რომ კანონმდებელს შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრივი მონოპოლია სპორტზე სანაძლეოს დადებაში, მაგრამ ამავდროულად, ვალდებული იქნებოდა ებრძოლა გერმანელი მომხმარებლების თამაშდამოკიდებულების პრობლემების წინააღმდეგ. მეორე მხრივ კი, მას, ასევე შეეძლო სპორტზე სანაძლეოს დადების ბაზრის ლიბერალიზება, მაგრამ ინდუსტრიის

²³⁵ BverfGE 1054/01

ეფექტური კონტროლის წარმოება საჯარო ხელისუფლების მონაწილეობით.²³⁶ ამ ალტერნატივებს შორის გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ არჩევანი კანონმდებელს მიაჩნდა.

3.1.2.1.5. საჯარო მოხელეების ანაზღაურების საქმე

Pro Futuro სამართლებრივი ძალის გამოყენების კლასიკური შემთხვევის უფრო ადრეულ მაგალითს წარმოადგენს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, რომელიც საჯარო მოხელეების ხელფასს ეხებოდა.²³⁷ სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეული ფედერალური კანონი ხელფასებთან დაკავშირებით ადეკვატურად არ შეესაბამებოდა საჯარო მოხელეების საარსებო მინიმუმ მოთხოვნებს და ამიტომ, არაკონსტიტუციურად ცნო შესაბამისი ნორმები. თუკი გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, კანონს ხელფასებთან დაკავშირებით, არაკონსტიტუციურად გამოაცხადებდა, გადაწყვეტილების აღსრულებამდე კანონის ბენეფიციარებს არ ექნებოდათ არანაირი მოთხოვნა ხელფასთან დაკავშირებით, რადგან ძირითადი კანონი საჯარო მოხელის საარსებო ანაზღაურებას დამოკიდებულს ხდიდა არსებულ საკანონმდებლო წესებზე დაყრდნობით. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაინახა შესაძლებლობა, რომ თავად დაეწესებინა გარდამავალი რეჟიმი. მოცემული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა Pro Futuro სამართლებრივი ძალის გამოყენებასთან კომბინაციაში იძლეოდა გარანტიას რომ საჯარო მოხელეები არ დაკარგავდნენ მათთვის არსებულ შემოსავალს სანამ გადასინჯული კონსტიტუციური რეჟიმი არ შევიდოდა ძალაში.²³⁸ მოცემული გადაწყვეტის წყალობით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ინარჩუნებს არსებულ არაკონსტიტუციურ სიტუაციას. ამავდროულად, სასამართლო თავიდან ირიდებს „იურიდიული ვაკუუმის“

²³⁶ Schroeder W., Temporal Effects of Decisions of the German Federal Constitutional Court, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum), Cambridge 2014, 25.

²³⁷ BverfGE 1261,1267

²³⁸ Schroeder W., Temporal Effects of Decisions of the German Federal Constitutional Court, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum), Cambridge 2014, 25.

წარმოშობას, როგორც ამას თავად სასამართლო ემახის ან „იურიდიულ ქაოსს“, როგორც ეს მოიხსენიება აკადემიურ იურიდიულ ლიტერატურაში. ამის მაგივრად, სასამართლო არჩევანს აკეთებს არაკონსტიტუციური ნორმის სასარგებლოდ, მაგრამ ეს მიდგომა უფრო კონსტიტუციურია ვიდრე მსგავსი ნორმის მყისიერი გაუქმება.²³⁹

3.1.2.1.6. ვადების და ღირებულებების დაწესება

გერმანიის შემთხვევაში Pro Futuro მექანიზმის უკიდურესი ვადა ერთიდან ორ წლამდე მერყეობს²⁴⁰, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ის უფრო გრძელიც შეიძლება იყოს. მაგალითად, მას შემდეგ, რაც არჩევნების შესახებ კანონის ერთ-ერთი დებულება არაკონსტიტუციურად გამოცხადდა, რომელიც არჩევნებზე დაკვირვების პროცედურებს ეხებოდა, კანონმდებელს მიეცა თითქმის სამწლიანი ვადა ახალი დებულების მისაღებად.²⁴¹ ასევე, არის შემთხვევები, როდესაც Pro Futuro სამართლებრივი ძალის მისაღწევად ერთ წელზე ნაკლები ვადაც ინიშნება. სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სოციალური სარგებლის შესახებ დებულებები, რომლებთან დაკავშირებითაც საკანონმდებლო ორგანოს მიეცა თერთმეტ თვეზე ნაკლები ვადა სოციალური სარგებლის შესახებ ახალი დებულებების მისაღებად. აღნიშნულის მიზეზი გახლდათ ის, რომ სოციალური სარგებლისთვის გათვალისწინებული თანხები, საარსებო მინიმუმის თაობაზე არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში.²⁴²

ქონების გადასახადის შესახებ კანონის მიღების შემთხვევაში, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უნდა გაგრძელებულიყო ნორმის გამოყენება, ვინაიდან ასეთი ფორმით, თავიდან აიცილებდნენ არასასურველ სამართლებრივ შედეგებს, რომელიც შეიძლება წარმოშობილიყო თუ საკანონმდებლო ორგანო არ შეასრულებდა ახალი დებულების

²³⁹ იხ. იქვე, Schuppert G.F. “Rigiditat und Flexibilitat von Verfassungsrecht”, 1995, 32.

²⁴⁰ BVerfGE 117

²⁴¹ Barbateanu V., The action in time of constitutional courts, Journ. “Constitutional review constitutional jurisdictions”, 2013,507.

²⁴² BVerfG, judgment of the First Senate of 9 February 2010 – 1 BvL 1/09.

შექმნის ვალდებულებას ან ამას ვერ მოახერხებდა მისთვის დადგენილ ვადაში. სასამართლომ დაადგინა, რომ ქონების გადასახადის შესახებ კანონს მოქმედება უნდა გაეგრძელებინა 1996 წლის 31 დეკემბრამდე. თუ იმ დროისთვის ახალი დებულება არ იქნებოდა შექმნილი ნათელია, რომ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, ქონების გადასახადის შესახებ კანონის შესაბამისი დებულება აღარ გამოიყენებოდა და რომ, ამ გადასახადის აკრეფვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან იქნებოდა წინააღმდეგობაში²⁴³.

ზოგიერთ შემთხვევაში, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, ახალი კონსტიტუციური კანონის მიღების ბოლო ვადასთან ერთად, იძლევა გარკვეულ სავალდებულო დირექტივებს, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოთხოვნები უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, სანამ მის მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონი გადაისინჯება.²⁴⁴

სასამართლო ხშირად, შესაძლოა არ ენდოს კანონმდებელს იმასთან დაკავშირებით, ეს უკანასკნელი როგორ განიხილავს ან შეასწორებს კონსტიტუციისთან შეუთავსებელ კანონს. სპორტული სანადლეოს საქმეში გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ გარკვევით ახსენა „ძირითადი კანონი და სამართლებრივი მოთხოვნები სანადლეოს მონოპოლიის კონსტიტუციურად სტრუქტურირებისთვის და დაადგინა, რომ კანონმდებელმა ეს მკაცრად უნდა განსაზღვროს.²⁴⁵

3.1.2.2. საფრანგეთის რესპუბლიკა

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს, აქვს უფლებამოსილება, რომ განისაზღვროს მომენტი, რომელიც წარმოადგენს მისი გადაწყვეტილებების ამოქმედების საწყის წერტილს, რაც, თავის მხრივ, არაკონსტიტუციურობის შედეგების ძალაში შესვლას ნიშნავს. აღნიშნული უფლებამოსილების სამართლებრივი

²⁴³ BVerfGE judgment of the First Senate 93, 121

²⁴⁴ BVerfGE 2487

²⁴⁵ BVerfGE 1054/01

საფუძველი არის კონსტიტუციის 62-ე მუხლი, რომელიც სასამართლოს აღჭურავს ძალაუფლებით, რომ დააწესოს გაუქმების თარიღი და გადაავადოს გადაწყვეტილების ეფექტები.²⁴⁶ საბჭოსთან დაკავშირებით აუცილებელია თავიდანვე გაკეთდეს განსხვავება კონსტიტუციურობის a priori და a posteriori უფლებამოსილებების მიხედვით²⁴⁷.

საბჭოს a priori უფლებამოსილებასთან მიმართებით, უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო Pro Futuro მექანიზმს, ძალზე იშვიათად იყენებს²⁴⁸. მაგალითად, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ კანონის შემთხვევაში, საბჭომ გადადო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტი. საბჭომ დაადგინა ექვსთვიანი ინტერვალი, რათა საკანონმდებლო ორგანოს ჰქონოდა შესაძლებლობა, გამოეწორებინა კანონის არაკონსტიტუციურობის პრობლემები. პარლამენტმა ძალიან მალე შეასრულა, თავისი ვალდებულება და მიიღო კანონი, რომელიც შეესაბამებოდა კონსტიტუციი მოთხოვნებს.²⁴⁹

სტატისტიკის კუთხით, საინტერესოა ერთ-ერთი მკვლევარის მიერ მოყვანილი ციფრები, რომელიც ამბობს, რომ საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს 110 გამაუქმებელი გადაწყვეტილებიდან, 19%-ის შემთხვევაში გადადებული აქვს გაუქმების თარიღი.²⁵⁰ ეს რიცხვები კარგი მაგალითია იმის დასაწახად, თუ რა ინტენსივობით გამოიყენება მოცემული მექანიზმი საფრანგეთში.

2008 წელს განხორციელებულმა ცვლილებამ, გზა გაუხსნა კონსტიტუციურობის a posteriori კონტროლს. ეს ცვლილება იყო ნამდვილი რევოლუცია საფრანგეთის რესპუბლიკის იურიდიულ ტრადიციებთან მიმართებით. 2010 წლის პირველი

²⁴⁶ Constitution of France 4 October 1958, - <https://www.conseil-constitutionnel.fr/en/constitution-of-4-october-1958> [12.09.2019].

²⁴⁷ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2008, 26.

²⁴⁸ Sweet A.S. The Constitutional Council and the Transformation of the Republic, Journ. "Yale Law School Legal Scholarship Repository", 2008, 2.

²⁴⁹ The French Constitutional Council Decision 2008-564 DC of the 19th of June 2008.

²⁵⁰ Millet F.X., Temporal Effects of Judicial Decisions in France, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 116.

მარტიდან დაწყებული, საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლომ შეაბიჯა ევოლუციის ახალ ერაში. ამ თვალსაზრისით, საფრანგეთის კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილი აცხადებს, რომ a posteriori მიმოხილვის შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი დებულება უქმდება საკონსტიტუციო საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, ან აღნიშნულ გადაწყვეტილებაში განსაზღვრული შემდგომი თარიღიდან²⁵¹. ამ საკონსტიტუციო ნორმაზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გაუქმების შედეგების დროში ცვლილების თაობაზე.²⁵²

საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭომ, ეს შესაძლებლობა უკვე გამოიყენა და რამდენიმე შემთხვევაში, დაადგინა გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი მანამ, სანამ ნორმა მოქმედი იქნებოდა. ასეთი ფორმით, საბჭომ პარლამენტს მისცა შესაძლებლობა, რომ შეეცვალა სამართლებრივი დებულება და ასე გაქცეოდა საკანონმდებლო ვაკუუმს. იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო ორგანო დადგენილ ვადაში არ აღასრულებს არაკონსტიტუციურობის გამოსწორების და ვაკუუმის ამოვსების ვალდებულებას, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა წყვეტს მოქმედებას.

მაგალითისთვის, საინტერესოა საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილება, რომელშიც განხილული იყო იმ მეომრების საპენსიო უზრუნველყოფის ნორმები, რომლებმაც დაკარგეს საფრანგეთის მოქალაქეობა დეკოლონიზაციის პროცესების შედეგად. საბჭომ დაადგინა, რომ მსგავსი პირების მიმართ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმები უნდა შეცვლილიყო 2011 წლის პირველი იანვრიდან.²⁵³

²⁵¹ Constitution of France 4 October 1958, Article 62,

<https://www.conseil-constitutionnel.fr/en/constitution-of-4-october-1958> [14.07.2019წ]

²⁵² Barbateanu V., The action in time of constitutional courts, Journ. “Constitutional review constitutional jurisdictions”, 2013, 508.

²⁵³ The French Constitutional Council Decision 2010-1 QPC of the 28th of May 2010

3.1.2.2.1. საკონსტიტუციო საბჭოს ზოგადი მოტივაცია Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის გამოყენებისას

არსებობს რამდენიმე მიზეზი, თუ დაუყოვნებლივ რატომ არ აუქმებს საკონსტიტუციო საბჭო კანონს და იყენებს კონსტიტუციით მინიჭებულ თავის ძალაუფლებას, გადადოს ნორმის გაუქმების თარიღი, რომელიც, როგორც წესი დაახლოებით სამიდან ჩვიდმეტ თვემდე მერყეობს.²⁵⁴ საკონსტიტუციო საბჭოს მსგავსი მიდგომის ძირითადი მამოტივირებელი ძალა არის ის, რომ ზედმეტად არ ჩაერიოს საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში. საკონსტიტუციო საბჭო ყოველთვის ცდილობს აჩვენოს ინსტიტუციური პატივისცემა საკანონმდებლო ორგანოს მიმართ. სხვა მიზეზი არის დაკავშირებული იმ ფაქტთან, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში, მყისიერ გაუქმებას, შეიძლება ჰქონდეს უფრო საზიანო შედეგები, ვიდრე ექნება არაკონსტიტუციური კანონის ძალაში ყოფნის ვადის გაგრძელებას. როგორც წესი, მსგავს შემთხვევებში, საკონსტიტუციო საბჭო განჭვრეტადობის პრინციპს უფრო უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე კანონის უზენაესობის პრინციპს.²⁵⁵

კანონის არაკონსტიტუციურობის შევსება კანონმდებლის საქმეა. ამ პრინციპიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო საბჭო არის ყურადღებით, რომ არ ჩაერიოს კანონმდებლის უფლებამოსილებაში. მას არ დაბრალდეს თავისი უფლებამოსილების გადამეტება და საკუთარი როლიდან შორს წასვლა. ამიტომ, სასამართლოს, ხშირად ურჩევნია გაუქმების გადადება, ვიდრე მყისიერად ნორმის გაუქმება, რომლის გარდამავალი ზომებიც თავად სასამართლომ უნდა განსაზღვროს. ასეთ დროს სასამართლო თავის გადაწყვეტილებას უჭერს მხარს და ამბობს, რომ საკონსტიტუციო საბჭოს არ აქვს ზოგადი ძალაუფლება ისეთი შეფასების, როგორც აქვს პარლამენტს. საბჭომ ეს დამოკიდებულება, განსაკუთრებით აჩვენა სისხლის სამართლის საქმეებზე. მაგალითად, თავის ცნობილ გადაწყვეტილებაში, იმ კანონის

²⁵⁴ The French Constitutional Council Decision 2012-268 QPC of the 27th of July 2012.

²⁵⁵ Millet F.X., Temporal Effects of Judicial Decisions in France, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 116.

ძალადაკარგულად გამოცხადებით, რომელიც არეგულირებდა პოლიციის მიერ დაკავებას, გადაწყდა, რომ „საკონსტიტუციო საბჭოს უფლებამოსილების ნაწილში არ შედის, განსაზღვროს სისხლის სამართლებრივი პროცედურების წესებში ცვლილება იმისათვის, რომ განხორციელდეს არაკონსტიტუციური ბუნების მქონე სადავო ნორმების კომპენსირება“.²⁵⁶ მსგავსი მიდგომა დაფიქსირდა ინტერნეტ დომეინების სახელების საქმეზე,²⁵⁷ სადაც მოსამართლეები დაეყრდნენ არგუმენტს, რომლის მიხედვითაც „საკონსტიტუციო საბჭო არ არის ვალდებული თავის აქტში განსაზღვროს სამოქალაქო და კომერციული ვალდებულებების ძირითადი პრინციპები, რომლებიც შეძლებს ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურობის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას“.²⁵⁸

3.1.2.2.2. საკვანძო საქმე

საკონსტიტუციო საბჭოს აქტისადმი Pro Futuro სამართლებრივი ძალის მინიჭების კუთხით, საფრანგეთში „საკვანძო გადაწყვეტილებად“²⁵⁹ მიიჩნევა 2011 წლის 25 მარტს განხილული საქმე, რომლის ფარგლებშიც საბჭომ პირველად დააფიქსირა თავისი ძალაუფლების არეალი Pro Futuro სამართლებრივი ძალის კონტექსტში.

ამ ქეისში მოსამართლეებმა შეისწავლეს სამოქალაქო და სამხედრო პენსიაში გასვლის კოდექსის ნორმა, რომელიც აწესებდა უფლებას მემკვიდრის პენსიაზე, როდესაც არსებობდა ერთზე მეტი უფლებამონაცვლე სხვადასხვა ოჯახიდან. იმ შემთხვევაში, როცა სულ მცირე ორი ოჯახი იყო შედგენილი ერთი ან მეტი ნაშვილებით, სადავო ნორმა განსაზღვრავდა, რომ ოჯახებს შორის თანაბარი წილების გაყოფისას, არ უნდა მიღებულიყო მხედველობაში იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ნაშვილები იყვნენ შესაბამისი ოჯახების მიერ. საკონსტიტუციო საბჭოს წევრებმა მიიჩნიეს, რომ

²⁵⁶ The French Constitutional Council Decision 2010-14/22 QPC of the 30th of July 2010.

The French Constitutional Council Decision 2010-32 QPC of the 22th of September 2010.

²⁵⁷ The French Constitutional Council Decision 2010-45 QPC of the 6 October 2010.

²⁵⁸ Millet F.X., Temporal Effects of Judicial Decisions in France, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 117.

²⁵⁹ The French Constitutional Council Decision 2010-108 QPC of the 25th of 25 March 2011.

სადავო მუხლი არღვევდა თანასწორობის პრინციპს. თუმცა, მათ ასევე გადაწყვიტეს, რომ გადაევადებინათ გაუქმების თარიღი ცხრა თვით „იმისათვის რომ უფლება მიეცათ კანონმდებლისთვის, შეეფასებინა ქმედება, რაც იქნებოდა მიზანშეწონილი გამოესწორებინათ არაკონსტიტუციურობის შედეგები“. გაუქმების გადადება მჭიდრო კავშირშია ძალაუფლების დანაწილების დოქტრინასთან მიმართებით. ხშირად, კანონმდებლის მიმართ პატივისცემა დღის წესრიგში დგება კონკურენტული ინტერესების არსებობასთან კორელაციაში, რაც უნდა დაბალანსდეს კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით, რომლებიც საფრთხის ქვეშაა“. ²⁶⁰

მათ გადაწყვეტილება, მნიშვნელოვანწილად დააფუძვნეს იმ გარემოებაზე, რომ საბჭოს არ ჰქონდა იმდაგვარი ძალაუფლება, როგორც აქვს საკანონმდებლო ორგანოს და რომ სადავო მუხლის გაუქმებას ნაშვილებისთვის ექნებოდა მინიჭებული უფლებების გაუქმების ეფექტი (ლაპარაკია, იმ შემწეობაზე რასაც ისედაცილებდნენ). ²⁶¹ მსგავსი გადაწყვეტილება რომ არ მიეღო საბჭოს, გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი არათუ თავად, თვითაღსრულებადი აქტის მსგავსად, აღმოფხვრიდა არათანაბარი მოპყრობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ პირიქით, დააზარალებდა მათ და საკონსტიტუციო საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე დააკარგვინებდა იმ შემწეობასაც, რასაც ისინი იღებდნენ სადავო ნორმის გაუქმებამდე. ²⁶²

3.1.2.2.3. სპეციალური ტრიბუნალის საქმე

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო, საკმაოდ ხშირად იყენებს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივ ეფექტს, ხოლო მის გამოყენებას ძირითადად უკავშირებს სამართლებრივი ვაკუუმის არდატოვების და ძალაუფლების დანაწილების პრინციპებს, მის პრაქტიკაში მცირე ოდენობით მოიპოვება საქმეები,

²⁶⁰ იხ. იქვე.

²⁶¹ საინტერესოა, რომ თანასწორობის უფლების მიმართ Pro Futuro მექანიზმის გამოყენებისას, დაახლოებით მსგავსი პრაქტიკა დამკვიდრდა საქართველოშიც, რომლის თაობაზედაც, უფრო ზუსტად, ქვემოთ ვისაუბრებთ.

²⁶² Millet F.X., Temporal Effects of Judicial Decisions in France, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 120.

რომელშიც საბჭო ნაცვლად არაკონსტიტუციურობის გადადებისა თვითშემოქმედებას იჩენს. ასეთ საქმედ მიიჩნევა სპეციალური ტრიბუნალის კანონის განხილვა, რომლის განსჯადობაშიც შედიოდა საზღვაო კომერციული და სოციალური უსაფრთხოების დავები.²⁶³ დავის საგანს წარმოადგენდა ის, რომ ამ სპეციალურ ტრიბუნალში საქმეები უნდა განეხილათ სამხედრო და ფლოტის სამოქალაქო პერსონალისგან დაკომპლექტებულ მსაჯულებს. საკონსტიტუციო საბჭომ გააუქმა აღნიშნული რეგულაცია, რადგან სპეციალური ტრიბუნალის დაკომპლექტების წესი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებულ დამოუკიდებლობის გარანტიებს და სრულიად მოულოდნელად არ გამოიყენა გადაწყვეტილების მიმართ Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი. ამ ეფექტის გამოყენების მოლოდინს ის განაპირობებდა, რომ სპეციალური ტრიბუნალის დაკომპლექტების წესის გაუქმება, ფაქტობრივად რეგულაციის მიღმა ტოვებდა ამ სფეროს და საჭირო იყო, საკანონმდებლო ორგანოს მისცემოდა ვადა, რათა შეემუშავებინა სპეციალური ტრიბუნალის დაკომპლექტების კონსტიტუციური წესი, თან ისე, რომ ტრიბუნალის ფუნქციონირებას საფრთხე არ შექმნოდა. საკონსტიტუციო საბჭომ, მოცემულ შემთხვევაში თვითონ დაარეგულირა სპეციალური ტრიბუნალის დაკომპლექტების დროებითი წესი, რაც ყველასთვის გასაკვირი იყო, მით უფრო, რომ საბჭო მსგავსი კომპეტენციით არ იყო აღჭურვილი.

3.3.2.3. ბელგიის სამეფო²⁶⁴

ბელგიის კანონმდებლობა, ზოგიერთ შემთხვევაში იძლევა საშუალებას, გამოყენებული იყოს, გარკვეული დროით, გაუქმებული ნორმატიული აქტი.²⁶⁵ როდესაც სასამართლო გადაწყვეტს გამოიყენოს მოცემული უფლებამოსილება და

²⁶³ The French Constitutional Council Decision 2010-10 QPC of the 10th of 10 December 2010.

²⁶⁴ რადგან ბელგიის საკონსტიტუციო სასამართლო განიხილება, როგორც რეტროაქტიური სისტემის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, მისი Pro Futuro ეფექტს განვიხილეთ რეტროაქტიურობის შესაბამის თავში.

²⁶⁵ The Special Act on the Constitutional Court of Belgium, Article 8 paragraph 2 - <https://www.const-court.be/en/common/home.html> [08.07.2019]

გაუქმებულ სამართლებრივ დებულებას შეუნარჩუნოს ძალა, ის ამ დროს ითვალისწინებს არამხოლოდ მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს, არამედ, მთლიანად სამართლებრივი სისტემის საჭიროებებს. გაუქმებული ნორმატიული აქტის მოქმედების ძალის შენარჩუნება შესაძლოა იყოს საბოლოო ან დროებითი, შემოფარგლული დროის გარკვეული პერიოდით, რომელიც თავად სასამართლოს მიერაა დადგენილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს გაუქმებული სამართლებრივი ნორმების ძალის შენარჩუნება დროის ზუსტ მომენტამდე, რომელიც შეიძლება იყოს გამაუქმებელი გადაწყვეტილების წინა ან მომდევნო პერიოდი.²⁶⁶

3.3.2.4. ავსტრიის რესპუბლიკა

ავსტრიაში, 1920 წლის კონსტიტუციამ მოახდინა ნორმატიული აქტების განხილვის ცენტრალიზება ერთ საკონსტიტუციო სასამართლოში.²⁶⁷ 1920 წელს, სასამართლო უკვე აღჭურვილი იყო გადაწყვეტილების გამაუქმებელი ეფექტის გადავადების შესაძლებლობით, ვადის დაწესების მეშვეობით. თავდაპირველად გაუქმებული ნორმატიული აქტის მოქმედების გადადება შესაძლებელი იყო არაუმეტეს ექვს თვემდე ვადით. მოგვიანებით 1929 წელს ეს პერიოდი გაიზარდა ერთ წლამდე, ხოლო 1992 წელს -18 თვემდე ვადით.²⁶⁸

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს წესად გადაწყვეტილების Ex Nunc ეფექტს, ფაქტია (ამ მხრივ, ავსტრიულ სისტემაში დომინანტი არის „კანონიერი ნდობის“ იდეა), რომ ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო ე.წ. „გამაუქმებელი“ გადაწყვეტილებების თითქმის ნახევარში იყენებს Pro Futuro სამართლებრივ ეფექტს Ex Nunc ძალის ნაცვლად (გაუქმების ეფექტის ძალაში შესვლის გადავადება არის გამონაკლისი და არა

²⁶⁶ Barbateanu V., The action in time of constitutional courts”, Journ. “Constitutional review constitutional jurisdictions”, 2013. 507.

²⁶⁷ Stelzer M., The constitution of the Republic of Austria: A Contextual Analyses, Hart Publication, 2011, 176.

²⁶⁸ Stelzer M., Pro Futuro and Retroactive Effects of Rescissory Judgments in Austria, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 64.

წესი).²⁶⁹ გამონაკლისი წესის ზოგად წესად დამკვიდრება, ასევე შეიმჩნევა ისრაელის უზენაეს სასამართლოში, რომელიც იყენებს ძალადაკარგულობის დეკლარირების შეჩერებას, იგივე Pro Futuro სამართლებრივ ძალას, როგორც აუცილებელ მარეგულირებელ საშუალებას.²⁷⁰

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამაუქმებელი გადაწყვეტილებისთვის Pro Futuro სამართლებრივი ძალის მინიჭება ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს აღსრულების დროს, ფორმულირდება პოზიტიური კანონმდებლის მიერ შემუშავებული აპრიორი კონსტიტუციური რეგულაციით, რაც იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გამაუქმებელი გადაწყვეტილების საბოლოო შედეგი, არაკონსტიტუციური ნორმის გაუქმება ხდება ახალი კანონის მიღებით, რაც თავის მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადებში უნდა განხორციელდეს.²⁷¹ პროცედურული ნიუანსის კუთხით, ასევე საინტერესოა ის გარემოებაც, რომ კონსტიტუცია უფლებას აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს დაადგინოს Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი და შესაბამისი ვადა, თუ საჭიროდ ჩათვლის სასამართლო და აღნიშნულს არ სჭირდება განცხადება (შუამდგომლობის დაყენება) მოპასუხის მხრიდან.

3.3.2.4.1. მოპასუხის ინტერესი Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის გამოყენებისას

როგორც ავსტრიაში მოღვაწე მკვლევარები აღნიშნავენ შეინიშნება ისეთი ტენდენცია, რომ მთავრობა საკონსტიტუციო სასამართლოსგან რეგულარულად ითხოვს ბოლო ვადის დაწესებას, შესაბამის გამაუქმებელ გადაწყვეტილებასთან მიმართებით. აღნიშნულის მიზეზად კი, ხშირად აცხადებს, რომ კანონის

²⁶⁹ Popelier P., Verstraelen S., Vanheule D., Vanlerberghe B., The Effect of Judicial Decisions in Time: Comparative Notes, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 7.

²⁷⁰ Bar-Siman-Tov I., Time and Judicial Review in Israel: Tempering the Temporal Effects of Judicial Review, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 215.

²⁷¹ იხ. იქვე, მითითებულია: Haller H., “Die Prufung von Gesetz. Ein Beitrag zur verfassungsgerichtlichen Normenkontrolle”, Springer Verlag 1979, 248.

რეფორმირებაა აუცილებელი, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ნორმის არაკონსტიტუციურობის მიზეზების აღმოფხვრას თან ისე, რომ კანონმდებლობაში არ გაჩნდება შავი ხვრელები. რადგან მსგავსი მოთხოვნა, ძირითადად უკავშირდება ვადის დაწესების უფლების იდეას, სასამართლო დიდად მოწადინებულია მიიღოს მთავრობის მოთხოვნა, როგორც საქმის წაგების რაღაც ტიპის კომპენსაცია და ნუგეშისცემა. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა, როდესაც სასამართლომ მტკიცედ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების ძალადაკარგულობის გადავადება და დაწვრილებითი სამართლებრივი ზომების დაწესება აშკარა საჭიროებას არ წარმოადგენდა²⁷² ან არ იყო გათვალისწინებული²⁷³ კონკრეტულ შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, სასამართლო, თითქმის რეგულარულად აწესებს ვადებს. ეს ხდება ან ზუსტი თარიღის დადგენით ან ზოგიერთ შემთხვევაში, დროის პერიოდის დადგენით, რომელიც 18 თვიანი ვადით შემოიფარგლება.²⁷⁴ სასამართლოს, ხშირად აკრიტიკებენ ვადების ინტენსიურად დაწესების გამო და განსაკუთრებით კი, იმისთვის, რომ ასე ხდება შესაბამისი მიზეზების განმარტების განმარტების გარეშე. კონსტიტუციის 1929 წლის შესწორება კი ითხოვს, სასამართლომ განსაზღვროს ვადის დაწესების სპეციფიკური მიზეზები. ამ მოთხოვნის უარყოფით, სასამართლო აშკარად არღვევს Pro Futuro სამართლებრივი ძალის თავდაპირველ არსს და თანაც ვადის დაწესება უფრო წესი გახდა ვიდრე გამონაკლისი.²⁷⁵

ადგილობრივი მკვლევარები, ასევე აღნიშნავენ, რომ ყველაფერი ამის გათვალისწინებით, სასამართლო უფრო ფრთხილად მიუდგა რამდენიმე საქმეს ბოლო ათწლეულში. მაგალითად კი, მოჰყავთ შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ უარი განაცხადა, დაეწესებინა ვადა მთავრობის მოთხოვნის მიუხედავად მაშინ, როდესაც გაუქმებული კანონი არამარტო არ შეესაბამებოდა კონსტიტუციურ

²⁷² VFSLG 18603/2008.

²⁷³ VFSLG 12649/1991.

²⁷⁴ Stelzer M., “Pro Futuro and Retroactive Effects of Rescissory Judgments in Austria”, *The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum)* Cambridge 2014, 68.

²⁷⁵ იხ. იქვე, 69.

დებულებებს, არამედ ასევე არღვევდა კონსტიტუციურ პრინციპებს, როგორცაა კანონის უზენაესობა და დემოკრატიული პრინციპები²⁷⁶. „უფრო მეტიც, სასამართლომ - სულ მცირე რამდენიმე შემთხვევაში,²⁷⁷ პატივი სცა ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოსთან ხელშეკრულებით დაკისრებულ ავსტრიის ვალდებულებებს უარყო რა მთავრობის მოთხოვნა, დაეწესებინა ბოლო ვადა, რითაც გარკვეულწილად გაითვალისწინა ავსტრიის საერთაშორისო ვალდებულებები. მსგავს შემთხვევაში, მან ჩათვალა, რომ მოთხოვნილი ვადა სულ მცირე უნდა შეემცილებინა 6 თვემდე“.²⁷⁸

3.3.2.4.2. გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის უკუჩვენებები

ავსტრიის საკონსტიტუციო კონტროლის სისტემა შემთხვევაა, როდესაც ამ ეფექტმა უკუჩვენებების საფრთხის ქვეშ დააყენა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ფუნქციები, რადგანაც, როგორც ჩანს ავსტრიის სამეცნიერო წრეებში არსებობს პრეტენზიები, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის გამოყენება ემსგავსება მაშველ რგოლს, რომელიც გადაგდებულია ფედერალური ან ფედერაციაში შემავალი სუბიექტის ხელისუფლებების მიმართ, და წააგავს ერთგვარ შეღავათს, რევერანს წაგებული საქმის საკომპენსაციოდ. ხელისუფლებას კი, თავის მხრივ, გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის გამოყენებით ეძლევა საშუალება, მოიგოს დრო და კონკრეტული უფლების დარღვევების ფონზე, განახორციელოს შესაბამისი რეფორმა, მშვიდად და აუღელვებლად.

იმის თქმა, რომ ავსტრიაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის გამოყენება, საგამონაკლისო წესიდან ძირითად წესად იქცა სავსებით სამართლიანია და სწორედ ამაზე მიუთითებს სტატისტიკაც. ბოლო ათწლეულის კვლევა (2002-2011) ამ ტენდენციას ცხადყოფს: 213-დან 103 საქმეზე,

²⁷⁶ VFSIG 16327/2001; VFSIG 17394/2004.

²⁷⁷ VFSIG 15488/1999; VFSIG 11646/1988; VFSIG 11591/1987; VFSIG 15129/1988; VFSIG 12649/1991.

²⁷⁸ Stelzer M., Pro Futuro and Retroactive Effects of Rescissory Judgments in Austria, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 69.

ე.ი. თითქმის 50%, სასამართლომ გაუქმების ძალაში შესვლისთვის ვადა დააწესა. 2010 წელს, როდესაც სასამართლო ამ საშუალებას ყველაზე აქტიურად იყენებდა, 16-დან 13 საქმეზე მსგავსი ვადა დაწესდა, რაც შემთხვევების 80% შეადგენს. 2004 წელს, სასამართლო ამ საშუალებას უფრო ზომიერად იყენებდა, მსგავსი ვადა 35-დან 10 საქმეში დადგინდა, რაც შემთხვევების თითქმის 30% შეადგენს. რთულია დაიჯერო რომ ყველა ეს შემთხვევა გამონაკლისებს წარმოადგენდა.²⁷⁹

ცხრილი N2.

ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა ნორმატიული აქტის ძალადაკარგულობის გადავადების შესახებ, საანგარიში პერიოდი (2002 წლიდან 2011 წლამდე).²⁸⁰

წელი	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	30	26	35	23	23	19	14	7	16	20
გადავადდა	19	15	10	8	10	7	7	3	13	11

3.3.2.5. იტალიის რესპუბლიკა

იტალიაში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული სიტუაციაა, რადგანაც არაკონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების დროებითი ძალა ხისტად ფიქსირებულია თავად კანონმდებლობით²⁸¹. იტალიის კონსტიტუციის 136-ე მუხლის მიხედვით, როდესაც იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს კანონის ან სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას მოცემული აქტის სამართლებრივი ძალა წყდება გადაწყვეტილების გამოცხადების მომდევნო

²⁷⁹ იხ. იქვე, 67, 75.

²⁸⁰ იხ. იქვე, 75.

²⁸¹ Groppi T., The relationship between constitutional courts, legislators and judicial power in the european system of judicial review. towards a decentralized system as an alternative to judicial activism? (report presented at the Conference “Judicial activism and restraint theory and practice of constitutional rights”, held in Batumi, Georgia, 13-14 July 2010, by the European Commission For the Democracy Through Law (The Venice Commission) and the Constitutional Court of Georgia, 2010.

დღიდან.²⁸² არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალის დაკარგვა გავლენას ახდენს ყველა მიმდინარე საქმეზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებებს აქვს არანამდვილი უკუძალა, ვინაიდან ისინი ეხებიან ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ასევე წარსულში მოხდა და დღემდე გრძელდება, (მოცემულში არ მოიაზრება ისეთი საქმეები, რომლებიც უკვე საბოლოოდ გადაწყდა).²⁸³ მიუხედავად ამისა, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს არაკონსტიტუციურობის უკუძალა ე.წ. „ჩარევის არაკონსტიტუციურობის“ საშუალებით. ასეთი გადაწყვეტილებებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშანი: როდესაც სასამართლო აცხადებს, რომ კონკრეტული სამართლის ნორმა კონსტიტუციის შესაბამისი იყო მისი ძალაში შესვლის დროისათვის და მხოლოდ მას შემდეგ გახდა არაკონსტიტუციური, რაც გარკვეული გარემოებები დადგა.²⁸⁴ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნორმა, ზოგადად არ უქმდება, თუმცა მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ის დეფექტური ხდება. ამის საილუსტრაციო მაგალითი შეიძლება იყოს ეკონომიკური ან ფინანსური გარემოს, სოციალური ურთიერთობების ან პირობების უფრო ზოგადი ცვლილება, რაც ტოვებს ნორმას კონსტიტუციასთან შეუსაბამოს.²⁸⁵

მეორე მეთოდი, რომელიც იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს აძლევს საშუალებას, რომ დროში გაუკეთოს მოდულაცია არაკონსტიტუციურად ცნობის ძალას, არის მისი გადადება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებსაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებამდე მივყავართ. სასამართლო, კანონმდებელს მოქმედებისათვის სთავაზობს დროის გარკვეული

²⁸² Constitution of the Italian Republic <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/it/it037en.pdf> [19.07.2019].

²⁸³ Barbateanu V., The action in time of constitutional courts, Journ. “Constitutional review constitutional jurisdictions”, 2013, 507.

²⁸⁴ იბ. იქვე, 507.

²⁸⁵ Groppi T., The relationship between constitutional courts, legislators and judicial power in the european system of judicial review. towards a decentralized system as an alternative to judicial activism? (report presented at the Conference “Judicial activism and restraint theory and practice of constitutional rights”, held in Batumi, Georgia, 13-14 July 2010, by the European Commission For the Democracy Through Law (The Venice Commission) and the Constitutional Court of Georgia, 2010.

პერიოდს, მანამ სანამ საკანონმდებლო აქტი გაუქმდება.²⁸⁶ ასეთი ტიპის გადაწყვეტილებებს მოიხსენიებენ, როგორც „გადადებული არაკონსტიტუციურობის“ გადაწყვეტილებებს, რაც ნათელი მაგალითია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Future სამართლებრივი ძალის. თავად იტალიის საკონსტიტუციო სასამართლო, თავისი მიხედულების ფარგლებში, სხვადასხვა კონსტიტუციური ფასეულობის და ლეგიტიმური ინტერესის დაბალანსებით განსაზღვრავს თარიღს, როდესაც ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა და მისი თანმდევი შედეგები შევა ძალაში.²⁸⁷

გამოცხადდა, რომ „ზოგიერთი საკითხის მადალმა პოლიტიკურმა ბუნებამ, სოციალური უფლებების დაცვის სახელმწიფოს ფინანსური კრიზისის წინააღმდეგ დაბალანსების საჭიროებასთან ერთობლიობაში, დაავალდებულა საკონსტიტუციო სასამართლო, რომ მოდულირება გაეკეთებინა თავისი იმ გადაწყვეტილებების დროებითი შედეგებისათვის, რომლებიც აუქმებენ კანონებს მათი არაკონსტიტუციურობის მოტივით. ამ თვალსაზრისით, სასამართლო ცდილობს უზრუნველყოს, რომ მთავრობას და პარლამენტს ჰქონდეთ საკმარისი დრო იმისათვის, რათა შეავსონ სამართლებრივი აქტის გაუქმებით გამოწვეული სიცარიელე და ასევე, დაამყარონ ბალანსი სოციალური კეთილდღეობისათვის ცენტრალური მნიშვნელობის კონსტიტუციურ უფლებებსა და ეკონომიკური რესურსების დეფიციტს შორის. აღნიშნული მიდგომა ნაკარნახევია კონსტიტუციის ფუძემდებლური პრინციპიდან, რომელსაც ძალაუფლების დანაწილება ჰქვია. იგი განსაზღვრავს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო ნეგატიური კანონმდებელია და მისთვის მიუღებელია პოზიტიური კანონმდებლის ფუნქციის შეთავსება.²⁸⁸ ეს გარემოება კი, ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში სასამართლოს აყენებს აუცილებლობის წინაშე, სამოქმედო სივრცე დაუტოვოს პოზიტიურ კანონმდებელს, რაც გამოიხატება

²⁸⁶ Martinico G., *The Temporal Effects of the Italian Constitutional Court and the Mechanism of Warning Decisions, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum)* Cambridge 2014, 139.

²⁸⁷ Barbateanu V., *The action in time of constitutional courts*, Journ. “Constitutional review constitutional jurisdictions”, 2013, 507.

²⁸⁸ Matthew E.G. *Separation of Powers: An Overview*, „Congressional Research Service”, 2016, 2

საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ დადგენილ ვადებში, რომელთა მიზანს, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს კანონმდებლისათვის იმ დროის მიცემა, რომელიც საჭიროა ზომების მისაღებად, რათა კანონმდებლობაში ნორმის არაკონსტიტუციურობით გამოწვეული სიცარიელე შეივსოს ან კონკრეტული საკითხი კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოვიდეს.²⁸⁹

3.3.2.6. რუმინეთი

რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მუშაობის დასაწყისში შეიქმნა სიტუაცია,²⁹⁰ როდესაც პარლამენტს დაუდგინდა უკიდურესი ვადა, რომ მიეღო ახალი კანონი სახელმწიფო საკუთრების დაცვის შესახებ. ნორმატიული აქტი, რომელსაც შეეხო ეს გადაწყვეტილება, მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმწიფო საკუთრების საიმედო დაცვა, ფიზიკური და იურიდიული პირების კერძო საკუთრებასთან შედარებით. კანონმდებელს, გადაწყვეტილებით მიეთითა, რომ აღნიშნული ნორმატიული აქტი მოეყვანა შესაბამისობაში იმ ახალ კონსტიტუციურ რეჟიმთან, რომელმაც საკუთრების ფორმები აღმოფხვრა და ხელშესახები კონტრასტი შექმნა მანამდე არსებულ დაცვის კომუნისტურ წესთან შედარებით. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ დაადგინა უკიდურესი ვადა, რომლის განმავლობაშიც პარლამენტი, როგორც ერთადერთი საკანონმდებლო ძალა, საჭირო წესით დაარეგულირებდა არაკონსტიტუციურობის ასპექტებს.²⁹¹

წინა აბზაცში მოცემული გადაწყვეტილება, იმ მომენტში ჩაითვალა ადეკვატურად, იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ ძირითად კანონთან შეუსაბამობის შესახებ გადაწყვეტილებას ჰქონდა თავისი უარყოფითი შედეგები მისი ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნების მომენტიდან. ამ წესის უქონლობას,

²⁸⁹ Tudorel T., Marieta S., General Report prepared for the XVth Congress of the Conference of European Constitutional Courts by The Constitutional Court of Romania, 2014, 45.

²⁹⁰ Decision no.31 of the 26th of May 1993, published in the Official Gazette of Romania, Part I, no. 13 of the 19th of January 1994.

²⁹¹ Barbateanu V., The action in time of constitutional courts, Journ. "Constitutional review constitutional jurisdictions", 2013, 508.

ხშირად სახელმწიფო მიჰყავდა არასასურველ შედეგებამდე. ისეთებამდე, როგორებიცაა საკანონმდებლო სიცარიელის წარმოქმნა, რაც გამოწვეულია საკანონმდებლო ძალის პასიური დამოკიდებულებით. არც პარლამენტს და არც მთავრობას არ ჰქონდათ მკაფიოდ განსაზღვრული ვალდებულება, რომ შეემუშავებინათ ახალი რეგულაცია, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ გამოაცხადა სხვადასხვა საკანონმდებლო დებულების არაკონსტიტუციურობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლომ განაცხადა, რომ თუ საკანონმდებლო ორგანო არ შეუდგებოდა არაკონსტიტუციური საკანონმდებლო დებულებების შეცვლას 1993 წლის 30 ნოემბრისთვის, ნორმატიული აქტების გაუქმება ძალაში შევიდოდა 1993 წლის 1 დეკემბერს და მასთან ერთად, ყველა ის ნეგატიური შედეგი გახდებოდა ხელშესახები. ამგვარად, სასამართლომ დაადგინა, შენარჩუნებულიყო არაკონსტიტუციური ნორმის მოქმედების ძალა, მანამ, სანამ პარლამენტისათვის აღნიშნული ვადა იყო დადგენილი.²⁹²

უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება ცხარე კრიტიკის საგანი გახდა. უკიდურესი ვადის დადგენის თაობაზე იგივე გადაწყვეტილება ხელახლა იქნა მიღებული²⁹³, მაგრამ ამჯერად ხუთკაციანი კოლეგიის უმრავლესობის მიერ. ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ ასეთი გადაწყვეტილება იწვევს სერიოზულ კითხვებს მისი კონსტიტუციური საფუძვლების თაობაზე.

აზრთა სხვადასხვაობა საბოლოოდ გადაწყვიტა საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა,²⁹⁴ რომელმაც დაადგინა, რომ პარლამენტს, ასეთი ფორმით, არ შეიძლება ვაიძულოთ მოქმედება და შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს უფლება, რომ დაადგინოს გარკვეული ვადები იმ მომენტის თაობაზე, თუ როდემდე აქვს უფლება საკანონმდებლო ორგანოს, რომ შეცვალოს არაკონსტიტუციური კანონი. გარდა ამისა, გადაწყვეტილება დადანაშაულდა იმაში, რომ ის საკონსტიტუციო

²⁹² იხ. იქვე, 509.

²⁹³ Decision no.38 of the 7th of July 1993, published in the Official Gazette of Romania, Part I, no.176 of 26 of July 1993

²⁹⁴ Plenum Decision no.1 of the 7th of September 1993, published in the Official Gazette of Romania, Part I, no.232 of the 27th of September 1993.

სასამართლოს ანიჭებდა გაუქმებული სამართლებრივი დებულებების მოქმედების ვადის გაგრძელების უფლებას (Pro Futuro) და ასეთი ფორმით მათ აძლევდა საშუალებას, რომ იგნორირება მოეხდინათ ძალაუფლების დანაწილების პრინციპის მოთხოვნებისთვის. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პარლამენტი წარმოადგენს რუმინეთის მოსახლეობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს და ქვეყნის ერთადერთ საკანონმდებლო ძალას, ასევე აღინიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება მისთვის დაევალებინა რაიმე მოქმედების განხორციელება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო განსახილველი საკითხი.²⁹⁵

ასევე, საინტერესო შემთხვევა დაფიქსირდა უნგრეთში. 1992 წლის გადაწყვეტილებაში უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი და კანონმდებელს არაკონსტიტუციურობის გამოსასწორებლად მისცა ვადა 1992 წლის 30 ნოემბრამდე. კანონმდებელმა ვერ შეძლო აღნიშნულ თარიღამდე პროცესის დასრულება. სასამართლომ, თავის გადაწყვეტილებაში დამატებით დაადგინა, რომ Pro Futuro სამართლებრივი ძალის ვადა გაეხანგრძლივება 1995 წლის 31 დეკემბრამდე და იქვე მიუთითა, რომ მხოლოდ პარლამენტს, როგორც პოზიტიურ კანონმდებელს,²⁹⁶ შეუძლია "ბოლო მოუღოს" არაკონსტიტუციურობას, ახალი კანონების მიღების მეშვეობით.²⁹⁷

რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივ ძალასთან დაკავშირებით, ასევე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუმინეთის კონსტიტუციის 147-ე მუხლის პირველი პუნქტი²⁹⁸ ადგენს ე.წ მცირეხნიან,

²⁹⁵ Barbateanu V., The action in time of constitutional courts, Journ. "Constitutional review constitutional jurisdictions", 2013, 508.

²⁹⁶ Brewer-Carías A.R., Constitutional Courts as Positive Legislators in Comparative Law, XVIII International Congress of Comparative Law of the International Academy of Comparative Law, at the George Washington University Law School, Washington, July 27, 2010, 2.

²⁹⁷ Drinoczi T., Temporal Effects of Decisions of the Hungarian Constitutional Court, 2014, 14.

²⁹⁸ Constitution of Romania, Art. 147.1 - <https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/ro/ro021en.pdf> [25.08.2019].

ავტომატურ „Pro Futuro“ ეფექტს, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტები იურიდიულ ძალას კარგავენ ოფიციალურ ბეჭვდით ორგანოში გამოქვეყნებიდან 45 დღის შემდეგ, ოღონდ იმ დათქმით, რომ ამ პერიოდში არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტების მოქმედება შეჩერებულია. ეს უკანასკნელი დათქმა კი, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ რეალური Pro Futuro მექანიზმით, თუნდაც მცირე პერიოდით, რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლო არ არის აღჭურვილი.

3.3.2.7. პოლონეთის რესპუბლიკა

პოლონეთის კონსტიტუციის 190-ე მუხლის მე-3 პუნქტი უფრო ზუსტი რეგულაციისკენ იხრება და ადგენს, რომ „საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ძალას იძენს მისი გამოქვეყნების დღიდან, თუმცადა, საკონსტიტუციო ტრიბუნალმა, შესაძლოა მიუთითოს ნორმატიული აქტის სამართლებრივი ძალის დაკარგვის სხვა თარიღზე. ასეთმა დროის პერიოდმა, კანონთან მიმართებით, არ უნდა გადააჭარბოს 18 თვეს ან 12 თვეს ნებისმიერ სხვა ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით, როდესაც გადაწყვეტილებას აქვს ისეთი ფინანსური შედეგები, რაც არ იყო ბიუჯეტში გათვალისწინებული, საკონსტიტუციო ტრიბუნალმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი ნორმატიული აქტის სამართლებრივი ძალის დაკარგვის თარიღი, მას შემდეგ, რაც მინისტრების საბჭოს მოსაზრებას მოისმენს“.²⁹⁹

3.3.2.8. უნგრეთი

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტი კი, ადგენს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა განსაზღვროს არაკონსტიტუციური სამართლებრივი ნორმის ან მისი გამოყენების გაუქმების თარიღი ... თუ ეს გამართლებულია სამართლებრივი უსაფრთხოების ან პირის, ვინც

²⁹⁹ The Constitution of The Republic of Poland, Art. 190.3

<https://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm> [23.08.2019].

პროცედურის ინიცირება მოახდინა, კონკრეტული მნიშვნელოვანი ინტერესით“.³⁰⁰ უნგრეთის Pro Futuro მექანიზმი გამოირჩევა იმით, რომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის გადადების მატერიალურ საფუძვლად სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესებთან ერთად, ითვალისწინებს განმცხადებლის ინტერესსაც, რაც საკმაოდ ორიგინალური და იშვიათი შემთხვევაა, რადგან გადაწყვეტილების ძალაში შესვლის გადავადება, როგორც წესი, არ უნდა შედიოდეს განმცხადებლის ინტერესებში. ჩვენთვის ბუნდოვანია, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს განმცხადებლის ინტერესში ნორმის არაკონსტიტუციურობის შედეგების გადავადება.

3.3.2.8.1. საკვანძო გადაწყვეტილება

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში Pro Futuro სამართლებრივ ძალასთან დაკავშირებით საკვანძო გადაწყვეტილებად მიიჩნევა 1992 წლის საქმე, რომელიც შეეხებოდა საზოგადოებრივ მაუწყებლობის საკითხებს.³⁰¹

მოცემულ საქმეში, მოსარჩელე ითხოვდა არაკონსტიტუციურად გამოცხადებულიყო მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების ის პარაგრაფი, რომელიც ადგენდა, რომ უნგრეთის სახელმწიფო რადიო და უნგრეთის სახელმწიფო ტელევიზია (მასმედია) იყო მინისტრთა საბჭოს მეთვალყურეობის ქვეშ, შესაბამისად, მათი კორპორაციული და ოპერაციული რეგულაციები საბჭოს თანხმობის საკითხს წარმოადგენდა. მოსარჩელის განცხადებით ეს დებულება, რომელიც კანონქვემდებარე აქტით იყო დადგენილი, არღვევდა უნგრეთის კონსტიტუციის 8.2, 61.2 და 61.4 მუხლს, რომელთა მიხედვითაც საზოგადოებრივი რადიოსა და ტელევიზიის ხელმძღვანელების დანიშვნები უნდა მომხდარიყო, პარლამენტის უმრავლესობით. ასეთი მკაფიო ჩანაწერების ფონზე, აშკარა იყო, რომ მსგავსი რეგულაციის მიღება მინისტრთა საბჭოს დონეზე, წარმოშობდა დადგენილების არაკონსტიტუციურობას, რადგან აღნიშნული მთავრობას აძლევდა ექსკლუზიურ საშუალებას, რომ გავლენა

³⁰⁰ Act on the Constitutional Court of Hungary, Art. 43.4 - <https://hunconcourt.hu/act-on-the-cc/> [24.08.2019].

³⁰¹ Decision 37/1992 of the constitutional court.

მოეხდინა ახალი ამბების კონტენტზე, რაც, ზოგადად, არღვევდა მედიის თავისუფლებას, კონკრეტულად კი, კონსტიტუციის იმ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველი რგოლის დაკომპლექტების წესს.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სადავოდ გამხდარი ნორმები თუმცა სასამართლომ, საკმაოდ ბევრი იფიქრა გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხზე. მთავარ კითხვას წარმოადგენდა ის, თუ რომელი შედეგი იქნებოდა სამართლებრივი სიმტკიცისთვის ნაკლებ საზიანო. დადგენილების გაუქმება გადაწყვეტილების Ex Nunc სამართლებრივი ძალის თანხლებით, გამოიწვევდა იმას, რომ მასმედია განთავისუფლდებოდა ყველანაირი პოლიტიკური მეთვალყურისგან. სასამართლოს შეფასებით ეს გადაწყვეტილება მედიას, ასევე პოლიტიკური ბრძოლის ველში მოაქცევდა, რაც გამოხატვის თავისუფლებისთვის საფრთხის შემცველი იქნებოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოცხადებული დადგენილების სადავო დებულების გაუქმების ვადა გადადო (აღნიშნულმა გამოიწვია პროცედურების შეწყვეტა და ფაქტობრივად დადგენილების ძალაში დატოვება), მანამ სანამ ახალი კანონი მასმედიაზე არ მიიღებოდა. სასამართლომ გადავადების თარიღად განსაზღვრა 1992 წლის 30 ნოემბერი. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გაუქმება სამომავლოდ სამართლებრივი სიმტკიცისთვის უფრო ნაკლებ საზიანო იქნებოდა და მან ასევე დაავალდებულა პარლამენტი, რომ მიეღო მასმედიასთან დაკავშირებით აუცილებელი კანონები შესაბამისი გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით. სასამართლოს მოტივაცია გაუქმების ვადის გადავადებაზე ასევე ისიც იყო, რომ სადავო ნორმის Ex Nunc სამართლებრივი ძალით გაუქმების შემთხვევაში საზოგადოებრივი მაუწყებელი რჩებოდა რეგულაციის გარეშე, რასაც შეიძლება ინსტიტუტის პარალიზება გამოეწვია.³⁰²

³⁰² Drinóczi T., Temporal Effects of Decisions of the Hungarian Constitutional Court, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 98.

ამ საქმესთან დაკავშირებით ისიც საინტერესოა, რომ პარლამენტმა დადგენილ ვადაში ვერ მოასწრო შესაბამისი კანონის მიღება. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ საკანონმდებლო ორგანოს „დასჯის“ ნაცვლად, კვლავ გადადო არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმების მოქმედება, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ ისევ არსებობდა ის გარემოებები, რაც განაპირობებდა გაუქმების გადავედებას.

3.3.2.9. სხვა ქვეყნების გამოცდილება

ქვეყნების უმრავლესობაში სადაც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები აღჭურვილები არიან გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის მექანიზმებით, მისი გამოყენება საკონსტიტუციო სასამართლოს სრულ მიხედულებაზეა დამოკიდებული და ასევე, ისინი შეზღუდული არ არიან ძალაში შესვლის გადადების ვადით. ასეთი ქვეყნებია აზრებაიჯანი³⁰³, ლატვია³⁰⁴, სლოვენია,³⁰⁵ ხორვატია³⁰⁶.

ასევე, არსებობს შემთხვევები, როდესაც Pro Futuro სამართლებრივი ძალის გამოყენება საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედულებაა, მაგრამ ეს დისკრეტია შემოსაზღვრულია კანონით გათვალისწინებული კონკრეტული ვადით. ლიხტენშტეინის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „ანულირების და არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება მთავრობამ შეყოვნების გარეშე უნდა გამოაქვეყნოს ლიხტენშტეინის სამართლებრივ გაზეთში. გამოქვეყნებასთან ერთად ძალას იძენს ანულირება, თუ

³⁰³The Constitution of the Republic of Azerbaijan, Art. 130.X

<https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/az/az057en.pdf> [22.08.2019].

³⁰⁴Constitutional Court Law of Latvia, Art. 32.3

<http://www.satv.tiesa.gov.lv/en/2016/02/04/constitutional-court-law/> [27.08.2019].

³⁰⁵ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 92.

³⁰⁶ The constitutional Act on The Constitutional Court of The Republic of Croatia, Art. 55.2 - https://www.usud.hr/sites/default/files/dokumenti/The_Constitutional_Act_on_the_Constitutional_Court_of_the_Republic_of_Croatia_consolidated_text_Official_Gazette_No_49-02.pdf [28.08.2019].

საკონსტიტუციო სასამართლო ამ მიზნით არ მიუთითებს გაუქმების ბოლო ვადას, რომელიც შეიძლება იყოს მაქსიმუმ ერთი წელი³⁰⁷. მსგავს მიდგომას იცნობს ბოსნია-ჰერცეგოვინას საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 63-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები, რომლებიც ძალადაკარგულობის გადავადების მაქსიმუმ ვადად ადგენს ექვს თვეს, ხოლო ამ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება ძალაში შედის³⁰⁸. ასევე მსგავს მიდგომას ირჩევს თურქეთის კანონმდებლობა და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მაქსიმალურ გადავადების ვადად ადგენს ერთ წელს.³⁰⁹

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ ანულირების ეფექტის Pro Futuro გადავადებით საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებელს აძლევს დროს, შეცვალოს არაკონსტიტუციური აქტი. კიდევ ერთ, ხშირად გამოყენებულ არგუმენტს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის სასარგებლოდ, წარმოადგენს სამართლებრივ წესრიგში სიცარიელის აღმოცენების აღკვეთა. გარდა ამისა, ის საშუალებას იძლევა გაგრძელდეს გარკვეული სერვისები ან მოხდეს დამატებითი ზომების მიღება. აგრეთვე, ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობს არაკონსტიტუციურობის აღმოფხვრის რამოდენიმე საშუალება, საკონსტიტუციო სასამართლოები ახდენენ ანულირების ეფექტების გადავადებას, რათა კანონმდებელს მიეცეს საშუალება, არჩევანი გააკეთოს სხვადასხვა ზომას შორის. როდესაც სასამართლო აუქმებს ნორმას მასში არსებული სიცარიელების გამო, ნორმის გაქრობა, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის სასურველი, პირიქით, ხშირ შემთხვევაში, საჭიროა გამოყენების სფეროს გაზრდა.³¹⁰ მაგალითად, პოლონეთის კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ თუ სასამართლო გადაწყვეტილებას თან ახლავს ფინანსური გართულებები, რომლებიც ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული,

³⁰⁷ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 92.

³⁰⁸ იხ. იქვე, 94.

³⁰⁹ იხ. იქვე, 100.

³¹⁰ Verstraelen S., The Temporal Limitation of Judicial Decisions: The Need for Flexibility Versus the Quest for Uniformity, German Law Journal, Vol. 14 No. 09, 2013 170.

საკონსტიტუციო ტრიბუნალმა უნდა დააზუსტოს გადავადების თარიღი, მას შემდეგ, რაც მოისმენს მინისტრთა საბჭოს შეხედულებას³¹¹ (პარალელი ქართულ რეალობასთან „112-ის საქმე“)³¹².

შემაჯამებელი წინადადების სახით შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის არსი მდგომარეობს შემდეგში: ზოგიერთ შემთხვევაში, გაცხადებულად არაკონსტიტუციური ნორმის გარკვეული დროით მოქმედება უფრო ნაკლები ბოროტების მომტანია, ვიდრე მისი სრული ამოშანთვა და წესრიგის უწესრიგოდ დატოვება. ზოგჯერ ცუდი წესრიგი სჯობია სრულ უწესრიგობას.

3.3.3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის დამკვიდრება საქართველოში

საკონსტიტუციო სასამართლოს მარეგულირებელი კანონმდებლობა, მისი დაარსების დღიდან 2018 წლამდე, არ ითვალისწინებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურვას გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის მექანიზმით. მოცემული ეფექტის შემოტანას საქართველოს საკონსტიტუციო იუსტიციაში ორ ათწლეულზე მეტი დასჭირდა. პირველი ნაბიჯები, ამ კუთხით 2002 წელს გადაიდგა, როდესაც „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. „არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს

³¹¹ Safjan M., Poland—The Constitutional Court as Positive Legislator, Journ. “Constitutional Courts as Positive Legislators”, 2011, 704.

³¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება N2/3/1279 საქმეზე „ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი“;³¹³

2. „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი“.³¹⁴

მოცემული ცვლილებით შეიქმნა ისეთი სამართლებრივი მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო გადაედო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, მაგრამ გადაწყვეტილება ძალაში შედიოდა გამოცხადებისთანავე. ამ ურთიერთგამომრიცხავი ნორმებით საკონსტიტუციო სასამართლომ, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ დიდიხანი იფუნქციონირა, რამაც, ასევე, საკმაოდ სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, კანონის უზენაესობა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის რეალიზების საკითხები.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებისთვის Pro Futuro სამართლებრივი ძალის მექანიზმით აღჭურვას ხელს უშლიდა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო იყო, ხოლო არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავდა იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.³¹⁵ 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად კი, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოყალიბებული ახალი რედაქციით შეიცვალა აღნიშნული კონსტიტუციური ჩანაწერი და განისაზღვრა, რომ „არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების

³¹³ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მეორე პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N001, 31/01/1996წ.

³¹⁴ იხ. იქვე, 25-ე მუხლის მესამე პუნქტი.

³¹⁵ იხ. იქვე, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

მომენტიდან თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას³¹⁶. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულმა კონსტიტუციურმა ცვლილებამ დაუდო ნორმატიული საფუძველი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის მექანიზმით აღჭურვას. ამ კონსტიტუციური ცვლილების შემუშავებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პრაქტიკოსი და მკვლევარი იურისტების მოსაზრებებმა, რომლებიც ფიქსირდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებში.³¹⁷

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფარგლებში, როდესაც მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილებას ვდგებით ორი სხვადასხვა შედეგის წინაშე, ხშირ შემთხვევაში, ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის მიღება საჭირო არ არის, რადგან არაკონსტიტუციური ნორმის ძალის დაკარგვა საკმარისია უფლებების შემდგომი დარღვევის თავიდან ასაცილებლად.³¹⁸ ცალკეულ შემთხვევაში კი, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ, საჭიროა ახალი ნორმის მიღება, რომელიც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას კონსტიტუციის შესაბამისად მოაწესრიგებს.

ზემოთ დასახელებულ მეორე ვარიანტთან დაკავშირებით, ქართველი პრაქტიკოსი იურისტები მიუთითებენ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტზე და აღნიშნავენ, რომ „საკანონმდებლო პროცესი, ობიექტურად, მოითხოვს გარკვეულ დროს, ამიტომ გადაწყვეტილების „დაუყოვნებლივ აღსრულების“ ვალდებულება ვერ წარმოშობს იმის გონივრულ მოლოდინს, რომ კანონმდებელმა ეს ცვლილებები გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან მეორე ან მესამე დღეს უნდა მიიღოს. თუმცა, ამ თვალსაზრისით

³¹⁶ იხ. იქვე, მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი.

³¹⁷ ბაბუკი ვ., ფიში ს., რაიკენბეჰერი ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ, თბილისი 2012, 172.

³¹⁸ ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ N6, თბილისი 2012, 18

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელმა შემჭიდროებულ, გონივრულ ვადებში მიიღოს შესაბამისი ცვლილებები (დამატებები). ნებისმიერ შემთხვევაში, პარლამენტმა მაქსიმალურად მჭიდრო ვადებშიც რომ მოახერხოს შესაბამისი ცვლილებების მიღება (თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში, ეს შესაძლოა ობიექტურად დიდ დროს მოითხოვდეს საკითხის სირთულის ან პოლიტიკურ ძალებს შორის კომპრომისის ვერმიღწევის გამო), საკითხავია მათ მიღებამდე რა ბედი ეწევა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებს? არაკონსტიტუციური ნორმა უკვე ძალადაკარგულია, ხოლო ახალი ნორმა ჯერ არ არის მიღებული (კანონმდებელმა არ ან ვერ მიიღო), როგორ უნდა განვითარდეს სამართლებრივი ურთიერთობები და რა პრაქტიკული ძალა აქვს ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას?³¹⁹

საკონსტიტუციო კონტროლის კანონმდებლობაში ამ პრობლემის გადაწყვეტაზე მკაფიო პასუხი არ არსებობდა 2017 წლამდე, მაგრამ არსებობდა მაგალითები საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან, სადაც სასამართლო თავად ცდილობდა ეპოვა ყველაზე მისაღები და სწორი გამოსავალი.

3.3.3.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავდაპირველი პრაქტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი მცდელობა იყო „შალვა ნათელაშვილის საქმე“³²⁰ რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 2002 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა მოსახლეობისათვის ელექტროენერჯის შესასყიდ ტარიფებს და საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 2001 წლის 31 დეკემბრის

³¹⁹ იხ. იქვე, 19.

³²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/136 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“.

დადგენილებით დამტკიცებული „ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის გადახდის წესი“.

სასამართლო დადგა პრობლემის წინაშე, რომლის მიხედვითაც კონკრეტული სამომხმარებლო ტარიფის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ მისი მომწესრიგებელი აქტის იურიდიული ძალის დაკარგვა, იწვევდა სამომხმარებლო ტარიფის საერთოდ გაქრობას ახალი ნორმატიული აქტის მიღებამდე. რისი შედეგიც იქნებოდა მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა ახალი ტარიფის დადგენამდე. ამიტომ, სასამართლო შეეცადა მოენახა გამოსავალი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, ერთი მხრივ, მიუთითა, რომ არაკონსტიტუციური აქტები იურიდიულად ძალადაკარგულია ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, მეორე მხრივ კი, სასამართლომ სემეკს მისცა 2 თვე ახალი ტარიფების დადგენისთვის და ამავდროულად, გადაავადა გადაწყვეტილების აღსრულება.

მაშასადამე, სასამართლომ ფორმალურად არ დაარღვია კონსტიტუციის და კანონის მოთხოვნა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თაობაზე და არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის დროის თაობაზე და კანონმდებლობის ეს მოთხოვნები დააფიქსირა სარეზოლუციო ნაწილში, მაგრამ, იმავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგების კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში დადგომას შეეძლო, ასევე გამოეწვია მომხმარებელთა უფლებების დარღვევა, როგორც სადავო ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობა, ისე მათი იურიდიული ძალის დაკარგვა, გადაავადა ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღებამდე, რითაც, იმავდროულად, გაახანგრძლივა არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტების მოქმედება.³²¹

³²¹ ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ №6, თბილისი 2012, 19.

სასამართლოს ამ მიდგომას საკმაო კრიტიკა მოჰყვა, რადგანაც მაშინდელი ნორმატიული ბაზის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ ჰქონდა არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალადაკარგულობის გადავადების უფლება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი იძლეოდა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულების გადავადების შესაძლებლობას და არა სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის ან არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვის გადავადებას.

დასახელებული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტზე მითითებასთან დაკავშირებული უხერხულობები, გასაგები და ცნობილი იყო სასამართლოსთვისაც, რის გამოც მომდევნო საქმეზე, რომელმაც იგივე დილემის გადაწყვეტის წინაშე დააყენა სასამართლო, მას ამ ნორმაზე აღარ მიუთითებია. საკონსტიტუციო სასამართლომ, ამ შემთხვევაშიც კანონმდებელს მისცა დრო კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის მიღებისთვის.

2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში N2/3/182, 185, 191 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი ნორმები, რომლებიც შეეხებოდა პირის დაკავებისა და დაცვის უფლებით სარგებლობის საკითხებს. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა გარდაუვალი იყო, რადგან ისინი იწვევდა კონსტიტუციური უფლებების დარღვევას. თუმცა, იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო აცნობიერებდა, რომ ეს ნორმები, ისევე როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უმრავლესობა, ყოველწუთიერი მოქმედებისაა და ნებისმიერ დროს შეიძლება საჭიროებდეს გამოყენებას პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ. ამიტომ, აუცილებელი იყო ამ ურთიერთობების მომწესრიგებელი შესაბამისი ნორმატიული ბაზის არსებობა, რათა სამართლებრივ ვაკუუმს არ მიეცა

სამართალშემფარდებლისთვის უფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა და არ გამოეწვია ადამიანის უფლებების დარღვევა. სასამართლომ კანონმდებელს მისცა გონივრული დრო (3 თვე) ამ საკითხების ადეკვატური მოწესრიგებისათვის. თუმცა, ამ შემთხვევაში გაუგებარია, სასამართლო, იმავდროულად, გულისხმობდა თუ არა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმებისთვის იურიდიული ძალის შენარჩუნებას ახალი ნორმების მიღებამდე, როგორც ეს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში გააკეთა. მით უფრო, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ მიუთითა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვის თაობაზე.³²²

მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოში, მაინც დამკვიდრდა პრაქტიკა, როდესაც სასამართლო ახდენდა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტების ძალადაკარგულობის გადავადებას. აღნიშნულის ნათელი მაგალითებია 2018 წლის 16 დეკემბრამდე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის Pro Futuro სამართლებრივი ძალის ამოქმედებამდე, მიღებული გადაწყვეტილებები, სადაც სასამართლომ გადადო არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულობის შედეგი. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეებში საკონსტიტუციო სასამართლო მსგავსი გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტს, მიუხედავად იმისა, რომ ცალსახა იყო ამ ნორმის რეგულაციური დანიშნულება, რომელიც არამც და არამც არ იძლეოდა გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის გამოყენების შესაძლებლობას.

3.3.3.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის გამოყენების ძირითადი მოტივაცია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოტივაცია არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად ცნობის

³²² იხ. იქვე, 20.

გადავადების შესახებ, ძირითადად, მდგომარეობს იმაში, რომ არ გააჩნოს საკანონმდებლო ვაკუუმი და საჯარო, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე კანონმდებელს მისცეს შესაძლებლობა, გონივრული ვადა, კონსტიტუციის შესაბამისად და სამართლებრივი ვაკუუმის გარეშე, ადასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება. მაგალითად, „112-ის საქმეზე“³²³ სასამართლომ გაითვალისწინა, რომ სსიპ 112-ის დაფინანსების ძირითადი წყარო იყო ის მოსაკრებელი, რომელიც მოსახლეობას ეჭრებოდა სატელეფონო ანაგარიშებიდან, შესაბამისად ეს მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციის განმახორციელებელი სუბიექტი დაფინანსების გარეშე არ დარჩენილიყო, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაავადა შესაბამისი ნორმის ძალადაკარგულად ცნობის ეფექტი, რათა სახელმწიფოს გამოენახა დაფინანსების სხვა წყაროები. ასევე, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ „სადავო ნორმების დაუყოვნებლივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე, ძალადაკარგულად ცნობამ, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოახდინოს დაცვითი საქმიანობის ბაზარზე და ამ მომსახურების მომხმარებლებზე. შესაბამისად, კანონმდებელს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა საკითხი მოაწესრიგოს კონსტიტუციის შესაბამისად“.³²⁴ ჩვენი აზრით, მოცემულ საქმეში, ასევე შესაძლებელი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გაეთვალისწინებინა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, რომელიც ამ უკანასკნელმა დააფიქსირა „სტუდენტური გადასახადის საქმეზე“. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელი იყო სასამართლოს გაეთვალისწინებინა მიუღებელი შემოსავლის მოცულობა და ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ეფიქრა გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის

³²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება N2/3/1279 საქმეზე „ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

³²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბერის გადაწყვეტილება N2/11/747 საქმეზე „შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“.

გამოუყენებლობაზე, რითაც მომხმარებლებს დარჩენილი ნახევარი წელი არაკონსტიტუციურ ნორმაზე დაყრდნობით აღარ ჩამოეჭრებოდათ თანხები.

3.3.3.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი პრაქტიკა

„ნულოვანი აუქციონის“ საქმეზე³²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ „სადავო ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საკითხის კონსტიტუციასთან შესაბამისად მოწესრიგებამდე, შეუძლებელი გახდება მეორე განმეორებითი აუქციონის ჩატარება (მათ შორის, იმ ქონებაზე, რომელსაც რეალიზების შემთხვევაში, არ მიყვება გარდამავალი სანივთო უფლებები), რამაც შესაძლოა, დააზიანოს სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სუბიექტების ინტერესები. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა მან, კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად, მოაწესრიგოს იძულებითი აუქციონის შესაბამისი პროცედურები“.³²⁶

სასამართლომ „მოსამართლეთა სადისციპლინო წარმოებათა საქმეზე“,³²⁷ ასევე, მიუთითა, რომ „სადავო აქტის შესაბამისი ნორმების საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანოს მიერ დასახელებულ საკითხთა კონსტიტუციასთან შესაბამისობის მოწესრიგებამდე შეუძლებელი გახდება მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური საქმისწარმოება. მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის შეუძლებლობა არ წარმოადგენს არც მოსარჩელის მოთხოვნას და არც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მიზანს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კანონმდებელს უნდა

³²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისი გადაწყვეტილება N2/2/867 საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

³²⁶ იხ. იქვე.

³²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება N2/5/658 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მიეცეს გონივრული ვადა, რათა მან კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოაწესრიგოს მოსამართლეთა სამსახურიდან გათავისუფლების წესი“.³²⁸

ასევე, საინტერესო პრაქტიკა³²⁹ ჩამოაყალიბა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით (დმრ მიხედვით საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი), როდესაც არაკონსტიტუციური ნორმა ერთ მხარეს ანიჭებდა შეუსაბამო პრივილეგიას ან პირიქით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს ხოლმე, რომ საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტია ის, თუ უთანასწორობის აღმოფხვრის რომელ გზას აირჩევს, მეორე მხარესაც აღჭურავს იგივე უფლებით თუ უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებულ პირს ჩამოართმევს უპირატესობას. მსგავს შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო უთითებს, რომ ის არ არის პოზიტიური კანონმდებელი და იყენებს Pro Futuro მექანიზმს, გადადებს ნორმის ძალადაკარგულობის შედეგებს და კანონმდებელს აძლევს შესაძლებლობას, თავად აირჩიოს უთანასწორობის აღმოფხვრის გზა. საინტერესოა, რომ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, ასევე მსგავსი პრაქტიკა აქვს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს, ჰოლანდიის უმაღლეს საგადასახადო სასამართლოს. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებებში,³³⁰ ცხადად იკვეთება, რომ თანასწორობის უფლების დარღვევისას, სასამართლო ასპარეზს უთმობს საკანონმდებლო ორგანოს და მისი მიხედულების სფეროში გადაწყევს

³²⁸ იხ. იქვე.

³²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/13/1234,1235 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის ივლისის გადაწყვეტილება N1/2/671 საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/655 საქმეზე „შპს სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³³⁰ BNB 1999/271, 12 May 1999; BNB 2006/322, 11 August 2006.

არათანასწორობის, გათანაბრების გზები. აღნიშნული, ასევე ხორციელდება საგადასახადო კანონის გაუქმების მომავალში გადადების გზით.³³¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ფიქსირდება შემთხვევებიც, როდესაც სასამართლომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი თავის პირველადი შინაარსით გამოიყენა და გადაავადა გადაწყვეტილების აღსრულება არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების ძალადაკარგულობის გადადების გარეშე. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა „გელბახიანი, ნიკოლაიშვილი, სილაგაძის“³³² და „მოსმენების“³³³ საქმეებზე.

ცხრილი N3.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკა ნორმატიული აქტის ძალადაკარგულობის გადავადების შესახებ, საანგარიში პერიოდი (2014 წლიდან 2019 წლის სექტემბრამდე).

წლები	2014	2015	2016	2017	2018	2019
დაკმაყოფილდა/ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	11	9	12	18	14	9
გადავადდა	2	0	1	4	6	5

³³¹ Gribnau H., Lubbers A., The Temporal Effect of Dutch Tax Court Decisions, „The Effects of Judicial Decisions in Time“, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 191.

³³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/4/557,576 საქმეზე „ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაისვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

³³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/625, 640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

3.3.4. შეჯამება

ამ თავში წარმოდგენილი შედარებითი მიდგომა ამტკიცებს, რომ სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის ქვეყნების საკმაოდ დიდ ნაწილში და მათ შორის საქართველოშიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ სწორია დროში მოქნილობის დამკვიდრება, რაც გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავებაში გამოიხატება.

ძალაში შესვლის ასეთი გადადება, რაც აუქმებს საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებების შედეგებს, შეიძლება, ხანდახან, იქნეს გამოყენებული მაშინ, როდესაც არაკონსტიტუციურობის ფაქტი ალდგენა უფრო უპირატესია, ვიდრე უეცარი გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლოები, რომლებიც იყენებენ მათი გადაწყვეტილებების დროში გადატანას, ითვალისწინებენ იმ შესაძლო რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას არაკონსტიტუციური ნორმის გაუქმებასთან ერთად. ყოველთვის მიიღება მხედველობაში ის ბალანსი, რომელიც დაცული უნდა იყოს სხვადასხვა საკონსტიტუციო ღირებულებას შორის, ხოლო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფა კი, წარმოადგენს საკონსტიტუციო იურისდიქციის მუდმივ მიზანს.

უდავოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება იწვევდეს უფლებების ან საჯარო ინტერესების დარღვევას. როდესაც სასამართლო თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კერძო და საჯარო ინტერესების აწონვის შედეგად, მიდის დასკვნამდე, რომ ნორმა არაკონსტიტუციურია, მან ბუნებრივია, უნდა მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად დაარღვევს კონსტიტუციას. იმავდროულად, ასეთმა „სწორმა“ გადაწყვეტილებამ არ შეიძლება წარმოშვას უფრო სერიოზული პრობლემები ადამიანის უფლებების თუ საჯარო ინტერესების ხელყოფის თვალსაზრისით.

ზემოთ განხილული სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო რაგულაციაზე და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება გამოვყოთ ის შემთხვევები,

როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის Pro Futuro სამართლებრივი ძალის მინიჭება და შესაბამისად არაკონსტიტუციური რეგულაციის შენარჩუნება უფრო ნაკლები ბოროტებაა ვიდრე Ex Nunc სამართლებრივი ძალის გამოყენება. ასეთი შემთხვევებია:

- ❖ სიტუაცია, რომლის მიხედვითაც, ნორმის გაუქმებით იქმნება საკანონმდებლო ვაკუუმი, რაც საფრთხეს უქმნის სამართლებრივ უსაფრთხოებასა და რეგულაციის გარეშე ტოვებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას;
- ❖ საგადასახადო კანონმდებლობის ნორმები, რომელთა გაუქმების შედეგად სახელმწიფო ფისკალური დისციპლინას და სიმყარეს ექმნება საფრთხე;
- ❖ თანასწორობის უფლების მიმართ არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევები, როდესაც პოზიტიური კანონმდებლის მიხედულობის ქვეშ გადადის გათანასწორობის გზის არჩევა;
- ❖ შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის თვითაღსრულებადი და მისი აღსრულების შესაძლო გზების არჩევა საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში გადადის.

განხილულ ქვეყნებზე დაყრდნობით, ასევე, ვლინდება ის ზოგადი მიდგომა, რომლის ფარგლებშიც საკანონმდებლო ორგანოს ეძლევა ვადა შესაბამისი ზომების მისაღწევად. როგორც ჩანს, ეს ვადა ხუთი თვიდან ორ წლამდე მერყეობს.

ასევე, გამოვლინდა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოები ბოლომდე არ ენდობიან საკანონმდებლო ორგანოს კეთილსინდისერებას გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულების კუთხით და სამოტივაციო ნაწილში განსაზღვრავენ სავალდებულო მითითებებს, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საკანონმდებლო ორგანომ ახალი რეგულაციის მიღებისას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის სიკეთებთან ერთად, ავსტრიის მაგალითზე გამოვლინდა, რომ ამ ფუნქციას, ასევე შეიძლება გააჩნდეს გვერდითი ეფექტები, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია, როგორც ცუდი მაგალითი. გვერდითი ეფექტი კი, გამოვლინდა იმაში, რომ ავსტრიის შემთხვევაში Pro Futuro მექანიზმის გამოყენება დაემსგავსა ერთგვარ რევერანსს, რომელიც გამოხატულია წაგებული მხარის - საკანონმდებლო ორგანოს მიმართ. ეს გვერდითი ეფექტი, ასევე იმაშიც ვლინდება, რომ Pro Futuro მექანიზმი არის გამონაკლისი ზოგადი წესიდან ავსტრიის შემთხვევაში კი, სტატისტიკა (213 არაკონსტიტუციურობის შემთხვევისას 103-ში გამოიყენეს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი) გვიჩვენებს, რომ ის გამონაკლისის ნაცვლად უფრო ზოგად წესად გადაიქცა.

4.ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით ევროსასამართლოს დამოკიდებულებაზე მსჯელობისას, პირველ, რიგში უნდა გავიხსენოთ ევროკონვენციის პირველი, მე-13 და 35-ე მუხლები, რომლებიც ევროკონვენციის სამართალში განამტკიცებენ სუბსიდიურობის პრინციპს. აღიარებულია, რომ ევროკავშირის ფორმირება, მნიშვნელოვნად ეყრდნობა სუბსიდიურობის პრინციპის იდეას³³⁴. სუბსიდიურობის პრინციპი საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების ამოსავალი პრინციპია³³⁵, რადგანაც საერთაშორისო სამართლის სივრცეში ხდება სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და წარმოშობილი სამართლებრივი დავების ეროვნულ დონეზე

³³⁴ Francesco De Santis di Nicola, Principle of Subsidiarity and ‘Embeddedness’ of the European Convention on Human Rights in the Field of the Reasonable-Time Requirement: The Italian Case, Universytet Wroclawski 2011, 3.

³³⁵ Carozza P.G., “Subsidiarity as a Structural Principle of International Human Rights Law”, Notre Dame Law School NDLScholarship Journal Articles, 2003, 57.

გადაწყვეტის უპირველესობის აღიარება³³⁶. ევროსასამართლოს ფუნქცია სრულდება სუბსიდიურობის პრინციპთან შესაბამისობაში, რომელიც აისახება მთლიანად ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში.³³⁷ სასამართლოსთვის, აღნიშნული ფუნქცია, არსებით მნიშვნელობას ატარებს, რადგანაც სასამართლო პატივს უნდა სცემდეს ევროკონვენციის ხელშემკვრელი მხარეების დემოკრატიას და შიდასახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ლეგიტიმურობას. ევროსასამართლოს მოსამართლის ფრანსუაზ ტულკენსის სიტყვებით, „სასამართლოში კანონშემოქმედების ადგილი არ არის! როდესაც ვამბობთ, რომ სისტემა სუბსიდიურობის პრინციპის მიხედვით მოქმედებს, რომლითაც აიხსნება შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებების ამოწურვის წესი, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ხელისუფლების, კერძოდ, სასამართლო ხელისუფლების ვალდებულებაა. სასამართლოს, შეუძლია და უნდა ჩაერიოს, როცა სახელმწიფო ორგანოები სათანადოდ ვერ ასრულებენ ამ ამოცანას“.³³⁸ ამ კონცეპტუალურ იდეას ემატება ის, რომ შიდაეროვნულ და საერთაშორისო მოსამართლეებს შორის, ადამიანის უფლებათა სფეროში, აშკარაა, რომ არსებობს საერთო პასუხისმგებლობა.³³⁹ ეროვნული ხელისუფლება პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა პირველად დაცვაზე მთელი თავისი სახელმწიფო მექანიზმის მეშვეობით მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვალდებულია ადამიანის უფლებათა საბოლოო დაცვაზე, ეს კი, ფაქტობრივად, ნიშნავს იმას, რომ

³³⁶ მარიკაშვილი ე., კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმი, სუბსიდიურობის პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი უფლებამოსილება, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N 10, თბილისი 2016., 32.

³³⁷ ბოხაშვილი ბ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი 2004, 37.

³³⁸ ტულკენსი ფ., სასამართლო კონტროლის სხვადასხვა სტანდარტები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხასიათი და დანიშნულება, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N 4, თბილისი 2010, 33.

³³⁹ Fuglistaler G., The Principle of Subsidiarity and the Margin of Appreciation Doctrine in the European Court of Human Rights' Post-2011 Jurisprudence, IDHEAP Institut de hautes études en administration publique, 2011, 12.

დღესდღეობით, აღიარებულია, რომ ფუძემდებლურ უფლებათა დაცვის დამაჯერებლობისათვის საჭიროა შემოწმება გარედან.

სუბსიდიურობის პრინციპთან დაკავშირებული მსჯელობის დროს, თავს იჩენს ხოლმე, სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სამართლებრივი ბუნების შეფასება. ამ დროს, ევროსასამართლო აფასებს კონკრეტული ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობას ევროკონვენციის 35-ე მუხლთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობის კრიტერიუმის პირველ პარამეტრად კი, უნდა დასახელდეს გადაწყვეტილების დროში მოქმედების შესაძლებლობები. სწორედ სუბსიდიურობის პრინციპზე მსჯელობისას განიხილა ევროსასამართლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა და ამ საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი განმარტება გააკეთა, როდესაც განიხილა საქმე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“³⁴⁰.

დასახელებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ლეონიდ აპოსტოლმა სამოქალაქო სარჩელი აღძრა კერძო პირის წინააღმდეგ. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და მოვალეს დააკისრა თანხის გადახდა. განმცხადებელმა დაიწყო სააღსრულებო პროცედურები. დადგინდა, რომ აღსრულების ხარჯები მას წინასწარ უნდა გადაეხადა, რაც ფინანსურად მისთვის შეუძლებელი იყო. ბატონმა აპოსტოლმა ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა თხოვნით გადაევადებინათ აღსრულების თანხა, რაც ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ კი მიმართა ევროსასამართლოს და მოითხოვა, დადგენილიყო სახელმწიფოს დარღვევა ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ საქმის პირველივე სტადიაზე საქართველოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოსარჩელეს არ ამოუწურავს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები, რასაც ევროკონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს.

³⁴⁰ Apostoly v Georgia [ECTHR], App No. 40765/02, 28 November 2006.

სახელმწიფოს წარმომადგენლები უთითებდნენ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი (დმრ მიხედვით 31-ე მუხლის პირველი პუნქტი) ნებისმიერი პირისთვის უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. შესაბამისად, თუ თანხის გადახდის ვალდებულება სააღსრულებო წარმოების დაწყებამდე არღვევდა მოსარჩელისთვის კონსტიტუციურ უფლებებს, მოსარჩელეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უნდა მიემართა და მოეთხოვა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობა.

ევროსასამართლომ ამ არგუმენტთან დაკავშირებით, პირველ რიგში, აღნიშნა, რომ ევროკონვენციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოსარჩელის ხელთ არსებული მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები უნდა იყოს ხელმისაწვდომი და საკმარისი, რათა მას, რეალურად, ჰქონდეს გასაჩივრებულ დარღვევათა გამოსწორების შესაძლებლობა³⁴¹. ევროსასამართლომ, ასევე მიუთითა, რომ ევროკონვენციის სუბსიდიურობის პრინციპთან დაკავშირებით, სახელმწიფომ უნდა დაამტკიცოს, რომ ფაქტების დადგომის პერიოდში მიმართვის საშუალება იყო ეფექტიანი და გამოყენებადი როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, ანუ იყო ხელმისაწვდომი და მოსარჩელეს აძლევდა მისი პრეტენზიების დაკმაყოფილების საშუალებას და შეიცავდა წარმატების გონივრულ პერსპექტივას.³⁴²

ევროსასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ „მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის წესი, ავტომატურად არ გამოიყენება და აბსოლუტური არ არის. მისი დაცვის კონტროლისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმის გარემოებები³⁴³. ეს კი, ნიშნავს, რომ სასამართლომ რეალისტურად უნდა მიიღოს მხედველობაში არა მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში

³⁴¹ Barszcz v Poland [ECTHR], App No. 71152/01, 30 may 2006.

³⁴² Vernillo v France [ECTHR], App No. 56581/00, 20 february 1991.

³⁴³ Van v Hungary [ECTHR], App No. 56581/00, 6 novembre 1980.

თეორიულად არსებული მიმართვის საშუალებები, არამედ, ასევე იურიდიული და პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ისინი მოქმედებს”.³⁴⁴

ევროსასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი (დმრ მიხედვით მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) ინდივიდებს რთავს ნებას, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ, ეგრეთწოდებული „აბსტრაქტული“ სარჩელით, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელებს შეუძლიათ გაასაჩივრონ მოქმედი კანონის კონსტიტუციურობა მაშინაც კი, როცა მისი განხორციელება მათზე გავლენას არ ახდენს. სამაგიეროდ, მათ არ აქვთ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ სასამართლოების ან საჯარო უწყებების მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მათ პირად მდგომარეობაზე³⁴⁵. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მოცემული მიმართვის კონსტიტუციური საშუალება, ევროსასამართლომ შეადარა უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის საშუალებას, რომელიც სასამართლომ კონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისათვის არაეფექტიან მიიჩნია, რადგან უნგრეთის უმაღლესი სასამართლო შემოიფარგლება, მხოლოდ კანონების კონსტიტუციურობის აბსტრაქტული კონტროლით სახელმწიფოს, მიერ კერძო პირებთან მიმართებით გატარებული ინდივიდუალური ღონისძიებების გაუქმების ან შეცლის შესაძლებლობის გარეშე.³⁴⁶

ევროსასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, შემოგვთავაზა შედარებით სამართლებრივი მიმოხილვა და აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება, ასევე განსხვავდება, მაგალითად გერმანიის, ესპანეთისა და ჩეხეთის პრაქტიკისგან. ამ ქვეყნებში, არსებობს მიმართვის „სპეციფიკური“ კონსტიტუციური საშუალებები, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოებს აძლევს შესაძლებლობას, გამოასწორონ ოფიციალურ უწყებათა მიერ უფლებათა დარღვევები ან კიდევ, როდესაც კონსტიტუციით გარანტირებული

³⁴⁴ Akdivar and others v Turkey [ECTHR], App No. 99/1995/605/693, 6 novembre 1980.

³⁴⁵ Apostoly v Georgia [ECTHR], App No. 40765/02, 28 Novemba 2006.

³⁴⁶ Van v Hungary [ECTHR], App No. 56581/00, 6 novembre 1980.

უფლების დარღვევა წარმოადგენს არა გადაწყვეტილების, არამედ სხვაგვარი ჩარევის შედეგს, აუკრძალონ შესაბამის უწყებას, განაგრძოს აღნიშნული უფლების დარღვევა და მიუთითონ მას, რომ თუკი ეს შესაძლებელია, აღადგინოს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა.³⁴⁷ „დასახელებული მიმართვის საშუალება, ასევე იძლევა იმ დარღვევათა გამოსწორების შესაძლებლობას, რომელთა მყისიერი და პირდაპირი საფუძველი სასამართლო ორგანოს ქმედებაში ან უმოქმედობაში მდგომარეობს, იმ ფაქტებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც საფუძველად დაედო საქმის წარმოებას; არაკონსტიტუციური კანონის გაუქმება იწვევს სასამართლოების ან სახელმწიფო უწყებების მიერ, აღნიშნული კანონის საფუძველზე მიღებული ყველა საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმებას“.³⁴⁸

ევროსასამართლომ ზემოთ დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს საჯარო უწყებების ან სასამართლოების მიერ გამოტანილი ის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ მოსარჩელის უფლებებზე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას. მსგავს ფორმულირებას, შესაბამის ნორმასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოების შეწყვეტაც კი არ შეუძლია. იგი მხოლოდ ნორმის აღსრულების შეჩერებას იწვევს“.³⁴⁹ სასამართლომ, ასევე, აღნიშნა: იმისათვის, რომ მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყოს, ის უნდა პასუხობდეს საჩივარს, იძლეოდეს გასაჩივრებული დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას და არ უნდა სთავაზობდეს ევროკონვენციის მე-6

³⁴⁷ Hartman v Republic of Czechia [ECTHR], App No. 53341/99, 10 juli 2003

Surmeli v Germany [ECTHR], App No. 75529/01, 8 juni 2006.

³⁴⁸ Reira and others v Spain [ECTHR], App No. 37680/97, 14 octobre 1999.

Voggenreiter v Germany [ECTHR], App No. 47169/99, 8 january 2004.

³⁴⁹ Apostoly v Georgia [ECTHR], App No. 40765/02, 28 Novemba 2006.

მუხლით გარანტირებული უფლებების მხოლოდ უბრალო, ირიბ დაცვას.³⁵⁰ მოცემულ საქმეში, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია მიუთითოს კომპეტენტურ უწყებებს, აღასრულონ გადაწყვეტილება, ზუსტად შეუძლებელია იმის ცოდნა, გამოიწვევდა თუ არა მოსარჩელის მიერ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის გაუქმების მოთხოვნით შეტანილი კონსტიტუციური სარჩელი აღუსრულებლობის პრობლემის სწრაფ და პირდაპირ მოგვარებას³⁵¹. ამ თვალსაზრისით, ევროსასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს შეახსენა, რომ მიმართვის ეფექტიანობის თვალსაზრისით „გერმანიისა და ჩეხეთის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებისადმი მიმართვის საშუალება, რომელიც, ზოგადი წესის თანახმად, აკმაყოფილებს კონვენციის 35-ე (§1) მუხლის მოთხოვნებს, არაეფექტიან მიმართვის საშუალებებად იქნა მიჩნეული „ხანგრძლივი სამართალწარმოების“ საქმეებში, რადგან თუკი აღნიშნულ სასამართლოებს შეუძლიათ დაადგინონ კონსტიტუციური დებულების დარღვევა, რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, მათ არ აქვთ კომპეტენცია, ზუსტი მითითებები გასცენ გაჭიანურებული პროცედურის დაჩქარების შესახებ და არც იმისი შესაძლებლობა, მიაკუთვნონ კომპენსაცია გაჭიანურებული სამართალწარმოებიდან გამომდინარე ზიანისთვის“.³⁵²

ევროსასამართლომ, ზემოთ დასახელებული არგუმენტების გათვალისწინებით, დაასკვნა, რომ საქართველოში მოქმედი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვის მექანიზმები, ვერ უზრუნველყოფენ ეფექტიანი კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელებას. სასამართლოს შეფასება, ფაქტობრივად, მიუთითებს, რომ ზოგ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელების განხილვა ემსგავსება დეკლარაციული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას, რადგანაც

³⁵⁰ Deweer v Belgium [ECTHR], App No. 6903/75, 27 February 1980.

³⁵¹ Apostoly v Georgia [ECTHR], App No. 40765/02, 28 November 2006.

³⁵² Surmeli v Germany [ECTHR], App No. 75529/01, 8 June 2006.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულირებელ სამართალში, არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური რეალიზების საშუალებები, რომლებიც შეძლებს აღადგინოს თავდაპირველი უფლებრივი მდგომარეობა, რაც, პირველ რიგში არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებამდე მიღებული მართლმსაჯულების თუ მმართველობითი აქტების გადახედვას გულისხმობს. ევროსასამართლოს მოცემული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში კი შეიმჩნევა, რომ დასახელებული მდგომარეობის გამოსწორება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტის გაძლიერებაში ან სასამართლოს რეალური საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმით აღჭურვაშია. აღნიშნულის თქმის საფუძველს კი, გვაძლევს „აპოსტოლის საქმეში“ გაკეთებული განმარტება, რომლის მიხედვითაც „იმისათვის, რათა უფლების დაცვის საშუალება ეფექტიანი იყოს, მან უბრალოდ, ირიბად კი არ უნდა დაიცვას კონვენციით გათვალისწინებული უფლებები, არამედ უნდა უზრუნველყოს კონკრეტული ზიანისათვის არსებული სასარჩელო პრეტენზიების პირდაპირი და სწრაფი დაკმაყოფილება“.³⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსი განვითარებით კი, შიდაეროვნულ დონეზე, ევროკონვენციის 35-ე მუხლის მიზნებისთვის ვიღებთ სუბსიდიურობის პრინციპის დამატებით „ინსტანციას“, რომელიც, თავის მხრივ, შეამცირებს ევროსასამართლოში საქართველოდან წარდგენილი საჩივრების რაოდენობას და ქვეყანას მისცემს დამატებით შანსს, თავად აღადგინოს მისი იურისდიქციის ქვეშ დარღვეული უფლება. ეს უკანასკნელი კი, ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ აღნიშნულში ჩანს ევროსასამართლოს დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს დროში მოქმედების საკითხთან, რადგან ევროსასამართლო ახალისებს, რომ ევროკონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა გააძლიერონ ადამიანის უფლებათა დაცვის შიდაეროვნული

³⁵³ *Apostoly v Georgia* [ECTHR], App No. 40765/02, 28 November 2006.

მექანიზმები,³⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეტროაქტიური ეფექტის გაძლიერება კი, აღნიშნულისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ევროსასამართლო ახალისებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტის გაძლიერებას.

მოცემულ თავში განხილულ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევს ევროსასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას (განჩინებას), რომლითაც დადგინდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა. „ჩვენ, რა თქმა უნდა ვეთანხმებით კანონის ამ დებულებას, მაგრამ ამასთანავე, კანონმდებლობის არასრულყოფილებად მიგვაჩნია ის, რომ თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად და შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული საერთო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველად, რატომ არ შეიძლება იგივე სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას“.³⁵⁵ მოცემულ კითხვას, მართლაც გააჩნია ლეგიტიმურობის საფუძველები, რადგანაც ევროსასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, სამოქალაქო სამართალში ახლად აღმოჩენილი გარემოებებით უნდა, რეალიზდეს რაც, თავის მხრივ, რეტროაქტიურ ეფექტს გულისხმობს. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში საფრთხის წინაშე დგას სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, რადგან აქტიურდება წარსულში დამთავრებული, კანონიერ ძალაში შესული სამართლებრივი მოქმედებები. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ წარსულზე დიდი გავლენა, უფრო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს, ვიდრე ევროსასამართლოს,

³⁵⁴ Popelier P., *The European Court of Human Rights' Approach to Retrospective Judicial Reversals*, "The Effects of Judicial Decisions in Time", (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014, 27.

³⁵⁵ ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი 2011, 245.

რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თავისი შინაარსით, ნორმატიულია და ვრცელდება განუსაზღვრელ პირთა წრეზე, ხოლო ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, თავისი შინაარსით ინდივიდუალური უფროა ვიდრე ნორმატიული. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როდესაც პირი შიდაეროვნული მექანიზმების ამოწურვის შემდეგ ევროსასამართლოში მიდის, ეს ნიშნავს იმას, რომ მართალია, მან ქვეყნის შიგნით წააგო დავა, მაგრამ ის აგრძელებს სამართლებრივ დავას და არ ეგუება დამდგარ სამართლებრივ შედეგს, რაც მორალურად ამართლებს კიდევ, ამ ინდივიდუალური დავის „გაცოცხლებას“ და ხელახლა განხილვას. საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში კი, შესაძლებელია პირის მიმართ დადგა ნეგატიური სამართლებრივი შედეგი არაკონსტიტუციური ნორმის სამართალშეფარდების შედეგად, მაგრამ მას აღარ გაუგრძელებია დავა საკონსტიტუციო სასამართლოში აღნიშნული სხვამ განახორციელა და ამის გამო, მას მიეცა შანსი კვლავ იდავოს ამ საკითხზე. ეს არგუმენტები გვაფიქრებინებს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში, კანონმდებლისთვის უფრო მარტივი უნდა იყოს, ევროსასამართლოს მიანიჭოს ახლად აღმოჩენილი გარემოების სტატუსი, ვიდრე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რადგანაც სამოქალაქო სტაბილურობაში დისონანსის შეტანის კუთხით, ევროსასამართლოს გადაწყვეტილება უფრო ნაკლები „ბოროტების“ მომტანია ვიდრე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გარდა ამისა ასევე არსებობს დავის განახლების უფლების მორალური მხარეც, რომელიც როგორც აღვნიშნეთ ევროსასამართლოს შემთხვევაში, უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედება სისხლის სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებში

5.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედება სისხლის სამართალში

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მიხედვითაც, „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის

არაკონსტიტუციურად ცნობა, არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით³⁵⁶. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“-ს 310-ე მუხლის (ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველები) „დ“ ნაწილი კი, ადგენს იმ საპროცესო წესს, რომელიც ქმნის შესაძლებლობას გადიხედოს სისხლის სამართლი ფარგლებში მიღებული განაჩენი და შესაბამისი სამართლებრივი მოცემულობების არსებობის შემთხვევაში, პირის მიმართ დამდგარი სამართლებრივი შედეგი შეიცვალოს რადიკალურად, მის სასიკეთოდ.

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“-ს 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის მიხედვით, „განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი“³⁵⁷. 2009 წლამდე კი, საქართველოს იურისდიქციაში მოქმედებდა 1998 წელს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნტი, ახლად გამოვლენილ გარემოებას მიაკუთვნებდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული კანონი“³⁵⁸.

წინა აბზაცში დასახელებული საკანონმდებლო ცვლილების ანალიზი გვაჩვენებს, რომ საკანონმდებლო დონეზე, შესუსტდა საქართველოს საკონსტიტუციო

³⁵⁶ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N001, 31/01/1996წ.

³⁵⁷ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“, 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N1772, 09/10/2009წ.

³⁵⁸ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 593-ე მუხლის მე-3 ნაწილი, პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/03/1998წ.

სასამართლოს გადაწყვეტილების უკუმაღის შესაძლებლობები სისხლის სამართლის პროცესში. აღნიშნულის თქმის საშუალებას გვაძლევს შემდეგი გარემოებები:

1. 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დეფინიციურ დონეზე, მნიშვნელოვნად შეზღუდა ის სამართლებრივი გარემოებები, რომლის დროსაც შეიძლებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ახლად გამოვლენილ გარემოებად ჩათვლილიყო. 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსამდე, ახლად გამოვლენილ გარემოებად, შეიძლება მიჩნეულიყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის მიღებისას გამოყენებული კანონი, მიუხედავად მისი დარგობრივი კუთვნილებისა. 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა კი, ახლად გამოვლენილ გარემოებად მიიჩნია კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. ჩანაწერში, „სისხლის სამართლის კანონში“, მაგ. პროფ. ჯონი ხეცურიანი მიიჩნევს, რომ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური სისხლის სამართლის ნორმები, ანუ ნორმები, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსშია მოცემული³⁵⁹.
2. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ახლად გამოვლენილ გარემოებად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას მიიჩნევდა მაშინაც, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი გამოყენებული იყო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას. 2009 წლის სისხლის სამართლის

³⁵⁹ ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი 2011, 243.

საპროცესო კოდექსი კი, საერთო სასამართლოების აქტებს შემოფარგლავს მხოლოდ განაჩენით. სისხლის სამართლის საქმეში მიღებულ განჩინებებს კი, რეგულაციის მიღმა ტოვებს, მაშინ, როდესაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ დაყენებულ სამართლებრივ შედეგში მთავარი განმსაზღვრელი შეიძლება, კონკრეტული საპროცესო ღონისძიების ფარგლებში, გამოყენებული და შემდგომ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა იყოს, რომელიც გაფორმდა განჩინების ფორმით.

3. პირველ ნაწილში მოცემულ მოსაზრებას, იმის თაობაზე, რომ 2009 წლის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 310-ე მუხლის „დ“ ნაწილში მოხსენიებული სიტყვები - „სისხლის სამართლის კანონი“ მიუთითებს მხოლოდ მატერიალურ ნორმაზე, ამას ისიც ადასტურებს, რომ საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს ახლად გამოვლენილ გარემოებად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიჩნევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს სისხლის სამართლის მატერიალურ ნორმასთან და ამ ნორმის სისხლის სამართლის განაჩენში გამოყენებასთან. ეჭვის გაჩენის საფუძველი ის არის, რომ კანონმდებელს „სისხლის სამართლის“ ნორმაში, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმაც, რომ მოეაზრებინა, მაშინ მის გამოყენებადობას მხოლოდ განაჩენით არ შემოფარგლავდა, რადგან მატერიალურ ნორმას, შედეგობრივობის კუთხით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს სისხლის სამართლის ფარგლებში მიღებულ განჩინებებში. აღნიშნული გამომდინარეობს განჩინებებში, სადაც მნიშვნელოვანი საპროცესო სამართლებრივი შედეგები ყენდება, ხოლო განაჩენში საპროცესო სამართლებრივი ნორმის გადამწყვეტობა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალურ სამართლებრივი ნორმისა. ასე, რომ 2009 წლის ცვლილებისას ახლად გამოვლენილი გარემოების ამ

საფუძველში, ასეთი ჩანაწერების გაჩენა, არ უნდა იყოს შემთხვევითი.

მისი გაჩენისას კანონმდებლის მიზნები გასაგები და აღქმადია.

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გატარებული მსგავსი რეფორმა უნდა შეფასდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის შესუსტებისკენ გადადგმულ ნაბიჯად. ეს კი არ არის სწორი მიდგომა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, „ვენეციის კომისია“, ქვეყნის სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმს აფასებს, როგორც არაეფექტურს, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით³⁶⁰.

მოცემულ თავში დასმული საკითხის კვლევისთვის, საინტერესოა საერთო სასამართლოების პრაქტიკა, თუ როგორ განმარტავენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ნაწილს. აუცილებელია საერთო სასამართლოების მიდგომის გამოკვლევა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, იმიტომ რომ დასახელებული ნორმის შესასრულებლად სავალდებულო განმარტებას ახდენენ სწორედ საერთო სასამართლოები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 21 ნოემბრის განჩინებაში,³⁶¹ იმსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის საფუძველზე საქმის განახლების შუამდგომლობის დასაშვებობაზე, რომლის ფარგლებშიც შუამდგომლობა დასაშვებად არ ცნო. მოცემული საქმის მსჯავრდებულმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენების

³⁶⁰ Apostoly v Georgia [ECTHR], App No. 40765/02, 28 November 2006.

Strasbourg, 9 February 2005, Opinion 320/2004, CDL-AD(2005)003 Or. Engl., European Commission for Democracy Through Law, Joint Opinion on a Proposal for a Constitutional Law on Changes and Amendments to the Constitution of Georgia, the Venice Commission and OSCE/ODIHR, endorsed by the Commission at its 61st Plenary Session (Venice, 3-4 December 2004) on the basis of comments by P. van Dijk, J. Hamilton, G. Batliner, D. H adziomerovic, Transfer of Functions from Constitutional Court to Supreme Court.

³⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 21 ნოემბრის განჩინება საქმეზე N76აგ-15.

გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა, გამო იმ მოტივით, რომ ყველა გამამტყუნებელი განაჩენი მის მიმართ გამოტანილი იყო უსაფუძვლოდ. საქმეში არ მოიპოვებოდა პირდაპირი და ირიბი სამხილები, რომლებიც გამორიცხავდა ყოველგვარ გონივრულ ეჭვსა და ვარაუდს. მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ მის მიმართ დადგენილი ოთხივე განაჩენი ეყრდნობოდა იმ ნორმებს, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით³⁶², რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა: ა) სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებების ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას; ბ) სსსკ-ის 169-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების - ირიბი ჩვენების საფუძველზე, პირის ბრალდების შესაძლებლობას. მსჯავრდებულის პოზიციით, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად გამოცხადებული სსსკ-ის დასახელებული მუხლები გაუქმდა და იურიდიული ძალა დაკარგა, მაშასადამე, სახეზეა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ნაწილით გათვალისწინებული გარემოების იურიდიული შესაძლებლობა და, შესაბამისად, ბრალდების საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები უნდა გადასინჯოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის შუამდგომლობა დაუშვებლად ცნო.

მოცემულ საქმეზე, საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტთან მიმართებით და აღნიშნა, რომ კასატორი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, განაჩენის გადასინჯვის საფუძველად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის იმ ნორმების

³⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/548 „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ნორმატიული შინაარსი, რომელიც ირიბი ჩვენების საფუძველზე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ განაჩენის გადასინჯვის საფუძველს წარმოადგენს იმ კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც საფუძველად დაედო გადასასინჯ განაჩენს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულის მიმართ დადგენილ გამამტყუნებელ განაჩენს, საფუძველად არ უდევს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პალატა კანონისმიერადაა მოკლებული შესაძლებლობას, გადალახოს საპროცესო კოდექსით დადგენილი დასაშვებობის კრიტერიუმი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინებაში,³⁶³ იმსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის გამოყენების ფარგლებზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით მსჯავრდებულმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე³⁶⁴. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 ივნისის, განჩინებით, მსჯავრდებულის შუამდგომლობა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საკასაციო პალატის განმარტებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2015 წლის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების „ისჯება თავისუფლებისაღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ ნორმატიული

³⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქმეზე N149აგ-16.

³⁶⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/592 „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

შინაარსი, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. მოცემული ნორმა ითვალისწინებდა სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახით, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N2-ის 92-ე პარიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისათვის შექმენისა და შენახვის გამო. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებულს თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენით მსჯავრი, დაედო სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. დანაშაული ითვალისწინებდა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით 171,63 გრამი ნარკოტიკული საშუალების „ნედლი მარიხუანას“ უკანონო შექმენა-შენახვას. აღნიშნული ოდენობა კი, აღემატება საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულ ოდენობას. მეტიც, მითითებული გადაწყვეტილება მიღებულია ნარკოტიკულ საშუალება „გამომშრალ მარიხუანასთან“ მიმართებით. იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 24.10.2015 წლის გადაწყვეტილება, არ ვრცელდება ნარკოტიკულ საშუალება „ნედლ მარიხუანაზე“, მით უმეტეს 171,63 გრამზე, რომელიც აღემატება გადაწყვეტილებაში მითითებულ 70 გრამამდე „გამომშრალი მარიხუანის“ ორმაგ ოდენობასაც კი, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ქმედების ჩადენისათვის მსჯავრდებულის მიმართ განსაზღვრული სასჯელის კონსტიტუციურობის საკითხის დასადგენად, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის საფუძველი, დღევანდელი მოცემულობით არ არსებობს ისევე, როგორც არ არსებობს მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და მისივე შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, 2016 წლის 11 იანვრის განჩინებაში,³⁶⁵ იმსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის გამოყენების ფარგლებზე. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, 2015 წლის 22 ივნისს, მსჯავრდებულმა შუამდგომლობით მიმართა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე. შუამდგომლობის ავტორმა, საჩივრით ითხოვა შუამდგომლობის დასაშვებად ცნობა, სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება და ხელახალი განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, რის საფუძვლადაც მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ მას ედებოდა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტებით (ძველი რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით,³⁶⁶ არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლსა და 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავდა ამავე კოდექსით გათვალისწინებულ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვის შესაძლებლობას, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე. კასატორებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაირღვა მსჯავრდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან საქმე განხილულია მისი არჩევნის შეზღუდვით, არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, მსჯავრდებულის შუამდგომლობა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, დაუშვებლად იქნა ცნობილი.

³⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე N69აგ-15.

³⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/557,571,576 „საქართველოს მოქალაქე ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მსჯავრდებულის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი სსკ-ის 109-ე მუხლის „ვ“ და „კ“ ქვეპუნქტებით (ძველი რედაქცია) წარდგენილ ბრალდებებში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. ამდენად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557-571-576 გადაწყვეტილება, მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას. გარდა ამისა, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დარღვეულია მსჯავრდებულის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება და მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557-571-576 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 96-ე პუნქტზე, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლების სწორად გააზრებისათვის, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა, თავისთავად და ყოველთვის, არ გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მართლმსაჯულების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ ასრულებს უალტერნატივო ფუნქციას, რომელიც უპირობოდ აუცილებელია უფლებების სრულყოფილი დაცვისთვის. პრინციპულად არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვისას პირებს თავისთავად ერღვევათ სამართლიანი სასამართლოს უფლება, თუკი მათ იმავდროულად უზრუნველყოფილი აქვთ სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა უფლებრივი კომპონენტით სარგებლობის შესაძლებლობა. უსაფუძვლოა იმის მტკიცებაც, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვა, ყველა შემთხვევაში გულისხმობს ნებისმიერი უფლების უკეთ დაცვის შესაძლებლობას, რის გამოც, ეს სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის განუყოფელი კომპონენტია და მისი არარსებობისას სამართლიანი სასამართლოს უფლება

ირღვევა³⁶⁷. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მსჯავრდებულს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება არ შეზღუდვია. იგი სრულად იყო უზრუნველყოფილი და ისარგებლა კიდევ სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა უფლებრივი კომპონენტით, ამასთან, მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე სამივე ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა.

ზემოთ განხილული საკასაციო საქმეებიდან, ორი საქმე შეეხებოდა შემთხვევას, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა. ორში კი, სასამართლოს არაკონსტიტუციურად ჰქონდა გამოცხადებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები. იმ საქმეებში, რომლებშიც ახლად გამოვლენილ გარემოებად დასახელებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო ნორმა, სააპელაციო სასამართლოების სისხლის საქმეთა პალატებმა, განცხადებები არ მიიჩნიეს დასაშვებად, რაც ძალაში დატოვა კასაციამ. როგორც გამოიკვეთა, დაუშვებლობების გარემოებები სხვადასხვა იყო, მაგრამ არცერთ შემთხვევაში დაუშვებლობის მიზეზად არ დასახელებულა ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ნაწილი მიუთითებს სისხლის სამართლის კანონზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საპროცესო ნორმის არაკონსტიტუციურობა, არ შეიძლება გახდეს ახლად გამოვლენილი გარემოება სისხლის სამართალში. ფაქტია, რომ საკასაციო და სააპელაციო ინსტანციები მსგავს, პირდაპირ განმარტებას არ აკეთებენ. ასევე, ისიც ფაქტია, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, საქმეებში, სადაც ახლად გამოვლენილ გარემოებად, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის არაკონსტიტუციურობაა მითითებული, სხვადასხვა მიზეზებით, შინაარსობრივი მსჯელობის სტადიამდეც არ მიდის საქმე. მსგავსი პრაქტიკა კი, კიდევ უფრო ცუდად აისახება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტურობაზე. ფაქტია, რომ სისხლის სამართლის საქმეებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგის

³⁶⁷ იხ. იქვე.

რეალიზება, საერთო სასამართლოებს აქვთ მინდობილი, სადაც საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი დასაშვებობის საპროცესო ბარიერსაც კი ვერ ლახავს.

იმისათვის, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე შეიქმნას მნიშვნელოვანი, ეფექტური უფლების დაცვის მექანიზმი, აუცილებელია ზემოთ წარმოჩენილი საკანონმდებლო და ზოგ შემთხვევაში, პრაქტიკის ხარვეზების გამოსწორება. ასეთი მიდგომა, ეფექტურს და ხელშესახებს გახდის ძალაუფლების დანაწილების პრინციპის და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზებას. აქვე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეები, განსაკუთრებით დიდი დოზით საჭიროებენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტით რეალიზების ძლიერ გარანტიებს, რადგან სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში, დღის წესრიგში ნაკლებად დგას ის სხვა სავარაუდო ლეგიტიმური ინტერესები, რაც შესაძლოა დაზიანდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მაღალი დოზით უკუძალით გავრცელების შემთხვევაში.

მოცემულ საკითხზე მსჯელობისას, საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო მიდგომები, რომლებიც არეგულირებენ სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების აქტების რეალიზების ფორმებს სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით. ვფიქრობთ, მოცემული საკითხის შედარებით სამართლებრივ ჭრილში განხილვა, უფრო კარგად დაგვანახებს იმ საერთაშორისო გამოცდილებას, რომელიც დაგროვილია, ამ საკითხთან მიმართებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში.

ალბანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ კანონის 76-ე მუხლი არეგულირებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიულ ეფექტს. მოცემული მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის ან ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან ან საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეუსაბამობის საფუძველით ანულირების შესახებ გადაწყვეტილება, როგორც წესი, იურიდიულ ძალას იძენს მისი

ძალაში შესვლის დღიდან³⁶⁸, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტულ გადაწყვეტილებას, შესაძლებელია რეტროაქტიური ეფექტი მიენიჭოს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეეხება სისხლის სამართლებრივ მსჯავრს და ეს პირდაპირ დაკავშირებულია არაკონსტიტუციურად ცნობილი (ანუღირებული) საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტის იმპლემენტაციასთან“³⁶⁹. აქვე აღსანიშნავია, რომ ალბანეთის მოცემული საკანონმდებლო აქტი არ აკონკრეტებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძღის რეალიზების ფორმას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოცემული ნორმა, არც იმას აკონკრეტებს, თუ დარგობრივი ნიშნით რა სახის ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშია შესაძლებელი საკონსტიტუციო სასამართლოსთვის უკუძღის ეფექტის მინიჭება.

ჩეხეთის რესპუბლიკის „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის“ 71-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი (ანუღირებული) კანონის ან სხვა კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე სასამართლო სისხლის სამართლის პროცესზე გამოიტანს განაჩენს, მას აქვს იურიდიული ძალა, მაგრამ მისი აღსრულება შეჩერდება. არაკონსტიტუციურად ცნობილი (ანუღირებული) კანონის ან სხვა კანონქვემდებარე აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება წარმოადგენს საფუძველს, რომ ხელახლა მოხდეს საქმის განხილვა სისხლის სამართლის პროცესის ნორმების შესაბამისად“³⁷⁰. მოცემული ნორმა, მსგავსად საქართველოს კანონმდებლობისა, აქცენტს აკეთებს გადასინჯვის შესაძლებლობაზე. აქაც, გადასინჯვის ინსტანცია არ არის საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანო და ასევე, გადასინჯვა ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა

³⁶⁸Law on the Organisation and Functioning of the Constitutional Court of Albania, http://www.gjk.gov.al/web/Constitutional_Court_1_2.php [17.11.2018].

³⁶⁹ იხ. იქვე.

³⁷⁰Constitutional Court Act of Czech Republic

https://www.usoud.cz/fileadmin/user_upload/ustavni_soud_www/Pravni_uprava/AJ/Constitutional_court_act_1_82_1993.pdf [17.11.2018]

გადასინჯვის საფუძველად მაინცდამაინც სისხლის სამართლის ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა არ არის მითითებული, პირიქით არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტების წრე ფართოა და იგი მოიცავს, როგორც საკანონმდებლო ისე კანონქვემდებარე აქტებსაც.

უნგრეთის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტის“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლო გაცემს ბრძანებას ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი პროცედურის რევიზიის თაობაზე, რომელიც ხორციელდება საბოლოო გადაწყვეტილების (გასაჩივრების გარეშე) მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი ნორმის ან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის სხვა სამართლებრივი საშუალების საფუძველზე თუ მსჯავრდებული ჯერ არ არის გათავისუფლებული სასჯელის შედეგებისგან და პროცედურებში გამოყენებული ნორმის გაუქმება გამოიწვევს სასჯელის ან ზომის შემცირებას ან გადადებას ან გათავისუფლებას ან პასუხისმგებლობის შეზღუდვას“.³⁷¹ როგორც ვხედავთ, უნგრეთის შემთხვევაში, უკუძალის რეალიზების ინიციატორი არის უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის ბრძანების გაცემის შემდეგ პროცედურები გრძელდება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში. ასევე, გადასინჯვის წინაპირობად მითითებულია, რომ მსჯავრდებული არ უნდა იყოს განთავისუფლებული სასჯელის შედეგებისგან და კონკრეტულ სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებული და შემდეგ, არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას უნდა შეეძლოს სასჯელის ზომის შემცირება, გადადება ან საერთოდ პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება. ასევე, ყურადღებას გასამახვილებელი იმაზე, რომ არც უნგრეთის საკანონმდებლო რეგულაცია არ უთითებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის დარგობრივ კუთვნილებაზე. აქაც, მთავარი ამოსავალი წერტილია არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის გავლენის შესაძლებლობები კონკრეტული პირის განაჩენის შედეგების შეცვლაზე. ეს შემამსუბუქებელი შედეგები კი, თავის მხრივ, შესაძლებელია იყოს სასჯელის შემსუბუქება, დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა, სასჯელისგან

³⁷¹ Act on the Constitutional Court of Hungary - <https://hunconcourt.hu/rules/act-on-the-cc> [15.12.2018].

განთავისუფლება ან საერთოდ, გამამტყუნებელი განაჩენის გამამართლებელი განაჩენით შეცვლა.

სამხრეთ კორეის რესპუბლიკის „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის“ 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „ნებისმიერი სტატუტი ან ნორმა, რომელიც გადაწყდება, რომ არაკონსტიტუციურია კარგავს, ძალას გადაწყვეტილების გამოტანის დღეს: იგულისხმება, რომ სტატუტები ან ნორმები, რომელიც შეეხება სისხლისსამართლებრივ სასჯელს, ძალას კარგავს რეტროაქტიურად“.³⁷² მოცემულ შემთხვევაშიც, სამხრეთ კორეის რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები, ადგენენ უპირობო უკუძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ იმ ნორმებზე, რომლებსაც რაიმე ზეგავლენა შეიძლება ჰქონდეთ სისხლის სამართლის საქმეებზე. თუმცა, ერთი თავისებურება ის არის, რომ მოცემული ნორმა ყურადღებას ამახვილებს იმ სტატუტებზე და ნორმებზე, რომლებიც შეეხება სისხლისსამართლებრივ სასჯელს. მოცემული რეგულაცია, ჩვენი აზრით, არ ნიშნავს იმას, რომ უკუძალა ეხება მარტო საკონსტიტუციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის ნორმის სანქციის ნაწილი. ჩვენი აზრით, ამ ნორმაში სასჯელზე მითითება მიანიშნებს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეებზე სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობებზე თუ რათქმაუნდა არსებითი გავლენა ჰქონდა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში გამოყენებულ და შემდგომ უკვე, არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმას.

პორტუგალიის კონსტიტუციის 282-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „უკვე გადაწყვეტილი საქმეები ინარჩუნებენ ძალას, გარდა შემთხვევისა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს სხვაგვარად იმ სამართლებრივ ნორმასთან მიმართებით, რომელიც შეეხება ჯარიმას, დისციპლინურ საკითხებს ან ნორმას, რომელიც მსჯავრდებულისთვის არახელსაყრელია“.³⁷³ მოცემულ შემთხვევაშიც,

³⁷²Constitutional court act south korea

http://english.ccourt.go.kr/cckhome/images/eng/main/constitutional_court_act.pdf [17.11.2018].

³⁷³Constitution of The Portuguese Republic

საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედულებაზეა გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტი, იმ დათქმით, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი ნორმა უნდა მიემართებოდეს დისციპლინარურ სანქციას, ჯარიმას ან მსჯავრდებულს უნდა აყენებდეს არახელსაყრელ სამართლებრივ მდგომარეობაში. აღსანიშნავია, რომ არც პორტუგალიის კანონმდებლობა არ მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტის წინაპირობად არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის დარგობრივ კუთვნილებაზე.

რუმინეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 408²-ე მუხლის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღიარებულ არაკონსტიტუციურობის გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა გადაისინჯოს საქმე თუ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ სამართლებრივ ნორმას, რომელიც იცნო არაკონსტიტუციურად“ ... რევიზიის მოთხოვნა შესაძლოა, წარედგინოს 3 თვის ვადაში მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება რუმინეთის ოფიციალურ საკანონმდებლო მაცნეში (მონიტორში) გამოქვეყნდება³⁷⁴. მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა, რომ რუმინეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გადასინჯვის წინაპირობად ადგენს 3 თვიან ხანდაზმულობის ვადას. ჩვენი აზრით სისხლის სამართლის საქმეებში ზოგადად ხანდაზმულობის ვადის დადგენა, განსაკუთრებით კი ისეთი მოკლე ხანდაზმულობის, როგორც 3 თვეა, არ არის მართებული, რადგანაც ნაკლებად არსებობს ის ლეგიტიმური მიზნები, რომლებსაც, შესაძლოა ემსახურებოდეს სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვაში მსგავსი ვადების შემოტანა. ქართული საკანონმდებლო სივრცის სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის შემთხვევაში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც ახლად გამოვლენილი გარემოება), არ ადგენს სააპელაციო სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის ხანდაზმულობის ვადას, რაც

<https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/pt/pt045en.pdf> [17.11.2018].

³⁷⁴Criminal Procedure Code of Romania

http://www.vertic.org/media/National%20Legislation/Romania/RO_Criminal_Procedure_Code.pdf [17.11.2018].

საშუალებას იძლევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტის რეალიზება დაინტერესებულმა პირმა მოახდინოს ნებისმიერ დროს, სანამ მის მიმართ მოქმედებს სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაყენებული ნეგატიური შედეგები. ასევე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც რუმინეთის კანონმდებლობა ადგენს სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში გამოტანილი აქტების გადასინჯვის წინაპირობად საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მიერ დარგობრივი ნიშნით ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

სლოვაკეთის „საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზების შესახებ კანონის 41ბ-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „თუ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე იმ სამართლებრივი რეგულაციის საფუძველზე, რომელმაც შემდგომში დაკარგა ძალა კონსტიტუციის 125-ე მუხლის თანახმად და შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება გახდა საბოლოო, მაგრამ ჯერ არ აღსრულებულა, მაშინ ამ სამართლებრივი რეგულაციის, ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვა ხდება იმის მიზეზი, რომ ხელახლა განიხილოს სასამართლომ საქმე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების მიხედვით.“³⁷⁵ მოცემულ შემთხვევაშიც, კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობა, სისხლის სამართლის საქმეებზე არის საქმის წარმოების განახლების უპირობო საფუძველი. სლოვაკეთის კანონმდებლობა, ასევე არ მიუთითებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის დარგობრივ კუთვნილებაზე და არც ყურადღებას ამახვილებს, თუ ეს ნორმა სისხლის სამართლის პროცესის რა სახის სამართლებრივ აქტში იქნა გამოყენებული.

ურუგვაის „პროცედურის ზოგადი კოდექსი“-ს 521-ე მუხლის მიხედვით, „არაკონსტიტუციურად გამოცხადება, სამართლებრივ ნორმას, ტოვებს ძალის არმქონედ იმ პროცედურებში, რომელშიც არაკონსტიტუციურობა დადგინდა. თუ ეს საჩივრით ან მთავარ განხილვაზეა მოთხოვნილი, მსჯავრი ძალაში არ შედის, რომ

³⁷⁵ Constitution of Slovak Republic - <https://www.prezident.sk/upload-files/46422.pdf> [17.11.2018].

შეაფერხოს არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმების მოქმედება იმ პირის წინააღმდეგ, რომელზეც მიმართულია მსჯავრი. ამ პირმა, შესაძლოა გამოითხოვოს გადაწყვეტილება ნებისმიერ სასამართლო პროცედურაში, მათ შორის, ადმინისტრაციული დავების განმხილველი ტრიბუნალის წინაშე და მოითხოვოს მისი გადასინჯვა³⁷⁶. ურუგვაის „პროცედურის ზოგადი კოდექსი“-ს მოცემული ნორმა საინტერესოა იმით, რომ აჩერებს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი აქტის მოქმედებას. ასევე აღსანიშნავია, რომ მოცემული საკანონმდებლო ნორმა ერთ ჭრილში განიხილავს საქმეებს, რომელშიც მსჯავრი დგება (სისხლის სამართლის საქმეები) და საქმეებს, რომლებშიც სანქციები გამოტანილია ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.³⁷⁷ ურუგვაის კანონმდებლობა, ასევე არ მიუთითებს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის დარგობრივ კუთვნილებაზე და არც ყურადღებას ამახვილებს, თუ ეს ნორმა სისხლის სამართლის პროცესის რა სახის სამართლებრივ აქტში იქნა გამოყენებული.

სისხლის სამართლის საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გავლენასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საინტერესოა, „ვენეციის კომისიის“ კვლევა „კონსტიტუციური მართლმსაჯულების

³⁷⁶ General Code of Procedure Uruguay - <https://wipolex.wipo.int/en/text/177336> [17.11.2018].

³⁷⁷ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგანაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევები თავისი შინაარსით არის სამართლებრივი შემთხვევა სადაც სახელმწიფო იყენებს თავისი „სადამსჯელო“ სანქციებს და სახდელის დადებით ფაქტობრივად სჯის პირს. ფაქტია, რომ საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების რეტროაქტიური ეფექტით რიალიზების საშუალებას არ იძლევა მსგავს შემთხვევებში, რაც მაინცდამაინც გონივრული მიდგომა არ უნდა იყოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში საკმაოდ ბევრი შემთხვევა ყოფილა, როდესაც არაკონსტიტუციურად ცნობილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მატერიალური ან პროცედურული ნორმა, თუმცა შედეგობრივი თვალსაზრისით, სანქცია დადებული პირისთვის რაიმე ხელშესახები ეფექტი არ ქონია არაკონსტიტუციურად ცნობას. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის ზოგიერთი სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას თავისი სანქციის სიმძიმიდან გამომდინარე აიგივებს სისხლის სამართლის საქმეებთან რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ საკითხს.

ინდივიდუალური ხელმისაწვდომობის შესახებ³⁷⁸. კვლევაში დასკვნის სახით წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეების რეტროაქტიური ეფექტის (Ex Tunc) ფორმად სისხლის სამართლის დავების ხელახლა გადასინჯვა ძალიან გავრცელებულია ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ნაკლებად წყალობენ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოების გადაწყვეტილების უკუძალით გამოყენებას. როგორც წესი, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს გაუქმების ეფექტი აქვს თუ აღნიშნული შეამსუბუქებს სასჯელს (მაგალითად, საქართველო, ალბანეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, იტალია, სამხრეთ კორეა, მოლდოვა, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი, სამხრეთ აფრიკა, მექსიკა და ურუგუაი). მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში, ახალი საფუძველი მსჯავრის განხილვისთვის დაწესდა მაშინ, როდესაც ეს მსჯავრი დაედო პირს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის (სტატუტი) საფუძველზე. ეს, ერთგვარი შემდგომი რეაგირება იყო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს გადაწყვეტილების ეფექტის გასაძლიერებლად. პორტუგალიაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, შესაძლოა ჰქონდეს რეტროაქტიური ეფექტი, როდესაც, სამართლის ნორმა, რომელიც გამოცხადდა არაკონსტიტუციურად ან კანონსაწინააღმდეგოდ, შეეხება სისხლის სამართლის, დისციპლინურ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საკითხებს და ამასთან ერთად არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლის ნორმის შინაარსი ზღუდავს პასუხისმგებლობაში მიცემული პირის უფლებებს.

მოცემულ თავში განხილული საკითხის შესაჯავმებლად უნდა ითქვას, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის რეგულაცია ქმნის ისეთი განმარტებების შესაძლებლობას, რომლის ამოქმედებამაც, შესაძლებელია არასათანადოდ შეზღუდოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით

³⁷⁸ European commission for democracy through law (Venice Commission), study on unindividual access to constitutional justice, Adopted by the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), Strasbourg, 27 January 2011 (Study N° 538 / 2009), 51.

გავრცელების ეფექტი სისხლის სამართლის საქმეებზე. დასახელებული მუხლის ჩანაწერი, „არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი“³⁷⁹, იძლევა ისეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც ახლად გამოვლენილ გარემოებებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, მიჩნევა შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ სისხლის სამართლის მატერიალური ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით. გარდა ამისა, ასევე გაუგებარია, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის გამოყენებადობა მხოლოდ განაჩენში, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის წარმოების ფარგლებში, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ისეთი სახის სასამართლო აქტები, რომლებსაც დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს საბოლოო შედეგზე. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოები „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის გამოყენებისას, ამ ნორმას არ განმარტავენ ამომწურავად, შესაძლებელია, რომ გარკვეულ შემთხვევებში, ამ ნორმაში მსგავსი ჩანაწერების არსებობამ, გასაქანი მისცეს არასწორ ინტერპრეტაციებს, რადგან ახლად გამოვლენილ გარემოებებზე მართლ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის მატერიალური ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის გამოყენებულია განაჩენში, საკმაოდ ძლიერი შეზღუდვაა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალით რეალიზებისთვის. აღნიშნული მოსაზრება, ასევე მყარდება ჩვენს მიერ მიმოხილული სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციებითაც, რომელთა ანალიზის შედეგადაც, ნათლად დავინახეთ, რომ არცერთი მათგანი ყურადღებას არ ამახვილებს სისხლის სამართლის კანონზე მატერიალური ნიშნით. უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა აკეთებს ზოგად მითითებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტზე (დარგობრივი ნიშნის გარეშე), ზოგიც კი, კანონქვემდებარეზე. ასევე ისიც აღსანიშნავია, რომ არცერთი ქვეყანა არ შემოფარგლავს სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს გადაწყვეტილების

³⁷⁹ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“, 310-ე მუხლი „დ“ ნაწილის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N1772, 09/10/2009წ.

რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით მოქმედების შესაძლებლობას, სისხლის სამართლის საქმეებზე, მათი საერთო სასამართლოების ამა თუ იმ აქტში გამოყენებადობის კუთხითაც.

5.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალში

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ რეგულაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით რეალიზების საშუალებას არ იძლევა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები არ ექცევიან „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ რეგულირების ქვეშ, რადგან მოცემული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ნაწილის მიხედვით, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად“.³⁸⁰ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ საპროცესო ნაწილი კი, საერთოდ დუმს საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობაზე, რაც გამორიცხავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით რეალიზების შესაძლებლობებს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგადად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა მატერიალური ნორმები არ არის ერთ საკანონმდებლო აქტში. არსებობს რიგი საკანონმდებლო აქტები „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რომლებიც ცალკე ადგენენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს. მაგ. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს საგადასახადო კოდექსი და ა.შ. - არც მოცემული

³⁸⁰ „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, მე-6 მუხლის „ბ“ ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N 39(46), 06/08/1999წ.

ცალკეული რეგულაციები არ იცნობენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით რეალიზების შესაძლებლობას.

ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 1984 წელს მიღებული საბჭოთა საკანონმდებლო დოკუმენტია, რომელსაც უკვე მესამე ათწლეულია არ მოუწია სათანადო რეფორმირება. საბჭოთა საკანონმდებლო აქტი, ზოგადი შეფასებით, ნაკლებად ეხმიანება ახლი კონსტიტუციური წყობის პრინციპებს და კონკრეტულ ნორმებს. აღნიშნული კი დამატებითი არგუმენტია იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით რეალიზების საშუალებას. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ის სასამართლო პრაქტიკაც რაც დაგროვდა საკონსტიტუციო სასამართლოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, როგორც მატერიალური,³⁸¹ ასევე საპროცესო³⁸² ნორმების მიმართ.

³⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/16/770 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება N1/3/1282 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება N1/4/535 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 საქმეზე, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს სახალხო ზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/263 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/7/779 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N1/3/1263 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

აქვე აღსანიშნავია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომლის მიხედვითაც ევროკონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს სამართლიან სასამართლო განხილვას პირის წინააღმდეგ წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების განსაზღვრისას. „სისხლის სამართლებრივი ბრალდება“ კი, კონვენციის მნიშვნელობით, ავტონომიური განმარტების ობიექტია და გამოიყენება იმისგან დამოუკიდებლად, როგორც ამ ტერმინის განსაზღვრება კონკრეტული ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში. *inter alia*, 1980 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებაში საქმეზე „დევეერი ბელგიის წინააღმდეგ“ სასამართლომ განაცხადა, რომ სიტყვა „ბრალდება“, უნდა მიეცეს არსებითი და არა ფორმალური მნიშვნელობა. სასამართლომ უნდა გამოიძიოს, თუ რა არის გარეგნულ მხარეს იქით და გამოიძიოს მოცემული სამართალწარმოების რეალური ასპექტები“.³⁸³ ამ ტერმინის ავტონომიურ მნიშვნელობაზე მიუთითებს არაერთი პრეცედენტი (იხ., ე.ლ., რ.ლ. და ჟ.ო.-ლ. შვეიცარიის წინააღმდეგ“; 1997 წლის 29 აგვისტოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „ა.პ., მ.პ. და თ.პ. შვეიცარიის წინააღმდეგ“.). კვალიფიკაციის არარსებობას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიების შემხებლობისთვის. 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე „ენხელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“ ევროსასამართლომ განაცხადა: “თუ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ექნებოდათ შესაძლებლობა, თავიანთი მიხედულებით დაეკვალიფიცირებინათ დანაშაული დისციპლინურად სისხლისსამართლებრივის ნაცვლად, ანდა „შერეული“ დანაშაულის ჩამდენის მიმართ ეწარმოებინათ დისციპლინური დევნა, სისხლისსამართლებრივის ნაცვლად, მე-6 და მე-7 მუხლების ფუძემდებლური დებულებების მოქმედება-არმოქმედება მათ სუვერენულ ნებას დაექვემდებარებოდა. ასეთ ფართო მიხედულებას, შეეძლო კონვენციის მიზანსა და დანიშნულებასთან შეუსაბამო შედეგი გამოეწვია”.³⁸⁴ ამავე საქმეზე დადგინდა, რომ სამართლის უზენაესობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, ქმედება, რომლისთვისაც პასუხისმგებლობის ზომად თავისუფლების

³⁸³ *Deweere v Belgium* [ECTHR], App No. 6903/75, 27 February 1980.

³⁸⁴ *Engel and others v The Netherlands* [ECTHR], App No. 5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72, 8 June 1976.

აღკვეთა შეიძლება იქნეს შეფარდებული, სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნება. 1994 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე „რავსნბორგი შვედეთის წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „მიუხედავად აკრძალული ქმედების არასისხლის სამართლებრივი ხასიათისა, იმ სანქციის სიმკაცრის ბუნების და ხარისხის გამო, რომელიც შეიძლება დაკისრებოდა პირს... შეიძლება საქმე სისხლის სამართლებრივ სფეროს განეკუთვნოს“³⁸⁵.

ევროსასამართლომ, ასევე, საქმეზე „ბენდენაუ საფრანგეთის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ „სანქციები, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ ჯარიმებს მოიაზრებენ გადასახადის გადაუხდელობისთვის, სისხლის სამართლებრივი კატეგორია იყო კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის, ვინაიდან ქმედება ითვალისწინებდა მაღალი სიმკაცრის სასჯელს“³⁸⁶. ევროსასამართლომ, ამ მოტივით, რამოდენიმე სადავო ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ერთმნიშვნელოვნად, სისხლის სამართლებრივი კატეგორიის საქმედ მიიჩნია (განსაკუთრებით კი, მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული³⁸⁷ სამართალდარღვევები. მაგ. „კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“)³⁸⁸.

ევროსასამართლოს ზემოთ მოცემულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, ანალოგიურ განმარტებას იძლევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და აღნიშნავს, „კონსტიტუციური სარჩელის მიზნებისთვის საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს სტრასბურგის სასამართლოს მიდგომას და მიიჩნევს, რომ, ... გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის სახით დადგენილია თავისუფლების აღკვეთა (პატიმრობა 30 დღე-დამემდე ვადით) და მასზე უნდა გავრცელდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება“.³⁸⁹ ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო

³⁸⁵ *Ravnsborg v Sweden* [ECTHR], App No. 5/1993/400/478, 23 March 1994.

³⁸⁶ *Bendenoum v France* [ECTHR], App No. 12547/86, 24 February 1994.

³⁸⁷ ბოხაშვილი ბ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი 2004, 234.

³⁸⁸ *Kakabadze and others v Georgia* [ECTHR], App No. 148/07, 2 October 2012.

³⁸⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/393,397 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

სასამართლო პასუხისმგებლობის ცნებას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის (დმრ მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი), საკმაოდ ფართოდ მარტავს და მიუთითებს, რომ მასში მოიაზრება ნებისმიერი იურიდიული სახის პასუხისმგებლობა, როგორც სისხლის სამართლებრივი, ისე ადმინისტრაციულ სამართლებრივი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველო კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტზე მითითებით პირდაპირ აღნიშნავს, რომ პიროვნების სასარგებლოდ უკუძალის გავრცელება, შესაძლებელია, თუკი იგი აუქმებს ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას და განმარტავს, რომ „ამ დანაწესით კონსტიტუცია გამოხატავს მოქალაქის უფლებებისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას და ამ გზით, ახდენს მათი მხრიდან პოზიტიური ქმედებების სტიმულირებას. ახალი ნორმატიული სინამდვილე იკავებს ძველის ადგილს და, შესაბამისად, აძლიერებს სამართალდამრღვევის უფლებების დაცვის გარანტიებს“.³⁹⁰

როგორც ზემოთ მოყვანილი ევროსასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, შესაძლებელია ქვეყნის კანონმდებლობა კონკრეტულ ქმედებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნების ქვეშ აქცევდეს, მაგრამ ევროკონვენციის და კონსტიტუციის პრინციპების მიზნებისთვის, კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სანქციის სიმკაცრიდან (თავისუფლების შეზღუდვა, მაღალი ფინანსური სანქციები) გამომდინარე თავისი არსით, ის გაუთანაბრდება სისხლისსამართლებრივ კატეგორიას.

მოცემული საკითხის შედარებითსამართლებრივ ჭრილში განსახილველად, საინტერესოა უცხო ქვეყნის საკანონმდებლო მაგალითები, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის მარეგულირებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას მიიჩნევენ საქმის გადასინჯვის საფუძველად:

³⁹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

1. ურუგვაის „პროცედურის ზოგადი კოდექსი“-ს 521-ე მუხლის მიხედვით, „არაკონსტიტუციურად გამოცხადება სამართლებრივ ნორმას ტოვებს ძალის არმქონედ იმ პროცედურებში, რომელშიც არაკონსტიტუციურობა დადგინდა. თუ ეს საჩივრით ან მთავარ განხილვაზეა მოთხოვნილი, მსჯავრი ძალაში არ შედის, რომ შეაფერხოს არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმების მოქმედება იმ პირის წინააღმდეგ, რომელზეც მიმართულია მსჯავრი. ამ პირმა, შესაძლოა გამოითხოვოს გადაწყვეტილება ნებისმიერ სასამართლო პროცედურაში, მათ შორის, ადმინისტრაციული დავების განმხილველი ტრიბუნალის წინაშე და მოითხოვოს მისი გადასინჯვა“;³⁹¹
2. პორტუგალიის კონსტიტუციის 282-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „უკვე გადაწყვეტილი საქმეები ინარჩუნებენ სიკეთეს, გარდა შემთხვევისა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს სხვაგვარად იმ სამართლებრივ ნორმასთან მიმართებით, რომელიც შეეხება ჯარიმას ან დისციპლინურ საკითხებს ან უკანონო აქტს მარეგულირებელი თანმიმდევრობის ქვეშ ან ნორმას, რომელიც ბრალდებულისთვის არახელსაყრელია“;³⁹²
3. სომხეთის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე, არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის საფუძველზე, წლებით ადრე მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილება სასამართლოების მიერ უნდა გადაიხედოს“;³⁹³

³⁹¹ General Code of Procedure Uruguay - <https://wipo.lex.wipo.int/en/text/177336> [05.04.2019].

³⁹² Constitution of The Portuguese Republic

<https://www.wipo.int/edocs/lexdocs/laws/en/pt/pt045en.pdf> [05.09.2018].

³⁹³ The Law of The Republic of Armenia on The Constitutional Court, Article 68.10

http://www.concourt.am/english/law_cc/index.htm [05.09.2018].

4. პოლონეთის კონსტიტუციის 190-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ან სტატუტთან შეუსაბამობის შესახებ, რის საფუძველზეც სასამართლოს სამართლებრივი ძალის მქონე გადაწყვეტილება, საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ან სხვა საკითხი იქნა გადაწყვეტილი, წარმოადგენს საფუძველს პროცედურების ხელახალი გახსნისთვის“;³⁹⁴

დასახელებული უცხო ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილება მიუთითებს, რომ ზოგადად, ადმინისტრაციული დავების შემთხვევაშიც კი, იქმნება საშუალება, გადაისინჯოს შესაბამისი სამართალწარმოება. ეს ნიშნავს იმას, რომ მასში, ასევე მოიაზრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიც, როგორც მძიმე ხასიათის ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რომლებიც შეიძლება უთანაბრდებოდეს სისხლის სამართლის კატეგორიას, ასევე ნაკლებად მძიმე სანქციის მატარებელი დარღვევები. აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული ქვეყნის მაგალითები არ განასხვავებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პროცესუალური თუ მატერიალური ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. ორივე მათგანის შინაარსით ნორმის არაკონსტიტუციურობა საფუძველია საქმის ხელახლა განხილვის. ასევე, ვენეციის კომისიაც თავის ერთ-ერთ დასკვნაში მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების Ex Tunc სამართლებრივი ეფექტი, საკმაოდ გავრცელებული შემთხვევაა და ის, ხარისხობრივად, უთანაბრდება სისხლის სამართლის საქმეებს.³⁹⁵

საქართველოს კანონმდებლობის მიდგომა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის

³⁹⁴ The Constitution of The Republic of Poland, Article 190.4

<https://www.sejm.gov.pl/prawo/konst/angielski/kon1.htm> [07.09.2018].

³⁹⁵ European Commission For Democracy Through LaW (Vince Commission), Strasbourg, 27 January 2011, CDL-AD(2010)039rev, "Study on Individual Access to Constitutional Justice, 51, 194.

გაუვრცელებლობის შესახებ, არის არასათანადო რეგულაცია და არ ემსახურება ადამიანის უფლებების დაცვის მიზნებს. არასათანადობის გარდა, ასევე შეიძლება ითქვას, რომ იგი პოტენციურად, არაკონსტიტუციურად არის, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი, როგორც პასუხისმგებლობითი ნორმების დროში მოქმედების პრინციპის დამდგენი კონსტიტუციური ნორმა, რომელიც კონსტიტუციის მე-2 თავშია მოქცეული, პირდაპირ მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი ნორმების უკუძალით გამოყენება დაშვებულიცაა და წახალისებელიც. „გაუმართლებელია პირისათვის იმ პასუხისმგებლობის გაგრძელება ან მისი შენარჩუნება, მაშინ როდესაც ნორმა, რომლის საფუძველზეც სახელმწიფომ პირს პასუხისმგებლობა დააკისრა, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო“.³⁹⁶

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, როგორც სანქციის სამართალი, უთანაბრდება სისხლის სამართალს, როდესაც სახელმწიფო იყენებს თავის სანქციურ ძალაუფლებას და შემდგომ აღმოჩნდება, რომ ის სამართლებრივი საფუძველი რომლითაც პასუხისმგებლობა დაედო პირს არაკონსტიტუციურია, სულ მცირე, კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს დარღვეული უფლების ეფექტური აღდგენის საშუალებას. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოში არსებული რეგულაციის გასამართლებლად, ნაკლებად გამოდგება სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, რადგან მსგავსი კატეგორიები უკან უნდა იხევდეს, როდესაც საქმე შეეხება სახელმწიფოს მიერ პირის „დასჯას“. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, როგორც „დასჯის“ სამართალი, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის მსგავს რეგულაციას, რათა რეალიზდეს საქართველოს

³⁹⁶ კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტი, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N9, თბილისი 2017, 41.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტი.

მოცემული თავის ბოლოს, გვსურს განვმარტოთ, რომ ჩვენ, ცალკე სამსჯელოდ არ გამოვყოფთ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე სახელმწიფოს მოქმედებით მიყენებული ზიანის მიმართ რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის გამოყენების საკითხს, რადგან მიგვაჩნია, რომ მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის ჩანაწერისა,³⁹⁷ არსებობს ინდივიდუალურ შეფასებას დაქვემდებარებული შემთხვევები, რომლის დროსაც უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების მატერიალური და დროითი პარამეტრები. ამის ყველაზე კარგი მაგალითია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც მიუთითებს, რომ „თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ანდა გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადების ნაცვლად ძალადაკარგულად ცნობს“.³⁹⁸ ამ ნორმით, სასამართლოს ხელშია მსგავსი შეფასების და შესაბამისი ქმედების განხორციელება. ეს ნორმა ასევე მაგალითია იმისა, რომ როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის ორი გამოხატულება ერთი - აუნაზღაუროს სახელმწიფომ პირებს არაკონსტიტუციური/არაკანონიერი ნორმატიული აქტით მიყენებული ზიანი და მეორე, ზიანის მოცულობიდან გამომდინარე საფრთხე შეექმნას სახელმწიფოს მიმდინარე ვალდებულებებს, სასამართლომ, როგორც შემფასებელმა

³⁹⁷ ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

³⁹⁸ „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 32-ე მუხლის მე-5 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 39(46), 06/08/1999.

სკურპულოზურად უნდა შეაფასოს ეს ინტერესები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ჩვენი აზრით, მსგავს შემთხვევებში, არასწორად მიგვაჩნია საკანონმდებლო დონეზე კონკრეტული ერთი ღირებულებისკენ კანონმდებლობის გადახრა. ეს არის მიზეზი იმისა, რომ მსგავსი შემთხვევა ცალკე სამსჯელოდ არ გამოვყავით, რადგან ინდივიდუალური თავები დავუთმეთ ისეთ საკითხზე მსჯელობას, სადაც, ჩვენი აზრით, რეტროაქტიური ეფექტის გამოყენების აუცილებლობა უდავოა.

5.3. შეჯამება

სამართლის დარგი, რომელიც სახელმწიფოს აძლევს საშუალებას ადამიანს დააკისროს სანქციები, დიდი ხანია განიხილება, როგორც მგრძნობიარე სამართლის სივრცე სადაც განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას დანაშაული და სასჯელი, უდანაშაულოდ დასჯილისთვის კი სამართლიანობის აღდგენა. სწორედ ეს მიზეზი გახლავთ იმის საფუძველი, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ყველა სისტემა, სამართლის ასეთი დარგებისთვის აღდგენს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ძალით რეალიზების სამართლებრივ შესაძლებლობებს.

მოცემულ თავში განვითარებული მსჯელობის ფარგლებში ნათლად გამოჩნდა ის ნაკლოვანებები, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია სისხლის და ადმინისტრაციულ სამართალთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის შემთხვევაში 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, გაურკვეველი რეგულაციების გზით შეძლო ისეთი ნორმის დამკვიდრება, რომელიც იძლევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის შემზღვეველი ინტერპრეტაციების განხორციელებას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში კი პრაქტიკულად გამორიცხულია საკონსტიტუციო სასამართლოს შედეგების რეტროაქტიური ძალით რეალიზება. ეს სამართლებრივი რეალობა არის პრობლემა, რომლის გამოსწორებაც აუცილებელია ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტის დაცვისთვის.

6. საქართველოს საერთო სასამართლოების დამოკიდებულება, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურ სამართლებრივ ეფექტთან დაკავშირებით (სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეები)

მოცემულ თავში განვიხილავთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ სამ საქმეს (სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეები), რომელშიც საკასაციო სასამართლო დადგა განმარტების წინაშე, გავერცელებინა თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგი ისეთ შემთხვევაში, როდესაც საერთო სასამართლოებში საქმის განხილვას მოუსწრო, საქმისთვის საკვანძო ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობამ. მოცემული საქმეების მიმოხილვა და უზენაესი სასამართლოს დამოკიდებულება მსგავს შემთხვევებზე, დაგვეხმარება კარგად დავინახოთ საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის ფარგლები და ის გამოწვევები, რომლიც არსებობს ამ საკითხთან მიმართებით არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების ფარგლებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2014 წლის 25 მარტს იმსჯელა საქმეზე,³⁹⁹ რომელშიც ერთ-ერთ საკვანძო საკითხს წარმოადგენდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაგენტისათვის ცნობილი იყო მეწარმე სუბიექტის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, წარმოდგენილ მეწარმე სუბიექტს შეუძლია ასეთი ხელშეკრულების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაგენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიაღწეს იმ მეწარმე სუბიექტს,

³⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმე Nას-495-471-2013.

რომელიც წარმოდგენილია წარმომადგენლით“⁴⁰⁰. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით დგინდებოდა, რომ კონკრეტული სამეწარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელის წარმომადგენლობითი უფლება შეზღუდული იყო. აღნიშნული კი, მხარემ სადავო გახადა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის 18 თვიანი ხანდაზმულობის ვადის დარღვევით.

მოცემული საქმის უზენაეს სასამართლოში განხილვის პარალელურად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობდა შპს „მეტალინვესტი“-ს⁴⁰¹ კონსტიტუციური სარჩელის განხილვა, სადაც სწორედ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის აღნიშნული რეგულაცია სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (დმრ მიხედვით, კონსტიტუციის მე-19 მუხლი). 2014 წლის 29 იანვარს, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილების მიღებამდე, მოცემულ კონსტიტუციურ სარჩელზე დადგა შედეგი, რომლის მიხედვითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სადავოდ გამხდარი ნორმა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასახელებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას კი, უზენაესმა სასამართლომ შემდეგი შეფასება მისცა: „საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წინამდებარე დავის სპეციალური ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში მოწესრიგებისათვის დამაბრკოლებელი ვერ გახდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „მ-ის“ N543 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დაკმაყოფილდა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვები: „ასეთი ხელშეკრულების დადებიდან 18 თვის განმავლობაში“, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, ვინაიდან სადავო ურთიერთობა

⁴⁰⁰ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი (2014 წლამდე არსებული რედაქციით), საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 21-22, 28/10/1994.

⁴⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

წარმოიშვა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმებამდე. ამასთანავე, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. გარდა აღნიშნულისა, პალატა მოიხმობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველ პუნქტსა და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომლებითაც დადგენილია არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. ამდენად, წინამდებარე გადაწყვეტილებაში კანონის ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენება დასაშვებია“.⁴⁰²

მოცემული განმარტებით უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოიყენა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის ის რედაქცია, რომელიც არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და, რომელიც მოქმედებდა მოცემული სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს. მსგავსი მიდგომით, უზენაესმა სასამართლომ, ფაქტობრივად, სამართლებრივი საფუძველი გამოაცალა მხარის არგუმენტს სპეციალური ხანდაზმულობის გაუვრცელებლობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2015 წლის 10 დეკემბერს განიხილა შრომითი (სამოხელეო)⁴⁰³ დავა, რომელშიც საკასაციო საჩივრის ავტორი ითხოვდა დამსაქმებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული თანამდებობიდან განთავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობას, აღდგენას შესაბამის პოზიციაზე და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე. აღსანიშნავია, რომ მოცემული საკასაციო საჩივარი უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ სრულად დააკმაყოფილა, მაგრამ მოცემულ

⁴⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმე Nას-495-471-2013.

⁴⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბერის გადაწყვეტილება საქმე Nბს-161-158 (კ-15).

დავაში მნიშვნელოვანი იყო, თუ სასამართლო როგორ გადაწყვეტდა იძულებითი განაცდურის დაკისრების საკითხს, რადგან საკასაციო საჩივრის ავტორის საჯარო სამსახურიდან განთავისუფლების მომენტში და საერთო სასამართლოების პირველ, მეორე ინსტანციაში საქმის წარმოების დროს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მოქმედი რედაქციის მიხედვით, „სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით“.⁴⁰⁴ მოცემული ნორმის მიხედვით, საჯარო მოხელეს თუ უკანონოდ განთავისუფლებდნენ დაკავებული თანამდებობიდან და ამას დაამტკიცებდა სასამართლო, მას შეეძლო მიეღო მხოლოდ სამი თვის ოდენობით იძულებითი განაცდურის კომპენსაცია (აღსანიშნავია, რომ მსგავს შეზღუდვას არ იცნობდა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“).

საჯარო სამსახურიდან განთავისუფლებულმა საჯარო მოხელემ საერთო სასამართლოებში დავის პარალელურად, მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით და მოითხოვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მეორე წინადადების არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით (დმრ მიხედვით კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი). 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით,⁴⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელის მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სადავო ნორმა.

⁴⁰⁴ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი (ძალადაკარგულია 01/07/2017).

⁴⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მოცემული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამ კი, მოუსწრო უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვას, რის გამოც უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა დადგა აუცილებლობის წინაშე, განემარტა მოცემული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის გავლენა იძულებითი განაცდურის დაკისრების თაობაზე. მოცემულთან დაკავშირებით. „საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უკანონოდ განთავისუფლებული პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს იძულებითი განაცდური. დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების აქტის ბათილად ცნობა იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/3/630 გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა თ. ბეჟიტაშვილის საკონსტიტუციო სარჩელი და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მეორე წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონო განთავისუფლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად იწვევს ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას. კონსტიტუციის ხსენებული დებულება იმპერატიულად ადგენს მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას. მისი რეგულირების სფეროში ექცევა ნებისმიერი ზარალი, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების თანამდებობის პირთა ქმედებით. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის სრული ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას. შესაბამისად, თ. ბეჟიტაშვილს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, კერძოდ, თანამდებობრივი სარგო, რომელიც ხელფასის შემადგენელი პრემირებისა და დანამატებისგან განსხვავებით გაიცემა, მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად, უნდა აუნაზღაურდეს სრული მოცულობით, კერძოდ

სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე“.⁴⁰⁶ უზენაესმა სასამართლომ, მოცემული განმარტებით, ფაქტობრივად, რეალიზება მოახდინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების და საკასაციო საჩივრის ავტორი დაიცვა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ნეგატიური შედეგებისგან. მოცემულ შემთხვევაში, უზენაესმა სასამართლომ, ფაქტობრივად, არ გაითვალისწინა ზემოთ დასახელებულ სამოქალაქო საქმეზე დაფიქსირებული მიდგომა, არადა ორივე შემთხვევაში, საქმისთვის საკვანძო ნორმის არაკონსტიტუციურობის შედეგი, უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის დროს დადგა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 25 ნოემბერს⁴⁰⁷ განიხილა სამოქალაქო დავა, რომელშიც საკასაციო საჩივრის ავტორმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს „თ“-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ მისთვის ფართის მიხედვით ელექტროენერჯის გადასახადის დარიცხვის ბათილად ცნობა. საკასაციო საჩივრის ავტორი ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა იმ გარემოებას, რომ სს „თ-მა“ მას უკანონოდ დააკისრა ელექტროენერჯის გადასახადი საცხოვრებელი ფართის აღრიცხვის მიხედვით, ვინაიდან მოსარჩელეს დაკისრებული ოდენობის ელექტროენერჯია, რეალურად, არ მოუხმარია. ამასთან ერთად, მოსარჩელემ მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე⁴⁰⁸, რომლითაც საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) 2001 წლის 31 დეკემბრის N15 დადგენილებით დამტკიცებული „ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის გადახდის წესი“, საქართველოს

⁴⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე Nბს-161-158 (კ-15)

⁴⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე Nას-611-837-08

⁴⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“.

კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტთან (დმრ მიხედვით კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი) და 39-ე მუხლთან მიმართებით (დმრ მიხედვით, კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი) ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად. აღნიშნული რეგულაციის არაკონსტიტუციურად გამოცხადების გამო კი, მოსარჩელე ვარაუდობდა, რომ აღნიშნული დავალიანება მას ავტომატურად ჩამოეწერებოდა, თუმცა ასე არ მოხდა.

მოპასუხე მხარემ მოცემული სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სასარჩელო მოთხოვნას საფუძველად ედო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი „სემეკი“-ს N 15 დადგენილებით ფიქსირებული გადახდის წესი, თუმცა 2003 წლის 6 იანვრამდე დარიცხულ თანხაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ზეგავლენას ვერ იქონიებდა, ვინაიდან მას უკუქცევითი სამართლებრივი ეფექტი არ გააჩნდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, შ.ო-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო და შემდგომ, საკასაციო წესით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ და საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარეს მოსარჩელის არგუმენტაცია და განმარტეს, რომ მათ იხელმძღვანელებს საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლით (დმრ მიხედვით, კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი), „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19, 23-ე მუხლებით და ჩათვალეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებას უკუქცევითი ეფექტი არ გააჩნდა და მის გამოქვეყნებამდე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოყენებული ვერ იქნებოდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემდგომმა ინსტანციებმა მიიჩნიეს, რომ მოსარჩელისათვის დაკისრებული გადასახდისაგან გათავისუფლების საფუძველი არ არსებობდა.

უზენაესი სასამართლოს, მოცემულ საქმეზე გაკეთებული განმარტება და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუვრცელებლობა სადავო შემთხვევაზე, უნდა შეფასდეს, როგორც „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის ნორმების არასწორი განმარტება. სასამართლომ, მოცემულ შემთხვევაში, თავისი განმარტების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა ორგანული კანონის მე-19 მუხლი (საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები) და 23-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის... „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე, კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, ... ნორმატიული აქტის ან მისი გარკვეული ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“⁴⁰⁹. სასამართლოს კი, მოცემული განმარტების გაკეთებისას, მხედველობიდან გამოეპარა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, რომელიც ადგენს, რომ „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“.⁴¹⁰ ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ამ რეგულაციით და რადგან არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის საფუძველზე განხორციელებული ელექტროენერჯის დარიცხვის აქტით დარიცხული თანხა ჯერ არ იყო აღსრულებული (გადახდილი), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაეგრძელებინა ამ შემთხვევაზე. ჩვენ, ასევე გვესმის, რომ ორგანული კანონის მე-20 მუხლი უთითებს სასამართლო აქტებზე, მაგრამ ეს არ გამორიცხავს, რომ მისი ნორმატიული შინაარსი, ასევე გავრცელდეს სხვა საჯაროსამართლებრივ თუ კერძოსამართლებრივი ინდივიდუალური შინაარსის აქტებზე. მსგავსი განმარტება ორიენტირებული იქნებოდა ადამიანის უფლებების დაცვისკენ და გააძლიერებდა

⁴⁰⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 23-ე მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996.

⁴¹⁰ იხ. იქვე, მე-20 მუხლი.

ისედაც შეკვეცილ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ ეფექტს.

წინა აბზაცში დაფიქსირებულ ჩვენეულ განმარტებას, მართლაც ვერ გამოვიყენებდით ზემოთ განხილულ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებაზე (საქმე Nას-495-471-2013), რადგან მოცემული საქმე იყო წმინდა წყლის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა (მასში, ოდნავი მინარევების სახითაც კი, არ იყო წარმოდგენილი საჯარო სამართლებრივი ხასიათი) და გარდა ამისა, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის საფუძველზე წარსულში დამდგარი სამართლებრივი შედეგი უკვე რეალიზებული იყო და შესაბამისად, შეუძლებელი ხდებოდა „აღსრულების“ შეჩერება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბერს შრომითი (სამოხელეო)⁴¹¹ დავის ფარგლებში გაკეთებული განმარტება კი, უნდა შეფასდეს არსებული საკანონმდებლო ბაზის ყველაზე ოპტიმალურ განმარტებად, რადგან სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმეზე არსებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს. გარდა ამისა, იძულებითი განაცდურის დაკისრება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა არ ხდება საჯარო მოხელის განთავისუფლების დღეს და იმდროინდელი ნორმების მიხედვით, იძულებით განაცდურს დამსაქმებელს აკისრებს სასამართლო. იგი კი ამას აკეთებს დაკისრების დროს არსებული ნორმების მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში კი, საჯარო მოხელის ბრძოლამ უფლების აღდგენისთვის შედეგი გამოიღო, საერთო სასამართლოებში, საქმის უზენაეს ინსტანციაში განხილვას მოესწრო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იძულებითი განაცდურის სამი თვით შემომფარგვლელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რამაც უზენაეს სასამართლოს მისცა საშუალება ადმინისტრაციული ორგანოსთვის დაეკისრებინა იძულებითი

⁴¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბერის გადაწყვეტილება საქმე Nბს-161-158 (კ-15)

განაცდური, საჯარო მოხელის უკანონოდ საჯარო სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან მის სამსახურში აღდგენის დღემდე.

მოცემულ თავში განხილულმა საქმეებმა, პირველ რიგში, კიდევ ერთხელ დაგვანახა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის სისუსტეები. ასევე, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც საერთო სასამართლოებმა არასათანადოდ განმარტეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის მომწესრიგებელი ნორმები. ეს გარემოებები კი, მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის ქმედითი და ეფექტური ძალაუფლების მინიჭება, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანის დარღვეული უფლებების სათანადო ინტენსივობით რეალიზებისკენ.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხზე მსჯელობისას, აუცილებლად უნდა შევხვით გადაწყვეტილების ძალაში შესვლის სამართლებრივ რეგულაციებს, რადგან გადაწყვეტილების ყოველგვარი მოქმედება, მათ შორის, დროში მოქმედება, იწყება მისი ძალაში შესვლიდან.⁴¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი, აბსოლუტურად მართებულად აღნიშნავს, რომ „გადაწყვეტილების უშუალო სამართლებრივი შედეგი არის არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა და ამ გზით, კონსტიტუციის/ადამიანის უფლებების შემდგომი დარღვევების თავიდან აცილება ან/და დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესაძლებლობის გაჩენა. თუმცა, იმავდროულად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ შედეგების დროულ და ეფექტურ ხელმისაწვდომობას, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას აზრი არ ექნება, თუ ის ვერ გამოიწვევს იმ დადებით

⁴¹² გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი 2014, 67.

შედეგებს, რისთვისაც იქნა მიღებული. ამიტომ, სულ მცირე, აუცილებელია, შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების შედეგების გონივრულ დროში დადგომას“.⁴¹³

მოცემული საკითხის აქტუალობას ისიც ამბავს, რომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის რეგულაციები მნიშვნელოვნად შეიცვალა 2016 წლის საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობის რეფორმირების დროს, ხოლო ახალი რეგულაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდა, რომელიც, თავის მხრივ, კონსტიტუციურად მიიჩნია სასამართლოს პლენუმის შემადგენლობამ. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის საკითხმა, განსაკუთრებული პოლიტიკური და სამართლებრივი აქტუალობა შეიძინა საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.⁴¹⁴ მოცემულ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც იძლეოდა შესაძლებლობას აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის ცხრა თვიანი ვადა ცალ-ცალკე გამოყენებულიყო თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე. სადავოდ გამხდარი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდგომ, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის 18 სექტემბერს გიორგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა, თუმცა 19 სექტემბერს იგი სასამართლომ დამნაშავედ ცნო „განვითარების ფონდის“ საქმეზე და მას 4 წლით და 6 თვით პატიმრობა მიესაჯა.⁴¹⁵ მოცემული პირი დატოვებდა თუ არა საპატიმროს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მარეგლამენტირებელ ნორმებით გადაწყდა. ამ საკითხზე უამრავი სამართლებრივი

⁴¹³ ერემაძე ქ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ №6, თბილისი 2012,14.

⁴¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴¹⁵ გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის IV ანგარიში, მონიტორინგის პერიოდი: 2015 წლის ივნისი - 2017 წლის მარტი, 2017წ. ანგარიში მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით.

განმარტება და პოლიტიკური განცხადება გაკეთდა⁴¹⁶, რითიც სათავე დაედო საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობის რეფორმას და მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა განაცხადა, რომ, სამომავლოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს, გადაწყვეტილება, ძალაში მხოლოდ მისი საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების შემდეგ უნდა შედიოდეს⁴¹⁷. აღსანიშნავია, რომ მსგავსი რეგულაცია, რომ ყოფილიყო ზემოთ დასახელებული საქმის დროს, მოცემული პირი საპატიმროს ვერ დატოვებდა, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებასა და გამოქვეყნებას შორის მოცულობითი დროითი სივრცეა. ასევე, საკანონმდებლო მაცნის პროტოკოლური რეგულაციები დასახელებულ პირს მოუსპობდა რამოდენიმე საათით თავისუფლებაში ყოფნას, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მას შემდეგ შევიდოდა ძალაში, რაც უკვე დამნაშავედ იქნებოდა ცნობილი მოცემული პიროვნება და შესაბამისად ყოველგვარი შანსი ექნებოდა დაკარგული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეალიზებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების სტადიას უკავშირდება გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებიც. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი“. ეს ნორმა, ერთი მხრივ, ადგენს გადაწყვეტილების დაუყოვნებელი აღსრულების ვალდებულებას, თუმცა, მეორე მხრივ, ის ამ ვალდებულების წარმოშობის ათვის წერტილად მიიჩნევს გადაწყვეტილების გამოქვეყნების ფაქტს და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის იურიდიული ძალის დაკარგვას გარდა, იმ შემთხვევისა, თუ თავად გადაწყვეტილებით არ იქნება დადგენილი მისივე აღსრულების განსხვავებული ვადა. მოცემული რეგულაციებიდან

⁴¹⁶ საინფორმაციო პორტალი Civil.ge, სტატია - „უგულავამ საკონსტიტუციო სასამართლოში წინასწარი პატიმრობის ვადებთან დაკავშირებული საქმე მოიგო“, <https://old.civil.ge/geo/article.php?id=29692> [15.07.2019].

⁴¹⁷ საინფორმაციო პორტალი “ON.GE”, სტატია - „მოკლედ: ცვლილებები კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, <https://on.ge/story/> [15.07.2019].

გამომდინარე კანონმდებლობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც პირველად სამართლებრივ შედეგს – არაკონსტიტუციური ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვას, ისე მისი აღსრულების ვალდებულებას, უკავშირებს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას.⁴¹⁸

2016 წლის 4 ივნისამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების საკითხს და შესაბამისად, ძალაში შესვლის მომენტს არეგულირებდა „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან და 15 დღეში ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“. საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ გადაწყვეტილების ხელმოწერიდან 15 დღეში იგი ქვეყნდება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე“. ამ ნორმებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ითვლება მისი გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს 15 დღის ვადაში: ა) საქმის ზეპირი მოსმენით გადაწყვეტის შემთხვევაში, 15 დღიანი ვადა აითვლება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის (სხდომაზე საჯაროდ გამოცხადების) მომენტიდან; ბ) საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში კი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ გადაწყვეტილების ხელმოწერის დღიდან.⁴¹⁹

არაკონსტიტუციური ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა, ყოველთვის არ არის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თანადროული პროცესი. გადაწყვეტილების ძალაში შესვლაც და არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის

⁴¹⁸ ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N6, თბილისი 2012, 15.

⁴¹⁹ იხ. იქვე, 14.

იურიდიული ძალის დაკარგვაც, გადაწყვეტილების გამოქვეყნებასთან არის დაკავშირებული. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი პროფ. ერემაძე მართებულად აღნიშნავს: „თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების პირველადი პრაქტიკული იურიდიული შედეგი სხვა არაფერია, თუ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იურიდიული ძალის დაკარგვა (და შემდგომში, ამით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები), მაშინ ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან გამოქვეყნებამდე პერიოდში (მაქსიმუმ 15 დღე, ვიდრე არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტი იურიდიულ ძალას დაკარგავს), გაუგებარია, პრაქტიკულად რა შედეგები შეიძლება დააყენოს (გამოიწვიოს) გადაწყვეტილების ძალაში შესვლამ? მით უფრო, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულების გაჩენაც, მის გამოქვეყნებასთან არის დაკავშირებული და არა გამოცხადებასთან, შესაბამისად, ძალაში შესვლასთან“.⁴²⁰

ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შედეგად გადაწყვეტილების მიღებისას კი, დღეს უკვე ძალადაკარგული საკანონმდებლო ნორმა მიუთითებდა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. ამავე მომენტიდან კარგავს ძალას არაკონსტიტუციური ნორმა და ამავე მომენტიდან ჩნდება გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულება.

2016 წლის 4 ივნისამდე მოქმედ რედაქციასთან დაკავშირებით, პრაქტიკოსი იურისტები რეკომენდაციის სახით მიუთითებდნენ, რომ აუცილებელი იყო გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთვის დადგენილი ვადის შემცირება, რადგან მაქსიმალურად შემჭიდროვებულიყო ვადა გადაწყვეტილების გამოცხადებიდან ძალაში შესვლამდე. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად, არსებობდა არგუმენტი, რომლის მიხედვითაც „ვინაიდან იურიდიული ძალის დაკარგვამდე ნორმატიული აქტი მოქმედებს, გამოდის, რომ 15 დღის განმავლობაში (გადაწყვეტილების გამოცხადებიდან/ხელმოწერიდან გამოქვეყნებამდე) არაკონსტიტუციურად ცნობილი

⁴²⁰ იხ. იქვე, 16.

ნორმატიული აქტი იურიდიულ ძალას ინარჩუნებს, რაც ნიშნავს, რომ უნარიანია, გამოიწვიოს არაკონსტიტუციური შედეგები. ბუნებრივია, ივარაუდება, რომ სამართალშემფარდებელმა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა აღარ უნდა გამოიყენოს და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს უშუალოდ კონსტიტუციაზე დაყრდნობით^{.421} ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნეოდა გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთვის უფრო ხანმოკლე ვადის არსებობა, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის გამოყენების შესაძლებლობა მისი იურიდიული ძალის დაკარგვამდე.

2016 წლის 4 ივნისის ცვლილებების შემდგომ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებები, ასევე, შეეხო გადაწყვეტილების გამოქვეყნების მარეგულირებელ ნორმებს. ბუნებრივია და შესაბამისად გასაგებიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა, კვლავ მის გამოქვეყნებაზე დარჩა მიზნული, თუმცა გამოქვეყნების რეგულირება, რეალურად შეიცვალა. ცვლილებები განხორციელდა ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-6, 43-ე მუხლის მე-11 და 43-ე უბლის მე-12¹ პუნქტებში⁴²² და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის გამოქვეყნებად განისაზღვრა, მისი სრული ტექსტის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება.

მოცემული ცვლილებების სიტყვები - „სრული ტექსტი“ სადავო გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში. სასამართლომ იმსჯელა მათ კონსტიტუციურობაზე 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებაში⁴²³ და დაადგინა, რომ არ არსებობდა მათი არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი.

⁴²¹ იხ. იქვე, 17

⁴²² „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 001, 27/02/1996.

⁴²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/5/768,769,790,792 საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე,

მოსარჩელების პოზიციით, სადავოდ გამხდარი ნორმებით საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება, რაც პირდაპირ უკავშირდება მის ძალაში შესვლას. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, უფლების დაცვის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა სასამართლოს გადაწყვეტილების დროულად ძალაში შესვლას და შესაბამისად, გასაჩივრებული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ისევე, როგორც ნორმის მოქმედების შეჩერებას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ იქმნებოდა უფლების დარღვევის რისკები იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის ან მისი მოქმედების შეჩერების შესახებ, თუმცა ვერ მოასწრო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მომზადება, ხოლო კანონით დადგენილი მკაცრი პროცედურის გამო, ვერ ხდება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა ან მისი მოქმედების შეჩერება. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების სრული ტექსტის გამოქვეყნების ვალდებულება, თუმცა ეს ვალდებულება მიზნული არ უნდა იყოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან.

საპირისპირო პოზიციის სახით კი, აღინიშნა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის გამოქვეყნების ვალდებულება სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფას ემსახურება. კერძოდ, მხარეებს და საზოგადოებას, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხის შესაბამისად, უნდა შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ მართლმსაჯულება არ იყო თვითნებური. ამასთან, მოპასუხე მხარემ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული მსჯელობა აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის არის საორიენტაციო შესაბამისი ცვლილებების მიღებისას. ამასთან, სამოტივაციო ნაწილის

ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გარეშე, შეუძლებელია, რაიმე დასკვნის გაკეთება გადაწყვეტილების სათანადო აღსრულებისთვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აბსოლუტურად მართებულად მიუთითა, რომ კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით (მათ შორის, დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით), საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი სასამართლო აქტების მიღება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე მომზადებულია შესაბამისი აქტის პროექტი. კერძოდ, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 6¹ პუნქტის მიხედვით, „კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში, მომხსენებელი მოსამართლე განმწესრიგებელი სხდომისთვის ამზადებს განჩინების პროექტს“⁴²⁴. ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „განჩინების ან საოქმო ჩანაწერის პროექტს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს/კოლეგიას წარუდგენს მომხსენებელი მოსამართლე თუ არსებობს განჩინების ან საოქმო ჩანაწერის სხვა პროექტი, მას კენჭი ცალკე ეყრება“.⁴²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მომხსენებელი მოსამართლე წარუდგენს პლენუმს/კოლეგიას საოქმო ჩანაწერის/განჩინების პროექტს. განხილვის მონაწილე მოსამართლე უფლებამოსილია კენჭისყრაზე დააყენოს წინადადება საოქმო ჩანაწერის/განჩინების პროექტში ცვლილების ან დამატების შეტანის შესახებ. წინადადებით გათვალისწინებულ თითოეულ ცვლილებას/დამატებას კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. ცვლილება/დამატება მიღებულად ითვლება თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე მოსამართლეთა ნახევარზე მეტმა. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ, კენჭი ეყრება მომხსენებელი მოსამართლის მიერ წარდგენილი საოქმო

⁴²⁴ დმრ მიხედვით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31²-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

⁴²⁵ დმრ მიხედვით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 31⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ჩანაწერის/განჩინების პროექტს (მიღებული ცვლილებების და დამატებების გათვალისწინებით). საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, გადაწყვეტილების/დასკვნის მიღების, ხელმოწერისა და გამოცხადებისას, შესაბამისად, მოქმედებს ამ რეგლამენტის 30-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული წესი. ამდენად, აღნიშნული რეგულაციების გათვალისწინებით, შეუძლებელია, მიღებულ იქნეს სასამართლოს აქტი თუ სახეზე არ არის მისი სრული ტექსტი.⁴²⁶

სასამართლომ ამ ნორმებზე დაყრდნობით განუმარტა მხარეებს, რომ სადავო ნორმებით არ მომხდარა არსებითად ახალი ვალდებულებების დაკისრება სასამართლოსთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების წინაპირობა არ აბრკოლებს გადაწყვეტილების ძალაში შესვლას, რადგან სასამართლოს მიერ შესაბამისი აქტის მიღებისას უკვე სახეზეა აღნიშნული აქტის სრული ტექსტი. შესაბამისად, მისი გამოქვეყნების ვალდებულება არ მოითხოვს რაიმე დამატებით დროს და არ შეიცავს იმ რისკებს, რომლებზეც მოსარჩელე მხარე აპელირებდა.

სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლა, ძირითადად, დაკავშირებულია შესაბამისი აქტის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებაზე (უზბეკეთი,⁴²⁷ სლოვენია,⁴²⁸

⁴²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება N3/5/768,769,790,792 საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი(დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴²⁷ Law of The Republic of Uzbekistan

<http://cis-legislation.com/document.fwx?rgn=97595> [05.08.2018].

⁴²⁸ Constitutional Court Act of the Slovak Republic

<https://www.ustavnysud.sk/en/collection-of-findings-and-rulings> [21.09.2018].

სომხეთი,⁴²⁹ რუმინეთი,⁴³⁰ ესპანეთი,⁴³¹ ლიეტუვა⁴³²). ზოგიერთ ქვეყანაში, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის გამოქვეყნება სავალდებულოა, ასევე მასმედიის საშუალებებში (უზბეკეთი, სომხეთი). სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის ქვეყნებში ძირითადად სასამართლოს, აქტები ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან მომდევნო დღეს, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, რუმინეთის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან 45 დღეში.

სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის ქვეყნებში ნაკლებად გამოიყენება მიდგომა, რომლის მიხედვითაც სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებად მიჩნეულია მისი განთავსება საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე. ამ კუთხით, მსგავსი საკანონმდებლო რეგულაცია აქვს ლიეტუვას, რომლის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ლიეტუვას კანონის 84-ე მუხლის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები ძალაში შედის იმ დღიდან, როდესაც ეს აქტები ოფიციალურად გამოქვეყნდება სამართლებრივი აქტების რეესტრში, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილებითვე, ასევე შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილების სარეზულუციო ნაწილი გამოქვეყნდეს სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე, რის შემდეგაც იგი მაშინვე შედის ძალაში.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის სასიკეთოდ შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის 4 ივნისამდე მოქმედი რეგულაციის ახალი რედაქციით ცვლილება წინ გადადგმული ნაბიჯია. ძველი რედაქცია ადგენდა

⁴²⁹ The Law of The Republic of Armenia on The Constitutional Court, Art. 68.10

http://www.concourt.am/english/law_cc/index.htm [05.09.2018].

⁴³⁰ Criminal Procedure Code of Romania

http://www.vertic.org/media/National%20Legislation/Romania/RO_Criminal_Procedure_Code.pdf [05.09.2018].

⁴³¹ Organic Law on the Constitutional Court

<https://www.tribunalconstitucional.es/es/tribunal/normativa/Normativa/LOTC-en.pdf> [05.09.2018].

⁴³² The Constitutional Court of the Republic of Lithuania 27.03.2009 Ruling N33/06 on the Compliance of Paragraph 3 of Article 51 (Wording of 10 October 2000) of the Republic of Lithuanias Law on Trademarks With the Constitutional of the Republic of Lithuania.

იმდაგვარ რეგულაციას, რომელიც ადგილს უტოვებდა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემაფერხებელ განმარტებებს. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ როდესაც გადაწყვეტილების ძალაში შესვლა დამოკიდებულია გადაწყვეტილების გამოქვეყნებაზე, გამოქვეყნება კი, თავის მხრივ, საკანონმდებლო მაცნეში განთავსებაზე, გამოდის, რომ, თითქოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეალიზება ფორმალურად მაინც, დამოკიდებულია სხვა უწყებაზე, რადგან საქართველოს საკანონმდებლო მაცნე არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების ნორმატიული აქტების გამოქვეყნებას. მას აქვს თავისი ბიუროკრატიული და ტექნოკრატიული ბარიერები, რომლის გავლისას, გარკვეულ შემთხვევებში, არსებობს გამოქვეყნების შეფერხების საშიშროება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა კი, მეტად უზრუნველყოფილია, ვიდრე სსიპ „საკანონმდებლო მაცნისა“, შესაბამისად სასამართლოს აქტის გამოქვეყნება, მის კონტროლირებად ელექტრონულ ვებგვერდზე უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ამ ფუნქციის გასვლა საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციიდან. რაც შეეხება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-6, 43-ე მუხლის მე-11 და 43-ე მუხლის მე-12¹ პუნქტებში⁴³³ ნახსენებ „სრულ ტექსტს“, ამაზე საკონსტიტუციო სასამართლომ, სავსებით მართებული პოზიცია დააფიქსირა, რაზეც პლენუმის არცერთ წევრს არ ჰქონია განსხვავებული მოსაზრება, მითუფრო, რომ ამ საქმის ფარგლებში ბევრ საკითხზე დააფიქსირეს პლენუმის წევრებმა განსხვავებული აზრი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამოდინარე უნდა ითქვას, რომ საქ.საკ. სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტთან არაერთგვაროვანი

⁴³³ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 001, 27/02/1996.

განმარტებების გამორიცხვა, ემსახურება გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტურობას. ეს უკანასკნელი კი, სამართლებრივი სახელმწიფოს ბარომეტრია⁴³⁴.

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტის ალტერნატივები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის საზომი, რეალურად აღდგენილი ადამიანის უფლებებია. სწორედ ამას ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების საკითხები. როდესაც ქვეყნის კანონმდებლობა, გარკვეული მიზეზებით უარს ამბობს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუნდაც შეზღუდული დოზით, რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით აღჭურვაზე, აუცილებელია აღნიშნულის სხვა შემამსუბუქებელი გარემოებებით დაბალანსება. ნახსენები შემომასუბუქებელ გარემოებებში კი, იგულისხმება საკონსტიტუციო კონტროლის იმ მექანიზმების დამკვიდრება, რომლების არსებობაც იძლევიან უფლების დარღვევის პრევენციის მაღალ სტანდარტს. მოცემულ თავში ჩვენს მიზანს წარმოადგენს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის ალტერნატივების იდენტიფიცირება და მათი ეფექტურობის განხილვა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების ეფექტის გაძლიერებაზე მსჯელობისას, პირველ რიგში, ვგულისხმობთ კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის⁴³⁵ (საკონსტიტუციო სასამართლო, ორგანული კანონით დადგენილი წესით, ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად

⁴³⁴ Василенич Г.А. Исполнение Решений Конституционного Суда – Свидетельствъ Развития Государства по Правовому пути, Конституцтонное Правосудтеб Т1(27), 2005, 31.

⁴³⁵ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2008, 27.

უფლებებთან მიმართებით⁴³⁶) ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების რეალიზების შესაძლებლობებს წარსულში ჩატარებულ და უკვე კანონიერ ძალაში შესული საერთო სასამართლოების თუ სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების მიმართ. სწორედ მსგავს საკითხებზე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „აპოსტოლის საქმეზე“, როდესაც სასამართლომ შეაფასა საქართველოში არსებული საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოს ეფექტიანობას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლთან მიმართებით⁴³⁷.

„აპოსტოლის საქმეზე“ დასახელებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდისთვის და ერთგვარად, სასამართლოს დროში მოქმედების გაძლიერებისთვის, ერთ-ერთ გამოსავლად და შესაბამისად, პირდაპირი უკუძალის ალტერნატივად, შეიძლება დასახელდეს „რეალური“⁴³⁸ საკონსტიტუციო კონტროლის, პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის და საერთო სასამართლოების წარდგინების მექანიზმები. შესაბამისად, მოცემულ თავში განვითარებული მსჯელობა დაეთმობა ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელი არგუმენტების დაფიქსირებას და ანალიზს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს „რეალური“, პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის და საერთო სასამართლოების წარდგინების მექანიზმების „ავკარგიანობის“ გარჩევა.

⁴³⁶ „საქართველოს კონსტიტუცია“ მე-60 მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

⁴³⁷ *Apostoly v Georgia* [ECTHR], App No. 40765/02, 28 Novemba 2006.

⁴³⁸ რეალურ საკონსტიტუციო კონტროლში მოვიაზრებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას შეაფასოს საერთო სასამართლოების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული ინდივიდუალური შინაარსის გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობა.

8.1. „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლი, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტის ალტერნატივა

სამართლის სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში, პერმანენტულად ახლდება ხოლმე მსჯელობა, უნდა მიენიჭოს თუ არა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საერთო სასამართლოების და სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებზე, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ეს თემა, განსაკუთრებით, აქტიურდება საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის დროს, რადგან კონსტიტუციის დონეზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი, მაგრამ კონსტიტუციის ნორმების ანალიზი ნათლად გვაჩვენებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია საერთო სასამართლოების აქტების კონსტიტუციურობაზე მსჯელობა, სულ მცირე, იმიტომ მაინც, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი უფლებამოსილებების მიხედვით, ის ძირითადად, ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას იხილავს, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები კი, თავისი შინაარსით, ინდივიდუალური ხასიათისაა⁴³⁹.

აღნიშნული დისკუსიები, მართალია, არ დასრულებულა კონკრეტული რეგულაციის კონსტიტუციის ან თუნდაც საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში ასახვით, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ თემაზე მსჯელობის გახსნა ყოველთვის ისეთი პათოსით მიმდინარეობს, თითქოს „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლი უნდა იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პირდაპირი რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით მოქმედების ალტერნატივა. მაგალითად, პროფ. ბესარიონ ზოიძე თავის ერთ-ერთ ნაშრომში

⁴³⁹ მენაბდე ვ., კონკრეტული კონტროლის პარადიგმები კონსტიტუციონალიზმში, ჟურნალი „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, რედაქტორი ვ. კორკელია, თბილისი 2016, 135.

პირდაპირ აღნიშნავს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო, მართალია, გააუქმებს ნორმატიულ აქტს, მაგრამ „ხელებს დაიბანს“ ამ აქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვაზე, რადგანა მოქმედი კანონმდებლობით, მას არა აქვს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების კონტროლის შესაძლებლობა“⁴⁴⁰. ჩვენი აზრით, ამავე პათოსს ემსახურება აკადემიკოს ჯონი ხეცურიანის ნაშრომში „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის საკითხების განხილვა, საკონსტიტუციო სასამართლოს რეტროაქტიურ სამართლებრივ ძალაზე მსჯელობის შემდეგ და მისი დასკვნები, მოცემული ფუნქციით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღჭურვის შესახებ⁴⁴¹. პროფ. ვახუშტი მენაბდეც მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის კონტროლის უფლებამოსილება, რადგანაც აღნიშნული ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების სტანდარტების ამაღლებას და დარღვეული უფლებების აღდგენის რეალიზებას⁴⁴².

იმისათვის, რომ შეგვექმნას წარმოდგენა, არის თუ არა „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლი საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირი რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის ალტერნატივა საინტერესოა იმ ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციების მოხმობა, რომელშიც აქტიურადაა დანერგილი „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი.

გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის უმაღლეს სასამართლო ორგანოს, ძირითადი კანონითა და „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი უფლებამოსილებაა, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა, არაკონსტიტუციური კანონის

⁴⁴⁰ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007, 187.

⁴⁴¹ ხეცურიანი ჯ. ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი 2011, 253.

⁴⁴² მენაბდე ვ., კონკრეტული კონტროლის პარადიგმები კონსტიტუციონალიზმში, ჟურნალი „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, რედაქტორი ვ. კორკელია, თბილისი 2016, 123.

ძალადაკარგულად გამოცხადება და არაკონსტიტუციური გადაწყვეტილების გაუქმება⁴⁴³.

გერმანიის ზემოთ დასახელებული კანონმდებლობით, სასამართლო პროცესის მონაწილე ნებისმიერ მხარეს (ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირი), რომელიც მიიჩნევს, რომ სასამართლომ დაარღვია მისი ერთ-ერთი ძირითადი უფლება ან შესაბამისი გადაწყვეტილება დააფუძნა კანონზე, რომელიც ეწინააღმდეგება ძირითად კანონს, კონსტიტუციას, შეუძლია კონსტიტუციური საჩივრით მიმართოს გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს⁴⁴⁴. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ შეამოწმოს, ხომ არ დაურღვევიათ მოსამართლეებს ძირითადი კანონის რომელიმე ნორმა. სასამართლო გადაწყვეტილებებზე შეტანილი კონსტიტუციური საჩივარი იწვევს საქმის გადასინჯვას არა სრული მოცულობით, არამედ მხოლოდ გადამოწმებას კონსტიტუციურ-სამართლებრივ დარღვევათა არსებობის თვალსაზრისით. ის გარემოება, რომ საქმის წარმოების ორგანიზაციისას, საქმის ფაქტიურ გარემოებათა დადგენისას და შეფასებისას, რომელიმე კანონის განმარტების ან კონკრეტულ საქმეში მისი გამოყენებისას დაშვებული იყო შეცდომები, თავისთავად, არ მიუთითებს, რომ დაირღვა ძირითადი უფლებები.⁴⁴⁵

ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირმა, რომელიც თვლის, რომ დარღვეულია მისი ძირითადი უფლებები, ამოწურა ყველა შესაძლო სამართლებრივი ფორმა და მიმართა ყველა იმ ინსტანციას, რომელიც ვალდებულია დაიცვას მისი ძირითადი უფლებები. კონსტიტუციური სარჩელის სუბსიდიურობის წესი მოითხოვს სამართლებრივი ფორმის ამოწურვას შესაბამისი დარგობრივი სასამართლოს ფარგლებში, მაგალითად

⁴⁴³ Streinz R., The Role of the German Federal Constitutional Court Law and Politics, *Ritsumeikan Law Review*, N 31, 2014, 103.

⁴⁴⁴ Finick D.E., *Judicial Review: The United States Supreme Court Versus the German Constitutional Court*, „Boston College International and Comparative Law Review“, Volume 20/ Issue 1, 1997, 147.

⁴⁴⁵ ზაალიშვილი ნ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების კონსტიტუციური კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში მისი დამკვიდრების პერსპექტივა, თბილისი, 2009, 2.

სამოქალაქო, სისხლის ან ადმინისტრაციული სამართლის სასამართლოებში⁴⁴⁶. ამდენად, კონსტიტუციური სარჩელი ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს ბოლო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. თუმცა, “ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” კანონის 90-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, გამონაკლისის სახით, უშვებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილება კონსტიტუციური საჩივრის თაობაზე, როდესაც ჯერ კიდევ არ არის ამოწურული ყველა სამართლებრივი ფორმა თუ მას საყოველთაო მნიშვნელობა აქვს ან თუ განმცხადებელს შეიძლება მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი⁴⁴⁷. ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს მოსაზრებიდან, რომ კონსტიტუციური სარჩელის მიზანი არ არის მხოლოდ მოქალაქის უფლებათა დაცვა. კონსტიტუციურმა სარჩელმა, ასევე, უნდა დაიცვას, მთლიანად, კონსტიტუციური სამართალი.

ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების ან მიღებაზე უარის თქმის შესახებ. კონსტიტუციური საჩივარი განსახილველად მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს კონსტიტუციურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ან თუ განსახილველად მისი მიღება აუცილებელია ძირითადი უფლებების განსახორციელებლად.

სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილი კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებისას ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ მხარემ თავისი უფლებების დასაცავად კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანამდე ამოწურა სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება, საკონსტიტუციო სასამართლო საჩივრის დაკმაყოფილებისას საქმეს უბრუნებს კომპეტენტურ სასამართლოს განმეორებითი

⁴⁴⁶ Schmitz T., *The Constitutional Review of Laws – German Experiences*, 2014, 3.

⁴⁴⁷ ხუბუა გ., ტრაუტი ი., *კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში*, თბილისი 2001, 29.

განხილვისათვის⁴⁴⁸. თუ კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილდა იმის გამო, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაფუძნებულია არაკონსტიტუციურ კანონზე, აღნიშნული კანონი ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს.

გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს „რეალურ“ საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული რეგულაციებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოებების აღნიშვნა:

1. კონსტიტუციური სარჩელის შემთხვევაში, საქმე გადაისინჯება არა სრულად, არამედ მხოლოდ გამოყენებული ნორმის კონსტიტუციურობის შესწავლის კუთხით;
2. კონსტიტუციური სარჩელი ხასიათდება სუბსიდიურობით;
3. კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საქმე უბრუნდება კომპეტენტურ სასამართლოს და შესაბამისი ნორმა ცხადდება არაკონსტიტუციურად.

მოცემულ შემთხვევაში, „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის, ალტერნატივად დასახელებისთვის გადამწყვეტი ფაქტორია, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების ფარგლები და მისი აღსრულების წესი.

საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს ნორმის კონსტიტუციურობა, რის საფუძველზეც მას უფლება ექნება ნორმა (როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური) არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნოს. ამასთან ერთად, უნდა შეეძლოს გააუქმოს არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე მიღებული საერთო სასამართლოს საბოლოო ინსტანციის გადაწყვეტილებაც იმ შემთხვევაში, თუკი არაკონსტიტუციური ნორმის გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ამით დაარღვევს შესაბამისი მხარის კონსტიტუციურ უფლებას ან თავისუფლებას. იმ შემთხვევაში, თუ საერთო

⁴⁴⁸ Rupp G.H., Federal Constitutional Court in Germany: Scope of Its Jurisdiction and Procedure, Notre Dame Law Review, Volume 44 / Issue 4, 1969, 550.

სასამართლო თავის განსახილველ საქმეზე გამოიყენებს ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურ ინტერპრეტაციას, მაშინ საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეძლოს არა შესაბამის ნორმატიულ აქტის გაუქმება, არამედ საერთო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების, გაუქმება რომელიც ეფუძნებოდა საქმეში გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურ ინტერპრეტაციას, რამაც გამოიწვია ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან წინააღმდეგობაში მყოფი გადაწყვეტილების მიღება.⁴⁴⁹

აღსრულების მხრივ კი, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს შესაბამის საერთო სასამართლოს გადაწყვეტილებას, იგი უნდა აუქმებდეს აღნიშნულ გადაწყვეტილებას და არა სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ინტერპრეტირებულ ნორმატიულ აქტს. შესაბამისად საქმეს უკან უბრუნებს განხილველ ორგანოს (სასამართლოს), რომელიც ვალდებული იქნება, თავის შემდგომ გადაწყვეტილებაში გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტისადმი ჩამოყალიბებული კონსტიტუციური მიდგომები. თავის მხრივ, საერთო სასამართლოები ახლიდან უნდა მსჯელობდნენ მოცემულ ინდივიდუალურ საქმეზე იმის გათვალისწინებით, რომ მათ მიერ გაკეთებული ინტერპრეტაცია არაკონსტიტუციურია.⁴⁵⁰

განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის პერსპექტივები ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტურობის კუთხით. მას მართლაც შესწევს უნარი, ალტერნატივის სახით კონკურენცია გაუწიოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პირდაპირ რეტროაქტიურ სამართლებრივ ეფექტს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში, „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის რეტროაქტიური რეალიზება

⁴⁴⁹ შარაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივა, ჟურნალი „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, რედაქტორი ვ. კორკელია, თბილისი 2010, 215.

⁴⁵⁰ იხ. იქვე.

იქნება ინდივიდუალური ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე და შესაბამისი სამართლიანი გადასინჯვის უფლების გარეშე დარჩება ყველა ის პირი, ვის კონკრეტულ საქმეშიც სასამართლომ ისეთივე არაკონსტიტუციური განმარტება გამოიყენა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებულში. ეს პრობლემა, განსაკუთრებით მწვავე იქნება თუ საკონსტიტუციო სასამართლო, საერთოდ არაკონსტიტუციურად ცნობს საქმეში გამოყენებულ ნორმატიულ აქტს. გარდა ამისა „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის შიდაეროვნულ დონეზე რეალიზებას სჭირდება სხვა უამრავი პროცესუალური რეგულაციისა და ნიუანსის გათვალისწინება, რათა მან ეფექტურად გაუწიოს კონკურენცია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის ეფექტს.

8.2. პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლი, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტის ალტერნატივა

პრევენციული, იგივე წინასწარი საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმს 1958 წელს⁴⁵¹ საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის კონსტიტუციამ, როდესაც მან ამ უფლებით აღჭურვა საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო⁴⁵². მოცემული მექანიზმი, იძლევა შესაძლებლობას სადავო სამართლებრივი აქტის პროექტის შესაბამისობა, წინასწარ, მის სათანადო წესით ძალაში შესვლამდე, შემოწმდეს კონსტიტუციასთან⁴⁵³. პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის მსგავს კონცეფცია კი, ამცირებს ალბათობას, რომ ძალაში შესული აქტი არ იქნება შეუსაბამობაში კონსტიტუციასთან⁴⁵⁴. ფრანგული მოდელის თავდაპირველი მიდგომის მიხედვით, პრევენციული კონტროლის შედეგი იყო ის, რომ დამტკიცებული კანონი, რომელზეც საკონსტიტუციო საბჭომ იმსჯელა და

⁴⁵¹ Karakamisheva-Jovanovska T., Different Models for Protection of Constitutionality, Legality and Independence of Constitutional Court of the Republic of Macedonia, Skopje, 2014, 3.

⁴⁵² კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი 1999, 130.

⁴⁵³ Philippe X., Constitutional Review in France: The Extended Role of the Conseil Constitutionnel Through the New Priority Preliminary Rulings Procedure, University Paul Cézanne (Aix-Marseille III), 2009, 70.

⁴⁵⁴ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პეაქტივის ანალიზი, თბილისი 2008, 26.

შესაბამისი გადაწყვეტილება გამოიტანა უკვე, უდავო ხდებოდა და ნაკლებად შეიძლებოდა გამხდარიყო დავის საგანი⁴⁵⁵. მსგავსი რეგულაციის მიზანი და ერთგვარი უპირატესობა იყო ის, რომ ინერგებოდა მიღებული კანონების უცვლელობის და აქედან გამომდინარე, იურიდიული ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის უზრუნველყოფისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო⁴⁵⁶.

საქართველოს მცირე გამოცდილება აქვს პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის კუთხით. ამის მთავარი მიზეზი კი, ის გახლავთ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოთვლილი უფლებამოსილებებიდან, მხოლოდ ერთი უფლებამოსილება არის პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის ხასიათის (რატიფიცირებადი საერთაშორისო ხელშეკრულებების საკონსტიტუციო კონტროლი).

პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის „ალტერნატივობა“ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურობასთან მიმართებით იმაში მდგომარეობს, რომ პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლი ჰქმნის ნორმატკონტროლის წინასწარ მექანიზმს, რომლის გავლის შემდეგაც იქმნება მყარი პრეზუმფცია ნორმის კონსტიტუციურობის შესახებ. შესაბამისად, აღარ დგას შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების აუცილებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლი არ იქნება აქტიური, ე.ი გადაწყვეტილების რეტროაქტიურობის საკითხიც მიეცემა დავიწყებას.

თეორიულად, ზემოთ დასახელებული მიდგომა, საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, მაგრამ პრევენციულ საკონსტიტუციო კონტროლს თან ახლავს უამრავი ხარვეზი, რამაც საბოლოო ჯამში, ამ მექანიზმის შემქმნელმა ქვეყანამაც აღიარა და ამის

⁴⁵⁵ Sweet A.S., The politics of constitutional review in France and Europe, „Oxford University Press and New York University School of Law“, vol.5. 2007, 79.

⁴⁵⁶ პაქტე. პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, მთარგმნელი გ. კალატოზიშვილი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2012, 782.

გამო, თავის სამართლებრივ სივრცეში ნელ-ნელა დაამკვიდრა შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლი⁴⁵⁷.

მართალია, პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლი ვერ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის სრული ალტერნატივა, მაგრამ მისი შესაბამისი მოცულობით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ჩამონათვალში დანერგვა, ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობის გაზრდას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

8.3. საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გაძლიერება, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტის ალტერნატივა

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმტკიცებულია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვისას უნდა გამოიყენოს საერთო სასამართლომ და, რომელიც მისი საფუძვლიანი ვარაუდით, შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას“.⁴⁵⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს მოცემული კომპეტენცია, დაარსების დღიდან შედის მისი უფლებამოსილებების არსენალში. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ უფლებამოსილებას, რაიმე რადიკალური ცვლილებები არ შეხება.

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების უპირატესობა უფლებების რეალიზების კუთხით იმაში მდგომარეობს, რომ კონსტიტუციური წარდგინების უფლება საერთო სასამართლოებს წარმოეშობათ კონკრეტული საქმის განხილვის ფარგლებში თუ შეხვედებიან ისეთ ნორმას, რომელშიც ხედავენ

⁴⁵⁷ Shapiro M.M., *Judicial Review in France*, Berkeley Law Scholarship Repository, 1989, 543.

⁴⁵⁸ „საქართველოს კონსტიტუციის“, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი, - საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

არაკონსტიტუციურობის საფუძვლებს. თანაც წარდგინებით მიმართვა ნიშნავს კონკრეტული საქმის განხილვის შეჩერებას მანამ, სანამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ განიხილავს კონკრეტული ნორმის კონსტიტუციურობას.⁴⁵⁹ ასეთი სამართლებრივი ფორმაციით ვიღებთ საშუალებას, რომ საერთო სასამართლოებში მოხდეს კონკრეტული შესაძლო არაკონსტიტუციური ნორმის იდენტიფიცირებას, თან ისე, რომ საერთო სასამართლოში არსებულ საქმეზე, შესაძლებელი გახდეს არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგების გავრცელება.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის დისკრეცია მინიჭებული აქვს საქმის განმხილველ სასამართლოს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის სიტყვები, რომლის მიხედვითაც, წარდგინების ერთადერთი წინაპირობაა, კონკრეტული საქმის განხილვისას, სასამართლომ დააკვირნას გამოსაყენებელი ნორმის სავარაუდო არაკონსტიტუციურობის შესახებ⁴⁶⁰. ეს მიდგომა კი, ქმნის ისეთ ვითარებას, რომ როდესაც საერთო სასამართლოებში განსახილველი საქმის დროს ერთ-ერთი მხარე დააყენებს შუამდგომლობას, სასამართლომ მიმართოს კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ საკითხს კი, სასამართლო წყვეტს ისე, რომ თავის გადაწყვეტილებას საერთოდ არ ასაბუთებს. თანაც აღნიშნულის გასაჩივრების შესაძლებლობა, მხარეს კერძო საჩივრით არ გააჩნია, რაც აიძულებს მას, რომ თავად მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით, ამ პირობებში მისთვის არ იარსებებს არანაირი გარანტია, მოასწრებს თუ არა ნორმის კონსტიტუციურობის განხილვას საერთო სასამართლოში მყოფი საქმე სამივე ინსტანციაში შემოვლას. ამის ნათელი მაგალითია „ბეჟიტაშვილის საქმე“,⁴⁶¹ რომელშიც

⁴⁵⁹ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილი - საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996.

⁴⁶⁰ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლი მე-3 პუნქტი - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 41, 08/12/2009.

⁴⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გამოსაყენებელი ნორმა კრძალავდა საჯარო სამსახურში იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას სამ თვეზე მეტი ოდენობით. უდავოა, რომ ამ ნორმის მიმართ კონსტიტუციურობის თაობაზე, თავად სასამართლოს უნდა გასჩენოდა კითხვის ნიშანი, მაგრამ სასამართლოს ეს კითხვის ნიშანი არც გაუჩნდა და არც მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, საბოლოო ჯამში კი, მოსარჩელებმა თავად შეიტანეს კონსტიტუციური სარჩელი და სასამართლომ მოცემული ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო. საერთო სასამართლოების წარდგინების ამ შინაარსიდან გამომდინარე, შიძლება ითქვას, რომ კონკრეტული საქმის ფარგლებში, მას აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის და ეფექტურობის გაზრდის პოტენციალი, რომელიც იქნებოდა ერთგვარი მცდელობა, დაბალანსებულიყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის აკრძალვის ეფექტი, თუმცა, ცხადია ისიც, რომ ის ვერ იქნება უკუძალის სრული ალტერნატივა, რადგან საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების რეალიზება, შესაძლებელი იქნება საერთო სასამართლოში კონკრეტულ ინდივიდუალურ საქმეებში და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ იმოქმედებს, უკვე დამთავრებულ სასამართლო საქმეებზე, რომლებიც კანონიერ ძალაშია შესული.

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გაძლიერებისთვის, რათა მან შეძლოს, დააბალანსოს და კვაზიალტერნატიული დანიშნულება ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის აკრძალვას, პირველ რიგში, აუცილებელია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შორის ნდობის და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება, რისი ნაკლებობაც სახეზეა და კარგად ჩანს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკაში, რომლის მიხედვითაც 1996 წლიდან 2018 წლამდე საკონსტიტუციო სასამართლოში შევიდა 80 კონსტიტუციური წარდგინება. კონტრასტისთვის, საინტერესოა კონსტიტუციური სარჩელების რიცხვი, რომელიც 1268 შეადგენს (თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში საერთო სასამართლოებიდან კონსტიტუციური

წარდგინების რიცხვი მატულობს).⁴⁶² თუმცა, ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერების გარდა, საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გაძლიერებისთვის, ასევე აუცილებელია საკანონმდებლო გარანტიებიც. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ კონსტიტუციური წარდგინების საკითხი არ იყოს საქმის განმხილველი მოსამართლის სრულ მიხედულებაში, აუცილებელია, რომ მსგავს საკითხზე შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენებოდეს დასაბუთებული განჩინებები, რომელთა გასაჩივრება შესაძლებელი იქნება ცალკე კერძო საჩივრით. მსგავს მაგალითებს იცნობს მსოფლიო კონსტიტუციონალიზმი.⁴⁶³ აღსანიშნავია, რომ მსგავს პოზიციას აფიქსირებდნენ ქართველი მკვლევარები და აკრიტიკებდნენ საერთო სასამართლოების წარდგინებისას სასამართლოს ძალზედ ფართო მიხედულებას.⁴⁶⁴

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, აუცილებელია, საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადების შემჭიდროება. ეს საკითხი, როგორც მინიმუმ, განმწესრიგებელი სხდომის სტადიას მაინც, უნდა შეეხოს. გარდა აღნიშნული საკანონმდებლო საკითხებისა, საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გაძლიერებისთვის, აუცილებელია, ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გამოსწორება. კერძოდ, მაგალითად საქმის განმხილველმა სასამართლომ კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და შეაჩერა კონკრეტული საქმის წარმოება. რა ხდება, თუ, ამავე დროს, ანალოგიური შინაარსის საქმეს განიხილავს საერთო სასამართლოების სხვა შემადგენლობა, რომელმაც არ მიმართა კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს. ამაზე პასუხს, საკანონმდებლო დონეზე, იძლევა

⁴⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები - 1996-2018წწ. - <http://constcourt.ge/ge/legal-acts/statistics> [27.05.2019]

⁴⁶³ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Georgia Amicus Curiae Brief for The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases, Strasbourg, 25 June 2018 Opinion No. 923 / 2018 CDL-AD(2018)012

⁴⁶⁴ ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N4 (სპეციალური გამოცემა), თბილისი 2000, 213.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მეორე ნაწილში, რომლებიც, ერთხმად, მიუთითებენ კონკრეტული საქმის განხილვის შეჩერებაზე და არანაირად არ ითვალისწინებენ ამ ეფექტის სხვა ანალოგიურ დავებზე გავრცელებას. ჩვენი აზრით, არსებული საკანონმდებლო რეგულაცია არის მიუღებელი, რადგანაც თუ საერთო სასამართლოს ერთ მოსამართლეს მაინც, შეეპარება ეჭვი საქმეში გამოსაყენებელი ნორმის კონსტიტუციურობაზე და გამოიყენა კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმი, ეს უნდა ნიშნავდეს, რომ საერთო სასამართლოებში არსებული ყველა ანალოგიური დავის განხილვა უნდა შეჩერდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე. უფლების რეალიზების უზრუნველსაყოფად, საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების სუსპენზიურ ეფექტს არ უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური ხასიათი, საჭიროა, ნორმატიული სუსპენზიური ეფექტის მინიჭება, როგორც დადგენილია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით.

მიგვაჩნია, რომ საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების საკანონმდებლო რეგულირების წინა აბზაცში დასახელებული საკითხების გაუმჯობესების შემთხვევაში, ეს მექანიზმი შეიძენს ისეთი ეფექტურობის ხასიათს, რომ მეტ-ნაკლებად შეძლებს, დააბალანსოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტის აკრძალვის შედეგები.

8.4. შეჯამება

უნდა აღინიშნოს, რომ ვერც „რეალური“, ვერც პრევენციული და ვერც საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმები ვერ შეძლებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის სრულ ჩანაცვლებას, მაგრამ მოცემული საკონსტიტუციო კონტროლის სახეების ბუნება იძლევა საშუალებას, რომ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობა გაიზარდოს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ეს უკანასკნელი კი, თავად რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის უმთავრესი ამოცანაა. სწორედ ეს გარემოება არის ის მთავარი მამოტივირებელი ძალა, რაც „რეალურ“, პრევენციულ და საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმებს აძლევს შესაძლებლობას, კონკურენცია გაუწიოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურ სამართლებრივ ეფექტს. აღნიშნულის საჭიროება კი, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში დგას, რომელთა ეროვნული კანონმდებლობა არ წყალობს შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის შედეგების რეალიზებას დროში უკან მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. ასეთ ქვეყნებში, საკონსტიტუციო კონტროლის მოცემული სახეების დანერგვა, გაზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობას და შექმნის ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მექანიზმებს.

აქვე გვინდა ისიც აღვნიშნოთ, რომ „რეალური“ და პრევენციული საკონსტიტუციო კონტროლის სახეების დანერგვა საჭიროებს თეორიული და პრაქტიკული საკითხების დიდი მოცულობით გააზრებას (აღნიშნულს ადასტურებს უამრავი ქვეყნის გამოცდილება, სადაც მუდმივად, საკანონმდებლო თუ სასამართლო პრაქტიკის დონეზე მიმდინარეობს ამ მექანიზმების დახვეწა), რაც ჩვენ მიერ შერჩეული საკვლევი თემის საგანი არ არის. ჩვენი მხრიდან, მოცემული საკონსტიტუციო კონტროლის სახეების ამ კუთხით განხილვა, იყო მცდელობა, კარგად დაგვეჩვენებინა საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობის გაზრდის პერსპექტივები და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის საჭიროების შემსუბუქების გზები.

9. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სიძლიერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას თუ მისი მარეგულირებელი

კანონმდებლობა, როგორ რეგულაციებს ითვალისწინებს საკონსტიტუციო კონტროლის პროცესში მოპასუხის მხრიდან სპეკულირების თავიდან ასაცილებლად. ამის მიზეზი კი, ის გახლავთ, რომ უსაფუძვლოდ გაჭიანურებული ან თავიდანვე უპერსპექტივო საკონსტიტუციო კონტროლი არ იზიდავს პოტენციურ საკონსტიტუციო სარჩელის წარმდგენებს. ყველასთვის, პრიორიტეტული და სასურველია ისეთი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი სადაც ფართოა მართლმსაჯულების შესაძლებლობები, ხოლო პროცესზე უსაფუძვლო ცალმხრივი გავლენების შესაძლებლობა კი, დაყვანილია მინიმუმამდე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტების გაუქმების საკითხი.

მოცემულ საკითხზე მსჯელობა, აუცილებლად უნდა გავყოთ ორ ნაწილად, რადგან თავად საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოება, მოცემულ პროცესუალურ საკითხს, ორ სტადიად ყოფს. პირველი ეხება შემთხვევას, როდესაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება ხდება კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის მიღებამდე,⁴⁶⁵ ხოლო მეორე ეხება შემთხვევას, როდესაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება ხდება კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის შემდეგ⁴⁶⁶. ეს ორი შემთხვევა განსხვავდება ერთმანეთისგან. პირველის დროს, საკონსტიტუციო სამართალწარმოება უაპელაციოდ წყდება და კონსტიტუციური სარჩელის განხილვის არავითარი შესაძლებლობა აღარ არსებობს, ხოლო მეორე შემთხვევაში, შესაძლებელია საქმის განხილვის გაგრძელება.

ამ თავის ფარგლებში, ასევე, აუცილებლად უნდა ვიმსჯელოთ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას გამაუქმებელ და გაუქმებულ ნორმაზე. ეს საკითხი საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების განუყოფელი ნაწილია. სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად ყოფილა

⁴⁶⁵ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996.

⁴⁶⁶ იხ. იქვე 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996.

შემთხვევები, როდესაც მოსარჩელე მხარე ითხოვს გამაუქმებელი ან გაუქმებელი ნორმის კონსტიტუციურობის განხილვას.

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, განვიხილოთ და შევაფასოთ ეს ოთხი განსხვავებული საკითხი, რის შემდეგაც გვექნება შესაძლებლობა, გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები არსებული რეგულაციების და ამ რეგულაციების გარშემო შექმნილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მართლზომიერებაზე.

9.1. სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებამდე

საკონსტიტუციო სამართალწარმოება თავისი ფუნქციიდან გამომდინარე, მოითხოვს გარკვეულ დროს, რომლის განმავლობაშიც, შესაძლებელია ბევრი რამ შეიცვალოს მათ შორის, გაუქმდეს სადავო ნორმა. ეს კი, სამართალწარმოების პროცესში, მნიშვნელოვანი პროცესუალური მოვლენაა, რომელიც კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის დონეზე, სწორ რეგულირებას საჭიროებს. მსგავსი შემთხვევები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში, მისი დაარსების ადრინდელი პერიოდიდანვე გამოვლინდა,⁴⁶⁷ რაც ავტომატურად საქმისწარმოების შეწყვეტას ნიშნავდა.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო ნორმის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის საკითხს აწესრიგებს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29 მუხლის მე-2 და მე-7 პუნქტები, რომელთა მიხედვითაც:⁴⁶⁸

⁴⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 14 აგვისტოს N1/15/38 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ბრაცლავსკი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

⁴⁶⁸ 21.07.2018 წლამდე მოცემული ნორმები თავმოყრილი იყო „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2, მე-6 პუნქტებში. ვინაიდან სასამართლო პრაქტიკა მოცემული ნორმების გარშემო განვითარდა, ამიტომ ტექსტის იმ ნაწილში სადაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაა მოხმობილი, გამოყენებული იქნება „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2, მე-6 პუნქტები, რაც თავის თავში მოიაზრებს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 მე-7 პუნქტებს.

- ❖ „...საქმის განხილვის მომენტისათვის, სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა“;
- ❖ „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის ჩანაწერი 2002 წლის 12 თებერვლიდან გაჩნდა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. მანამდე კი, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე სადავო აქტის გაუქმება (ცვლილება) ავტომატურად ნიშნავდა საქმისწარმოების შეწყვეტას.

მოცემუ თავში, ჩვენ მიზანს წარმოადგენს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებამდე, სადავო ნორმის გაუქმების (ცვლილების) საკანონმდებლო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის სისტემური და შედარებითი ანალიზი, შესაბამისი ხარვეზების იდენტიფიცირება და სათანადო რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში, ხშირია შემთხვევა, როდესაც სადავო ნორმატიული აქტი საქმის განხილვის პროცესში წყვეტს მოქმედებას, საკანონმდებლო

ორგანოს მიერ მისი გაუქმების ან გარკვეული ცვლილებების შეტანის გამო. საინტერესოა, თუ რა სტანდარტს აწესებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საქმის განხილვისას სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის გაუქმების დასადგენად. ამ კუთხით, მნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა ე.წ. „გამომცემლების საქმე“⁴⁶⁹, რომელშიც, განხილვის პროცესში, საქმის არსებითად განსახილველად მიღებამდე, სადავოდ გამხდარ ნორმაში განხორციელდა ცვლილებები, რამაც „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გამოიწვია საქმის შეწყვეტა, რის გამოც საქმე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ განიხილა.

„გამომცემლების საქმეზე“ მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის N30/ნ ბრძანების რიგ ნორმებს, რომლითაც მოსარჩელების აზრით ხდებოდა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტის და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების დარღვევა. მოსარჩელების პოზიციით სადავოდ გამხდარი ნორმები, არღვევდა კონსტიტუციის დასახელებული მუხლებს, როგორც შინაარსობრივი, ასევე ფორმალური თვალსაზრისითაც. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას შეძენილი ჰქონდა პოლიტიკური ელფერი, რადგანაც არსებობდა საზოგადოებაში გაბატონებული მოსაზრება, რომ საქართველოს განათლების სამინისტრომ გარკვეული პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე დაუდგინა სადავო შეზღუდვები გამომცემლობებს, რომლებიც გამოსცემდნენ სასკოლო სახელმძღვანელოებს. აქედან გამომდინარე, ასევე, არსებობდა მოსაზრება, რომ ზემოთ

⁴⁶⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

დასახელებული გარემოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქცევდა პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ.

„გამომცემლების საქმეზე“ განმწესრიგებელი სხდომის გამართვამდე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 6 სექტემბრის №129/ნ ბრძანებით, რიგი ცვლილებები განხორციელდა სადავო ნორმებში. ცვლილების მიხედვით გრიფის მინიჭების ადმინისტრირებას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ნაცვლად ახორციელებდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. შესაბამისად, ტერმინი „ცენტრი“ ჩანაცვლდა ტერმინით „სამინისტრო“. ამასთანავე, სიტყვები „შემთანხმებელი კომისია“ ჩანაცვლდა სიტყვებით „გრიფირების კომისია“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო აქტში მოცემული ცვლილებები მიიჩნია სადავოდ გამხდარი ნორმების გაუქმებად შემდეგი დასაბუთებით:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, მიუთითა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად „საქმის განხილვის მომენტისათვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა, გარდა ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას“. შემდეგ მან აღნიშნა, რომ მისი შეფასების საგანს წარმოადგენდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 6 სექტემბრის №129/ნ ბრძანებით სადავოდ გამხდარ ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებები უნდა ჩათვლოს თუ არა სადავო ნორმების ძალადაკარგულობის ფაქტად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ნორმატიული აქტი ძალას კარგავს, თუ: „მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად

აცხადებს“ და აღნიშნა, რომ „მოცემულ შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 6 სექტემბრის №129/ნ ბრძანებით სადავო ნორმები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. შესაბამისად, სადავო ნორმებმა, რომლებიც სარჩელის შემოტანის მომენტში არსებობდნენ, შეწყვიტეს მოქმედება და მათი ჩანაცვლება მოხდა სხვა, მოქმედი ნორმებით. ...ნორმის ახლებურად ჩამოყალიბება ძველი ნორმის ძალადაკარგულად ცნობას თავისთავად გულისხმობს. ცვლილებების შესახებ ამა თუ იმ კანონში ან სხვა აქტში გამოყენებული განსხვავებული ტერმინები: „ამოღებულ იქნეს“, „გამოცხადდეს ძალადაკარგულად“ ან „ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით“, შესაცვლელი ნორმის მიმართ ერთი და იმავე შედეგს აყენებს - თითოეულ შემთხვევაში ძალას კარგავს ნორმის ძველი რედაქცია და წყვეტს მოქმედებას მისი შეცვლის შემდეგ წარმოშობილი ურთიერთობებისათვის“.⁴⁷⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განჩინების სამოტივაციო ნაწილში, აღნიშნავს, რომ „სადავო ნორმის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებამ, შესაძლოა, განსხვავებული სამართლებრივი მოცემულობები წარმოშვას. მისი გასაჩივრებული შინაარსი, შეიძლება მნიშვნელოვნად, უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ შეიცვალოს. თუმცა, ნორმის ძველი, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის დროისთვის მოქმედი რედაქცია, ყველა შემთხვევაში ძალადაკარგულად ითვლება. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად მიღების მომენტამდე, სადავო ნორმის გაუქმების ან ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს არ ენიჭება უფლებამოსილება, შეაფასოს რა ხარისხის ცვლილება განიცადა ნორმის გასაჩივრებულმა რედაქციამ“. სასამართლო აღნიშნავს, რომ აშკარაა, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომ სამართალწარმოების შესაწყვეტად, საკმარისია, სადავო ნორმის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისი გაუქმების,

⁴⁷⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/559 განჩინება.

ძალადაკარგულად ცნობის ფაქტი⁴⁷¹. აღნიშნულთან დაკავშირებით აქვე უნდა ითქვას, რომ დასახელებული ნორმის⁴⁷² ცალსახა მოთხოვნაა სადავო ნორმატიული აქტების „გაუქმება“ ან „ძალადაკარგულად ცნობა“. მოცემული ნორმები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უტოვებენ შესაფასებლად, განხორციელებული ცვლილებები ნიშნავს თუ არა სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტების „გაუქმებას“ ან „ძალადაკარგულად ცნობას“, რადგანაც მოცემული მუხლი და არც სხვა, რომელიმე მუხლი არ განსაზღვრავს აღნიშნულ სტანდარტს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზეა და სწორედ მან უნდა დაადგინოს აღნიშნული სტანდარტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე, გამოიყენა ჰიპოთეტური არგუმენტაციის მეთოდი, რომლის მიხედვითაც „სადავო ნორმაში ცვლილების შეტანის შემდეგ, მსგავსი შინაარსის შემცველი ქცევის წესი შეიძლება ჩამოყალიბდეს გასაჩივრებული მუხლის (ნაწილის, პუნქტის) ახალ რედაქციაში, იმავე კანონის სხვა ნორმაში ან სულაც სხვა კანონში. უფრო მეტიც, სადავო წესმა შეიძლება ასახვა პოვოს სხვა ორგანოს მიერ გამოცემულ აქტში. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება მის ძალადაკარგულად ცნობას არ ნიშნავს იმდენად, რამდენადაც დავის საგნად განხილული უნდა იყოს არა ნორმის კონკრეტული რედაქციის, არამედ მასში მოცემული წესის კონსტიტუციურობა, მაშინ იგი უფლებამოსილი იქნება, ყოველ ჯერზე, საქმის განხილვის მომენტისთვის გასაჩივრებული ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, გააანალიზოს მთლიანად, კანონმდებლობა, რათა საქმის შეწყვეტის შესაძლებლობისთვის, გამორიცხოს ძალადაკარგულად ცნობილი ნორმით გათვალისწინებული ქცევის წესის რომელიმე ნორმატიულ აქტში არსებობა. კანონმდებლობაში ასეთი ქცევის წესის აღმოჩენის შემთხვევაში, საქართველოს

⁴⁷¹ იხ. იქვე.

⁴⁷² „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველო საკანონმდებლო მცნე, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996.

საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განიხილოს სწორედ ამ ნორმის კონსტიტუციურობა. მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ ძალადაკარგული ნორმის შინაარსმა ასახვა ჰპოვა სხვა ორგანოს აქტში, საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწევს საქმის განხილვაში მოპასუხედ იმ ორგანოს ჩართვა, რომელიც სარჩელში ასეთად არ არის მითითებული, რისი უფლებამოსილებაც მას ასევე არა აქვს საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობით^{.473} ეს არგუმენტაცია გასაგებია, მაგრამ ასეთი განზოგადება მიუღებელია, რადგანაც საქართველოში მოქმედებს კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლი^{.474} რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული საკონსტიტუციო სამართალწარმოება ინდივიდუალურია, აქვს თავისი კონკრეტული საწყისი და რიგი თავისებურებები. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ზოგადი არგუმენტების გამო, რომელიც საერთოდ არ მიესადაგება კონკრეტულ შემთხვევას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა მიიღოს სტანდარტი, რომლის ფარგლებშიც უნდა იმოქმედოს. სტანდარტი კი, კონკრეტულ კრიტერიუმებს გულისხმობს, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში საკითხი გადაწყდება დადებითად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, პირიქით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოში არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვანი და მრავალჯერ გამოყენებული პრაქტიკა⁴⁷⁵, რომლის თანახმადაც, სადავო ნორმის

⁴⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/559 განჩინება.

⁴⁷⁴ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2008წ. 28.

⁴⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N5/1/520 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბენიამინ აბრამიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N2/3/5945 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალბერტ ნურბეგიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N2/2/537 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“;

რედაქციის ცვლილება განიხილება სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებად, რაც იწვევს სასამართლოში საქმის შეწყვეტას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ საქმეებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ განუვითარებია ასეთი მსჯელობა და ყველა შემთხვევაში, საქმის შეწყვეტა ხდებოდა, მარტო “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებით.

მოცემულ საქმეს,⁴⁷⁶ ასევე დაერთო, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრის ავტორი, თავიდანვე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი უნდა განიმარტოს მისი მიზანმიმართულობის და მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული სამართლებრივი ნორმის ნორმატიული შინაარსის გათვალისწინებით. კერძოდ, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიზანია, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი მოქმედი სამართლებრივი ნორმების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებისას, უზრუნველყოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ეფექტიანობა და ეკონომიურობა. ძალადაკარგულ ან გაუქმებულ ნორმაზე მსჯელობა, კანონით განსაზღვრული

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრის N2/4/526 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ ჯავახიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N2/6/496 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – მამუკა ნინუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N2/8/501 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი ქურდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/1/474 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

გამონაკლისის გარდა, არ ემსახურება საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებს. ამგვარად, ხსენებულ ნორმაში ტერმინები „ძალადაკარგულად გამოცხადება ან გაუქმება“ უნდა განიმარტოს იმის გათვალისწინებით, თუ რა ნორმატიული შინაარსის გამოხატველია სადავო ნორმა მასში განხორციელებული ცვლილების შემდეგ“. ⁴⁷⁷

განსხვავებულ აზრში მითითებულია, რომ სადავო აქტი „ძალადაკარგულია“ ან „გაუქმებულია“ მაშინ, როდესაც ის აღარ არსებობს იმ ნორმატიული შინაარსით, რა შინაარსითაც მოსარჩელე სადავოდ ხდის მას. „სადავო ნორმაში განხორციელებული ყველა სახის ცვლილება ავტომატურად არ უნდა იწვევდეს სასამართლოში საქმის შეწყვეტას და თითოეული საქმის შეფასება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, იმის გათვალისწინებით, უფლებამოსილი სუბიექტის მიერ შეცვლილი თუ რედაქტირებული სადავო ნორმა ინარჩუნებს თუ არა იმავე ნორმატიულ შინაარსს“. ⁴⁷⁸ განსხვავებული აზრის მქონე წევრი მიუთითებს, რომ სამართლებრივ ნორმაში შეტანილი ყოველგვარი ცვლილება (მაგალითად, რედაქციული ცვლილება) არ ნიშნავს მის ძალადაკარგულობას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ძალადაკარგულია აქტი, როდესაც მისი შემდგომში არსებობის ინტერესი არ არსებობს ან მისი სამართლებრივი შინაარსი ან ფაქტობრივი შემადგენლობა შეიცვალა იმგვარად, რომ ის უკვე შეცვლამდე არსებული მდგომარეობით სახეზე არ გვაქვს (ძალადაკარგულია). ნორმაში რედაქციული ცვლილების შეტანა კი, ჯერ კიდევ არ მიუთითებს მის ძალადაკარგულობაზე. სხვა შემთხვევაში, როდესაც მკაფიოა, რომ შეტანილი ცვლილების შედეგად, სადავო აქტის ნორმატიული შინაარსი, არსებითად არ შეცვლილა და მოსარჩელეზე ცვლილება შეტანილი ნორმის მოქმედების ეფექტი იგივეა, რაც სადავო ნორმაში ცვლილების შეტანამდე იყო, სადავო ნორმაში მხოლოდ

⁴⁷⁷ იხ. იქვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინებაზე.

⁴⁷⁸ იხ. იქვე.

ცვლილების არსებობის საბაზით არ უნდა შეიქმნას დაბრკოლება იმისათვის, რომ სასამართლომ იმსჯელოს ამ სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე“. ⁴⁷⁹

განსხვავებულ აზრში პასუხია გაცემული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოყვანილ ზოგად საფრთხეზე. კერძოდ, თუ სასამართლო სადავო ნორმატიული აქტის ცვლილების შემდეგ კვლავ განაგრძობს საქმის განხილვას, სასამართლოს მთელი კანონმდებლობის გაანალიზება მოუწევს, კონკრეტული ქცევის წესის რომელიმე სამართლებრივ აქტში აღმოსაჩენად. განსხვავებული აზრის მქონე წევრი სასამართლოს მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „სასამართლო წყვეტს პრობლემას და თუ ის სხვა ნორმებშიც მეორდება, ამ ნორმებს სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად ეცლება ნორმატიული შინაარსი. შესაბამისად, კანონმდებლობაში იდენტური შინაარსის და პრობლემის გამომწვევი ნორმის (ნორმების) შენარჩუნების შემთხვევაში, ის გადაწყვეტილების უგულებელმყოფელ და დამძლევ ნორმად ჩაითვლება“. ⁴⁸⁰ შესაბამისად, სასამართლოს მიერ დასახელებული შიში უსაფუძვლოა, რადგან მას მსგავსი ვალდებულება არ გააჩნია და თუ შემდგომ ასეთი გარემოება გამოვლინდა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს სათანადო ბერკეტები მის აღმოსაფხვრელად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმები გამოიყენებოდა ძირითადად მაშინ, როდესაც სადავო ნორმის მიმღებმა ორგანომ საერთოდ გააუქმა სადავოდ გამხდარი

⁴⁷⁹ იხ. იქვე.

⁴⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის N1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

ნორმატიული შინაარსი⁴⁸¹ და მოსარჩელის მიერ დასახელებული დავის საგანი და შესაბამისად, მოსარჩელის ინტერესი დავის გაგრძელების შესახებ აღარ არსებობდა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, არც ისე მცირე რაოდენობით, რომელშიც მოიძებნება ისეთი საქმეები, სადაც სადავო ნორმაში შესული ტექნიკური თუ რედაქციული ცვლილების გამო, სასამართლომ შეწყვიტა საკონსტიტუციო სამართალწარმოება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ემუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე. მსგავს საქმეებს განეკუთვნება „სანიკიძე, ხუციშვილის“⁴⁸² და „ართქმელაძე, ციციძის“⁴⁸³ საქმეები. პირველ შემთხვევაში, სადავოდ, გამხდარი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-14 ნაწილი, რომელიც აწესრიგებდა სასამართლო პროცესზე ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურულ წესს. კერძოდ, გამოტანილი განკარგულება განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე და იგი არ საჩივრდებოდა. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ ზეპირი განხილვის და გასაჩივრების აკრძალვა, არაკონსტიტუციური იყო. საქმის

⁴⁸¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N2/3/5945 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალბერტ ნურბეგიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N5/1/520 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბენიამინ აბრამიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N2/2/537 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 14 აგვისტოს N1/15/38 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ბრაცლავსკი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N2/2/537 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N2/8/501 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი ქურდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრის N2/4/526 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ ჯავახაძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ“.

⁴⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის N2/1/530 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვლადიმერ სანიკიძე და მათა ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁴⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/3/1227 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - თორნიკე ართქმელაძე და ალექსანდრე ციციძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველად მიღებამდე, 2013 წლის 4 ოქტომბერს შევიდა ცვლილება, რის შემდეგაც გასაჩივრების შესაძლებლობა გაჩნდა კანონში ზეპირი მოსმენის კი, ისევე კანონს მიღმა დარჩა. მიუხედავად ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მაინც შეწყვიტა საკონსტიტუციო სამართალწარმოება. მეორე შემთხვევაში კი,⁴⁸⁴ სადავო იყო „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „მეურვე გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ - აღსრულების ეროვნული ბიურო)⁴⁸⁵. სადავო ნორმაში შევიდა ცვლილება, „მეურვე გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომ - აღსრულების ეროვნული ბიურო), რომელსაც სასამართლო გამოტანიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, ელექტრონული სისტემის მეშვეობით უგზავნის განჩინებას გადახდისუუნარობის შესახებ განაცხადის წარმოებაში მიღების თაობაზე და აცნობებს მეურვედ მისი დანიშვნის შესახებ“. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავოდ გამხდარი ნორმის ცვლილებად მიიჩნია სრულიად ტექნიკური ხასიათის ცვლილების შეტანა, რის გამოც საკონსტიტუციო სამართალწარმოება შეწყდა, დავის საგანი კი, დარჩა და მოსარჩელებს, საკონსტიტუციო დავის პროცესი, მინიმუმ კიდევ ერთი წლით გაუგრძელდათ.

⁴⁸⁴ იხ. იქვე.

⁴⁸⁵ მოცემული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2017 წლის 23 მაისს შევიდა, განმწესრიგებელი სხდომა კი 2018 წლის 22 თებერვალს გაიმართა. სასამართლოს შეეძლო ამდენი ხნის განმავლობაში არსებითად განსახილველად მიიღო საქმე და შემდგომ გამოეყენებინა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ სასამართლო თითქოს დაელოდა სადავოდ გამხდარ ნორმაში ცვლილების შეტანას და შემდგომ შეწყვიტა სამართალწარმოება, იმიტომ, რომ სადავო ნორმაში „ცვლილება“ შევიდა.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ზოგჯერ მოპასუხე მხარის მიერ არაკეთილსინდისიერად გამოიყენება და საზოგადოებაში ჩნდება აღქმა, რომ თითქოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმის განხილვის ფარგლებში ელოდა მოპასუხის კონკრეტულ ქმედებას, რათა აღნიშნული, შემდგომში გამოიყენებინა კონსტიტუციური სარჩელის არ დაკმაყოფილების საფუძვლად, ზემოთ დასახელებულ მუხლზე მითითებით. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა, ე.წ. „მოსამართლეების საქმე“⁴⁸⁶, სადაც სადავოდ იყო გამხდარი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებდა საქალაქო (რაიონულ) და სააპელაციო სასამართლოებში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დასაბუთების გარეშე მოსამართლეების დანიშვნის საკითხს და ასევე, შეუძლებელი იყო მოცემული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრება. მოცემულ საქმეს დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გამოხმაურება მოჰყვა, რამაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოზე ზეწოლის შთაბეჭდილება შექმნა. კონსტიტუციური სარჩელი დარეგისტრირდა 2016 წლის 9 თებერვალს. საქმე განსახილველად გადაეცა პლენუმს. საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე განხილვა მოხდა ორჯერ, საბოლოო გადაწყვეტილება კი სასამართლომ მიიღო 2017 წლის 7 აპრილს. ამ ხნის განმავლობაში, 2017 წლის 8 თებერვალს მიღებული კანონით ცვლილება შევიდა სადავოდ გამხდარ ნორმატიულ აქტებში, რასაც კონსტიტუციური სარჩელის არდაკმაყოფილება მოჰყვა.

მოცემულ საქმეზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამმა წევრმა განსხვავებული აზრი წარმოადგინა, რომელშიც მკაფიოდ და ცალსახად, დააფიქსირეს მათი პოზიცია მოცემულ საკითხზე: „აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე დავის სამართლიანი გადაწყვეტა მოიცავს ასევე საკითხსაც, სასამართლომ გონივრულ ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება და არ შექმნას

⁴⁸⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

იმის ეჭვი, თითქოს ელოდება კონსტიტუციურ დავაზე, მოპასუხის მხრიდან, სადავო აქტში იმ ცვლილებათა პაკეტის მიღებას, რომელიც, ერთი მხრივ, „კომფორტულ“ მდგომარეობაში ჩააყენებს სასამართლოს, თავი აარიდოს ამა თუ იმ ინტერესებისთვის არასასურველი გადაწყვეტილებების მიღებას და, მეორე მხრივ, აზიანებს მოსარჩელეთა უფლებების დაცვის დროულობას და ხელს უწყობს სასამართლოს მიმართ ნდობის დაკარგვას, ამცირებს სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანობას. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო იმდენად გვიან, რომ ფაქტობრივად, კანონმდებელს მიეცა შესაძლებლობა, ცვლილებები შეეტანა მოქმედ კანონმდებლობაში. აღნიშნული გარემოება, შემდგომ, სასამართლომ გამოიყენა კონსტიტუციური სარჩელის არდაკმაყოფილებისათვის“. ⁴⁸⁷ განსხვავებულ აზრში განვითარებული ეს განმარტება პირდაპირ მიუთითებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საქმის განხილვისას სასამართლოს წევრების უმრავლესობა უხერხულ სიტუაციაში იყო და სადავოდ გამხდარ ნორმებში ცვლილების შეტანას ისე ელოდნენ, როგორც მაშველ რგოლს. საზოგადოებაში მსგავსი მოსაზრებების გაჩენის წახალისება აზიანებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტს. აუცილებელია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ემუხლის მე-2 პუნქტის გამოყენება სწორედ მოხდეს და ის არ გადაიქცეს მოპასუხე მხარის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედებების განხორციელების ინსტრუმენტად.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების შემდგომ, საქმის განხილვის გაგრძელების მიმართ არსებობს სამგვარი მდგომა:

⁴⁸⁷ იხ. იქვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების - ირინა იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილამის და მაია კოპალეიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილებაზე.

1. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ქვეყნები, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის გაუქმებისთანავე წყვეტს საკონსტიტუციო სამართალწარმოებას (ბელარუსია⁴⁸⁸, უკრაინა⁴⁸⁹, ჩეხეთი⁴⁹⁰, ავსტრია⁴⁹¹, სლოვაკეთი⁴⁹², პორტუგალია⁴⁹³);
2. ასევე არსებობს შემთხვევები, რომლის მიხედვითაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოები (ან მათი ეკვივალენტური ორგანოები) აგრძელებენ სამართალწარმოებას და იხილავენ კონსტიტუციურობის საკითხს (ლიხტენშტეინი, სერბეთი⁴⁹⁴);
3. ცალკეულ გამონაკლისებში დამკვიდრებულია წესი, რომლის მიხედვითაც, პროცესში სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების შემდგომ, შესაძლებელია საქმის განხილვის გაგრძელება, თუ საქმის

⁴⁸⁸ Law of the Republic of Belarus on the Constitutional Proceedings

<http://www.kc.gov.by/en/main.aspx?guid=13225> [21.09.2018].

⁴⁸⁹ Rules of Procedure of the Constitutional Courte of Ukraine

<http://www.ccu.gov.ua/en/kategoriya/legal-documents> [21.09.2018].

⁴⁹⁰ Czechia – Constitutional Court Act - <https://www.usoud.cz/en/legal-basis/> [21.09.2018].

⁴⁹¹ Constitutional Court Act of Austria

https://www.vfgh.gv.at/verfassungsgerichtshof/rechtsgrundlagen/legal_basis.en.html [21.09.2018]

⁴⁹² Constitutional Court Act of the Slovak Republic

<https://www.ustavnysud.sk/en/collection-of-findings-and-rulings> [21.09.2018].

⁴⁹³ Law of the Constitutional Court of Portugal - <http://www.tribunalconstitucional.pt/tc/en/tclaw.html> [21.09.2018].

⁴⁹⁴ Law on the Constitutional Court of Serbia - <http://www.ustavni.sud.rs/page/view/en-GB/237-100030/law-on-the-constitutional-court> [21.09.2018].

წარმოება გადასულია კონკრეტულ სტადიაში⁴⁹⁵ (საქართველო⁴⁹⁶, პოლონეთი⁴⁹⁷, ხორვატია⁴⁹⁸).

„კანონმდებლობის და პრაქტიკის ფართო ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ ყველა ქვეყნისთვის დამახასიათებელი საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა: ეს არის სხვადასხვა სამართლებრივი აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება და დარღვევების შემთხვევაში, სათანადო ზომების გატარება კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მათ მოსაყვანად. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ამოცანა განსაზღვრავს საკონსტიტუციო კონტროლის ფორმას და შინაარსს, მის ძირითად დანიშნულებას, რადგან ამ ფუნქციის რეალიზებით საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები უზრუნველყოფენ სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორც არის კონსტიტუციის უზენაესობა“.⁴⁹⁹ მეტიც „საკონსტიტუციო იურისდიქცია ყოველთვის უნდა იყოს ორიენტირებული უზრუნველყოფდეს პირების თავისუფლებებისა და უფლებების დაცვას“.⁵⁰⁰ ვენეციის კომისია ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის გაუქმებისას საკონსტიტუციო სამართალწარმოების ერთმნიშვნელოვნად შეწყვეტა არასაკმარისი ღონისძიებაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად⁵⁰¹. ვენეციის

⁴⁹⁵ მაგ. როგორც საქართველოში - თუ საქმე მიღებულია არსებითად განსახილველად და ამ დროს მოხდა სადავოდ გამხდარი ნორმის გაუქმება, სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული სამართალწარმოება გაგრძელდება თუ არა (საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 ნაწილი).

⁴⁹⁶ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996

⁴⁹⁷ The Constitutional Tribunal Act of Poland - <http://trybunal.gov.pl/en/about-the-tribunal/legal-basis/the-constitutional-tribunal-act/> [21.09.2018].

⁴⁹⁸ The Constitutional Act on the Constitutional Court of the Republic of Croatia <https://www.usud.hr/en/constitutional-act> [21.09.2018].

⁴⁹⁹ კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2008.20

⁵⁰⁰ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Models of Constitutional Jurisdiction by Helmut Steinberger, 1991, 24

⁵⁰¹ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 44.

კომისიის ეს განცხადება, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული იმ ქვეყნების მიდგომა, სადაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება ავტომატურად იწვევს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტას, არასწორი პრაქტიკაა და სათანადოდ არ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას. ჩვენი აზრით, ის მოდელებიც სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებების ეფექტურ დაცვას, რომლის ფარგლებშიც საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძელება სამართალწარმოების კონკრეტულ სტადიაზე არის დამოკიდებული. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი საქართველოა, სადაც საქმის განხილვამდე სადავო ნორმის გაუქმება უპირობოდ ნიშნავს საქმის წარმოების შეწყვეტას, თანაც ეს მაშინ, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ავითარებს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმებაში მოიაზრება უმნიშვნელო და არსებითად არაფრის შემცველი ცვლილებების განხორციელება.

არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის არსებობა უზრუნველყოფს პროცესის ეკონომიურობის პრინციპს, რადგან, სანამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმის არსებითად განხილვაზე გადავა, ამ საფუძველით საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტა, შეამცირებს სასამართლოში განსახილველ საქმეთა რაოდენობას და მოხდება საქმეებისგან განტვირთვა. მოცემულ ნორმასთან მიმართებით, ამ მოსაზრებას, ხშირად იყენებს მოპასუხე მხარე. სამწუხარო კი ისაა, რომ ეს პათოსი, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არის გაზიარებული თავის პრაქტიკაში.

წინა აბზაცში მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ყველანაირი ეკონომიურობის პრინციპი უკან იხევს, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმის არსებობის საჭიროებას. ზემოთ განვითარებული მსჯელობა კი, ნათლად გვაჩვენებს, რომ არსებული რეგულაცია ვერ უზრუნველყოფს ამ უკანასკნელს. გარდა ამისა, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ასევე ვერ

ამართლებს ეკონომიურობის პრინციპის არსებობას, რადგანაც საკონსტიტუციო სარჩელის ავტორს არაფერი აკავებს, ახლიდან შეიტანოს კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ისევ გაუზარდოს საქმეთა რაოდენობა. ერთადერთი, რაც იცვლება ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში წასულ მოსარჩელეს ეზრდება საქმის განხილვის ვადა. მაგალითად, „ართქმელაძე, ციციძის“⁵⁰² საქმის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2017 წლის 23 მაისს დარეგისტრირდა. საკონსტიტუციო წარმოების შეწყვეტის განჩინება კი სასამართლომ 2018 წლის 22 თებერვალს მიიღო. მოცემულ შემთხვევაში ამ რეგულაციის გამოყენებით, მოსარჩელე მხარეს საკონსტიტუციო განხილვის პერიოდი ფაქტობრივად ცხრა თვით გაუხანგრძლივეს.

არსებულ რეგულაციას არანაირი სარგებელი არ მოაქვს სიმართლის დასაცავად. ეს მექანიზმი იქცა მოპასუხე მხარის პროცედურულ თავშესაფრად, რომელიც ამ უკანასკნელს ბოროტად იყენებს. ამის ნათელი მაგალითი „მოსამართლეების საქმე“⁵⁰³ და კიდევ სხვა, უამრავი შემთხვევაა. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს“⁵⁰⁴ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა არ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვის სტანდარტს და, ასევე არანაირი კავშირი არა აქვს საქმის განხილვის ეკონომიურობის პრინციპთან.

მოცემული, არასწორი რეალობისგან თავის დაღწევის ეფექტურ გზას წარმოადგენს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, რომ მან საკონსტიტუციო სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე შეძლოს სამართალწარმოების გაგრძელების განხილვა. თუმცა, ამ ეფექტის მიღწევა, ასევე შესაძლებელია საკანონმდებლო

⁵⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/3/1227 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - თორნიკე ართქმელაძე და ალექსანდრე ციციძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵⁰³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ცვლილების გარეშე, კერძოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სწორი განმარტების გზით. ეს განმარტება კი, მიმართული უნდა იყოს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერზე, სადაც საუბარია სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის „გაუქმებასა ან ძალადაკარგულად ცნობა“-ზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განმარტოს თუ რა მოიაზრება გაუქმება, ძალადაკარგულად ცნობაში, სადავო ნორმატიულ აქტში ყველანაირი ცვლილების განხორციელება თუ მხოლოდ ისეთის, რომელიც არსებითად ცვლის დავის საგანს ან საერთოდ აუქმებს, დავის საგნის გარეშე ტოვებს სარჩელს. აღსანიშნავია, რომ ეს მოსაზრება თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოშიც არსებობს, მაგ., „გამომცემლების საქმე“-ზე⁵⁰⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა განსხვავებულ აზრში დააფიქსირა მსგავსი პოზიცია, რომლის მიხედვითაც სადავო აქტის „გაუქმება“ ან „ძალადაკარგულად ცნობა“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების და განმარტების საგანი უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას გააჩნია მყარი ნორმატიული არგუმენტი - „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არამართო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრს და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს“. სწორედ, ეს ჩანაწერი პირდაპირ ავალდებულებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეაფასოს თუ რა მოიაზრება სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის „გაუქმება“, „ძალადაკარგულად ცნობაში“. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გაუქმების

⁵⁰⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

დასადგენად სადავო აქტში უმნიშვნელო ცვლილების შეტანა საკმარისი არ უნდა იყოს მთავარია, ცვლილების შემდგომ, დავის საგანი ისევ არის სახეზე თუ არა.

საკონსტიტუციო სასამართლოების ეფექტურობასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც „იმისათვის, რომ მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყოს, ის უნდა პასუხობდეს საჩივარს, იძლეოდეს გასაჩივრებული დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას“.⁵⁰⁵ ეს განმარტებაც, ნათლად გვანახებს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობის შემოწმების კუთხით, საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციები აკვირდებიან პროცედურის ხანგრძლივობას, მისი პროცედურული გაჭიანურების საშუალებების არსებობას.

„მოსამართლეები კონსტიტუციას უნდა მიიჩნევდნენ ძირითად კანონად და ეს მართლაც ასეა. თუ კონსტიტუციასა და კანონს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა აღმოჩნდება, კონსტიტუციას უპირატესობა უნდა მიენიჭოს კანონის წინაშე, ხალხის განზრახვას - მისი წარმომადგენლების განზრახვის წინაშე“⁵⁰⁶. ფედერალისტების ეს სულისკვეთება, ყოველთვის უნდა იყოს სახელმძღვანელო პრინციპი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისთვის. თუ სახეზეა ისეთი რეგულაცია, რომელიც არ არის მოწოდებული ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვისკენ, აუცილებელია მისი სწორი, კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისი განმარტება. აუცილებელია სამოსამართლო გაბედულობა. რომ არა ეს ფენომენი, შესაძლებელია დღესაც კი, მსოფლიო საზოგადოება საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის გარეშე ყოფილიყო დარჩენილი. რომ არა სამოსამართლო გაბედულობა „მედისონი არ წააგებდა საქმეს და არ მოიგებდა უფლებას“⁵⁰⁷ (*Marbury v. Madison*)⁵⁰⁸.

⁵⁰⁵ Deweer c. Belgique, 27 février 1980, §29, série A no 35; Apostol v. Georgia, n o 40765/02, 28.10.2006.

⁵⁰⁶ The Federalist Papers No. 78: Hamilton (New York: Mentor Book,) 1961.468.

⁵⁰⁷ შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მთარგმნელი მ. მასისურაძე, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი 2003, 15.

⁵⁰⁸ *Marbury v. Madison* 5 U.S. (1 Cranch), 137 (1803)

ზემოთ განვითარებული მიმოხილვის შედეგად, უნდა ითქვას, რომ მიუღებელია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს“ ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ამ სახით არსებობა, ისევე, როგორც ამ ნორმის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსეული განმარტება. დაუშვებელია, სადავოდ გამხდარი სამართლებრივი ნორმა, მივიჩნიოთ ძალადაკარგულად, მაშინ როდესაც მასში შეტანილი ცვლილების მიუხედავად, ის იმავე მატერიალურ-ნორმატიული შინაარსით აგრძელებს მოქმედებას.

9.2. სადავო ნორმატიული აქტის გაუქმება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ

საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ლოგიკით, თუ კონსტიტუციური სარჩელი გასცდა განმწესრიგებელ სხდომას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო არსებითად განსახილველად, სადავოდ გამხდარ ნორმაში რაიმე ცვლილების განხორციელება, ავტომატურად, არ ნიშნავს საკონსტიტუციო სამართალწარმოების შეწყვეტას. ამ პროცედურულ შესაძლებლობას ქმნის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესაძლებლობა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობაში, 2002 წელს გაჩნდა, მაგრამ არა დღეს არსებული რედაქციით. თავდაპირველად „საკონსტიტუციო სამართალწარმოების“ შესახებ საქართველოს

კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად - „საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, თუ იგი ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს“.

ამ ორი რეგულაციის შედარებისას, ნათლად იკვეთება, რომ თავდაპირველი რედაქცია საკონსტიტუციო სამართალწარმოების გაგრძელების თითქმის უპირობო, ავტომატური გარანტია იყო, რადგანაც „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი, კერძო პირების მიერ კონსტიტუციური სარჩელით მიმართვის უფლება, ყოველთვის ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს. უნდა ითქვას, რომ „საკონსტიტუციო სამართალწარმოების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თავდაპირველი რედაქცია არ ტოვებდა კონსტიტუციური სარჩელის შეფერხების მანიპულირების პროცესუალურ საშუალებას. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციებთან მიმართებით, რომელზეც დავა, შესაძლებელია გასცდენოდა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს. საერთო ჯამში, მაინც უნდა ითქვას, რომ რადგანაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველი საქმეების ძირითადი ბირთვი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე მოდის, საქმეთა განხილვის მექანიკური შეფერხებისგან თავის დასაცავად, აღნიშნული ნორმა, მაინც ქმედითი მექანიზმს წარმოადგენდა.

2010 წლის საკანონმდებლო ცვლილებით კი, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი შეიცვალა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულის ნაცვლად

გახდა უფლებამოსილი გაეგრძელებინა საკონსტიტუციო სამართალწარმოება თუ: 1. საქმე არსებითი განხილვისთვისაა მიღებული, 2. საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს და 3. თუ საქმის გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად. ახალი რედაქცია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ შესაძლებელია, სასამართლოს მიხედულობით, საქმის განხილვა შეფერხდეს მას შედეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითი განხილვისთვის მიიღებს საქმეს, ხოლო სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტი გაუქმდება ან ძალადაკარგულად იქნება ცნობილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მითითება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავზე, გაუგებრად ზღუდავს ამ მექანიზმის მოცულობის საკითხს. გასაგებია, რომ ნებისმიერი საკონსტიტუციოსამართლებრივი მექანიზმი მომართული უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისკენ, მაგრამ უფლებებს და თავისუფლებებს მართო კონსტიტუციის მეორე თავი არ იცავს. მთლიანი კონსტიტუციაა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების გარანტი. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა უამრავი კომპეტენცია აქვს თავის არსენალში, რომლის ფარგლებშიც წარმართული დავაც „ფორმალურად, შესაძლებელია სცდებოდეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავს, მაგრამ ეხებოდეს ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს.

ჩვენი აზრით, ახალი რედაქციის ჩანაწერი („თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“), სრულიად ზედმეტი და უადგილოა. ამ განცხადების საფუძველს გვამღევს ის გარემოება, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის გამოყენებისას, კონსტიტუციური სარჩელი უკვე არსებითი განხილვისთვისაა მიღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ კონსტიტუციური სარჩელი შემოტანილია შესაბამისი სუბიექტის მიერ და მისი უფლება ან უკვე დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს. ეს ჩანაწერი, რომ

აღნიშნულიყო „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტში, გასაგები იქნებოდა, რადგანაც საქმე არსებითი განხილვისთვის მიღებული არ იქნებოდა ჯერ და ეს რეგულაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას შეეფასებინა, საკონსტიტუციო სარჩელის რეალურობა და თავისი მიხედულების შესაბამისად, გადაეწყვიტა საქმის განხილვის გაგრძელების საკითხი.

სანამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას განვიხილავთ, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით, მანამდე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს განმარტებული, თუ რა იგულისხმება სიტყვებში - „თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“. ეს გარემოება, კიდევ ერთხელ, მიუთითებს, რომ კანონში ამ ჩანაწერის გაჩენა არალოგიკური საფუძვლებით იყო განპირობებული.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით, ყველაზე მნიშვნელოვანი განმარტებები მოცემულია ე.წ. „სისხლის დონორობის საქმეზე“⁵⁰⁹, სადაც სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომლის მიხედვითაც, ჰომოსექსუალიზმი მიეკუთვნებოდა შიდსის რისკ ჯგუფებს. შიდსის რისკ ჯგუფებისადმი მიკუთვნება კი, წარმოადგენდა სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის აბსოლუტური წინააღმდეგობის ჩვენებას. ამასთანავე, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორის საექიმო გამოკვლევა გულისხმობდა პირისთვის ეპიდანამნეზის ჩატარებას და ამ

⁵⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბენიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

პროცესში, დონორის აივ-ინფექციით და ჰეპატიტით დაინფიცირების ისეთი რისკ ფაქტორების განსაზღვრას, როგორებიცაა: ჰომოსექსუალიზმი, პროსტიტუცია და ნარკომანია.

მოცემული საქმე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2013 წლის პირველი მარტის საოქმო ჩანაწერით⁵¹⁰ არსებითი განხილვისთვის მიიღო, ხოლო 2013 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით, ცვლილებები შევიდა სადავოდ გამხდარ ნორმატიულ აქტში ტერმინი „ჰომოსექსუალიზმი“ ჩანაცვლდა ტერმინით „მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან (მსმ პირები). მოსარჩელეთა მიერ სარჩელში და არსებითი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი განმარტებების მიხედვით, „ჰომოსექსუალიზმი“, *inter alia* მოიცავს „მსმ პირთა“ ნაწილს, შესაბამისად, მათთვის კვლავ პრობლემური რჩებოდა ძალადაკარგულად ცნობილი ნორმის ახალი რედაქციის შინაარსი.

სწორედ ამ შემთხვევის გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დადგა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის განმარტების და გამოყენების წინაშე. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეს გაუმართლა, პროცედურულად გაცდენილი, რომ იყო განმწესრიგებელ სხდომას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საფუძველზე, ავტომატურად, შეწყვეტდა საკონსტიტუციო სამართალწარმოებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „მხოლოდ მოქმედი ნორმა შეიძლება წარმოშობდეს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის რისკს, თუმცა, სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობამ ყველა შემთხვევაში შეიძლება არ გამოიწვიოს სადავოდ გამხდარი ნორმატიული შინაარსის

⁵¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის N2/2/536 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბენიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

გაუქმება. ნორმის გაუქმების შემდეგ, იგი შეიძლება ჩანაცვლებულ იქნეს სხვა ისეთი დებულებით, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ შეინარჩუნებს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ ნორმატიულ შინაარსს“.⁵¹¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაუფარავად აღნიშნა, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის მიზანია, „არ მისცეს სამართალშემოქმედს შესაძლებლობა, ბოროტად ისარგებლოს სამართალშემოქმედებითი პროცესით. ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საქმის განხილვის ავტომატური შეწყვეტა, გამოიწვევს კონსტიტუციური კონტროლის აბსოლუტურ დამოკიდებულებას სამართალშემოქმედების დინამიკურ პროცესზე, რამაც, შესაძლებელია, არაგონივრულად გაართულოს საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვა და დაუშვას სამართალშემოქმედებითი პროცესით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობა, ეს კი, უარყოფითად აისახება კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული უფლებების ეფექტიან უზრუნველყოფაზე“⁵¹².

სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმის ახალი რედაქცია, გარკვეულწილად იმეორებდა ძველი რედაქციის ნორმატიულ შინაარსს: „ამასთან, მოპასუხის განმარტებები ცხადყოფს, რომ სადავო ნორმის ამ შინაარსის მიმართ სამართალშემოქმედის დამოკიდებულება არ შეცვლილა და კვლავაც არსებობს იმავე საფუძვლით მოსარჩელეთა უფლებების დარღვევის რისკი“.⁵¹³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მოცემულ შემთხვევაში, აირჩია საინტერესო მიდგომა - აღნიშნა, რომ ის შეზღუდულია დავის საგნის ფარგლებით და, შესაბამისად, მოცემული დავის ფარგლებში ვერ იმსჯელებს 2013 წლის 8 ოქტომბერს

⁵¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბენიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შორომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

⁵¹² იხ. იქვე.

⁵¹³ იხ. იქვე.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული ნორმების რედაქციებზე (მამაკაცის სქესობრივი კავშირი მამაკაცთან (მსმ პირები)). ასევე, მან აღნიშნა, რომ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განხილვა და გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსარჩელეთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ხელმძღვანელობს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტით და აგრძელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოებას. ბოლოს კი, მიუთითა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4, მე-4¹ პუნქტებზე და ყველას გასაგონად აღნიშნა, რომ დაუშვებელია, ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება, რომელიც შეიცავს იმ შინაარსის ნორმებს, რომლებიც სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად. ამასთან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი, შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად, გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. ეს განმარტება მხარეებს ანიშნებდა, რომ სასამართლომ მართალია, არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის გაუქმებული რედაქცია, მაგრამ შინაარსობრივად, ეს ახალი რედაქციის გაუქმების ტოლფასია. თუ მოპასუხე მხარე სადავო ნორმის ახალ რედაქციაზე დაყრდნობით, კვლავ გააგრძელებს მოსარჩელის უფლებების დარღვევას, მოსარჩელეებს უფლება აქვთ კვლავ მიმართონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და გამარტივებული პროცედურით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე („საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4¹ პუნქტი), მოხდეს ახალი რედაქციის არაკონსტიტუციურად ცნობა.

„სისხლის დონორობის საქმისგან“ განსხვავებით, „მოსამართლეების საქმეზე“⁵¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის გამოყენებაზე, მაშინ როდესაც ამ საქმეშიც გაუქმდა სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტები, თანაც არსებითი განხილვის სტადიაზე. ამ საქმეზე დაფიქსირებულ განსხვავებულ აზრში, სასამართლოს წევრები დაუფარავად აღნიშნავენ, რომ სადავო აქტში ცვლილებების განხორციელება იყო „მაშველი რგოლივით“, რომელმაც გარკვეული უხერხულობა ააცილა თავიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სასამართლომ, ამ გარემოებებიდან გამომდინარე უბრალოდ აღარც კი იმსჯელა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტის გამოყენებაზე და ეს უხერხულობაც დუმილით აიცილა თავიდან.

„სისხლის დონორობის საქმეზე“⁵¹⁵ განვითარებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, პირველ რიგში, აფასებს სადავო ნორმაში შესულ რედაქციას, რამდენად ახალი წესრიგი შეაქვს ნორმაში. თუ სასამართლო დაასკვნის, რომ ცვლილება „ფასადურია“ და შინაარსობრივად, ისევ არსებობს უფლების დარღვევის რისკი, გრძელდება გაუქმებული სადავო ნორმის კონსტიტუციურობის განხილვა და თუ დადგინდა, რომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია, ის აუქმებს ძალადაკარგულ ნორმას და არა ცვლილება განხორციელებულ ახალ რედაქციას, ამასთანავე, სამოტივაციო ნაწილში უთითებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4¹ მუხლზე, რომლის მიხედვითაც „თუ საკონსტიტუციო

⁵¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბენიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შორომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

სასამართლო განმწესრიგებელ სხდომაზე დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად ... და თუ არ არსებობს ამ კანონის 21¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი, მას გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობისა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ. ეს განჩინება ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან.“ ამ ნაბიჯით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოპასუხე მხარეს ეუბნება, რომ მართალია, სადავო ნორმის ახალი რედაქცია არ ვცანი არაკონსტიტუციურად, მაგრამ მისი მსგავსი ნორმა ვცანი ასეთად. ეს კი ახლი ნორმის მიმართ, კონსტიტუციური სარჩელის არსებობის პირობებში სასამართლოს ააძლევს იმის უფლებას, რომ ახალი ნორმა, არსებითი განხილვის გარეშე, განჩინებითვე, არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამ პრაქტიკის ჩამოყალიბებით ადგენს ერთგვარ პრევენციის მექანიზმს, მაგრამ ეფექტურობის კუთხით, ჩვენი აზრით ამ მიდგომას დიდი ნაკლი გააჩნია, რადგან მოსარჩელის მიერ ახალი საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყება და თუნდაც განმწესრიგებელ სხდომამდე მისვლა გარკვეულ დროით მონაკვეთთან არის დაკავშირებული, რომლის დროსაც მოსარჩელეს არ იცავს არაფერი, მათ შორის არც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მსგავსი მექანიზმი (სუსპენზიური ეფექტი), რაც უფლებების დარღვევის სერიოზულ საშიშროებას ჰქმნის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკითხის მსგავს გადაჭრას ხსნის იმით, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე „საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას“. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლი კი, საკონსტიტუციო სარჩელის ავტორს

უფლებას აძლევს, მხოლოდ შეამციროს სასარჩელო მოთხოვნა, გაზრდის პროცესუალური შესაძლებლობა კი არ არსებობს. გარდა ამისა, თავის მხრივ, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი მიუთითებს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის გაგრძელებაზე და არა ახლად ჩამოყალიბებულ ნორმატიულ აქტზე.

საინტერესოა, რა განვითარება მოჰყვა „სისხლის დონორობის საქმე“-ს, მას შემდეგ რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განაგრძო საქმის განხილვა და საბოლოოდ, არაკონსტიტუციურად ცნო გაუქმებული სადავო ნორმა. ამ ყოველივეს შემდეგ, მოპასუხემ (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო), ყურად არ იღო სასამართლოს გაფრთხილება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის გამოყენების თაობაზე და ნორმა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას, კვლავ განაგრძობდა მოქმედებას 2017 წლის შემოდგომამდე, ე.ი მანამ სანამ მოსარჩელებმა ხელახლა არ მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და არ მოითხოვეს სადავო ნორმის ახალი რედაქციის არაკონსტიტუციურად ცნობა⁵¹⁶.

ეს მაგალითები იმაზე მიგვანიშნებს, რომ აუცილებელია, მეტი ეფექტური რეგულაცია საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობაში. პირველ რიგში „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტიდან უნდა გაქრეს მითითება კონსტიტუციის მეორე თავზე და უნდა გაჩნდეს პირდაპირი შესაძლებლობა, რომ სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის გაუქმების ან ცვლილების შემდგომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნოს ნორმის ახალი რედაქცია, რომელიც შესაძლებელია, ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. ჩვენი აზრით,

⁵¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის N1/13/878 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ბენიანიძე და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

ასეთ დროს მოსარჩელეს უნდა შეეძლოს სასარჩელო მოთხოვნის ცვლილება. ამ პოზიციის საწინააღმდეგოდ, შესაძლებელია ითქვას, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესი უკვე გაცდენილია განმწესრიგებელ სხდომას და დავის საგნის ცვლილება გამოიწვევს საქმის ახლიდან განხილვას, რადგანაც ახალ დავის საგანზე ახლიდან იქნება გასავლელი ყველა პროცედურა. ამ შესაძლო კონტრარგუმენტთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ წინა თავში განვითარებული მსჯელობა გვაჩვენებს, რომ ეს მექანიზმი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს საქმის არსებითად განსახილველად მიღებამდეც და პროცედურული საკითხებით მანიპულირება მოკლებულია ყოველგვარ ადამიანის უფლებების დაცვისკენ მიმართულ ლოგიკას. ამ შემთხვევაში პროცედურებით მანიპულირება ხელს აძლევს მხოლოდ ისეთ მოპასუხე მხარეს, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ თავი დააღწიოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებას და პროცედურული მანიპულაციებით გაუხანგრძლივოს სიცოცხლე ისეთ ნორმებს, რომლებიც, შესაძლებელია, არღვევდნენ საქართველოს კონსტიტუციას.

ამ საკითხს, ასევე, განიხილავს ვენეციის კომისია, მის მიერ მომზადებულ დოკუმენტში, რომელშიც საუბარია, კონსტიტუციური მართლმსაჯულების ინდივიდუალური ხელმისაწვდომობის პრობლემებზე. მოცემულ დოკუმენტში, დასკვნის სახით, წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, მსოფლიო საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებულ ორგანოებში შეინიშნება სამი მიდგომა: 1. არსებობს პრაქტიკა სადაც სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო დაუყოვნებლივ წყვეტს საკონსტიტუციო სამართალწარმოებას

(მაგალითად - ავსტრია⁵¹⁷, ჩეხეთი⁵¹⁸, საფრანგეთი⁵¹⁹, მონტენეგრო⁵²⁰, პორტუგალია⁵²¹, შვეიცარია⁵²², უკრაინა⁵²³); 2. ასევე, არსებობს მიდგომა, რომლითაც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების შემთხვევაში, უპირობოდ აგრძელებენ საკონსტიტუციო სასამართალწარმოებას (მაგალითად, ლიხტენშტეინი, სერბეთი⁵²⁴); 3. მესამე მიდგომის მიხედვით სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების შემთხვევაში, საქმის განხილვა, შესაძლებელია, გაგრძელდეს გარკვეული პროცედურული ან შინაარსობრივი შეზღუდვის დაძლევის შემთხვევაში (მაგალითად, პოლონეთი⁵²⁵ და რუსეთი⁵²⁶). პროცედურულ შეზღუდვაში მოიაზრება ის, თუ საქმე საკონსტიტუციო სამართალწარმოების რა სტადიაზეა, ხოლო შინაარსობრივში კი, საქმის მნიშვნელობა საჯარო ინტერესებისთვის, ადამიანის უფლებების ან პრაქტიკის გამდიდრებისთვის და ა.შ. ასევე საინტერესოა ლიეტუვას

⁵¹⁷ Constitutional Court Act of Austria

https://www.ris.bka.gv.at/Dokument.wxe?Abfrage=Erv&Dokumentnummer=ERV_1953_85 [05.11.2018].

⁵¹⁸ Constitutional Court Act of Czech Republic

https://www.usoud.cz/fileadmin/user_upload/ustavni_soud_www/Pravni_uprava/AJ/Constitutional_court_act_182_1993.pdf [05.11.2018].

⁵¹⁹ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 40.

⁵²⁰ Law on the Constitutional Court of Montenegro <https://www.legislationline.org/documents/id/19119> [05.11.2018].

⁵²¹ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011, 40.

⁵²² Federal Constitutional Court Act of Switzerland

http://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Downloads/EN/Gesetze/BVerfGG.pdf?__blob=publicationFile&v=2 [05.11.2018].

⁵²³ Rules of procedure of the Constitutional Court Of Ukraine

<http://www.ccu.gov.ua/en/kategoriya/legal-documents> [07.11.2018].

⁵²⁴ Law on the Serbian Constitutional Court

<http://www.ustavni.sud.rs/page/view/en-GB/237-100030/law-on-the-constitutional-court> [07.11.2018].

⁵²⁵ The Act of 30 November 2016 on the Organisation of the Constitutional Tribunal and the Mode of Proceedings Before the Constitutional Tribunal (Poland)

http://trybunal.gov.pl/fileadmin/content/dokumenty/Akty_normatywne/The_Act_on_the_Organisation_of_the_Constitutional_Tribunal_and_the_Mode_of_Proceedings_Before_the_Constitutional_Tribunal_en.pdf [08.11.2018].

⁵²⁶ Federal Constitutional Law On the Constitutional Court of the Russian

<http://www.ksrf.ru/en/Info/LegalBases/FCL/Pages/default.aspx> [08.11.2018].

საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, რომლის მიხედვითაც სადავო სამართლებრივი აქტის გაუქმება იწვევს იურიდიული პროცედურების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას (საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 69.4 მუხლი), მაგრამ სასამართლოს იურისპრუდენციის (პრაქტიკის) მიხედვით, დადგენილია ერთი შემთხვევა, როდესაც დასაშვებია საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესის გაგრძელება, მიუხედავად სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის გაუქმებისა. მაგალითად, ისეთ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე საერთო სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვის ფარგლებში, თუ მას აქვს ეჭვი იმისა, რომ ამ საქმეზე გამოსაყენებელი კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, შესაძლოა კონსტიტუციასთან არ არის შესაბამისობაში, მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია განიხილოს სასამართლოს წარდგინება, მიუხედავად იმ ფაქტისა, სადავო აქტი გაუქმებულია თუ არა⁵²⁷.

საილუსტრაციოდ, საინტერესოა, სერბეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის 72-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „თუ სადავო აქტის მიმღები ორგანო, განხილვის ეტაპზე, მიიღებს ახალ აქტს, რომლითაც ცვლის ან აუქმებს სადავო ნორმას, სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის განხილვა თუ მას არ მიაჩნია, რომ საქმის წარმოება უნდა გაგრძელდეს არაკონსტიტუციურობისა და უკანონობის შედეგების თავიდან აცილების მიზნებისათვის“⁵²⁸. სერბეთის საკონსტიტუციო კანონმდებლობა არ ადგენს სადავოდ გამხდარი სამართლებრივი აქტის განხილვის გაგრძელების პროცედურულ ბარიერს და ძირითადი ორიენტირი გადააქვს არაკონსტიტუციურობასა და პრევენციული უკანონო შედეგების თავიდან აცილებაზე. ასევე, საინტერესოა, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ბელარუსის კანონის 56-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „თუ აქტი, რომლის კონსტიტუციურობაც მოწმდება, შეიცვალა ან/და დამატება განხორციელდა, ან ასეთი ქმედება ითვლებოდა ბათილად

⁵²⁷ The Constitutional Court of the Republic of Lithuania 27.03.2009 Ruling N33/06 on the Compliance of Paragraph 3 of Article 51 (Wording of 10 October 2000) of the Republic of Lithuania's Law on Trademarks With the Constitution of the Republic of Lithuania

⁵²⁸ Law on the Serbian Constitutional Court - <http://www.ustavni.sud.rs/page/view/en-GB/237-100030/law-on-the-constitutional-court> [07.11.2018].

და ბელარუსის რესპუბლიკამ შეწყვიტა ასეთი აქტით მონაწილეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ აქტის მოქმედების შედეგად დაირღვა ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, საქმის განხილვა საფუძვლის გარეშე რჩება“.⁵²⁹

დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ, აღვნიშნავთ, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტთან უნდა ამოვიღოთ, მითითება კონსტიტუციის მეორე თავზე და უნდა გაჩნდეს პირდაპირი შესაძლებლობა, რომ სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების ან ცვლილების შემდგომ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნოს ნორმის ახალი რედაქცია, რომელიც შესაძლებელია, ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. ასევე, უნდა მოიხსნას პროცედურული შეზღუდვა, რომელიც განხილვის შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კონსტიტუციური სარჩელი გასცდება განმწესრიგებელ სხდომას.

9.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია გამაუქმებელ ნორმებზე

პირველ რიგში, ცხადად უნდა განისაზღვროს, თუ რას მოვიაზრებთ გამაუქმებელ ნორმებში გამაუქმებელ ნორმად მოიაზრება, ისეთი ნორმა, რომელიც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არსებულ ნორმას აცხადებს ძალადაკარგულად. საინტერესოა, რა მიდგომას ირჩევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და ეროვნული კანონმდებლობა მსგავს შემთხვევებში.

თავიდანვე გვინდა, ერთმანეთისგან განვასხვაოთ, სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის ფორმალური და მატერიალური ნიშნით საკონსტიტუციო კონტროლი. ფორმალური საკონსტიტუციო კონტროლის კუთხით, ცვლილებებისა და

⁵²⁹ Law of the Republic of Belarus on the Constitutional Proceedings
<http://www.kc.gov.by/en/main.aspx?guid=13225> [05.11.2018].

დამატებების შესახებ კანონი დამოუკიდებელი შეფასების საგანი შეიძლება იყოს, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან ფორმალური კუთხით შესაბამისობის საკითხს. ასეთ შემთხვევებში, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხები შეამოწმოს ავტონომიურად, ძირითადი ნორმატიული აქტისაგან დამოუკიდებლად. ასე, რომ გამაუქმებელი ნორმა, შესაძლოა, დაექვემდებაროს საკონსტიტუციო კონტროლს, ფორმალური საკონსტიტუციო კუთხით, რაც შეეხება მატერიალურს, აქ საქმე უფრო რთულადაა და საკითხი საჭიროებს დამატებით განხილვას.

მატერიალური ნიშნით საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოცემული საქმის მნიშვნელობაზე, ასევე, მიუთითებს ის, რომ საქმე განიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, რადგან საკითხი ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი კომპეტენციის კონსტიტუციით და შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული ფარგლების დადგენას.

„ვლადიმერ ვახანიას“⁵³⁰ საქმეზე სადავოდ იყო გამხდარი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის N1284 საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის კონსტიტუციურობა, რომლითაც გაუქმდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილი, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3

⁵³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება N1/494 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პუნქტთან მიმართებით (დმრ მიხედვით 31-ე მუხლი). დავის შინაარსობრივი ფაბულა კი იყო შემდეგი: კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მსჯავრდებული იყო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილი კი, მას, როგორც მსჯავრდებულს უდგენდა უფლებას, ესარგებლა უცხო ქვეყნის ადვოკატების საადვოკატო მომსახურებით, რისთვისაც საჭირო იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანხმობა. მოსარჩელემ აღნიშნულის თაობაზე მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ამასობაში კი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილი გაუქმდა, რითიც მოსარჩელეს შეეზღუდა დავის უფლება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, თავიდანვე განსაზღვრა მოცემული შემთხვევის განხილვის ვექტორი, რომლის მიხედვითაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი იმ ნორმატიული აქტის (ძირითადი კანონის) განუყოფელი ნაწილია, რომელშიც მას შეაქვს ცვლილება ან დამატება. სწორედ ამგვარი შინაარსით უნდა იქნეს იგი განხილული კონსტიტუციის მიზნებისათვის⁵³¹. „ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონში მოცემული რეგულირებები სამართლებრივ სივრცეში ცვლილებებს იწვევს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, რა დროიდანაც იგი განიხილება ძირითადი კანონის შემადგენელ ნაწილად. შეუძლებელია, ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონში მოცემული რეგულირებების შინაარსის დამოუკიდებლად, ძირითად კანონში არსებული ნორმებისაგან იზოლირებულად განხილვა. მასში მოცემული რეგულირებები განხილულ უნდა იქნეს, მხოლოდ ძირითად კანონში ინტეგრირებულად, სისტემურად და სხვა ნორმებთან კონტექსტში. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს შინაარსობრივი მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს არა ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ესა თუ ის ნორმა, არამედ ძირითადი (კოდიფიცირებული) კანონის იმ ნორმის მოქმედი რედაქცია, რომელიც ჩამოყალიბდა განხორციელებული ცვლილების

⁵³¹ იხ. იქვე.

შედეგად⁵³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 89-ე (დმრ მიხედვით საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად: საკონსტიტუციო სასამართლო პირის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმით დარღვეულია ან შესაძლებელია, დაირღვეს კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული მისი უფლებები და თავისუფლებები. საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკის მიხედვით, „...საკონსტიტუციო სასამართლო, კანონმდებლობის შესაბამისად, მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს მოქმედი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით“⁵³³. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ მოქმედი ნორმა შეიძლება წარმოშობდეს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის რისკს. შესაბამისად, მოცემული დავის გადასაწყვეტად, მიჩნეულ იქნა, რომ მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა არა ცვლილებების და დამატებების შესახებ კანონზე, არამედ მოქმედი ნორმატიული აქტის იმ შინაარსზე, რომელიც მისი უფლების

⁵³² საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის N2/8/473 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“.

⁵³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 12 მარტის N2/124/3 განჩინება საქმეზე „მოქალაქე ალექსი პაპუაშვილი საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის N1/17/345 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაზა ბერიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დარღვევას იწვევდა, ვინაიდან ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონი, დამოუკიდებლად, ვერ შეფასდებოდა როგორც უფლების შემზღვეველი ნორმა.

საკონსტიტუციო სასამართლომ, ასევე აღნიშნა, რომ ნორმის გაუქმებამ, ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ სივრცეზე, რომელშიც იგი არსებობდა. მისი გაუქმებით, შესაძლოა სამართლებრივი სივრცე შეიცვალოს, სამართლებრივი ურთიერთობების გადაწყვეტა მოხდეს განსხვავებული წესით, ვიდრე ეს ხდებოდა ნორმის გაუქმებამდე. თუმცა, ნორმის გაუქმების აღნიშნული თანმდევი ეფექტი, არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოქმედი რედაქციით დადგენილი ქცევის ახალ წესად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ამოქმედების შედეგად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილს, გამოცლილი აქვს ნორმატიული შინაარსი და, შესაბამისად, ის ვერ იქნება განხილული სამართლებრივ ნორმად საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის.

ჩვენი აზრით, „ვლადიმერ ვახანიას“ საქმეზე კონსტიტუციური სარჩელის მოთხოვნა სხვანაირად, რომ ყოფილიყო დაყენებული, შესაძლოა, საქმეს სხვა მსვლელობა მისცემოდა. მიუხედავად ჩვენი ამ პოზიციისა და ერთგვარი მინიშნებისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების ასეთი სახით ფორმულირება მარტო სასამართლოს ბრალი არ არის, მაინც კრიტიკული თვალთვლით ვუყურებთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთ მიდგომას. ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევაში გამაუქმებელი ნორმა არ იყო საკანონმდებლო ორგანოს პოლიტიკური დისკრეციის ფარგლებში გამოცემული აქტი, ასევე ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ამოქმედების შედეგად დამდგარი რეალობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილს არ აცლის ნორმატიულ შინაარსს, პირიქით, მას სძენს ახალ ნორმატიულ შინაარსს, რომლის მიხედვითაც თუ ცვლილებამდე შესაძლებელი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, დამცველებად დაშვებულ ყოფილიყვნენ უცხოელი ადვოკატები, ცვლილების შემდეგ მსგავსი უფლების საკანონმდებლო რეალიზების

საშუალება მოისპო. ჩვენი აზრით „ვლადიმერ ვახანიას“ საქმეზე კონსტიტუციური სარჩელის სასარჩელო მოთხოვნა, რომ ყოფილიყო „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის N1284 საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც გაუქმებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, დამცველებად შეიძლება დაშვებულ იქნენ უცხოელი ადვოკატები“, შესაძლებელია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დასახელებული არგუმენტები არავალიდური გამხდარიყო სასარჩელო მოთხოვნასთან და საქმე განმწესრიგებელ სხდომას მაინც გაცდენოდა.

საკონსტიტუციო კონტროლის, თეორიულად, დოგმატურ საკითხს წარმოადგენს მოცემულობა, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები არიან ნეგატიური კანონმდებლები, რაც ნიშნავს იმას, რომ მათი კომპეტენციაა, კანონის გაუქმება არაკონსტიტუციურობის მოტივით. პოზიტიური კანონმდებელი კი, მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებაა, რომლის ფარგლებშიც, არ უნდა შეიჭრას ნეგატიური კანონმდებელი. ეს დოგმატური საკითხი, თითქოს, ერთგვარ დაზავების პირობად იქცა, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო და საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები დაზავდნენ და მკაცრად გამიჯნეს სამოქმედო არეალები. ამ დაზავებაში კი, დავიწყებას მიეცა ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო კონტროლის უპირველესი ფუნქციაა ადამიანის უფლებების დაცვა. საკონსტიტუციო სასამართლოები, რა თქმა უნდა, არასოდეს შეითავსებენ საკანონმდებლო ორგანოს ამ ფუნქციას, პირდაპირი გაგებით, მაგრამ „ვლადიმერ ვახანიას“ საქმეზე დაფიქსირებულ შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლომ, პოზიტიური კანონმდებლის როლში გადასვლას მეტი ლიბერალურობით უნდა შეხედოს და გაბედულად იმოქმედოს, მითუმეტეს მაშინ, როდესაც გამაუქმებელი ნორმა, ცალსახად, ადამიანს უზღუდავს კონკრეტულ უფლებას. მსგავს შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია,

განიხილოს საქმე არსებითად და არ შეუშინდეს ნეგატიური და პოზიტიური კანონმდებლობის პირობით საზღვრებს, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც ამ მხარეებს შორის მკაფიო და უნიფიცირებული ხაზის დადგენა რთულია.

ასევე საინტერესოა, თუ რა ტენდენციები შეიმჩნევა გამაუქმებელ ნორმებთან დაკავშირებით მსოფლიო საკონსტიტუციო კონტროლის სისტემებში. თანამედროვე საკონსტიტუციო მართლმსაჯულება არაერთგვაროვანია, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის, გამაუქმებელი ნორმების შეფასებისას.

ზოგიერთი ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები ამგვარ კანონს დამოუკიდებელი შინაარსის მქონე ნორმატიულ აქტად განიხილავენ და საკითხის ასეთი გადაწყვეტისათვის საკმარისად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ გამაუქმებელ კანონს იღებს საკანონმდებლო ორგანო (ლიეტუვა⁵³⁴, სამხრეთ აფრიკა⁵³⁵, ხორვატია⁵³⁶). საპირისპირო მიდგომის თანახმად კი, გამაუქმებელი კანონი მატერიალური შინაარსით, არ განიხილება დამოუკიდებელ ნორმატიულ აქტად და მათ კონსტიტუციურობაზე მსჯელობა ხდება ძირითადი აქტის ფარგლებში ან, საერთოდ, განუხილველი რჩება (ჩეხეთი⁵³⁷, ნიდერლანდები, პოლონეთი⁵³⁸).

9.4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია გაუქმებულ ნორმებზე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც კონსტიტუციური სარჩელის სუბიექტი დაობდა

⁵³⁴ The Constitutional Court of the Republic of Lithuania
<https://www.lrkt.lt/en/about-the-court/legal-information/the-law-on-the-constitutional-court/193> [26.12.2018].

⁵³⁵ Rules of constitution cort of South Africa
<https://www.concourt.org.za/index.php/about-us/rules-of-the-court> [26.12.2018].

⁵³⁶ The Constitutional Act on the Constitutional Court of the Republic of Croatia
<https://www.usud.hr/en/constitutional-act> [26.12.2018].

⁵³⁷ Constitutional Court Act of Czech Republic
https://www.usoud.cz/fileadmin/user_upload/ustavni_soud_www/Pravni_uprava/AJ/Constitutional_court_act_1_82_1993.pdf [05.11.2018].

⁵³⁸ Constitutional Tribunal Act of Poland
<https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD%282016%29026-e> [05.11.2018].

ძალადაკარგულ ნორმაზე. მსგავს შემთხვევებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პროცედურული კანონმდებლობის და პრაქტიკის მიდგომა, ერთგვაროვანია, რომლის მიხედვითაც, „ძალადაკარგული ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელები არ მიიღება არსებითად განსახილველად“⁵³⁹. როგორც წესი, სასამართლო, მსგავს შემთხვევებში, უთითებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის ნორმატიული შინაარსიც შემდეგნაირად გამოიყურება: შესაბამის სუბიექტებს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ „ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე“.

⁵³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის N1/1/521 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის N1/4/529 განჩინება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“, პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ და „საქართველოს მწვანეთა პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის N2/6/518 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვიტალი ნიშნიანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 ივლისის N3/2/602 განჩინება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, ზურაბ ჩილინგარაშვილი და სხვები, სულ 35 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის N2/7/639 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ქართლოს ზაქარეიშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/12/593 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იოსებ კარანაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N1/4/607 განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „თანადგომა და სამართლიანობა“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“.

მიუხედავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ერთგვაროვანი პრაქტიკისა, სასამართლოს 2017 წელს „რუსთავი 2“-ის საქმის⁵⁴⁰ ფარგლებში, შესაძლებლობა ჰქონდა, ამ სწორხაზოვანი პრაქტიკიდან ბუნებრივი გამონაკლისი დაედგინა. მოცემულ საქმეში, მოსარჩელე მოითხოვდა არაკონსტიტუციურად ეცნო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისამდე მოქმედი რედაქცია (040000000.05.001.016730, ვებგვერდი, 25/05/2012), რომლის თანახმადაც, „გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს, თუ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობაა და გარიგება დაიდო მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება ან ისარგებლა ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობით ან გამოუცდელიობით (გულუბრყვილობით)“. მოსარჩელეთა აზრით, მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის რედაქცია 2012 წლის 8 მაისს შეიცვალა, თუმცა იგი მაინც შეიძლება ჩაითვალოს მოქმედ ნორმატიულ აქტად. დასახელებული ნორმის ძველი რედაქციისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის⁵⁴¹ ერთობლივი განმარტებით, შესაძლებელია, ამ სადავო ნორმის იმ გარიგებებზე გავრცელება, რომლებიც სადავო ნორმის ძველი რედაქციის მოქმედების პერიოდში დაიდო. აღნიშნულის დასადასტურებლად, მოსარჩელე მხარემ, ასევე, მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებაზე⁵⁴² (საქმე Nას-880-838-2013). ამდენად, მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ, ვინაიდან გაუქმებულ რედაქციას, კვლავ გააჩნია პირებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე მოქმედების რესურსი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს მისი კონსტიტუციურობა.

⁵⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵⁴¹ “კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქვევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქვევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას“.

⁵⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება Nას-880-838-2013.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საკითხებზე მსჯელობის მაგივრად მოუწია ისეთი პროცედურული საკითხების განხილვა, რომლის გადაუჭრელობის გამო, ძირითადი თემატიკა განუხილველი დარჩა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში არ იყო კონკრეტული მითითება, თუ კონსტიტუციური სარჩელის ავტორი სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის რომელ რედაქციის არაკონსტიტუციურობას მოითხოვდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის სარეზოლუციო ნაწილში ესა თუ ის ნორმა მოხსენიებულია რედაქციაზე მითითების გარეშე, იგულისხმება, რომ სასამართლო უთითებს აღნიშნული ნორმის იმ რედაქციაზე, რომელიც მოქმედია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი აქტის მიღებისას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერის სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია, რომ არსებითად განსახილველად იქნა მიღებული N679 კონსტიტუციური სარჩელი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 55-ე მუხლების კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით“⁵⁴³.

მოცემულ საქმეზე, გადაწყვეტილების ფარგლებში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების მიერ განსხვავებული აზრიც დაიწერა,⁵⁴⁴ რომლითაც გაკრიტიკებული იყო სასამართლოს მიდგომა ძირითადი საკითხის

⁵⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის N1/3/679 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების - ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის, მია კოპალეიშვილის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილებაზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

განუხილველობის თაობაზე. განსხვავებულ აზრში, ასევე, ჩამოყალიბდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი მოსამართლის დამოკიდებულება მსგავსი ტიპის გაუქმებულ ნორმებთან დაკავშირებით მათ მიიჩნიეს, „რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლების დაცვის სფეროში მისი განსაკუთრებული როლისა და დანიშნულების გათვალისწინებით მხედველობაში უნდა მიეღო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლისა და საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისის ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია წარმოადგენს მოქმედ ნორმატიულ აქტს ისეთ გარიგებასთან მიმართებით, რომელიც 2012 წლის 8 მაისის ცვლილებამდე მოქმედი ნორმის დროს იქნა დადებული. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, ძალადაკარგული ან სახეშეცვლილი ნორმის ამგვარ ბუნებაზე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს რიგი გადაწყვეტილებები. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების (საქმე №ას-880-838-2013) თანახმად, გარიგების ბათილობის საფუძვლები განისაზღვრება გარიგების დადების მომენტში მოქმედი საკანონმდებლო ნორმების, მათ შორის, სკ-ის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისის ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით. იმავეს მიუთითებს, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2016 წლის 20 მაისის განჩინებაში (საქმე №ას-1224-1149-2015). ასევე, იგივე აღნიშნა უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ თავის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში (საქმე №ას-664-635-2016), რომლითაც მოსარჩელეთა საქმეზე დავა გადაწყვიტა (იხ. პარაგრაფი 209). როგორც ვხედავთ, საერთო სასამართლოების პრაქტიკა, რაზეც მიუთითებს მოსარჩელე, სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისის ცვლილებამდე მოქმედ რედაქციას, გამოსაყენებელ ნორმატიულ აქტად მიიჩნევს, ვინაიდან, ყოველ ჯერზე, განსახილველი დავა ეხება მხარეებს შორის გარიგების დადების დროს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობას. არ გამოირიცხება ის გარემოება, რომ სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების უფლებამოსილება მოიცავს ისეთი ნორმის შეფასებას, რომელიც მისი შეცვლისა თუ გაუქმების მიუხედავად, წარმოადგენს მოქმედ, გამოსაყენებელ ნორმატიულ აქტს სამოქალაქო კოდექსის მე-6

მუხლისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით. იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისის ცვლილებამდე მოქმედი რედაქცია, ნორმატიულ ძალას ინარჩუნებს (ძალაშია) მისი მოქმედების დროს დადებულ გარიგებებთან მიმართებით და ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, ზემოქმედებდეს მხარის კონსტიტუციურ უფლებაზე, შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელსაც მინიჭებული აქვს კონსტიტუციური მანდატი, მიიღოს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, უნდა ემსჯელა და მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე, შეეფასებინა ნორმატიული ძალის მქონე (ძალაში მყოფ) სამოქალაქო კოდექსის 55-ე მუხლის 2012 წლის 8 მაისის ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის კონსტიტუციურობის საკითხზე“.⁵⁴⁵

„რუსთავი 2“-ის საქმის წყალობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკაში გამოვლინდა ახალი სამართლებრივი სიტუაცია, რომელთან დაკავშირებითაც, სასამართლოს უნდა ჰქონდეს თავისი ერთგვაროვანი დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ამ საქმეზე მოცემული საკითხი პირდაპირ არ განმარტა, მაინც უნდა ითქვას, რომ სასამართლოს ოთხი წევრის მიერ დაფიქსირებული მოსაზრება საყურადღებო და გასათვალისწინებელი უნდა იყოს ასეთი სამართლებრივი შემთხვევის წინაშე დამდგარი მხარეებისთვის. „რუსთავი 2“-ის საქმემ, ნათლად დაგვანახა, რომ ნორმა, შესაძლოა, გაუქმდეს, მაგრამ ის მაინც აგრძელებდეს მოქმედებას კონკრეტული დროის მონაკვეთში წარმოშობილ ურთიერთობებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორმა მოქმედია და ახდენს გავლენას კონკრეტულ სამოქალაქო თუ საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებზე. ბუნებრივია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მსგავს შემთხვევებში, უნდა განიხილოს საქმე, იმსჯელოს მსგავსი ნორმის კონსტიტუციურობაზე და არ უნდა გამოიყენოს სტანდარტული დასაბუთება.

⁵⁴⁵ იხ. იქვე.

დასკვნა

ჩვენს მიერ შერჩეულ საკვლევ თემაზე მუშაობისას, კიდევ ერთხელ, დადასტურდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სიძლიერის საკითხები, რომელთაგან უპირველესი, მისი დროში მოქმედების ეფექტია, შეიცავს უამრავ წინააღმდეგობრივ ნიუანსს. სწორედ, ეს წინააღმდეგობები განაპირობებს იმას, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუციის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დროითი ეფექტის დარეგულირება, მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროითი ეფექტის მარეგულირებელი ნორმების შემუშავების დროს საკანონმდებლო ორგანომ უნდა დაიცვას და დააბალანსოს წარმოშობილი წინააღმდეგობით აღსავსე ინტერესები. ასევე, მსგავსი წინააღმდეგობის და ამოცანის წინაშე აღმოჩნდება საკონსტიტუციო სასამართლო, თუ საკონსტიტუციო კონტროლის მარეგულირებელი კანონმდებლობა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოდულაციის საკითხს, თუნდაც მცირე დოზით, დატოვებს სასამართლოს მიხედულების ფარგლებში.

კვლევის შედეგად, ასევე, ნათლად წარმოჩინდა, რომ თუ გვსურს, ეფექტური საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციის დამკვიდრება და განვითარება, ამისთვის, აუცილებელია, მისივე გადაწყვეტილების საკანონმდებლო გამლიერება და განმტკიცება. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამლიერებაზე საუბრისას კი, პირველ რიგში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის წარმდგენს, უნდა ჰქონდეს რეალური საკანონმდებლო ჩარჩო, გამყარებული ზუსტი, ერთგვაროვანი და გამჭვირვალე პრაქტიკით, რომელიც მას საშუალებას მისცემს, რეალურად განახორციელოს საკუთარი უფლებების რეალიზება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სათანადო აღსრულების პირობებში. პრაგმატული საკონსტიტუციო სარჩელის წარმდგენის ხედვა, სწორედ ამ უკანასკნელ მიზანზე არის ორიენტირებული. როგორც წესი, „საშუალო“ პოტენციურ მოსარჩელეს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე, არ ამოძრავებს მხოლოდ

არაკონსტიტუციურობის დეკლარირების სურვილი. სწორედ, ამ გარემოებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით აქტუალურია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაძლიერება, დროში მოქმედების ეფექტის გაფართოების გზით.

ასევე, ნათლად წარმოჩინდა საკონსტიტუციო კონტროლის ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული გამოწვევები გამაუქმებელ ნორმებთან დაკავშირებით. აუცილებელია ისეთი საკანონმდებლო ჩანაწერების და შესაბამისი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რომელიც დავის მხარეს მოუსპობს პროცესის უსაფუძვლო გაჭიანურების ან შეწყვეტის საშუალებებს.

მიგვაჩნია, რომ კვლევის შესავალ ნაწილში დასახელებულ მიზნებს მივაღწიეთ. შესაბამისად, პუნქტობრივად, წარმოგიდგინო კვლევის ცალკეული ნაწილების შემაჯამებელ დასკვნებს.

1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედებასთან დაკავშირებული კონსტიტუციის პრინციპების განხილვის შედეგად, შეგვიძლია, განვაცხადოთ, რომ ამ გარემოებიდან გამომდინარე, არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების ხისტი საკანონმდებლო რეგულირება, რომელიმე ინტერესის მხარეს. აუცილებელია შუალედური საკანონმდებლო რეგულირების შემოღება და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის განვითარება, რომელიც შეძლებს ალესილი დანის პირზე, მშვიდობიანად გავლას, რაც შექმნის ადმინისტრაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან განცდას, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან. ეს განცდა კი, ნამდვილად, შესუსტებულია, როდესაც ადამიანს არაკონსტიტუციური ნორმის გამო ეზღუდება კონკრეტული უფლება, ადგება ზიანი და არაკონსტიტუციურობის დეკლარირების შემდეგ, მას ეუბნებიან, რომ მიუხედავად არაკონსტიტუციურობის ფაქტისა, მაინც ვერაფერს ვერ შეცვლის, უფრო მეტიც შეცვლის მცდელობის სამართლებრივ საშუალებასაც კი, არ

აძლევს კანონმდებლობა. სახელმწიფო კი, როგორც „სოციალური ხელშეკრულება“, ვფიქრობთ, ზუსტ საკანონმდებლო გარანტიებს უნდა იძლეოდეს ამ საკითხთან დაკავშირებით. გარანტიებში კი, პირველ რიგში, იგულისხმება განჭვრეტადი და საკანონმდებლო დონეზე⁵⁴⁶ გასაგები რეგულაციები. „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორ თეორიულ შესაძლებლობებსაც არ უნდა აჩენდეს იგი, არანაირი აზრი არ ექნება, თუ ის სათანადო შედეგის მომტანი არ გახდება სათანადო ადრესატებისთვის. ამიტომ, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი გარანტიების, მექანიზმების არსებობას გადაწყვეტილების აღსრულების, შედეგების ხელმისაწვდომობისა და შეუქცევადობის უზრუნველყოფისთვის“⁵⁴⁷;

2. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების მოდელების განხილვის შედეგად დასტურდება, რომ თითოეულ მოდელს თავისი ქმედითი ფუნქციებიდან გამომდინარე უდავოდ, აქვს არსებობის უფლება. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მათ კონკრეტული სასამართლო მაგალითებიდან გამომდინარე, შეუძლიათ შესაბამის გადაწყვეტილებასთან მიმართებით მოახდინონ სწორი დროითი მოდულაცია. ეს უკანასკნელი კი, როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანესი არის საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების ინსტიტუციური სიმლიერისთვის და ფუნქციონირებისთვის.

მოდელების კვლევის შედეგად, ასევე, გამოვლინდა, რომ პრაქტიკაში Ex Tunc კონცეფციის განუხრელად გამოყენებამ შესაძლებელია, ცალკეულ საქმეებში, გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი შედეგები.

⁵⁴⁶ ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, “საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში”, თბილისი 2018, 447.

⁵⁴⁷ იხ. იქვე.

მაგალითად, გადაწყვეტილება, რომელიც ქორწინების შესახებ ნორმას არაკონსტიტუციურად ცნობს (ვთქვათ იმიტომ, რომ იგი ეწინააღმდეგება თანასწორობის პრინციპს), გამოიწვევდა ქორწინების ნებისმიერი აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელიც ამ ნორმაზე დაყრდნობით განხორციელდა. ეს კი, რა თქმა უნდა, იქნებოდა საზოგადოებისათვის საზიანო შედეგი. შესაბამისად, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც აღიარებულია კანონის Ex Tunc სამართლებრივი ძალის, ამგვარი შემთხვევები არის მნიშვნელოვნად უარყოფილი, რათა საბოლოო გადაწყვეტილებებმა, არ დაკარგონ თავისი სამართლებრივი ძალა.

საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოების გადაწყვეტილებებისთვის სრული Ex Tunc სამართლებრივი ძალის მინიჭება ემსგავსება სამართლიანობის იმ დამანგრეველ მახვილს, რომელმაც შეიძლება სრულიად თავდაყირა დააყენოს ნებისმიერი სამართლებრივი წესრიგი. ამასთანავე, Ex Tunc სამართლებრივი ძალის დამკვიდრება აუცილებელია საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოების ფუნქციების გაძლიერებისთვის და ადამიანის ქვეცნობიერში ჩადებული სამართლიანობის განცდის დაკმაყოფილებისთვის. ამ ორი საპირისპირო ღირებულებითი პოლუსის გათვალისწინებით, მსოფლიო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებში, მეტნაკლებად მკვიდრდება მოსაზრება, რომ რომელიმე ამ პოლუსისკენ სრული გადახრა არ არის მიზანშეწონილი თავად საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუციისთვისაც და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისითაც. სწორედ ეს გახლავთ ის მიზეზი, რის გამოც მსოფლიო საკონსტიტუციო გამოცდილებაში მოიპოვება უამრავი მაგალითი, რომელიც, ერთი მხრივ, ადგენს გადაწყვეტილების Ex Tunc სამართლებრივ ეფექტს, ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობს მოათვინიეროს და შეზღუდოს მისი საშიში მხარე.

დასკვნაში, აუცილებლად უნდა აისახოს „დამჭერის პრემიის“ კონცეფცია. ინდივიდი, რომლის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილი სარჩელის შედეგად ნორმა არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი, სახელმწიფოს და საზოგადოებას უწევს შეუფასებელ სამსახურს, რადგანაც ახდენს პროცესის ინიცირებას, რისი შედეგიც არის არაკონსტიტუციური ნორმის გამოვლენა. მსგავსი პირები, როგორც წესი მოქმედებენ არამხოლოდ პირადი ინტერესების, არამედ საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად, რადგანაც მათ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას ხელშესახები ნორმატიული შედეგები მოაქვს. აქედან გამომდინარე, მოსაზრება, რომ მოსარჩელე „იმსახურებს“ უკეთეს მოპყრობას სხვა მოქალაქეებთან შედარებით, რომლებმაც სარჩელით არ მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს, უდავოდ იმსახურებს მხარდაჭერას. შესაბამის თავში განვიხილეთ თავად „დამჭერის პრემიის“ სხვადასხვა მოდიფიკაცია, რომელთაგან ბევრი საინტერესო მიმდინარეობა გამოვლინდა და სავსებით შესაძლებელია მათი რეცეფცია ქართულ სამართლის სიტემაში.

ვენეციის კომისის შეფასებით, „ქართული სისტემა იმ სისტემების მსგავსია, რომლებიც აღიარებენ ზომიერ Ex Nunc სამართლებრივ ეფექტს“. ვენეციის კომისიამ, თავის დასკვნაში, ასევე, მიუთითა, რომ ქართული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დროში მოქმედების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო არ არის ამოვარდნილი ევროპული სტანდარტებიდან. უფრო მეტიც, ევროპული სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები ირჩევენ Ex Nunc სისტემას, თუმცა ქართული კანონმდებლობა, ცხადად, არ იძლევა პირდაპირ პასუხებს ყველა იმ კითხვასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ

ეფექტს, საერთო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომელთაც არაკონსტიტუციური ნორმები დაედო საფუძვლად.

ამ თავში წარმოდგენილი შედარებითი მიდგომა ამტკიცებს, რომ სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის ქვეყნების საკმაოდ დიდ ნაწილში და მათ შორის, საქართველოშიც, მივიდნენ დასკვნამდე, რომ სწორია დროში მოქნილობის დამკვიდრება, რაც Pro Futuro სამართლებრივი ეფექტის საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავებაში გამოიხატება.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ასეთი გადადება, რაც აუქმებს საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებების შედეგებს შეიძლება გამოყენებული იქნეს მაშინ, როდესაც არაკონსტიტუციურობის ფაქტი ადდგენა უფრო უპირატესია, ვიდრე მისი უეცარი გაუქმება.

შესაბამის თავში განხილული სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება გამოვყოთ ის შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის Pro Futuro სამართლებრივი ძალის მინიჭება და შესაბამისად არაკონსტიტუციური რეგულაციის შენარჩუნება უფრო ნაკლები ბოროტებაა ვიდრე Ex Nunc სამართლებრივი ძალის მინიჭება. ასეთი შემთხვევებია:

- ❖ სიტუაცია, რომლის მიხედვითაც ნორმის გაუქმებით იქმნება საკანონმდებლო ვაკუუმი, რაც საფრთხეს უქმნის სამართლებრივ უსაფრთხოებასა და რეგულაციის გარეშე ტოვებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას;
- ❖ საგადასახადო კანონმდებლობის ნორმები, რომელთა გაუქმების შედეგად, სახელმწიფო ფისკალურ დისციპლინას და სიმყარეს ექმნება საფრთხე;

- ❖ თანასწორობის უფლების მიმართ არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევები, როდესაც პოზიტიური კანონმდებლის მიხედულების ქვეშ გადადის გათანასწორობის გზის არჩევა;
- ❖ ასევე, შემთხვევები, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის თვითაღსრულებადი და მისი აღსრულების შესაძლო გზების არჩევა საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციაში გადადის.

განხილულ ქვეყნებზე დაყრდნობით, ასევე, ვლინდება ის ზოგადი მიდგომა, რომლის ფარგლებშიც საკანონმდებლო ორგანოს ეძლევა ვადა, შესაბამისი ზომების მისაღებად. როგორც ჩანს ეს ვადა ხუთი თვიდან ორ წლამდე მერყეობს. ასევე, გამოვლინდა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზირებული ორგანოები, ბოლომდე არ ენდობიან საკანონმდებლო ორგანოს კეთილსინდისიერებას გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულების კუთხით და სამოტივაციო ნაწილში განსაზღვრავენ სავალდებულო მითითებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საკანონმდებლო ორგანომ ახალი რეგულაციის მიღებისას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ძალის სიკეთეებთან ერთად, ავსტრიის მაგალითზე, გამოვლინდა, რომ ამ ფუნქციას, ასევე შეიძლება გააჩნდეს გვერდითი ეფექტები, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია, როგორც ცუდი მაგალითი. გვერდითი ეფექტი კი გამოვლინდა იმაში, რომ ავსტრიის შემთხვევაში Pro Futuro მექანიზმის გამოყენება დაემსგავსა ერთგვარ რევერანსს, რომელიც გამოხატულია წაგებული მხარის - საკანონმდებლო ორგანოს მიმართ. ეს გვერდითი ეფექტი ასევე იმაშიც ვლინდება, როდესაც Pro Futuro მექანიზმი არის გამონაკლისი ზოგადი წესიდან ავსტრიის შემთხვევაში კი სტატისტიკა (213 არაკონსტიტუციურობის შემთხვევისას 103 შემთხვევაში გამოიყენეს

გადაწყვეტილების Pro Futuro სამართლებრივი ეფექტი) გვიჩვენებს, რომ ის გამონაკლისის ნაცვლად უფრო ზოგად წესად გადაიქცა. ეს ნეგატიური გამოცდილება გვეუბნება, რომ გამონაკლისი არ უნდა ვაქციოთ ზოგად წესად, ქართულ სამართლებრივ სივრცეში კი, ასეთი მიდგომების მიმართ, საკმაოდ ცუდი მიდრეკილება არსებობს. საქართველოშიც მიღებულია გამონაკლისი წესის ზოგად წესად ქცევა.

აუცილებლად მიგვაჩნია, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო სიტყვები „სხვა გვიანდელი ვადა“, შეიცვალს ისეთი ჩანაწერით, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემს ფართო დისკრეციას დროში სწორი მოდულირება გაუკეთოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ასევე აუცილებელია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გახდეს ახლად აღმოჩენილი გარემოება თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ძალით გამოყენების შესაძლებლობას. ასევე აუცილებლად მიგვაჩნია ასეთი ახლად აღმოჩენილი გარემოების რეალიზებითვის დაწესდეს ერთ წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

3. ევროსასამართლომ სავსებით მართებულად აღნიშნა და ჩვენც, დასკვნით ნაწილში განვმეორდებით, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს საჯარო უწყებების ან სასამართლოების მიერ გამოტანილი ის ინდივიდუალური გადაწყვეტილებები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს მოსარჩელის უფლებებზე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე, ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას. მსგავს ფორმულირებას შესაბამის ნორმასთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოების

შეწყვეტაც კი არ შეუძლია, ის მხოლოდ მისი აღსრულების შეჩერებას იწვევს“.⁵⁴⁸

ევროსასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მიმართვის ეფექტიანობისთვის „გერმანიისა და ჩეხეთის კონსტიტუციური კონტროლის ორგანოებისადმი მიმართვის საშუალება, რომელიც, ზოგადი წესის თანახმად, აკმაყოფილებს კონვენციის 35-ე (§1) მუხლის მოთხოვნებს, არაეფექტიან მიმართვის საშუალებებად იქნა მიჩნეული, რადგან თუკი აღნიშნულ სასამართლოებს შეუძლიათ დაადგინონ კონსტიტუციური დებულების დარღვევა, რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, მათ არ აქვთ კომპეტენცია, ზუსტი მითითებები გასცენ გაჭიანურებული პროცედურის დაჩქარების შესახებ და არც იმისი შესაძლებლობა აქვთ, რომ მიაკუთვნონ კომპენსაცია გაჭიანურებული სამართალწარმოებიდან გამომდინარე ზიანისთვის“.⁵⁴⁹ ეს განმარტებები, ნათლად წარმოაჩენს ევროსასამართლოს შეფასებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალასთან დაკავშირებით და ასევე, შეინიშნება ერთგვარი სურვილი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალის გაძლიერებისა.

4. იმისათვის, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე შეიქმნას მნიშვნელოვანი, ეფექტური უფლების დაცვის მექანიზმი, აუცილებელია, ზემოთ წარმოჩენილი სკანონმდებლო და ზოგ შემთხვევაში, პრაქტიკის ხარვეზების გამოსწორება. ასეთი მიდგომა ეფექტურს და ხელშესახებს გახდის ძალაუფლების დანაწილების პრინციპის და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის რეალიზებას. აქვე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეები განსაკუთრებით დიდი დოზით საჭიროებენ საკონსტიტუციო სასამართლოს

⁵⁴⁸ Apostoly v Georgia [ECTHR], App No. 40765/02, 28 Novemba 2006.

⁵⁴⁹ Surmeli v Germany [ECTHR], App No. 75529/01, 8 juni 2006.

გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით რეალიზების ძლიერ გარანტიებს, რადგან სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში დღის წესრიგში ნაკლებად დგას ის სხვა სავარაუდო ლეგიტიმური ინტერესები, რაც შესაძლოა დაზიანდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მაღალი დოზით უკუძალით გავრცელების შემთხვევაში.

შესაბამის თავში განხილული საკითხის შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის რეგულაცია ქმნის ისეთი განმარტებების შესაძლებლობას, რომლის ამოქმედებამაც შესაძლებელია არასათანადოდ შეზღუდოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით გავრცელების ეფექტი სისხლის სამართლის საქმეებზე. დასახელებული მუხლის ჩანაწერი „არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი“⁵⁵⁰, იძლევა ისეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც ახლად გამოვლენილი, გარემოებებად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიჩნევა შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ სისხლის სამართლის მატერიალური ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით. გარდა, ამისა ასევე გაუგებარია, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის გამოყენებადობა მხოლოდ განაჩენში, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის წარმოების ფარგლებში, შესაძლებელია, მიღებულ იქნეს ისეთი სახის სასამართლო აქტები, რომლებსაც დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს საბოლოო შედეგზე. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოები „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის“ 310-ე მუხლის „დ“ ნაწილის

⁵⁵⁰ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, 310-ე მუხლის „დ“ ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N1772, 09/10/2009წ.

გამოყენებისას, ამ ნორმას არ მარტავენ ამომწურავად შესაძლებელია, რომ გარკვეულ შემთხვევებში ამ ნორმაში მსგავსი ჩანაწერების არსებობამ გასაქანი მისცეს არასწორ ინტერპრეტაციებს, რადგან ახლად გამოვლენილ გარემოებად მარტო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის მატერიალური ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა და ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის გამოყენებულია განაჩენში, საკმაოდ ძლიერი შეზღუდვაა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალით რეალიზებისთვის. აღნიშნული მოსაზრება ასევე მყარდება ჩვენს მიერ მიმოხილული სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციებითაც, რომელთა ანალიზის შედეგადაც, ნათლად დავინახეთ, რომ არცერთი მათგანი ყურადღებას არ ამახვილებს სისხლის სამართლის კანონზე, მატერიალური ნიშნით. უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა აკეთებს ზოგად მითითებას - საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტზე (დარგობრივი ნიშნის გარეშე), ზოგი კი კანონქვემდებარეზეც. ასევე, ისიც აღსანიშნავია, რომ არცერთი ქვეყანა არ შემოფარგლავს სპეციალიზირებული საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალით მოქმედების შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეებზე, მათი საერთო სასამართლოების ამა თუ იმ აქტში გამოყენებადობის კუთხითაც.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე მსჯელობისას, ასევე, გამოიკვეთა, რომ საქართველოში ეს სფერო საერთოდ გარიყულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურობის სივრციდან. ასევე, კვლევის დროს, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ზოგიერთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, კონვენციის მიზნებისთვის, უთანაბრდება სისხლის სამართლის საქმეებს. გარდა ამისა,

ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, სახელმწიფოს მხრიდან, პირის დასჯის სამართალია და თუ პირი არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტის საფუძველზე დაისაჯა ბუნებრივია, რომ მისი დასჯის საკითხი აუცილებლად უნდა გადაიხედოს. ასევე ვითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევები ასევე ითვალისწინებს საგადასახადო, სამშენებლო გარემოს დაცვის კუთხით, საკმაოდ მაღალი ფინანსური სანქციების მქონე სამართალდარღვევებსაც, რომელთა არაკონსტიტუციურობის და შემდგომი შესაბამისი შედეგების გადახედვის შედეგად შესაძლებელი არის საფრთხე შეექმნას სახელმწიფოს ფისკალურ და საბიუჯეტო წესრიგს. ამ მიზეზიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალა არ უნდა მოქმედებდეს იმავე მაშტაბით, როგორც სისხლის სამართალში. აქედან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გადაწყვეტილების უკუძალით რეალიზების ფართო მიხედულება მივანდოთ თავად სასამართლოს.

5. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ სამოქალაქო საქმეების განხილვის ორ შემთხვევაში საქმეში გამოსაყენებელი ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა მოესწრო საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვას. მოცემული შემთხვევებიდან არცერთ საქმეში სასამართლომ საქმის განხილვისას არ ასახა არაკონსტიტუციურობის შესაბამისი შედეგები.

განსხვავებით სამოქალაქო პალატისა, საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ თავის გადაწყვეტილებაში სრულად ასახა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების სამართლებრივი შედეგები.

შესაბამის თავში განხილულმა საქმეებმა, პირველ რიგში, კიდევ ერთხელ, დაგვანახა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის სისუსტეები. ასევე, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც საერთო სასამართლოებმა არასათანადოდ განმარტეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის მომწესრიგებელი ნორმები. ეს გარემოებები კი, მიგვანიშნებენ, რომ აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის ქმედითი და ეფექტური ძალაუფლების მინიჭება, რომელიც ორიენტირებული იქნება ადამიანის დარღვეული უფლებების სათანადო ინტენსივობით რეალიზებისკენ.

6. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის სასიკეთოდ შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის 4 ივნისამდე მოქმედი რეგულაციის ცვლილება ახალი რედაქციით წინ გადადგმული ნაბიჯია. ძველი რედაქცია ადგენდა იმდაგვარ რეგულაციას, რომელიც ადგილს უტოვებდა ისეთ განმარტებებს, რომლის მიხედვითაც ფერხდებოდა და დროში იწელებოდა გადაწყვეტილების ძალაში შესვლა. გარდა ამისა ასევე უნდა ითქვას, რომ როდესაც გადაწყვეტილების ძალაში შესვლა დამოკიდებულია გადაწყვეტილების გამოქვეყნებაზე, გამოქვეყნება კი, თავის მხრივ, საკანონმდებლო მაცნეში განთავსებაზე, გამოდის, რომ თითქოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეალიზება, ფორმალურად მაინც დამოკიდებულია სხვა უწყებაზე, რადგან საქართველოს საკანონმდებლო მაცნე არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ახდენს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტების გამოქვეყნებას, აქვს თავისი „ბიუროკრატიული“ და „ტექნოკრატიული“ ბარიერები, რომლის გავლისას გარკვეულ შემთხვევებში, არსებობს საშიშროება შეფერხდეს გამოქვეყნების

პროცესი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა კი, მეტად უზრუნველყოფილია, ვიდრე სსიპ „საკანონმდებლო მაცნისა“, შესაბამისად სასამართლოს აქტის გამოქვეყნება მის კონტროლირებად ელექტრონულ ვებგვერდზე უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ამ ფუნქციის გასვლა საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქციიდან. რაც შეეხება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-6, 43-ე მუხლის მე-11 და 43-ე უხლის მე-12¹ პუნქტებში⁵⁵¹ ნახსენებ „სრულ ტექსტს“, აღნიშნულზე სკონსტიტუციო სასამართლომ სავსებით მართებული პოზიცია დააფიქსირა, რაზეც პლენუმის არცერთ წევრს არ ჰქონია განსხვავებული მოსაზრება, მითუფრო, ამ საქმის ფარგლებში, ბევრ საკითხზე დაფიქსირდა განსხვავებული აზრი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტთან არაერთგვაროვანი განმარტებების გამორიცხვა, ემსახურება გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტურობას. დღეს არსებული რეგულაციებით კი, აღნიშნული სიცხადე სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის ალტერნატივების საკითხთან განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, ნათლად გამოჩნდა „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის პერსპექტივები ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტურობის კუთხით. მას, მართლაც, შესწევს

⁵⁵¹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი 001, 27/02/1996

უნარი ალტერნატივის სახით კონკურენცია გაუწიოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პირდაპირ რეტროაქტიურ სამართლებრივ ძალას. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის რეტროაქტიური რეალიზება იქნება ინდივიდუალური ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, და შესაბამისი სამართლიანი გადასინჯვის უფლების გარეშე დარჩება ყველა ის პირი ვის კონკრეტულ საქმეშიც სასამართლომ ისეთივე არაკონსტიტუციური განმარტება გამოიყენა. ეს პრობლემა, განსაკუთრებით, მწვავე იქნება თუ საკონსტიტუციო სასამართლო საერთოდ არაკონსტიტუციურად ცნობს საქმეში გამოყენებულ ნორმატიულ აქტს. გარდა ამისა „რეალური“ საკონსტიტუციო კონტროლის შიდაეროვნულ დონეზე რეალიზებას სჭირდება სხვა უამრავი პროცესუალური რეგულაცია და ნიუნსის გათვალისწინება, რათა მან ეფექტურად გაუწიოს კონკურენცია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უკუძალის სამართლებრივ ეფექტს.

პრევენციულ საკონსტიტუციო კონტროლთან, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურად გავრცელების შემარბილებელ ალტერნატივასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ის ვერ იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ეფექტის სრული ალტერნატივა, მაგრამ მისი შესაბამისი მოცულობით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ჩამონათვალში დანერგვა, ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობის გაზრდას, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით.

საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გაძლიერებისთვის, რათა მან შეძლოს დააბალანსოს და კვაზიალტერნატიული დანიშნულება ჰქონდეს საკონსტიტუციო

სასამართლოს გადაწყვეტილების რეტრაქტიური სამართლებრივი ძალის მიმართ, პირველ რიგში აუცილებელია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შორის ნდობის და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება რისი ნაკლებობაც სახეზეა და კარგად ჩანს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტატისტიკაში. ინსტიტუციონალური თანამშრომლობის გაძლიერების გარდა საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გაძლიერებისთვის, ასევე აუცილებელია საკანონმდებლო გარანტიებიც. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ კონსტიტუციური წარდგინების საკითხი არ იყოს საქმის განმხილველი მოსამართლის სრულ მიხედულებაში. აუცილებელია, რომ მსგავს საკითხზე შუამდგომლობის განხილვისას გამოიყენოდეს დასაბუთებული განჩინებები, რომელთა გასაჩივრება შესაძლებელი იქნება ცალკე კერძო საჩივრით.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, აუცილებელია, საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების განხილვის ვადების შემჭიდროება. ეს საკითხი, როგორც მინიმუმ, განმწესრიგებელი სხდომის სტადიას მაინც, უნდა შეეხოს. გარდა აღნიშნული საკანონმდებლო საკითხებისა, საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების გაძლიერებისთვის, აუცილებელია, ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გამოსწორება. კერძოდ, საქმის განმხილველმა სასამართლომ მიმართა კონსტიტუციური წარდგინებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და შეაჩერა კონკრეტული საქმის წარმოება, რა ხდება თუ ამავე დროს ანალოგიური შინაარსის საქმეს განიხილავს საერთო სასამართლოების სხვა შემადგენლობა, რომელმაც არ მიმართა კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს. ამაზე პასუხს საკანონმდებლო დონეზე იძლევა „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი, რომლებიც ერთხმად მიუთითებს კონკრეტული საქმის განხილვის შეჩერებაზე და არანაირად არ ითვალისწინებს ამ ეფექტის სხვა ანალოგიურ დავებზე გავრცელებას. ჩვენი აზრით, არსებული საკანონმდებლო რეგულაცია არის მიუღებელი, რადგან თუ ერთ საერთო სასამართლოების მოსამართლეს მაინც შეეპარება ეჭვი საქმეში გამოსაყენებელი ნორმის არაკონსტიტუციურობაზე და გამოიყენებს კონსტიტუციური წარდგინების მექანიზმს, ეს უნდა ნიშნავდეს, რომ საერთო სასამართლოებში არსებული ყველა ანალოგიური დავის განხილვა უნდა შეჩერდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე. უფლების რეალიზების უზრუნველსაყოფად საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების სუსპენზიურ ეფექტს არ უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური ხასიათი. საჭიროა, ნორმატიული სუსპენზიური ეფექტის მინიჭება, როგორც დადგენილია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტით.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერც „რეალური“, ვერც პრევენციული და ვერც საერთო სასამართლოების კონსტიტუციური წარდგინების საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმები ვერ შეძლებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის სრულ ჩანაცვლებას, მაგრამ მოცემული საკონსტიტუციო კონტროლის სახეების ბუნება იძლევა საშუალებას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობა გაიზარდოს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ეს უკანასკნელი კი თავად რეტროაქტიური სამართლებრივი ძალის უმთავრესი ამოცანაა. სწორედ ეს გარემოება არის ის მთავარი მამოტივირებელი ძალა, რაც „რეალურ“, პრევენციულ და საერთო სასამართლოების

კონსტიტუციური წარდგინების საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმებს აძლევს შესაძლებლობას, რომ მან კონკურენცია გაუწიოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიურ სამართლებრივ ძალას. აღნიშნულის საჭიროება კი, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში დგას, რომელთა ეროვნული კანონმდებლობა არ წყალობს შემდგომი საკონსტიტუციო კონტროლის შედეგების რეალიზებას დროში უკან მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ. ასეთ ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლის მოცემული სახეების დანერგვა გაზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტურობას და შექმნის ადმიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მექანიზმებს.

8. საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების საკითხის გარშემო შექმნილი არასწორი რეალობისგან თავის დაღწევის ეფექტურ გზას წარმოადგენს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას საკონსტიტუციო, სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე შეძლოს სამართალწარმოების გაგრძელების განხილვა. თუმცა, ამ ეფექტის მიღწევა, ასევე შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილების გარეშე. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სწორი განმარტების გზით. ეს განმარტება კი, მიმართული უნდა იყოს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერზე, სადაც საუბარია სადავო ნორმატიული აქტის „გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა“-ზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განმარტოს, თუ რა მოიაზრება გაუქმება, ძალადაკარგულად ცნობაში, სადავო ნორმატიულ აქტში ყველანაირი ცვლილების განხორციელება თუ მხოლოდ ისეთის, რომელიც არსებითად ცვლის დავის საგანს ან საერთოდ აუქმებს, დავის საგნის გარეშე ტოვებს სარჩელს. როგორც შესაბამის თავში ავღნიშნეთ, ეს

მოსაზრება თავად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოშიც არსებობს. მაგ. „გამომცემლების საქმე“-ზე⁵⁵² საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა განსხვავებულ აზრში დააფიქსირა მსგავსი პოზიცია, რომლის მიხედვითაც სადავო აქტის „გაუქმება“ ან „ძალადაკარგულად ცნობა“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების და განმარტების საგანი უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრებას გააჩნია მყარი ნორმატიული არგუმენტი: „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად „ნორმატიული აქტის შემოწმებისას საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში იღებს სადავო ნორმის არა მარტო სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ მასში გამოხატულ ნამდვილ აზრს და მისი გამოყენების პრაქტიკას, აგრეთვე შესაბამისი კონსტიტუციური ნორმის არსს“. სწორედ ეს ჩანაწერი, პირდაპირ ავალდებულებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეაფასოს თუ რა მოიაზრება სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის „გაუქმება“, „ძალადაკარგულად ცნობაში“. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გაუქმების დასადგენად, სადავო აქტში უმნიშვნელო ცვლილების შეტანა საკმარისი არ უნდა იყოს, მთავარია ცვლილების შემდგომ დავის საგანი არის თუ არა ისევე სახეზე.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით, დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის მე-7 პუნქტში უნდა გაქრეს მითითება კონსტიტუციის მეორე

⁵⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

თავზე და უნდა გაჩნდეს პირდაპირი შესაძლებლობა, რომ სადავო ნორმატიული აქტის გაუქმების ან ცვლილების შემდგომ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნოს ნორმის ახალი რედაქცია, რომელიც შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. ასევე, უნდა მოიხსნას პროცედურული შეზღუდვა, რომელიც განხილვის შესაძლებლობას იძლევა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კონსტიტუციური სარჩელი გაცდება განმწესრიგებელ სხდომას.

ვფიქრობთ, განხორციელებული კვლევა და მისი შედეგები, ღირებული იქნება თემით დაინტერესებული პრაქტიკოსი იურისტებისა თუ სამართლის მკვლევარებისთვის. კვლევის შედეგად მიღებულმა დასკვნებმა აჩვენა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, დღესდღეობით, არსებული სამართლებრივი ეფექტი დაბალი სტანდარტების მატარებელია. აუცილებლად მიგვაჩნია, ამ კუთხით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გამყარება, რათა უფრო გავაძლიეროთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ეფექტი. მოცემული კვლევის დანართებში, შესაძლებელია, იხილოთ, ჩვენს მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები, რომელშიც ასახულია კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული კონკრეტული ხედვები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის გასაძლიერებლად.

კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციაში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1995, N31-33) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. მე-60 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა ვადას.“

მუხლი 2. კონსტიტუციური კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს ორგანული კანონი
„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ
კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, №001, 27.02.1996, გვ. 8) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, მაგრამ იწვევს მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საერთო სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი სასამართლო აქტები უნდა გადასინჯოს თუ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სასარგებლოდ, არსებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგზე.

3. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საკანონმდებლო ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის დროს თუ საკონსტიტუციო სასამართლო, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების შედეგად შესაბამისი დასაბუთებული სტანდარტით მივა იმ დასკვნამდე, რომ მის გადაწყვეტილებას უნდა მიენიჭოს დროში უკუქცევითი ძალა, აღნიშნული წარმოშობს იმ საერთო სასამართლოების აქტების გადასინჯვის უპირობო საფუძველს, რომელთა მიღების დროს გამოყენებული იყო არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი და შესაბამისი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე გასული არ არის ხუთი წელი.

4. მოცემული მუხლის შესამე პუნქტი იმ შემთხვევაში ვრცელდება ადმინისტრაციულ წარმოების ფარგლებში მიღებულ სამართლებრივ აქტებზე თუ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე გასული არ არის სამი წელი.“

2. 23-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, აგრეთვე, იმავე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება, იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.“

3. ამოღებულ იქნეს 23-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

4. 25-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა ვადას.“

5. 25-ე მუხლს დაემატოს მე-2¹ პუნქტი:

„2¹. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსების შედეგად და შესაბამისი დასაბუთებული სტანდარტით, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლა გადაავადოს არაუმეტეს ორი წლით.“

6. 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ, სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად ან თუ სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა ფორმალური ხასიათისაა და სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის შინაარსი არსებითად არ იცვლება.“

მუხლი 2. ორგანული კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997, გვ. 21) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 423-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს „ი“ ქვეპუნქტი:

„ი. არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო და უკუქცევითი ძალა გაავრცელა შესაბამის საქმეში გამოყენებულ ნორმატიულ აქტზე.“

2. 426-ე მუხლს დაემატოს 1¹ ნაწილი:

„1¹. 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შემთხვევაში განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ, უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.“

3. 426-ე მუხლს დაემატოს 2¹ ნაწილი:

2¹. 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შემთხვევაში ვადის დენა იწყება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან.“

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №32(39), 1999 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 102-ე მუხლს დაემატოს 1¹ ნაწილი:

„1¹. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც მიენიჭა უკუქცევითი ძალა და შესაბამისი ნორმატიული აქტი გამოყენებულია ადმინისტრაციული წარმოების დროს.“

2. 102-ე მუხლს დაემატოს 1² ნაწილი:

„2². საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევისთვის აუცილებელია, რომ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე გასული არ უნდა იყოს სამი წელი.“

3. 102-ე მუხლს დაემატოს 1³ ნაწილი:

„1³. მოცემული მუხლის 1² ნაწილის თაობაზე განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.“

4. 102-ე მუხლს დაემატოს 1⁴ ნაწილი:

„14. მოცემული მუხლის 1¹ შემთხვევაში, ვადის დენა იწყება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან.“

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატოს 281¹ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველით საქმის გადასინჯვის წესი) მუხლი:

„1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა გადასინჯოს თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო და უკუქცევითი ძალა გაავრცელა შესაბამის საქმეში გამოყენებულ ნორმატიულ აქტზე.“

„2. მოცემული მუხლის პირველ ნაწილში დასახელებული გარემოების არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გადასინჯვას ახდენს შესაბამისი საქალაქო (რაიონული) სასამართლო.“

„3. მოცემული მუხლის პირველი ნაწილის შემთხვევაში, განცხადება გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.“

„4. მოცემული მუხლის მე-3 ნაწილში დასახელებული ვადის დენა იწყება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან.“

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №31, 03.11.2009, მუხ. 190) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:


1. 310-ე მუხლის „დ“ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საერთო სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი სასამართლო აქტები უნდა გადაისინჯოს თუ არაკონსტიტუციურად ცნობილ ნორმატიულ აქტს, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სასარგებლოდ, არსებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგზე.“


მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

დანართი N7: ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციები საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების გადაწყვეტილებების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით⁵⁵³

ქვეყანა	შესაბამისი კონსტიტუციური ან საკანონმდებლო ნორმა
<p>ალბანეთი</p> 	<p>კონსტიტუციის 132-ე მუხლი</p> <p>1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ძალაში შედის მათი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან თუ საკონსტიტუციო სასამართლოს არ გადაუწყვეტია, კანონის ან ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების სხვა თარიღი.</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურისა და ფუნქციონირების შესახებ კანონი</p> <p>მუხლი 26</p> <p>1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არის საბოლოო. ისინი ქვეყნდება ოფიციალურ გაზეთში და ძალაში შედის მათი გამოქვეყნების დღიდან. სასამართლომ, შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ გადაწყვეტილება შევიდეს ძალაში მისი პროკლამაციის დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება შეეხება პირის კონსტიტუციური უფლებების დაცვას.</p>

⁵⁵³ European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011,

	<p>მუხლი 76: საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების იურიდიული ეფექტები</p> <p>1. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის ან ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან ან საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეუსაბამობის საფუძველით ანულირების შესახებ გადაწყვეტილება, როგორც წესი, იურიდიულ ძალას იძენს მისი ძალაში შესვლის დღიდან.</p> <p>2. გადაწყვეტილება, შესაძლოა, რეტროაქტიური იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც:</p> <p>ა) ის შეეხება სისხლის სამართლებრივ მსჯავრს თუ ეს პირდაპირ დაკავშირებულია ანულირებული კანონის ან ნორმატიული აქტის იმპლემენტაციასთან.</p> <p>ბ) ის შეეხება საერთო სასამართლოების მიერ განხილვის პროცესში მყოფ საქმეს, თუ მათი გადაწყვეტილება არ არის საბოლოო,</p> <p>გ) ის შეეხება კანონს ან ნორმატიულ აქტს, რომელიც არ დანერგილა.</p>
<p>ანდორა</p> 	<p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კვალიფიციური კანონი</p> <p>მუხლი 8</p> <p>1. როდესაც ზოგადი კანონის ან რეგულაციის, მთლიანობაში ან გარკვეული ნორმების, კონსტიტუციურობა არის გამხდარი სადაოდ და სასამართლო მიიჩნევს, რომ მხოლოდ ერთი ინტერპრეტაცია არსებობს, რომელიც არის კონსტიტუციის შესაბამისი და ერთი ან</p>

	<p>რამდენიმე სხვა ინტერპრეტაცია არის შეუსაბამო, იგი განსახილველ კანონს ან რეგულაციას დროებით შეუჩერებს მოქმედებას მანამ, სანამ მისი გამომცემი ორგანო არ გამოასწორებს მის არაკონსტიტუციურ ელემენტებს. ახალი კანონი ან რეგულაცია, რომლის გამოცემითაც გასწორდა მანამდე არსებული კანონი ან რეგულაცია, ასევე ექვემდებარება კონსტიტუციურობის შესახებ შემოწმების ზოგად სისტემას.</p> <p>მუხლი 44</p> <p>2. ნებისმიერი არაკონსტიტუციურად ცნობილი კანონი და რეგულაცია არის ანულირებული.</p> <p>მუხლი 58.2</p> <p>2. კანონის ან რეგულაციის მთლიანად ან ნაწილობრივ არაკონსტიტუციურად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის ანდორას ოფიციალურ გაზეთში მისი გამოქვეყნების დღიდან. სასარგებლო რექტორიული გამოყენების შემთხვევებში, ამ კანონით ან რეგულაციით მის ანულირებამდე გამოწვეული ეფექტები შენარჩუნებულია სანამ ახალი კანონი და რეგულაცია არ შეიქმნება, რომელიც დაარეგულირებს მანამდე არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას.</p>
ავსტრია	<p>კონსტიტუციის მუხლი 140:</p> <p>(5) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აუქმებს</p>




ნორმატიულ აქტს, როგორც არაკონსტიტუციურს, ფედერალურ კანცლერს ან კომპეტენტურ მმართველს უწესებს ვალდებულებას, რომ მათ შეყოვნების გარეშე გამოაქვეყნონ ანულირება. ეს ანალოგიურად გამოიყენება ზემოაღნიშნული მე-4 პარაგრაფის მიხედვით დასკვნის შემთხვევაში. თუ სასამართლომ არ დააწესა გაუქმების საბოლოო ვადა, გაუქმება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან. აღნიშნული საბოლოო ვადა არ უნდა აჭარბებდეს 18 თვეს.

(6) თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნორმატიული აქტი არაკონსტიტუციურობის გამო გაუქმდება, სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმატიული აქტის გაუქმებული სამართლებრივი ნორმების მოქმედება, კვლავ ძალაშია თუ გადაწყვეტილებით სხვა რამ არ ცხადდება, გაუქმების ძალაში შესვლის დრესთან დაკავშირებით. კანონის გაუქმების შესახებ პუბლიკაცია, ასევე უნდა აცხადებდეს, რომელი სამართლებრივი ნორმები შედის კვლავ ძალაში თუ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

(7) თუ კანონი არაკონსტიტუციურობის საფუძველით გაუქმდა ან საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოხსენებული მე-4 პარაგრაფის თანახმად კანონი გამოაცხადა


	<p>არაკონსტიტუციურად, ყველა სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანო სამართლებრივად იბოჭება ამ გადაწყვეტილებით. თუმცა, კანონი აგრძელებს გამოყენებას იმ შემთხვევებზე, რაც მის გაუქმებამდე არსებობდა, თუ სასამართლო თავის გაუქმების გადაწყვეტილებაში სხვაგვარად არ მიიჩნევს. თუ სასამართლო გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებაში თავის ზემოხსენებული მე-5 პარაგრაფის თანახმად დააწესებს საბოლოო ვადას, კანონი გამოიყენება ყველა შემთხვევაში არსებულ შემთხვევაში, სანამ ეს საბოლოო ვადა არ ამოიწურება.</p>
<p>აზერბაიჯანი</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 130 X</p> <p>„კანონები და სხვა აქტები, ამ დოკუმენტა ინდივიდუალური ნორმები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის შიდასამთავრობო შეთანხმებები, ძალაშია იმ ვადით, რაც მითითებულია აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში“.</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მუხლი 67</p> <p>67.0 საკონსტიტუციო სასამართლოს რეზოლუციები ძალაში შედის დროის შემდეგ პერიოდებში:</p> <p>67.1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 130.3.1-7, 130.5 და 130.7</p>



	<p>მუხლებში მოცემულ საკითხებზე მიღებული რეზოლუცია ძალაში შედის იმ თარიღიდან, რომელიც მითითებულია თავად ამ რეზოლუციაში.</p>
<p>ბელგია</p> 	<p>სასამართლოს შესახებ სპეციალური კანონის მუხლი 8</p> <p>თუ აპლიკაცია დაიშვება, საკონსტიტუციო სასამართლომ ანულირება უნდა მოახდინოს მთლიანად ან ნაწილობრივ იმ სტატუტის, ბრძანების ან წესის, რომელიც მითითებულია კონსტიტუციის 134-ე მუხლში და რომლის წინააღმდეგაც სარჩელია შეტანილი.</p> <p>თუ სასამართლო მიიჩნევს საჭიროდ, ზოგადი ნორმის საშუალებით, მოაწესრიგებს ანულირებული ნორმის იმ ეფექტებს, რომლებიც მიიჩნევა განმარტებითად ან შენარჩუნებულია დროებით, დროის იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც იგი განსაზღვრავს.</p>
<p>ბოსნია და ჰერცეგოვინა</p> 	<p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ წესები მუხლი 63</p> <p>1. საკონსტიტუციო სასამართლომ, მოთხოვნის მინიჭების გადაწყვეტილებაში, უნდა გადაწყვიტოს თავის იურიდიულ ეფექტზე (Ex Tunc, Ex Nunc).</p> <p>3. გაუქმებული გენერალური აქტი ან მისი გაუქმებული ნორმები ძალას კარგავს</p>

	<p>გადაწყვეტილების ბოსნია და ჰერცეგოვინას ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების თარიღის მომდევნო დღეს.</p> <p>4. საგამონაკლისოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაძლოა, თავისი გადაწყვეტილებით დაადგინოს კონსტიტუციის VI.3 (ა) და VI.3 (გ) მუხლებთან შეუსაბამობა, ჰარმონიზაციისთვის მიანიჭოს ლიმიტირებული დრო, რაც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.</p> <p>5. თუ დადგენილი შეუსაბამობა არ გამოსწორდება ამ მუხლის მე-4 პარაგრაფში მითითებულ ლიმიტირებულ ვადაში, საკონსტიტუციო სასამართლომ შემდგომი გადაწყვეტილებით უნდა გამოაცხადოს შეუსაბამო ნორმები ძალადაკარგულად.</p> <p>6. შეუსაბამო ნორმები ძალას კარგავს მე-4 პარაგრაფში მითითებული გადაწყვეტილების ბოსნია და ჰერცეგოვინას ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების თარიღიდან.</p>
<p>გერმანია</p> 	<p>ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის</p> <p>მუხლი 31</p> <p>2. მუხლების 13 (6), (11), (12) და (14) შესაბამისად ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს აქვს კანონის ძალა. აღნიშნული, ასევე ეხება მე-13 მუხლში (8ა) მოცემულ შემთხვევებს თუ ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო</p>

	<p>კანონს გამოაცხადებს ზოგად სამართალთან შესაბამისად ან შეუსაბამოდ ან გააუქმებს და ძალადაკარგულად გამოაცხადებს. თუ კანონი გამოცხადდება ზოგად სამართალთან ან სხვა ფედერალურ კანონმდებლობასთან შესაბამისად ან შეუსაბამოდ ან გაუქმდება და ძალადაკარგულად გამოცხადდება, გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს ფედერალური სამართლის გაზეთში ფედერალური იუსტიციის სამინისტროს მიერ. ზემოხსენებული ასევე, გამოიყენება იმ გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც შეეხება ზემოხსენებულ მუხლებს 13 (12) და (14).</p> <p>ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მუხლი 95</p> <p>3. თუ კანონის წინააღმდეგ საკონსტიტუციო საჩივარი გაზიარებული იქნება, კანონი გამოცხადდება გაუქმებულად და ძალადაკარგულად. იგივე მოქმედებს თუ საკონსტიტუციო საჩივარი ზემოთ მოცემული პარაგრაფი 2-ის შესაბამისად გაზიარებული იქნება იმის გამო, რომ გამაუქმებელი გადაწყვეტილება ეფუძნება არაკონსტიტუციურ კანონს.</p>
<p>თურქეთი</p>	<p>მუხლი 153</p> <p>სამართალი, ბრძანებები, რომელთაც სამართლის ძალა აქვს ან თურქეთის დიდი ეროვნული</p>

	<p>ასამბლეის პროცედურების შესახებ წესები, ძალას კარგავს ანუღირების გადაწყვეტილების ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების თარიღიდან, რაც უდრის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღს. ეს თარიღი არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს იმ თარიღიდან, როდესაც ანუღირების გადაწყვეტილება ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნდა. სადაც საჭიროა, საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაძლოა, გადაწყვიტოს თარიღი, როდესაც ანუღირების გადაწყვეტილება ძალაში შევა. ეს თარიღი არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს გადაწყვეტილების ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების თარიღიდან. ანუღირებული გადაწყვეტილებები რეტროაქტიურად ვერ გამოიყენება.</p>
<p>ესპანეთი</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 161</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება ესპანეთის მთელ ტერიტორიაზე და განსჯადია:</p> <p>(ა) საჩივრების კანონთა და კანონის ძალის მქონე რეგულაციათა არაკონსტიტუციურობის თაობაზე. კანონის ძალის მქონე სამართლებრივი ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადება, განმარტებული სასამართლო პრაქტიკის მიერ, შესაძლოა ასევე ამ უკანასკნელზე იქონიოს გავლენა, თუმცაღა გამოტანილ განაჩენ(ებ)ს არ ეკარგებათ თავისი სტატუსი.</p>

	<p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი</p> <p>მუხლი 40</p> <p>1. კანონთა, რეგულაციათა ან კანონის ძალის მქონე აქტთა გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად გამოცხადება არ წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ განხორციელდეს იმ პროცედურების განხილვა, რომელიც გატარდა გადაწყვეტილების შედეგად და რომელსაც აქვს ძალა, რომელშიც არაკონსტიტუციური კანონები, რეგულაციები და აქტები გამოიყენეს, სისხლის სამართლის პროცედურების ან ადმინისტრაციული დავის შემთხვევაში, რომელიც ეხება მასანქცირებელ პროცედურას, სადაც გამოყენებული წესის ძალადაკარგულობა შეამცირებს ჯარიმას ან სანქციას ან გამონაკლისს, გათავისუფლებას ან პასუხისმგებლობის შეზღუდვას.</p>
<p>ესტონეთი</p> 	<p>საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლოს საპროცედურო აქტი</p> <p>პარაგრაფი 15 (წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურა)</p>


	<p>1) საკითხის გადაწყვეტამდე უზენაესმა სასამართლომ შესაძლოა:</p> <p>2) ძალაში შესული ზოგადი კანონი ან მისი ნორმა გამოაცხადოს ძალადაკარგულად;</p> <p>3) ძალაში შესული ან ჯერ ძალაში შეუსვლელი საერთაშორისო ხელშეკრულება ან მისი ნორმა გამოაცხადოს არაკონსტიტუციურად;</p> <p>პარაგრაფი 24. (ნორმატიული კონსტიტუციური საჩივარი)</p> <p>1) საკითხის გადაწყვეტამდე უზენაესმა სასამართლომ შესაძლოა:</p> <p>1) გააუქმოს რიგიკოგუს, მისი საბჭოს ან რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზოლუცია ან მათი ნაწილი;</p>
<p>იტალია</p>  	<p>კონსტიტუციის მუხლი 136</p> <p>როდესაც სასამართლო კანონს ან კანონის ძალის მქონე აქტს არაკონსტიტუციურად გამოაცხადებს, ამ კანონს ეფექტი ჩამოერთმევა გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომდევნო დღიდან.</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობისა და პროცედურების შესახებ კანონის მუხლი 30.3</p>



	<p>არაკონსტიტუციურად გამოცხადებული კანონები ძალას კარგავს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდგომი დღიდან.</p>
<p>ლატვია</p> 	<p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მუხლი 32</p> <p>3) ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა (აქტი), რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ შეესაბამება მასზე მაღალი იერარქიის მქონე სამართლებრივ ნორმას, ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან, თუ საკონსტიტუციო სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.</p>
<p>ლიეტუვა</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 107.1</p> <p>ლიეტუვას რესპუბლიკის კანონი (ან მისი ნაწილი) ან სეიმას სხვა აქტი (ან მისი ნაწილი), რესპუბლიკის პრეზიდენტის აქტი, მთავრობის აქტი (ან მისი ნაწილი) აღარ გამოიყენება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, რომელიც ხსენებულ აქტს (ან მის ნაწილს) ლიეტუვას რესპუბლიკის კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს, ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან.</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მუხლი 72</p> <p>3. ყველა სახელმწიფო ინსტიტუციამ, ასევე მათმა თანამშრომლებმა, უნდა გამოიხმონ ქვესტატუტის აქტები ან ნორმები, რომელიც</p>

	<p>მიიღეს და რომელიც ეფუძნება არაკონსტიტუციურად გამოცხადებულ აქტს.</p> <p>4. არაკონსტიტუციურად ან კანონშეუსაბამოდ გამოცხადებულ სამართლებრივ აქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები აღარ უნდა აღსრულდეს თუ ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არ აღსრულებულა.</p>
<p>ლიხტენშტეინი</p> 	<p>საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის მუხლი 19</p> <p>3) ანულირების და არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ გადაწყვეტილება მთავრობამ შეყოვნების გარეშე უნდა გამოაქვეყნოს ლიხტენშტეინის სამართლებრივ გაზეთში. გამოქვეყნებასთან ერთად, ძალას იძენს ანულირება, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ამ მიზნით არ მიუთითებს ბოლო ვადას მაქსიმუმ 1 წელს; ეს არ ვრცელდება იმ საქმეზე, რომელიც განხილვის პროცესშია.</p>
<p>მაკედონია</p> 	<p>საკონსტიტუციო სასამართლოს საპროცედურო წესების მუხლი 56</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლო, თავის გადაწყვეტილებაში უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ მიმართვისას, განსაზღვრავს, არსებობს თუ არა დარღვევა და შედეგად, იგი აქტის ანულირებას მოახდენს, აკრძალავს იმ ქმედებებს, რომელიც იწვევს დარღვევას ან მომმართვეას უარს ეტყვის.</p> <p>მუხლი 79</p>

	<p>მაკედონიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონის გაუქმების თაობაზე, რეგულაცია ან სხვა საზოგადო აქტი იწვევს სამართლებრივ ეფექტს იმ დღიდან, როდესაც ის გამოქვეყნდება მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში.</p> <p>მუხლი 80</p> <p>კანონის, რეგულაციის ან სხვა საზოგადო აქტის, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა, საფუძველზე გამოცემული სამართლებრივად მავალდებულებელი ძალის მქონე ინდივიდუალური აქტების აღსრულება, იმპლემენტაცია არ დაიშვება და თუ უკვე აღსრულებულია, გაუქმდება.</p> <p>მუხლი 81</p> <p>ნებისმიერი პირი, ვისი უფლებაც დაირღვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმებული კანონის, რეგულაციის ან სხვა საზოგადო აქტის საფუძველზე მიღებული საბოლოო ან სამართლებრივად მავალდებულებელი ძალის მქონე ინდივიდუალური აქტით, უფლებამოსილია, გადაწყვეტილების მაკედონიის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების თარიღიდან 6 თვის ვადაში მოსთხოვოს კომპეტენტურ ორგანოს, რომ</p>
--	--


	<p>ამ უკანასკნელმა გამოიხმოს მოცემული ინდივიდუალური აქტი.</p>
<p>მექსიკა</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 107</p> <p>უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მიმართებით პირველ და მეორე სექციებში მითითებული რეზოლუციების ძალადაკარგურად გამოცხადებას არ ექნება რეტროაქტიური ეფექტი, გარდა სადამსჯელო საკითხებისა, რა დროსაც ზოგადი პრინციპები და სამართლებრივი განწყობები გამოიყენება.</p>
<p>მონტენეგრო</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 152</p> <p>როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დააწესებს, რომ კანონი არ არის შესაბამისობაში კონსტიტუციასთან და დადასტურებულ და გამოქვეყნებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, რაც არის, რომ სხვა რეგულაცია არ არის კონსტიტუციასთან და</p>

	<p>კანონთან შესაბამისი, კანონი და სხვა რეგულაცია კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების თარიღიდან.</p> <p>კანონი ან სხვა რეგულაცია, მაგალითად, მათი ინდივიდუალური ნორმები, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით იცნენ კონსტიტუციასთან ან კანონთან შეუსაბამოდ, აღარ უნდა გამოიყენებოდეს იმ ურთიერთობებში, რომელიც წარმოიშვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე, თუ ისინი არ გადაწყდა ამ თარიღისთვის აბსოლუტური გადაწყვეტილებით.</p>
<p>მოლდოვა</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 140</p> <p>(1) კანონები და სხვა რეგულაციები ან მათი ნაწილები ანუღირდება იმ მომენტიდან, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას.</p>

<p>პერუ</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 204</p> <p>ტრიბუნალის გადაწყვეტილება ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ დღიურში. გამოქვეყნების შემდგომ დღეს, ნორმა ეფექტს კარგავს. ტრიბუნალის გადაწყვეტილებას, რომლითაც სრული ან ნაწილობრივი არაკონსტიტუციურობა ცხადდება არ აქვს რეტროაქტიური ძალა.</p> <p>კანონი N26.435 მუხლის 35</p> <p>გადაწყვეტილებები, რომელებიც გამოიცემა არაკონსტიტუციურობის პროცედურების ფარგლებში აქვს ძალაუფლება და სავალდებულოა ყველა საჯარო ძალისთვის და გამოქვეყნების შემდგომი დღიდან იწვევს ზოგად ეფექტებს.</p>
<p>პოლონეთი</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 190 (3)</p> <p>საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ძალას იმენს მისი გამოქვეყნების დღიდან, თუმცადა, საკონსტიტუციო ტრიბუნალმა შესაძლოა, მიუთითოს ნორმატიული აქტის სამართლებრივი ძალის დაკარგვის სხვა</p>



	<p>თარიღზე. ასეთმა დროის პერიოდმა არ უნდა გადააჭარბოს 18 თვეს სტატუტთან ან 12 თვეს ნებისმიერ სხვა ნორმატიულ აქტთან მიმართებით. როდესაც გადაწყვეტილებას აქვს ისეთი ფინანსური შედეგები, რაც არ იყო ბიუჯეტში გათვალისწინებული, საკონსტიტუციო ტრიბუნალმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი ნორმატიული აქტის სამართლებრივი ძალის დაკარგვის თარიღი, მას შემდეგ, რაც მინისტრების საბჭოს მოსაზრებას მოისმენს.</p> <p>4. საკონსტიტუციო ტრიბუნალის გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან, საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ან სტატუტთან შეუსაბამობის შესახებ, რის საფუძველზეც სასამართლოს სამართლებრივი ძალის მქონე გადაწყვეტილება, საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ან სხვა საკითხთა გადაწყვეტა დაიდრა, წარმოადგენს საფუძველს პროცედურების ხელახალი გახსნის, ან გადაწყვეტილების ან სხვა გადაწყვეტის გაუქმების იმ მანერითა და პრინციპებით, რაც მოცემულია იმ ნორმებში, რომელიც ეხება მოცემულ პროცედურებს.</p> <p>საკონსტიტუციო ტრიბუნალის აქტის მუხლი 71 (2)</p>
--	--

	<p>როდესაც ტრიბუნალი გადაწყვეტს, რომ ნორმატიულ აქტს აღარ აქვს სამართლებრივი ძალა მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილება გამოქვეყნდება, რომლის მიხედვითაც დამტკიცდება მისი კონსტიტუციასთან, რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ან სტატუტთან შეუსაბამობა, მან, სასამართლო გადაწყვეტილებაში უნდა განსაზღვროს თარიღი, როდესაც აქტს შეუწყდება მოქმედების ძალა.</p>
<p>პორტუგალია</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 282</p> <p>1. ზოგადად მავალდებულებელ გადაწყვეტილებას არაკონსტიტუციურობაზე ან არაკანონიერებაზე ძალა მიეცემა იმ თარიღიდან, როდესაც არაკონსტიტუციურად ან არაკანონიერად გამოცხადებული ნორმა შევიდა ძალაში და მოითხოვება, რომ ნებისმიერი ნორმა, რომელიც გამოითხოვეს ახლიდან უნდა წარადგინონ, რექტროაქტიური ეფექტით.</p> <p>2. თუმცა, როდესაც არაკონსტიტუციურობა ან არაკანონიერება მომდინარეობდეს საკონსტიტუციო ან სამართლებრივი ნორმის დაპირისპირებიდან, რაც შედეგად განხორციელდა, გადაწყვეტილებას ძალა მიეცემა</p>

	<p>იმ თარიღიდან, როდესაც ეს ნორმა ძალაში შევიდა.</p> <p>3. უკვე გადაწყვეტილი საქმეები ინარჩუნებენ სიკეთეს, გარდა შემთხვევისა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს სხვაგვარად იმ სამართლებრივ ნორმასთან მიმართებით, რომელიც შეეხება ჯარიმას ან დისციპლინურ საკითხებს ან უკანონო აქტს მარეგულირებელი თანმიმდევრობის ქვეშ ან ნორმას, რომელიც ბრალდებულისთვის არახელსაყრელია.</p> <p>4. სამართლებრივი განჭვრეტადობის, თანასწორობის ან ისეთი საჯარო ინტერესიდან, რომელსაც საგამონაკლისო მნიშვნელობა აქვს, გამომდინარე, რაც უნდა გამართლდეს მოთხოვნისამებრ, საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა მიმართოს არაკონსტიტუციურობის ან უკანონოდ ცნობის ისეთ ეფექტებს, რაც უფრო მეტად შემზღვეველია, ვიდრე ეს მოცემულია პირველ და მეორე პარაგრაფებში.</p>
<p>რუმინეთი</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 147</p> <p>(1)ძალაში მყოფი სამართლის ნორმები და ბრძანებულებები, ასევე მუდმივად მოქმედი ბრძანებები, რაც არაკონსტიტუციურად იცნო, იურიდიულ ძლას კარგავენ 45 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდება თუ, ამ</p>


<p>პერიოდში, პარლამენტი ან მთავრობა, თუ ასეთი შემთხვევა იარსებებს, ვერ მიიღებს ისეთ ნორმებს, რომელიც კონსტიტუციასთან იქნება შესაბამისობაში. ამ ლიმიტირებული დროის განმავლობაში არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების მოქმედება შეჩერებულია.</p> <p>(4) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა გამოქვეყნდეს რუმინეთის ოფიციალურ გაზეთში. მათი გამოქვეყნებიდან, გადაწყვეტილებები ზოგადად მავალდებულებელი ხასიათისაა და ეფექტს იძენს მხოლოდ მომავლისთვის.</p> <p>სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 322 (10) სასამართლოს განმარტებითი გადაწყვეტილების რევიზია მოთხოვნილი შეიძლება იქნას შემდეგ შემთხვევებში: [...]</p> <p>10. როდესაც, სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტებითად გახდომის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტს არაკონსტიტუციურობის საგამონაკლისო შემთხვევის თაობაზე და მიუთითებს სამართლის არაკონსტიტუციურობაზე, სამთავრობო ბრძანებულება ან გარკვეული ნორმა, რომელიც წარმოადგენდა ამ გამონაკლისის საგანს, ან სადავოდ გამხდარი ნორმატიულ აქტიდან სხვა ნორმების არაკონსტიტუციურობა, რაც საჭიროდ და ცხადად, ვერ იქნება დისოცირებული იმ</p>

	<p>ნორმებიდან, რაც ნახსენებია წარდგენილ არაკონსტიტუციურობაში.</p> <p>სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 4082 (1) (2):</p> <p>(1)საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღიარებულ არაკონსტიტუციურობის გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მიღებულია განმარტებითი გადაწყვეტილება შესაძლოა, გადახალისდეს თუ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნებოდა იმ სამართლებრივ ნორმას, რომელიც იცნო არაკონსტიტუციურად, ან სადავოდ გამხდარი ნორმატიული აქტის სხვა სამართლებრივ ნორმას, რომელიც საჭიროდ და ცხადად, ვერ იქნება დისოციირებული იმ ნორმებიდან, რაც ნახსენებია წარდგენილ არაკონსტიტუციურობაში.</p> <p>(2)რევიზიის მოთხოვნა, შესაძლოა, წარედგინოს 3 თვის ვადაში მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება რუმინეთის ოფიციალურ მონიტორში, ნაწილი I, გამოქვეყნდება.</p>
<p>რუსეთის ფედერაცია</p>	<p>რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ფედერალური საკონსტიტუციო კანონის მუხლი 75</p>


	<p>რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მოცემულია ინდივიდუალურ დოკუმენტში, საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:</p> <p>11. გადაწყვეტილების საბოლოობისა და მავალდებულებელი ძალის შესახებ მითითება;</p> <p>12. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის პროცედურა, ასევე პროცედურა, თარიღები და დეტალები მისი აღსრულების და პრომულგაციის.</p> <p>მუხლი 79</p> <p>რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის საბოლოო, არ ექვემდებარე გასაჩივრებას და გამოცხადებიდან დაუყოვნებლივ შედის ძალაში.</p>
<p>სერბეთი</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 168</p> <p>კანონი ან სხვა ზოგადი აქტი, რომელიც არ არის კონსტიტუციასთან ან კანონთან შესაბამისობაში ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მუხლი 58</p> <p>როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დაადგენს, რომ კანონი, ავტონომიური პროვინციის ან ლოკალური თვითმმართველი ერთეულის სტატუტი, სხვა ზოგადი აქტი ან</p>

	<p>კოლექტიური ხელშეკრულება არ შეესაბამება კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის ზოგადად აღიარებულ წესებს და რატიფიცირებულ ხელშეკრულებას, ასეთი კანონი, ავტონომიური პროვინციის ან ლოკალური თვითმმართველი ერთეულის სტატუსი, სხვა ზოგადი აქტი ან კოლექტიური ხელშეკრულება ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების „სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში“ გამოქვეყნების დღიდან.</p> <p>მუხლი 59</p> <p>როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო განსაზღვრავს მანერას იმ შედეგების გამოსწორების, რაც წარმოიშვა არაკონსტიტუციური ან უკანონო ზოგადი აქტის დანერგვისას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა აქვს მისი სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების დღიდან.</p> <p>მუხლი 60</p> <p>კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის ზოგადად აღიარებულ წესებთან, რატიფიცირებულ ხელშეკრულებასთან ან კანონთან შეუსაბამოდ ცნობილი კანონები და სხვა აქტები არ გამოიყენება იმ ურთიერთობებში, რაც წარმოიშვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე თუ ისინი</p>
--	--

	<p>საბოლოოდ არ გამოსწორდა ამ თარიღისთვის. ზოგადი აქტი, რომელიც მიიღეს იმ მიზნით, რომ აღსრულებულიყო ის კანონები და სხვა ზოგადი აქტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეესაბამება კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის ზოგადად აღიარებულ წესებს, რატიფიცირებულ ხელშეკრულებას ან კანონს, აღარ გამოიყენება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან, თუ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ეს ზოგადი აქტები კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის ზოგადად აღიარებულ წესებთან, რატიფიცირებულ ხელშეკრულებასთან ან კანონთან შეუსაბამოა. საბოლოოდ მავალდებულებელი ინდივიდუალური აქტების აღსრულება, რომელც მიღებულია იმ რეგულაციების საფუძველზე, რომელიც აღარ გამოიყენება, ვერ იქნება დაშვებული ან იმპლემენტირებული, და თუ მათი აღსრულება ინიცირებულია უნდა შეწყდეს.</p> <p>მუხლი 61</p> <p>ყველა, ვისი უფლებაც დაირღვა საბოლოო ან იურიდიულად მავალდებულებელი ინდივიდუალური აქტის მიღებით, რომელიც იმ კანონის ან სხვა ზოგადი აქტის საფუძველზეა მიღებული, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით</p>
--	--

	<p>კონსტიტუციასთან, ზოგადად აღიარებულ საერთაშორისო სამართლის წესებთან, რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ან კანონთან შეუსაბამობაშია, უფლებამოსილია კომპეტენტური უწყებისგან მოითხოვოს ამ ინდივიდუალური აქტის რევიზია. რევიზიის თაობაზე შეთავაზებები შესაძლოა წარდგენილი იქნეს გადაწყვეტილების სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების თარიღიდან 6 თვის ვადაში თუ 2 წელზე მეტი არ არის გასული ინდივიდუალური აქტის მიღებასა და შეთავაზების ან ინიციატივის პროცედურის ინიცირების შესახებ წარდგენას შორის.</p>
<p>სლოვაკეთი</p> 	<p>სლოვაკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მუხლი 125</p> <p>(3) თუ საკონსტიტუციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით მიიჩნევს, რომ სექცია 1-ში მითითებულ სამართლებრივ რეგულაციებს, შესაბამის რეგულაციებს, მათ ნაწილებს ან მათ გარკვეულ ნორმებს შორის არის შეუთავსებლობა, ისინი ძალას კარგავენ. ის უწყებები, რომლებმაც მიიღეს ეს სამართლებრივი რეგულაციები, ვალდებული არიან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პრომულგაციიდან 6 თვის</p>

	<p>ვადაში მათი ჰარმონიზება მოახდინონ კონსტიტუციასთან, კონსტიტუციურ კანონებთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან პრომულგირებულთან იმ მანერით, რაც კანონშია მოცემული, და თუ ეს ეხება რეგულაციებს მითითებულს სექცია 1.ბ-ში და 1.გ-ში ასევე სხვა კანონებში, და თუ ეს ეხება რეგულაციებს მითითებულს პარაგრაფ 1-ში წერილ დ)-ში ასევე სამთავრობო რეგულაციებთან და სამინისტროების და სხვა ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციის უწყებების ზოგადად მავალდებულებელ სამართლებრივ რეგულაციებთან. თუ ისინი ასე არ მოიქცევიან, ეს რეგულაციები, მათი ნაწილები ან მათი ნორმები კარგავენ ძალას 6 თვის შემდგომ, რაც გადაწყვეტილების პრომულგაცია მოხდება.</p> <p>(6) საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სექციების 1,2, და 5 მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება უნდა პრომულგირდეს იმ წესით, რაც მოცემულია პრომულგირების შესახებ კანონებში. საკონსტიტუციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება საზოგადოდ მავალდებულებელია.</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზების შესახებ კანონის მუხლი 41ბ</p> <p>(1) თუ სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე</p>
--	---

	<p>იმ სამართლებრივი რეგულაციის საფუძველზე, რომელმაც შემდგომში დაკარგა ძალა კონსტიტუციის 125-ე მუხლის თანახმად, და შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება გახდა საბოლოო, მაგრამ ჯერ არ აღსრულებულა, მაშინ ამ სამართლებრივი რეგულაციის, მისი ნაწილის ან ნორმების ძალის დაკარგვა ხდება მიზეზი იმისათვის, რომ ხელახლა განიხილოს სასამართლომ საქმე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების მიხედვით.</p> <p>(2) სხვა საბოლოო გადაწყვეტილებები, რომელიც მიღებულია სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პროცესის ფარგლებში და ეფუძნება იმ სამართლებრივ რეგულაციას, რომელმაც სრულად, ნაწილობრივ ან მისმა გარკვეულმა ნორმებმა დაკარგა ძალა, რჩება ხელშეუხებელი; ამ გადაწყვეტულებათა მიერ დაწესებული ვალდებულებები ვერ იქნება აღსრულების საგანი.</p>
<p>სლოვენია</p> 	<p>საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი</p> <p>მუხლი 43</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაძლოა, მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს კანონი, რომელიც კონსტიტუციასთან შეუსაბამოა. გაუქმება ძალაში შედის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომდევნო დღეს, ან იმ ვადის ამოწურვისას, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა.</p>

მუხლი 44

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კანონის ან მისი ნაწილის გაუქმება მიემართება იმ ურთიერთობებს, რომელიც დაფუძნდა მანამ, სანამ გაუქმება შევიდა ძალაში, თუ ამ დღემდე ასეთი ურთიერთობები არ იყო საბოლოოდ გადაწყვეტილი.

მუხლი 45

(1)საკონსტიტუციო სასამართლო ანულირებას მოახდენს ან გააუქმებს რეგულაციებს ან საზოგადო აქტებს, რომლებიც გამოცემულია საჯარო მმართველობის განსახორციელებლად და არის არაკონსტიტუციური ან უკანონო.


(2)საკონსტიტუციო სასამართლო ანულირებას მოახდენს რეგულაციების ან საზოგადო აქტების, რომლებიც გამოიცა საჯარო მმართველობის განსახორციელებლად და არის არაკონსტიტუციური ან უკანონო, როდესაც ის მიიჩნევა, რომ აღნიშნული საჭიროა იმ საზიანო შედეგების გამოსასწორებლად, რომელიც წარმოიშობა ამ არაკონსტიტუციურობით ან უკანონობით. ანულირებას რეტროაქტიური ეფექტი აქვს.

(3)სხვა შემთხვევებში, საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმებს რეგულაციებს ან საზოგადო აქტებს, რომლებიც გამოიცა საჯარო მმართველობის განსახორციელებლად და არის არაკონსტიტუციური ან უკანონო. გაუქმება

	<p>ძალაში შედის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომდევნო დღეს, ან იმ ვადის ამოწურვისას, რაც განსაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლომ. გაუქმების შემთხვევებში, ამ აქტის 44-ე მუხლი გამოიყენება.</p> <p>მუხლი 59</p> <p>(1)საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებით ან უარს ეუბნება საკონსტიტუციო საჩივარს დაუსაბუთებლობის გამო ან განიხილავს და მთლიანად ან ნაწილობრივ ანულირებას ახდენს ან აუქმებს ინდივიდუალურ აქტს და საქმეს გადასცემს იმ უწყებას, რომელიც კომპეტენტურია საკითხის შემდგომ გადაწყვეტაზე.</p> <p>(2)თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური აქტი ეფუძნება პოტენციურად არაკონსტიტუციურ ან უკანონო რეგულაციას ან საზოგადო აქტს, რომელიც გამოცემულია საჯარო მმართველობის განსახორციელებლად, იგი ინიცირებას ახდენს ამ რეგულაციის ან საზოგადო აქტის, რომელიც გამოცემულია საჯარო მმართველობის განსახორციელებლად, არაკონსტიტუციურობის ან კანონიერების განხილვის პროცედურების დაწყებას ამ აქტის IV თავის ნორმების თანახმად.</p>
--	--


<p>სამხრეთ აფრიკა</p> 	<p>სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუციის მუხლი 172 (1) (ბ)</p> <p>სასამართლომ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საკონსტიტუციო საკითხის გადაწყვეტისას, უნდა გამოაცხადოს, რომ ნებისმიერი კანონი ან ქმედება, რაც კონსტიტუციასთან არ არის შესაბამისი არის ძალის არმქონე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იგი კონსტიტუციასთან არ არის შესაბამისი და შესაძლოა, მიიღოს რომელიმე ბრძანება, რაც არის თანასწორი და სამართლიანი, მათ შორის ბრძანება, რომელიც ზღუდავს ძალადაკარგულად გამოცხადების რეტროსპექტურ ეფექტს.</p>
<p>საბერძნეთი</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 100 (4)</p> <p>[...] სტატუტის არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმები ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების თარიღიდან, ან გადაწყვეტილებაში მითითებულ თარიღში.</p> <p>სპეციალური უმაღლესი სასამართლოს შესახებ კანონის მუხლი 51</p>


	<p>1. უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც წყვეტს დავას კანონის ან მისი განმარტების კონსტიტუციურობის შეფასებასთან დაკავშირებით, აქვს ძალა მისი ღია სხდომაზე მიღებიდან, ამ მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით.</p>
<p>სამხრეთ კორეა</p> 	<p>საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მუხლი 47</p> <p>(2) ნებისმიერი სტატუტი ან ნორმა, რომელიც გადაწყდება, რომ არაკონსტიტუციურია კარგავს ძალას გადაწყვეტილების გამოტანის დღეს: იგულისხმება, რომ სტატუტები ან ნორმები, რომელიც შეეხება სისხლისსამართლებრივ სახდელს ძალას კარგავს რეტროაქტიურად.</p> <p>(3) მე-2 პარაგრაფში მოცემულ შემთხვევაში, ხელახალი განხილვა დაიშვება იმ მსჯავრთან მიმართებით, რომელიც ეფუძნება არაკონსტიტუციურად გამოცხადებულ სტატუტებს ან ნორმებს.</p>

<p>სომხეთი</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 102</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და დასკვნები არის საბოლოო და ძალაში შედის მათი გამოქვეყნებიდან.</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მუხლი 68</p> <p>10. სადავო აქტის მთლიანად ან ნაწილობრივ ძალადაკარგულად და არაკონსტიტუციურად გამოცხადების გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, აქტი ანულირებულია მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შევა ძალაში, გარდა შემთხვევებისა, რომელიც აღწერილია ამ მუხლის მე-12 და მე-13 ნაწილებში.</p> <p>12. საკონსტიტუციო სასამართლომ, შესაძლოა, გადაწყვიტოს, რომ ამ მუხლის მე-8 ნაწილის მე-2 აბზაცში მოცემულ გადაწყვეტილებათა გავლენა განამტკიცოს იმ ურთიერთობებზე, რომელიც დაიწყო მანამ, სანამ ეს გადაწყვეტილებები შევიდა ძალაში თუ სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების არარსებობამ შესაძლოა სახელმწიფოსთვის ან საზოგადოებისთვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს.</p> <p>ამ მუხლის პირველ პარაგრაფში განმარტებული გადაწყვეტილებით ანულირებული და არაკონსტიტუციურად ცნობილი (იმ აქტებთან ერთად, რომელიც ახდენდა ამ უკანასკნელის</p>
--	--

	<p>იმპლემენტირებას) ზოგადი აქტების საფუძველზე მიღებული და იმპლემენტირებული ადმინისტრაციული და სასამართლო აქტები სამი შესაბამის კონსტიტუციური ან სამართლებრივი ნორმის შიგნით.</p>
<p>ურუგუაი</p> 	<p>პროცედურის ზოგადი კოდექსი</p> <p>მუხლი 521</p> <p>არაკონსტიტუციურად გამოცხადება სამართლებრივ ნორმას ტოვებს ძალის არმქონედ იმ პროცედურებში, რომლებშიც არაკონსტიტუციურობა დადგინდა. თუ ეს საჩივრით ან მთავარ განხილვაზეა მოთხოვნილი, მსჯავრი ძალაში შედის, რომ შეაფერხოს არაკონსტიტუციურად გამოცხადებული ნორმების მოქმედება იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც ხელი შეუწყო გამოცხადებას და მოიპოვა მსჯავრი. ამ პირმა, შესაძლოა, გამოითხოვოს გადაწყვეტილება ნებისმიერ სასამართლო პროცედურაში, მათ შორის, ანულირების პროცედურაში, ადმინისტრაციული დავების განმხილველი ტრიბუნალის წინაშე.</p>

<p>უნგრეთი</p>	<p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ აქტის მუხლი 42</p> <p>1. მე-40 მუხლში მოცემულ შემთხვევაში, სამართლებრივი ნორმა ან მისი ნორმები და სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის სხვა სამართლებრივი საშუალება მიჩნეულ უნდა იქნას გაუქმებულად იმ თარიღში, როდესაც გადაწყვეტილება გამოქვეყნდა.</p> <p>მუხლი 43</p> <p>1. ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა ან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის სხვა სამართლებრივი საშუალება, რომელიც გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, აღარ გამოიყენება შესაბამისი გადაწყვეტილების ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნების დღიდან.</p> <p>2. სამართლებრივი ნორმის ან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის სხვა სამართლებრივი საშუალების გაუქმებას გარდა მე-3 სექციაში მოცემულ შემთხვევებს, არ აქვს გავლენა არც სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელიც განვითარდა გადაწყვეტილების გამოქვეყნებამდე და არც მისგან მომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებზე.</p> <p>3. საკონსტიტუციო სასამართლო გასცემს ბრძანებას ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი პროცედურის რევიზიის თაობაზე, რომელიც ხორციელდება საბოლოო გადაწყვეტილების</p>
----------------	--

	<p>(გასაჩივრების გარეშე) მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი ნორმის ან სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის სხვა სამართლებრივი საშუალების საფუძველზე, თუ გასამართლებელი ჯერ არ არის გათავისუფლებული დესტრუქციული შედეგებისგან, და პროცედურებში გამოყენებული ნორმის გაუქმება გამოიწვევს სასჯელის ან ზომის შემცირებას ან გადადებას ან გათავისუფლებას ან პასუხისმგებლობის შეზღუდვას.</p> <p>4. საკონსტიტუციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, განსაზღვროს არაკონსტიტუციური სამართლებრივი ნორმის ან მისი გამოყენების გაუქმების თარიღი 42-ე მუხლის პირველი სექციის და 43-ე მუხლის 1 და 2 სექციების, ნორმისგან განსხვავებულად თუ ეს გამართლებულია სამართლებრივი უსაფრთხოების ან პირის, ვინც პროცედურის ინიცირება მოახდინა, კონკრეტული მნიშვნელოვანი ინტერესით.</p>
<p>ჩილე</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 94</p> <p>საკონსტიტუციო ტრიბუნალის რეზოლუციების წინააღმდეგ არ უნდა არსებობდეს რეგრესის უფლება, ტრიბუნალის მიერ დაშვებული ფაქტობრივი შეცდომების სამართალთან</p>

	<p>შესაბამისად გამოსწორების შესაძლებლობისათვის ზიანის მიყენების გარეშე. როდესაც საკითხი შეეხება სამართლის ან ბრძანების სამუშაო ვერსიას, ტრიბუნალის მიერ არაკონსტიტუციურად გამოცხადებული განწყობები ვერ გახდება სამართალი.</p> <p>მული 93</p> <p>ნომერი 16-ის შემთხვევაში, გასაჩივრებული უზენაესი ბრძანება დარჩება ეფექტის გარეშე ტრიბუნალის მიერ მოთხოვნის ცნობის შემთხვევაში. თუმცადა, ქცევის წესი, რომელიც გამოცხადებულია არაკონსტიტუციურად 93-ე მუხლის 2,4,7 პუნქტების მიხედვით, ოფიციალურ დღიურში არ გამოქვეყნდება და არც რეტროაქტიური ეფექტი ექნება.</p>
<p>ჩეხეთის რესპუბლიკა</p> 	<p>კონსტიტუციის მუხლი 89 (1)</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები აღსრულებადია სტატუტში მოცემული წესით გამოცხადებისთანავე, თუ საკონსტიტუციო სასამართლო აღსრულებასთან მიმართებით სხვაგვარად არ გადაწყვეტს.</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის მუხლი 58 (1) 57-ე მუხლის პირველი პარაგრაფის „ა“ ნაწილის მიხედვით მიღებული</p>

გადაწყვეტილებები აღსრულებადია მათი კანონთა კრებულში გამოქვეყნების დღიდან, თუ სასამართლო სხვაგვარად არ გადაწყვეტს.


(3) სხვა გადაწყვეტილებები აღსრულებადია მას შემდეგ, რაც პერსონალურად მიეწოდება მისი საბოლოო წერილობითი ვერსიის ასლი თითოეულ მხარეს.

მუხლი 70

(1) თუ სასამართლო პროცესის წარმოებისას მივა დასკვნამდე, რომ სტატუტი ან მისი რომელიმე ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის აქტს ან სხვა კანონი ან მისი რომელიმე ნორმა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის აქტს ან სტატუტს, იგი თავისი გადაწყვეტილებით გამოაცხადებს რომ ეს სტატუტი ან სხვა სახის კანონი ან გარკვეული ნორმა, ანუღირდეს გადაწყვეტილებაში მითითებულ თარიღში.

მუხლი 71

(ა) თუ სასამართლოს მიერ ანუღირებული სტატუტის ან სხვა კანონის საფუძველზე სასამართლო სისხლის სამართლის პროცესზე გამოიტანს განაჩენს, რომელსაც აქვს იურიდიული ძალა, მაგრამ ჯერ არ აღსრულებულა, ამ სტატუტის ან სხვა კანონის ძალადაკარგულად გამოცხადება წარმოადგენს საფუძველს, რომ ხელახლა მოხდეს საქმის განხილვა სისხლის სამართლის პროცესის ნორმების შესაბამისად.

	<p>(2) გაუქმებული სტატუტის ან სხვა კანონის საფუძველზე მიღებული სხვა იურიდიული ძალის მქონე გადაწყვეტილებები ძალადაკარგული რჩება თუმცადა, ამ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები შესაძლოა არ აღსრულდეს.</p>
<p>ხორვატია</p> 	<p>კონსტიტუცია მუხლი 130</p> <p>ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმებს კანონს, რომელსაც მიიჩნევს არაკონსტიტუციურად. ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმებს ან ანულირებას მოახდენს ნებისმიერი სხვა რეგულაციის თუ იგი მიიჩნევს, რომ იგი არის არაკონსტიტუციური ან უკანონო.</p> <p>საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკონსტიტუციო კანონი</p> <p>მუხლი 55</p> <p>(1) საკონსტიტუციო სასამართლო აუქმებს კანონს ან მის გარკვეულ ნორმებს, თუ მიიჩნევს, რომ იგი კონსტიტუციის შეუსაბამოა ან სხვა რეგულაციას ან მის გარკვეულ ნორმებს, თუ მიიჩნევს რომ იგი კონსტიტუციასთან ან კანონთან არ არის შესაბამისობაში.</p> <p>(2) გაუქმებული კანონი ან სხვა რეგულაცია ან მათი გაუქმებული გარკვეული ნორმები, კარგავენ იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო</p>

	<p>სასამართლოს გადაწყვეტილების ოფიციალურ გაზეთში „ნაროდნე ნოვინეში“ გამოქვეყნების დღეს, თუ საკონსტიტუციო სასამართლო სხვა ვადას არ დააწესებს.</p> <p>(3) საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა ანულირება მოახდინოს რეგულაციის ან მისი გარკვეული ნორმების, კონსტიტუციურობისა და კანონიერების დაცვისთვის ყველა მნიშვნელოვანი გარემოებების მხედველობაში მიღებით და განსაკუთრებით, თუ რა სერიოზულობით არღვევს იგი კონსტიტუციას ან კანონს და სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესს:</p> <ul style="list-style-type: none">- თუ იგი არღვევს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს,- თუ იგი, საფუძვლის გარეშე, გარკვეულ ინდივიდებს, ჯგუფს ან ასოციაციებს აყენებს მეტ-ნაკლებად პრივილეგირებულ პოზიციაში.
--	--

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

- ბაბუკი ვ., ფიში ს., რაიჰენბეჰერი ც., კონსტიტუციის გადასინჯვა – საქართველოს გზა ევროპისაკენ , თბილისი 2012.
- ბოხაშვილი ბ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, თბილისი 2004.
- გვაზაფა გ., ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა, კრებულში: “ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები“, ზ. კორძაძის და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი 2016.
- გეგენავა დ., საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები, თბილისი 2014.
- ერემაძე ქ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ N6, თბილისი 2012.
- ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი 2018.
- ზაალიშვილი ნ., საერთო სასამართლოების გადაწყვეტილების კონსტიტუციური კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოში მისი დამკვიდრების პერსპექტივა, თბილისი, 2009.
- ზოიძე ბ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პირობები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ N4, თბილისი, 2004.
- ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი 2007.
- ზომერმანი კ.პ., საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, გ. ხუბუასა და კ.-პ. ზომერმანის რედაქტორობით, თბილისი 2016.
- იზენზეე ი., სამართლიანობა - მარადიული იდეა თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოში, „კონსტიტუციონალიზმი მიღწევები და გამოწვევები“, რედაქტორები მ., უგრეხელიძე, ბ., ქანთარია, თბილისი 2019.

იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფოს თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი 2009.

კახიანი გ., საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2008.

კაპანაძე მ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების რეტროაქტიური ეფექტი, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N9, თბილისი 2015.

კვერენჩილაძე გ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა (ზოგიერთი თეორიული საკითხი), ჟურნ „ადამიანი და კონსტიტუცია“, N 3, თბილისი 2005.

კვერენჩილაძე გ., საკონსტიტუციო კონტროლი საფრანგეთში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ N2, თბილისი 1997.

კვერენჩილაძე გ., მელქაძე ო., საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი 1999.

კვარაცხელია გ., გაუქმებულ ან ძალადაკარგულად გამოცხადებულ სადავო აქტზე საკონსტიტუციო სამართალწარმოება, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ N10, თბილისი 2016.

ლოლაძე ბ., უკუძალის საკითხის მართებული განმარტების მნიშვნელობა ძირითადი უფლების სფეროში, სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში“, თბილისი 2017

ლოლაძე ბ., ჰერბერტ ჰარტის მიერ რადბრუხის ფორმულის კრიტიკა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N 7, თბილისი 2013.

მარიკაშვილი ე., კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმი, სუბსიდიურობის პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი უფლებამოსილება, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N10, თბილისი 2016.

მენაბდე ვ., კონკრეტული კონტროლის პარადიგმები კონსტიტუციონალიზმში, ჟურნალი ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, რედაქტორი ვ. კორკელია, თბილისი 2010.

- პაქტე. პ., მელენ-სუკრამანიანი ფ., კონსტიტუციური სამართალი, 28-ე გამოცემა, მთარგმნელი გ. კალატოზიშვილი, ა. დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2012.
- რასელი მ., საკონსტიტუციო სასამართლოსა და ეკვივალენტური იურისდიქციის ორგანოების გადაწყვეტილებათა აღსრულება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N4, თბილისი 1997.
- ტულკენსი ფ., სასამართლო კონტროლის სხვადასხვა სტანდარტები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხასიათი და დანიშნულება, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N4, თბილისი 2010.
- შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მთარგმნელი მ. მაისურაძე, თ. ნინიძის რედაქტორობით, თბილისი 2003.
- შარაშიძე მ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის „რეალური“ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის უფლებამოსილების მინიჭების პერსპექტივა, ჟურნალი „ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები“, რედაქტორი კ. კორკელია, თბილისი 2010.
- შტემპფი ი., ხელისუფლების დანაწილება, საკონსტიტუციო რეფორმის პოლიტიკა და სასამართლოს დამოუკიდებლობა, ჟურნალი „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ თბილისი 2017.
- შვაბე ი., გერმანიის ფედერალური სახელმწიფოს გადაწყვეტილებები, მთარგმნელი ე., ჩაჩანიძე, კ. კუბლაშვილის, თ. ნინიძის, ბ. ლოლაძის, ქ. ერემაძის რედაქტორობით, თბილისი 2011.
- შვარცი ჰ., კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში, მთარგმნელი ქ. ალექსიძე, პატრიცია მ., ვალდის წინასიტყვაობით და კ. კუბლაშვილის რედაქტორობით, თბილისი 2003.

ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მთარგმნელი ლ. თოთლაძე, მ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი 2009.

ხუბუა გ., ტრაუტი ი., კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი 2001.

ხეცურიანი ჯ., ძიებანი ქართულ სამართალმცოდნეობაში, თბილისი 2011.

ხმალაძე ვ., საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია „ N4 (სპეციალური გამოცემა), თბილისი 2000.

ჯანაშვილი ლ., სამართლებრივი უსაფრთხოება, როგორც სამართლის ძირითადი ფუნქცია და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“ N1, თბილისი 2014.

Barbateanu V., The action in time of constitutional courts, Journ. “Constitutional review constitutional jurisdictions”, 2013.

Bar-Siman-Tov I., Time and Judicial Review in Israel: Tempering the Temporal Effects of Judicial Review, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014.

Brewer-Carías A.R., Constitutional Courts as Positive Legislators in Comparative Law, XVIII International Congress of Comparative Law of the International Academy of Comparative Law, at the George Washington University Law School, Washington, July 27, 2010.

Bobbett C.S., Retroactive or Retrospective? A Note on Terminology, British Tax Review, 2006.

Blackstone W., Commentaries on the laws of England, A Miller 1796, volum I, Section III.

Cherneva B.I., Legal Security as a Principle in Lawmaking, Globalization, the State and the Individual, No 2(14), 2017.

Carozza P.G., Subsidiarity as a Structural Principle of International Human Rights Law, Notre Dame Law School NDLScholarship Journal Articles, 2003.

- Drinoczi T., scheider P.**, The Legitimation of a Re-Enactment of Former Law and Temporal Effects of Judgments in a Constitutional Democracy, comparative study in the light of recent jurisprudence of croatian constitutional court, 2015.
- Drinóczi T.**, Temporal Effects of Decisions of the Hungarian Constitutional Court, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014.
- Elster J.**, The Role of institutional Interest in East European Constitution-making, Explaining Legislative Dominance, East European Constitutional Review, 1996.
- Epstein Z.D.**, Rationality, Legitimacy, & The Law, Washington University Jurisprudence Review, Volume 7 /Issue 1, 2014.
- Err L.**, Representation of women in election bodies, in: European Electoral Heritage – 10 Years of the Code of Good Practice in Electoral Matters, Science and Technique of Democracy, No. 50, Strasbourg, 2012.
- Francesco De Santis di Nicola**, Principle of Subsidiarity and ‘Embeddedness’ of the European Convention on Human Rights in the Field of the Reasonable-Time Requirement: The Italian Case, Uniwersytet Wroclawski 2011.
- Fuglistaler G.**, The Principle of Subsidiarity and the Margin of Appreciation Doctrine in the European Court of Human Rights’ Post-2011 Jurisprudence, IDHEAP Institut de hautes études en administration publique, 2011.
- Finick D.E.**, Judicial Review: The United States Supreme Court Versus the German Constitutional Court, Boston College International and Comparative Law Review, Volume 20/ Issue 1, 1997.
- Fuller L.L.**, The morality of Law, Yale University press, 1964.
- Gribnau H., Pauwels M.R.T.**,Retroactivity of Tax Legislation, EATLP 2010.
- Graetz M.J.** Legal Transitions: the Case of Retroactivity in Income Tax Revision, University of Pennsylvania 1977.
- Groppi T.**, The relationship between constitutional courts, legislators and judicial power in the european system of judicial review. towards a decentralized system as an alternative to judicial activism? (report presented at the Conference “Judicial

activism and restraint theory and practice of constitutional rights”, held in Batumi, Georgia, 13-14 July 2010, by the European Commission For the Democracy Through Law (The Venice Commission) and the Constitutional Court of Georgia, 2010.

Gertrude L-W., The Constitutional Court’s Relationship To Parliament And Government, National report prepared for the XVth Congress of the Conference of European Constitutional Courts by The Federal Constitutional Court of Germany, 2014.

Gribnau H., Lubbers A., The Temporal Effect of Dutch Tax Court Decisions, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014.

Hamilton A., The Federalist Papers, No. 78: Hamilton (New York: Mentor Book, 1961

Joyce s., Wilbert E., Weber's Analysis of Legal Rationalization: A Critique and Constructive Moditication, University of Denver, 1987.

Juratowitch B., The Temporal Effect of Judgments in the United Kingdom, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014.

Koncewicz T.T. The Court is dead, long live the courts? On judicial review in Poland in 2017 and „judicial space” beyond, Center for Global Constitutionalism, 2017.

Karakamisheva-Jovanovska T., Different Models for Protection of onstitutionality, Legality and Independence of Constitutional Court of the Republic of Macedonia, Skopie, 3, 2014.

Kavanagh A., The Constitutional Separation of Powers, University of Oxford, 2016.

Kelsen H., Judicial Review of Legislation. A Comparativ Study of the Austriann and the American Constitution, 4 The Journal of Politics, 1942.

Iliopoulos-Strangas J., Koutnatzis G., Constitutional Courts as Positive Legislators, in Brewer-Carias (n5), Cambridge University Press, 2011.

Lang M., Limitation of Temporal Effects of CJEU Judgments: Mission Impossible for Governments of EU Member States, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014.

- Leal-Arcas R.**, Essential Elements of the Rule of Law Concept in the EU, Queen Mary University of London, School of Law Legal Studies Research Paper No. 180, 2014.
- Matthew E.G.**, Separation of Powers: An Overview, „Congressional Research Service”, 2016
- Munzer S.R.** , Retroactive Law, Journal of legal studies, 1977.
- Millet F.X.**, Temporal Effects of Judicial Decisions in France, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014.
- Martinico G.**, The Temporal Effects of the Italian Constitutional Court and the Mechanism of Warning Decisions, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014.
- Mojapelo P.**, The doctrine of separation of powers (a South African perspective), Magazine Advocate, April 2013.
- Oliver D.**, Common Values in Public and Private Law and the Public/private Divide, 1997.
- Patterson E.W.**, Hans Kelsen and His Pure Theory of Law, “California Law Review“ volume 40, issue 1, 1952.
- Philippe X.**, Constitutional Review in France: The Extended Role of the Conseil Constitutionnel Through the New Priority Preliminary Rulings Procedure, University Paul Cézanne (Aix-Marseille III), 2009.
- Parodi G.**, The Italian Constitutional Court as Positive Legislator, Journ. “Constitutional Courts as Positive Legislators”, 2011.
- Popelier P., Verstraelen S., Vanheule D., Vanlerberghe B.**,The Effect of Judicial Decisions in Time: Comparative Notes, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014.
- Popelier p.**, The European Court of Human Rights’ Approach to Retrospective Judicial Reversals, The Effects of Judicial Decisions in Time, (Ius Commune Europaeum) Cambridge 2014.
- Rupp G.H.**, Federal Constitutional Court in Germany: Scope of Its Jurisdiction and Procedure, Notre Dame Law Review, Volume 44 / Issue 4, 1969.
- Rawls J.**, The Law of Peoples in Samuel Freeman, ed., Collected Papers (Cambridge: Harvard University Press), 1999.

- Stelzer M.**, The constitution of the Republic of Austria: A Contextual Analyses, Hart Publication, 2011.
- Streinz R.**, The Role of the German Federal Constitutional Court Law and Politics, *Ritsumeikan Law Review*, N 31, 2014.
- Schhmitz T.**, The Constitutional Review of Laws – German Experiences, 2014.
- Sweet A.S.**, The politics of constitutional review in France and Europe, Oxford University Press and New York University School of Law, vol.5, 2007.
- Shapiro M.M.**, Judicial Review in France”, Berkeley Law Scholarship Repository, 1989.
- Sweet A.S.**, The Constitutional Council and the Transformation of the Republic, “Yale Law School Legal Scholarship Repository”, 2008.
- Safjan M.**, Poland - The Constitutional Court as Positive Legislator, “Constitutional Courts as Positive Legislators”, 2011.
- Stelzer M.**, Pro-futuro and Retroactive Effects of Rescissory Judgments in Austria, „Temporal Effects of Judicial Decisions”, 2013.
- Steinberg H.**, Models of Constitutional Jurisdiction, European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 1991.
- Schroeder W.**, Temporal Effects of Decisions of the German Federal Constitutional Court, The Effects of Judicial Decisions in Time, (*Ius Commune Europaeum*) Cambridge 2014.
- Stelzer M.**, Pro Futuro and Retroactive Effects of Rescissory Judgments in Austria, The Effects of Judicial Decisions in Time, (*Ius Commune Europaeum*) Cambridge 2014.
- Tamanaha Z.B.** The History and Elements of The Rule of Law, *Singapore Journal of Legal Studies*, 2012.
- Tudorel T., Marieta S.**, General Report prepared for the XVth Congress of the Conference of European Constitutional Courts by The Constitutional Court of Romania, 2014.
- Verstraelen S.**, The Interplay of Temporal Effects of Judicial Decisions within the Belgian Legal Order, The Effects of Judicial Decisions in Time, (*Ius Commune Europaeum*) Cambridge, 2014.

- Verstraelen S.**, The Temporal Limitation of Judicial Decisions: The Need for Flexibility Versus the Quest for Uniformity, German Law Journal Vol. 14 No. 09, 2013.
- Wilson R.H.** Constantly Approximating Popular Sovereignty: Seven Fundamental Principles of Constitutional Law, Willim & Mary Bill of Rights Journal, Volume 19/Issue 2, 2010.
- Winston G.C.**, three problems with the treatment of time in economics: perspectives, repetitiveness and time units, Cembridge University press, 1988.
- Асиленич Г.А.** Исполнение Решений Конституционного Суда – Свидетельств Развтия Государства по Правовому пути, Конституцтонное Правосудтеб Т1(27 2005.
- Витрук И.В. И.**, Повышение эффективности действия и исполнения решений Конституционного Суда Российской Федерации, Сборник докладов: Исполнение решений конституционных судов, М., 2003.
- Лазарев Л. В.**, О правовой природе решений Конституционного Суда Российской Федерации в контексте проблемы их исполнения, Сборник докладов: Исполнения решений конституционных судов. М., 2003.

საქართველოს საკანონმდებლო აქტები

- „საქართველოს კონსტიტუცია“ საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N31-33, 24/08/1995;
- “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი N001, 31/01/1996;
- „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N1772, 09/10/2009;
- „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 13-14, 20/03/1998
- „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ საქართველოს საპარლამენტო უწყებანი 47-48, 31/12/1997;

„საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N 39(46), 06/08/1999;

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი საკანონმდებლო მაცნე 13(20), 01/05/1999;

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 21-22, 28/10/1994

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი (ძალადაკარგულია 01/07/2017).

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 39(46), 06/08/1999

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 41, 08/12/2009

უცხო ქვეყნის საკანონმდებლო აქტები

Constitution of The Republic of Armenia

Constitution of The Republic of Poland

Constitution of The Russian Federation

Constitution of The Republic of Serbia

Constitution of The Portuguese Republic

Constitution of The Republic of Slovenia

Constitution of The Republic of Turkey

Constitution of The Czech Republic

Constitution of The Italian Republic

Constitution of France 4 October 1958

Constitution of Montenegro

Constitution of Romania

Constitution of the Italian Republic

Constitution of the Republic of Azerbaijan

Constitution of Greece

Constitutional Court Act of Czechia

Constitutional Court Act of Austria

Constitutional Court Act of the Slovak Republic

Constitutional Tribunal Act of Poland

Constitutional Act on the Constitutional Court of the Republic of Croatia

Constitutional court act south korea

Political Constitution of peru

Act on the Constitutional Court of Hungary

Constitutional Act on the Constitutional Court of the Republic of Croatia

Constitutional Court Law of Latvia

Criminal Procedure Code of Romania

Law on The Republic of Belarus on the Constitutional Proceedings

Law on The Constitutional Court of Portugal

Law on The Constitutional Court of Serbia

Law on The Constitutional Court of Serbia

Law on The Constitutional Court of Moldova

Law on The Republic of Uzbekistan

Law on The Republic of Armenia on The Constitutional Court

Law on the Organisation and Functioning of the Constitutional Court of Albania

Law on the Constitutional Court of Montenegro

Federal Constitutional Court Act of Switzerland

Rules of procedure of the Constitutional Court Of Ukraine

The Act of 30 November 2016 on the Organisation of the Constitutional Tribunal and the Mode of Proceedings Before the Constitutional Tribunal (Poland)

The Act on The Constitutional Tribunal of Poland

The federal Constitutional Law of Austria

The Special Act on the Constitutional Court of Belgium

The constitutional Act on The Constitutional Court of The Republic of Croatia

The Constitutional Court of the Republic of Lithuania 27.03.2009 Ruling N33/06 on The Compliance of Paragraph 3 of Article 51 (Wording of 10 October 2000) of the Republic of Lithuanias Law on Trademarks With the Constitutional of the Republic of Lithuania

Rules of constitution cort of South Africa

Rules of The Constitutional Court of Bosnia and Herzegovina

Rules of Procedure of the Constitutional Courte of Ukraine

Federal Constitutional Law On the Constitutional Court of the Russian

General Code of Procedure Uruguay

General Code of Procedure Uruguay

Organic Law on the Constitutional Court Constitution of the Republic of Albania

Qualified Law on the Constitutional Court of Andora

Qualified Law on the Constitutional Court of Andora

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/655 საქმეზე „შპს სკს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისი გადაწყვეტილება N2/2/867 საქმეზე „რემზი შარაძე საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება N2/3/1279 საქმეზე „ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი - საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N1/3/1263 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება N1/2/671 საქმეზე „სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტიტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება N1/3/1282 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/7/779 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/13/1234,1235 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება N2/11/747 საქმეზე „შპს გიგანტი სექიურითი“ და „შპს უსაფრთხოების კომპანია ტიგონისი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის N3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება N2/5/658 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის N3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625, 640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის N3/4/641, გადაწყვეტილება საქმეზე „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/16/770 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792N3/3/601, გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/548 „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის N2/3/630 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის N3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/592 „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის N1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე „მპს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის N 2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბენიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შორომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის N1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის N3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/9/701,722,725 „საქართველოს მოქალაქე ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N1/4/557,571,576 „საქართველოს მოქალაქე ვალერიან

გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ი)პ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 20 თებერვლის N3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება N1/4/535 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის N3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება N3/1/512 „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება N2/2/558 „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება N2/482,483,487,502 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს სახალხო დამცველი და იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება N1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება N1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N1/1/428,447,459, "საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/2/411 „შპს "რუსენერგოსერვისი", შპს "პატარა კახი", სს "გორგოტა", გივი აბალაკის ინდივიდუალური საწარმო "ფერმერი" და შპს "ენერჯია" საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის N1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიძე, თარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/393,397 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურა-შვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/263 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 30 აპრილის N1/3/161 გადაწყვეტილება საქმეზე „ოლღა სუმბათაშვილის და იგორ ხარპოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“.

საოქმო ჩანაწერები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის N1/3/679 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის N2/2/536 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბენიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შორომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის N2/8/473 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“.

განჩინებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის N2/3/1227 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - თორნიკე ართქმელაძე და ალექსანდრე ციციძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის N1/13/878 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ბენიანიძე და გოჩა გაბოძე საქართველოს შორომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 20 მაისის N2/7/639 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ქართლოს ზაქარეიშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის N2/12/593 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იოსებ კარანაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის N1/4/607 განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „თანადგომა და სამართლიანობა“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, შპს „გამომცემლობა არტანუჯი“, შპს „გამომცემლობა დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 ივლისის N3/2/602 განჩინება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, ზურაბ ჩილინგარაშვილი და სხვები, სულ 35 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N5/1/520 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბენიამინ აბრამიძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N2/3/595 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალბერტ ნურბეგიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის N2/2/537 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის N2/1/530 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვლადიმერ სანიკიძე და მათი ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრის N2/4/526 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ ჯავახაძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის №1/1/521 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის N1/4/529 განჩინება საქმეზე „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“, პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის“ და „საქართველოს მწვანეთა პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის N2/6/518 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვიტალი ნიშნიანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N2/6/496 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – მამუკა ნინუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის N2/8/501 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი ქურდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N1/1/474 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება N1/494 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 11 ოქტომბრის N1/17/345 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზაზა ბერიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 12 მარტის N2/124/3 განჩინება საქმეზე „მოქალაქე ალექსი პაპუაშვილი საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წლის 22 სექტემბრის N1/6/115 განჩინება საქმეზე ხაშურის რაიონული სასამართლოდან შემოტანილი კონსტიტუციური წარდგინება; „სასამართლო კოლეგია მიუთითებს, რომ

კონსტიტუციის ამ დებულებით განისაზღვრება კანონის უკუმაღლა პასუხისმგებლობის საკითხთან კავშირში, უფრო ზუსტად – სამართალდარღვევასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობასთან მიმართებით“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 14 აგვისტოს N1/15/38 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ბრაცლავსკი საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს აქტები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2018 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე N113აგ-17.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე N69აგ-15.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 21 ნოემბრის განჩინება საქმეზე N76აგ-15.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქმეზე N149აგ-16.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 დეკემბერის გადაწყვეტილება საქმე Nზს-161-158 (კ-15).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმე Nას-495-471-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება Nას-880-838-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე Nას-611-837-08.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აქტები

Kakabadze and others v Georgia [ECTHR], App No. 148/07, 2 October 2012.

Barszcz v Poland [ECTHR], App No. 71152/01, 30 may 2006.

Surmeli v Germany [ECTHR], App No. 75529/01, 8 juni 2006.

Apostoly v Georgia [ECTHR], App No. 40765/02, 28 Novemba 2006.

Voggenreiter v Germany [ECTHR], App No. 47169/99, 8 january 2004.

Hartman v Republic of Czehia [ECTHR], App No. 53341/99, 10 juli 2003.

Reira and others v Spain [ECTHR], App No. 37680/97, 14 octobre 1999.

Ravnsborg v Sweden [ECTHR], App No. 5/1993/400/478, 23 March 1994.

Bendenoum v France [ECTHR], App No. 12547/86, 24 February 1994.

Vernillo v France [ECTHR], App No. 56581/00, 20 february 1991.

Deweert v Belgium [ECTHR], App No. 6903/75, 27 February 1980.

Van v Hungary [ECTHR], App No. 56581/00, 6 novembre 1980.

Akdivar and others v Turkey [ECTHR], App No. 99/1995/605/693, 6 novembre 1980.

Deweert v Belgium [ECTHR], App No. 6903/75, 27 February 1980.

Engel and others v The Neteherlands [ECTHR], App No. 5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72;5370/72, 8 June 1976.

გერმანიის ფედერაციის საკონსტიტუციო

სასამართლოს აქტები

BVerfG, 1/09

BVerfGE 93, 121
BVerfGE 1966, 21
BVerfGE 7, 89, (92),
BVerfGE 47, 109, 120. (200);
BVerfG, 2, 1330/95
BVerfGe 117
BverfGE 2487
BverfGE 1054/01
BverfGE 3153
BverfGE 1733
BverfGE 1261,1267
BverfGE 2409,2419
BVerfGE 7, 89, (92)
BVerfGE 47, 109, 120.
BVerfG, 2 1330/95

**ავსტრიის რესპუბლიკის საკონსტიტუციო
სასამართლოს აქტები**

VFSLG 19324/2011.
VFSLG 19516/2011.
VFSLG 19522/2011.
VFSLG 18603/2008.
VFSLG 18093/2007.
VFSLG 17394/2004.
VFSLG 16772/2002.
VFSLG 16327/2001.
VFSLG 15488/1999.
VFSLG 14723/1997
VFSLG 12649/1991.

VFSLG 12649/1991.
VFSLG 11646/1988.
VFSLG 15129/1988.
VFSLG 11591/1987.

საფრანგეთის რესპუბლიკი საკონსტიტუციო საბჭოს აქტები

The French Constitutional Council Decision 2012-268 QPC of the 27th of July 2012.
The French Constitutional Council Decision 2010-108 QPC of the 25 March 2011.
The French Constitutional Council Decision 2010-1 QPC of the 28th of May 2010.
The French Constitutional Council Decision 2010-14/22 QPC of the 30th of July 2010.
The French Constitutional Council Decision 2010-32 QPC of the 22th of Sept. 2010.
The French Constitutional Council Decision 2010-45 QPC of the 6 October 2010.
The French Constitutional Council Decision 2010-10 QPC of the 10th of 10 Dec. 2010.
The French Constitutional Council Decision 2008-564 DC of the 19th of June 2008.

ბელგიის სამეფოს საკონსტიტუციო სასამართლო

CCKB 22 March 2011 No 33/2011.
CCKB 15 March 2012 No 45/2012.
CCKB21 March 2007 No 49/2007.
CCKB 14 September 2005 No 137/2006.
CCKB 9 July 1992 No 56/92.

რუმინეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

Decision no.31 of the 26th of May 1993, published in the Official Gazette of Romania,
Decision no.38 of the 7th of July 1993, published in the Official Gazette of Romania,
Plenum Decision no.1 of the 7th of September 1993, published in the Official Gazette of Romania, Part I,

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

Decision (n25) 1152-1153, of the constitutional court.

Decision 155/2008 of the constitutional court.

Decision 37/1992 of the constitutional court.

სლოვაკეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

Decisions of the Constitutional Court of the Slovak Republic SVK-2007-2-002

ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

Finding of the Constitutional Court of the Czech Republic ref. Pl. TS 55/10 of 1 March 2011;

Finding of the Constitutional Court of the Czech Republic ref. Pl. TS 38/06 of 6 February 2007.

Finding of the Constitutional Court of the Czech Republic ref. IV TS 1777/07 of 18 December 2007;

მოლდოვას რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

Republica moldova, Cortea Constitutionala N4a/2013.

კანადის უზენაესი სასამართლოს აქტები

Benner v. Canada (secretary of State), 1997, 1 SCR 358.

ნიდერლანდების უმაღლესი საგადასახადო სასამართლოს აქტები

BNB 2006/322, 11 August 2006.

BNB 1999/271, 12 May 1999;

ვენეციის კომისიის აქტები

European commission for democracy through law (Venice Commission), Rule of Law Checklist, („Checklist“- AD(2016)007,II.B.

European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Georgia Amicus Curiae Brief for The Constitutional Court of Georgia on The Effects of Constitutional Court Decisions on Final Judgments in Civil and Administrative Cases, Strasbourg, 25 June 2018 Opinion No. 923 / 2018 CDL-AD(2018)012.

European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Study on Individual Access to Constitutional Justice, Strasbourg, 2011.

European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 27 January 2011, CDL-AD(2010)039rev, "Study on individual access to constitutional justice.

European commission for democracy through law (Venice Commission), study on individual access to constitutional justice, Adopted by the Venice Commission at its 85th Plenary Session (Venice, 17-18 December 2010), Strasbourg, 27 January 2011 (Study N° 538 / 2009).

European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg, 22 June 2006, CDL-AD(2006)017 Opinion on Amendments to The Law on The Constitutional Court of Armenia.

European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Strasbourg 26 March 2002, CDL-AD(2002)005-e, Opinion on the Draft Law on the Constitutional Court of the Republic of Azerbaijan adopted by the Commission at its 50th Plenary Session, Venice, 8-09.

European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), Bucharest, 8-10 June 1994, CDL-STD(1994)010, The role of the constitutional court in the consolidation of the rule of law.

European Commission for Democracy Through Law (Venice Commission), Models of Constitutional Jurisdiction by Helmut Steinberger, 1991.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

წარდგენილი სარჩელები

N 719 კონსტიტუციური სარჩელი - შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველოს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

N 678 კონსტიტუციური სარჩელი - შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და შპს „ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები

ა.ა.ი.პ. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ - სასამართლო მეგობრის მოსაზრება.

კონსტანტინე კუბლაშვილის - სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

სხვა წყაროები

გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის IV ანგარიში, მონიტორინგის პერიოდი: 2015 წლის ივნისი - 2017 წლის მარტი, 2017 ანგარიში მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით.

საინფორმაციო პორტალი “ON.GE”, სტატია - „მოკლედ: ცვლილებები კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, <https://on.ge/story/>

საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, სტატია - „უგულავამ საკონსტიტუციო სასამართლოში წინასწარი პატიმრობის ვადებთან დაკავშირებული საქმე მოიგო“, <https://old.civil.ge/geo/article.php?id=29692>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოსული კონსტიტუციური სარჩელები და წარდგინებები - 1996-2018წ - <http://constcourt.ge/ge/legal-acts/statistics>